ლიტერატურა და ხელოვნება

N2
2/2008

1522
2008

მთავარი
ამირან ნაბაზი
გიორგი მინდიკაური

მთარგმნელი
გურამ დოჩანაშვილი
ვახუშტი კოტეტიშვილი

თარგმანი
ბერნჰარდ შლინკი

ილustრაციები
ვასო გოძიაშვილი

ფოტოები
კლაუდიო მონტევერდი

ფასადი
ალექსანდრე ბანძელაძე

მხატვარი ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე

ლიტერატურა და ხელოვნება

N2(26)

2/2008

ISSN 1512-3189

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
VAZHA OTARASHVILI

Literature And Art

დამფუძნებელი, პროექტის ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი მდივანი

ზურაბ თორია

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

ალექსანდრე ბანძელაძე

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.

E-mail: vajao@mail.ru

Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი გამოდის სულიერების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის მხარდაჭერით

სარჩევი

3 ჰატჩიასქი, ილია II - საშობაო ეპისტოლე

ქართველ, ქართველ

8 გუჩამ დოჩანაშვილი - ჩაც უფრო მახსოვს, და მეტად მაგონდება /ჩომანი/

23 გიორგი მინდიკაური - ლექსები

25 ვახუშტი ჯოტეტიშვილი - ჩემი ნუთისოფელი /მემუარები/

31 ამირან ხაბაზი - ლექსები

33 ზვიად ჯვარაცხელია - წინათ, ახლა და მერე

39 ირაკლი ფალავა - ლექსები

ოთხგმანი

41 ბერნჰარდ შლინკი - გოგონა ხვლიკით (თარგმნა ბელა სურგულაძემ)

ეროვნული

46 ზაზა ქინქლაძე - ილიასთან დუელი გრძელდება

48 მაცაცო ლოსაბერიძე - „სხვა რა?... საქართველო გქონდეს!“

53 სოსო სიგუა - ვაჟა-ფშაველა: ომი და გმირი

სულიერი ხელოვნებაზე

60 ნათელა უჩუშაძე - ერთადერთი ცოცხალი

*ო
*

65 ჯოტე ნინიკაშვილი - უკანასკნელი მოჰიკანი /ვასო გოძიაშვილი/

ახალგაზრდობა

70 ქეთევან ჯინნუჩაშვილი - ჰარმონიული აბსტრაქცია /აღექსანდრე ბანძელაძე/

პოეზია

77 ნინო აფრიამაშვილი - „ჰარმონიის მამა“ /ტლაუდიო მონტევერდი/

ინტერვიუ

83 აღექსანდრე ყაზბეგი - საქართველოს ბომონდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისოდ აღიარებული სამეცნიერო:

ფასდაუდებელი, ბასილეთ ბერეკაძე, ნანა ბერეკაძე,

ეროვნულ ბიბლიოთეკა, ანაგა ბურჭულაძე, მაყვალეთ ვეფხვიერი,

ნათელა ყორეშაძე, ჯანსოლ ჩანტლაძე, თემურ ჩხეიძე,

თამაზ ჩხენკელი, ვიგი ჩერეთელი.

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება

სამობა ერისა

ღვთივკურთხეული ქართველი ეს და ყოველთა მკვიდრთა საქართველოჲსა

„ქრისტეს შობას ვადიდებთ; ქრისტესა ზეცისასა მივეგებვოდეთ; ქრისტესა ჩუენ, ქვეყანისანი, აღვამაღლებდეთ, ღმერთსა დიდებულსა და აწ სიხარულით ვუღაღადებდეთ, რამეთუ დიდებულ არს“.

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ყოველნო საერო დასნო, მკვიდრნო საქართველოისა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო, ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო!

აღსრულდა საიდუმლო განგებულება, — ძე ღვთისა, შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, რომელსაც ვერ იტევს ცანი და ქვეყანა, დაიბადა ბაგაში, ბეთლემის გამოქვაბულში!

„დღეს ქრისტე იშვების ბეთლემს ქალწულისაგან უბინჲოსა; დღეს დაუსაბამოჲ დაიბადების, სიტყუაჲ ხორცთა შეისხამს; ძალნი ცათანი აქებენ სიხარულით და ჩუენ, ქუეყანისანი, თაყუანისვცემთ და მათთანა ვღაღადებთ და ვიტყვით: დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“

(შობის საცისკრო საგალობელი).

ჰოჲ, საოცრება, „ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას“ (ინ. 3,16).

დიდება და მადლობა შენდა, უფალო!

შენ გვიჩვენე მაგალითი მოთმინებისა და სიმდაბლისა, მაგალითი ბოროტებასა ზედა გამარჯვებისა. მაშ, „გიხაროდეთ, ერნო, განმტკიცდით და ნუგეშინისცემულ-იქმნენით“;

მხსნელი გამოჩნდა ყველასათვის. მისთვის არ არის „არც ელინი, არც იუდეველი, არც წარმართი“. ბეთლემს შობილმა იესომ გააერთიანა სხვა და სხვა ერებად დაყოფილი კაცობრიობა.

წმიდა წერილის მიხედვით, ამა თუ იმ ერის წარმოშობა კონკრეტულ პიროვნებას უკავშირდება. ამიტომაც, ესა თუ ის ერი მკვეთრი თავისებურებით გამოირჩევა, — აქვს თავისი, ხასიათი, ტრადიციები და კულტურა.

უძველესი ერების ერთი ნაწილი აღარ არსებობს, მეორე ნაწილმა კი სათავე დაუდო მონათესავე ხალხებს, რომლებიც დღეს სხვა და სხვა სახელმწიფოს სახით არსებობენ, მაგრამ ერთი წარმოშობისანი არიან.

მცირერიცხოვნობის მიუხედავად ჩვენი ერიც უძველესია და ეს, ჭეშმარიტად, ღვთის წყალობაა.

საერთოდ, ერის სახეს, მის მეობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: წარმომავლობის გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს რელიგიას. განსხვავებული რელიგია ერთი და იმავე საწყისის მქონე ერს განსხვავებულ კულტურებად აყალიბებს, ზოგჯერ კი ურთიერთდაპირისპირებულადაც.

ერის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ენა. ენასა და ერს შორის, შეიძლება ითქვას, იგივეობის ნიშანია. ჩვენი ენა ისევე, როგორც ჩვენი ხალხი, პრეისტორიულ ხანაში იღებს სათავეს. კუთხური მრავალფეროვნებისა და, ხშირად, პოლიტიკური გათიშულობის მიუხედავად, ქართველი ერი საუკუნეთა მანძილზე ერთ, განუყოფელ ორგანიზმად რჩებოდა და ერთ სულიერ სხეულად აღიქმებოდა. (გავიხ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სენოთ ფარნავაზისა და ქუჯის ისტორია). ქრისტიანობამ და საქართველოს ეკლესიამ კი საბოლოოდ ჩამოაყალიბა ერთიანი ქართველი ერი, ერთი ენით, ერთი კულტურით, ცნობიერებითა და ცხოვრების წესით.

ერს, ისევეროგორც პიროვნებას, აქვს ღირსების გრძნობა. ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანის მიწიერი კეთილდღეობა ღირსებაზე უარის თქმის შედეგია, მაგრამ ასეთი ქმედება მთელი ცხოვრების განმავლობაში მძიმე ტვირთად აწვება პიროვნებასაც და ერსაც და იწვევს მის სულიერ დეგრადაციას. საზოგადოება, რომელიც ღირსების განცდას მოკლებულია, განწირულია გადაგვარებისათვის. ამიტომაც არის ეს თვისება ერის არსებობის ერთგვარი გარანტი.

ჩვენ ეს გრძნობა განსაკუთრებით გამოკვეთილად გვქონდა და ამანაც გადაგვარჩინა. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ბრძოლა წავაგეთ და მრავალი წელი დამპყრობელთა უღლის ქვეშ ვიყავით, ჩვენი ხალხის დიდ ნაწილს ღირსება არ დაუკარგავს, რაც თავისუფლებისათვის ჩვენს მუდმივ ბრძოლას ასაზრდოებდა. რა თქმა უნდა, მოღალატეებიც ყოველთვის იყვნენ, მაგრამ ისინი საზოგადოებისთვის მიუღებლად ცხადდებოდნენ.

სამაგალითო შვილები კი ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ ერის ღირსებას და უდიდეს გავლენას ახდენდნენ ქვეყნის განვითარებაზე; გავიხსენოთ თუნდაც ქეთევან წამებული. არა მარტო საქართველოს, შუა საუკუნეების მთელ ქრისტიანულ სამყაროს არ ყავს ასეთი დიდი მოწამე.

მის პერიოდში კახეთი თითქმის დაცარიელებული იყო. ნაწილი მოსახლეობისა სპარსელებთან ომს შეეწირა, ნაწილი კი ირანში, ფერეიდანში იქნა იძულებით გადასახლებული; ქართლში მუსულმანი მმართველები ისხდნენ. მათ საამებლად და შაჰის „წყალობის ხალათის" მისაღებად ქართველ თავადაზნაურთა ნაწილი გამუსულმანებას და ისპაჰანში წასვლას ერთმანეთს ასწრებდა. დასავლეთ საქართველოშიც მძიმე მდგომარეობა იყო, — სამთავროებს შორის ურთიერთშუღლი და ადამიანებით ვაჭრობა მძვინვარებდა.

მართალია, ქვეყანა სულიერად დაცემულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ მეფე თეიმურაზ I გაუტეხელობითა და ქეთევან დედოფლის საარაკო გმირობით ქართველებმა ღირსების დიდი ომი მოიგეს.

მიუხედავად სარწმუნოებრივი სხვაობისა, ღირსების გრძნობა ყველა ადამიანს თანაბრად აქვს მიცემული და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული გამოავლენს თუ არა ამ თვისებას. ამ ნიჭს ყველა ერი და კულტურა მიაგებს პატივს. მონღოლთა ნოინს ღირსების პატივისცემა რომ არ ჰქონოდა, არ მოხდებოდა ცოტნე დადიანის მიერ თანამებრძოლთა გამოხსნა წამებით სიკვდილისაგან.

მაღალი ღირსებისა და ვაჟკაცობის მაგალითია სალადინი. სალადინი ეგვიპტის სულთანი იყო, რომელმაც წმიდა მიწიდან განდევნა ჯვაროსნები, მაგრამ ეს ომი იმდენად ღირსეულად წარმართა, რომ თვით ქრისტიანთა შორისაც დიდი პატივისცემა დაიმსახურა.

ერის ღირსებას და მის სიმტკიცეს ღირსეული ადამიანები განაპირობებენ; ბედნიერია ის ქვეყანა, სადაც ასეთი პიროვნებების სიმრავლეა.

საქართველომ ამ ხრივაც საოცარი მაგალითი უჩვენა მსოფლიოს XI საუკუნეში, როცა ჯალალ ედ-დინმა დაიპყრო თბილისი, მაგრამ მისი მოსახლეობა ვერ აიძულა ქრისტიანული სიწმიდეები შეელახათ. 100 000 ქართველმა სიკვდილი ამჯობინა რწმენისა და ღირსების უარყოფას.

მართმადიდებელი ეკლესიის ისტორიას არ ახსოვს ისეთი ფაქტი, რომ ერთ დღეს ამდენი ადამიანი წამებულიყოს სარწმუნოების დასაცავად!

დღეს დრო შეიცვალა და მასთან ერთად ბოროტის ბრძოლის მეთოდებიც. დღეს ეროვნული ღირსების შელახვისა და სარწმუნოების შეცვლისთვის ძალადობრივ ფორმებს აღარავინ იყენებს. ჩვენი ტრადიციებისა და ცხოვრების წესის გადაგვარება სხვა და სხვა მეთოდებით ხორციელდება და ამაში დიდ როლს, სამწუხაროდ, მასმედია ასრულებს.

მასმედიის სახელს მრავალი კარგი საქმეც უკავშირდება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ტელეგადაცემებით და პრესითაც ხდება ცოდვის დემონსტრირება, ლეგალიზება და იმ აზრის დამკვიდრება, თითქოს ეს ადამიანის ჩვეულებრივი თვისებაა. ხდება ავხორცობისა და ულირსობის არა მარტო მისაღებ, არამედ სამაგალითო მოვლენად წარმოჩენა; იქმნება უზნეო, ცრუ ავტორიტეტები, რომელნიც თავისი ანტიეროვნული და ანტიქრისტიანული ქმედებების გამო წახალისებულნი და დაჯილდოვებულნი არიან.

ჩვენთან ხშირად ლაპარაკობენ ამა თუ იმ უფლებებზე, მაგრამ ძალიან ნაკლებად — მოვალეობასა და პასუხისმგებლობაზე. ყველას აქვს არა მარტო უფლება, არამედ — პასუხისმგებლობაც; პასუხისმგებლობა უფლის, სამშობლოს, ოჯახის წინაშე, გაჭირვებული თუ დაცემული მოყვასის წინაშე.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ თუ პირადული

ცოდვა (რომელსაც სწავლების სახე არა აქვს) მხოლოდ ამა თუ იმ ინდივიდის პრობლემაა და ღვთის წინაშე მის საბოლოო ხვედრს განსაზღვრავს, საჯაროდ ცოდვის სწავლება და დანერგვა მთელ საზოგადოებას რყვნის და ღუპავს, ღირსების გრძნობას ულახავს და წინსვლის სურვილს უკარგავს. ამიტომაც საზოგადოება ვალდებულია, დაიცვას როგორც თავისი თავი, ისე შთამომავლობა.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ამ ხრივ ხელისუფლებას ეკისრება.

რაც შეეხება ეკლესიას, იგი ყოველ ცოდვის ჩამდენს სინანულისაკენ მოუწოდებს, და სხვათაგან მის განკითხვას კრძალავს, ხოლო მოქცეულს — სიყვარულით და სიხარულით იღებს. ცოდვის ცხოვრების წესად დამნერგავს და ასეთი სწავლების საჯაროდ გამავრცელებელს კი, დაუნდობლად ებრძვის მხილების მახვილით, რათა დაიცვას სამწყსო და ამ ადამიანსაც (ან ადამიანთა ჯგუფს) დაეხმაროს ეშმაკის მსახურებისაგან გათავისუფლებაში.

ასე რომ, დღეს თითოეული ჩვენთაგანი დგასარჩევანისწინაშე,—დატოვოს„ჩვეულებისამებრ მამულისა სვლაჲ“ თუ გაითავისოს თავს მოხვეული ცრუ კულტურა? გაუძლოს ინფორმაციულ ზეწოლას, თუ შეინარჩუნოს წინაპართა ღვაწლით დღემდე მოტანილი ღირებულებები?!

საკუთარი ტრადიციებისა და პრინციპების ერთგულების და, ამავე დროს, განვითარებული სახელმწიფოს შექმნის მაგალითია თუნდაც ქუვეითი და ისრაელი.

მატერიალურ-ტექნიკური პროგრესის პარალელურად ეს სახელმწიფოები მტკიცედ იცავენ თავის მეობას და ღირსეული ადგილი უკავიათ მსოფლიო თანამეგობრობაში.

ინებოს ღმერთმა, დღეს მიმდინარე გლობალურ, პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებში ჩვენც ჩვენი თვიდმყოფადი სახე შევინარჩუნოთ და საქართველო საქართველოდ დარჩეს.

რა არის სამშობლო, როგორ აღვიქვამთ მას?

ჩვენი სამშობლო არის ჩვენი გენი, ჩვენი ენა, ღვთისა და მოყვასისადმი გამოვლენილი ჩვენი სიყვარული, ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი.

საქართველო არის ჩვენი მოგებული თუ წაგებული ბრძოლები, წინაპართა დადებითი და უარყოფითი თვისებები.

საქართველო არის მტკიცე ოჯახი, ნათესავების თანადგომა და მათი კავშირი;

საქართველო არის ქვეყანა, სადაც მეგობრისთვის თავს სწირავენ და სადაც მეზობელი ოჯახის წევრად არის მიჩნეული; სადაც ნათელ-მირონობა და ძმადნაფიცობა სისხლისმიერ ნათესაობაზე მეტია.საქართველო ჩვენი უნიკალური ფლორა და ფაუნაა, ჩვენი მთა და ჩვენი ბარია, ჩვენი უდაბნოა, ჩვენი წყალი და ზღვაა.

საქართველო ურღვევია, როგორც კვართი უფლისა!

თითოეული ჩვენგანი ატარებს მას. საქართველო მე ვარ, იგი ჩემშია და მე მასში!

თუმცა მიუხედავად ასეთი დამოკიდებულებისა, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს სამშობლოზე უზენაესი ღირებულება, — ქვეყნის, მთელი კაცობრიობისა და სამყაროს შემოქმედი, — ყოვლადწმიდა სამება.

დიახ, როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმა გვასწავლის, რომ უპირველესი მცნება არის:

„გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით და მთელი შენი ძალით“ (მარკ. XII, 29-31).

ეს ნიშნავს გვიყვარდეს ღმერთი მთელი შესაძლებლობით, მთელი არსებით ანუ მასზე წინ არავინ და არაფერი არასდროს არ უნდა დავაყენოთ.

„ვისაც მამა ან დედა უყვარს ჩემზე მეტად, არ არის ჩემი ღირსი; და ვისაც ძე ან ასული ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი“ (მათე 10, 37-39), — ბრძანებს მაცხოვარი.

რატომ არის ასეთი მკაცრი მოთხოვნა?

იმიტომ, რომ თუ ღვთისადმი ჩვენს სიყვარულს სხვა ვინმეს ან რაიმესადმი სიყვარული ჩაენაცვლა, ისეთივე შეცდომა მოგვივა, როგორიც ადამმა და ევამ დაუშვეს სამოთხეში, ანუ ჩვენ ჩვენი ნებით განვაყენებთ თავს შემოქმედისაგან და სულიერად დავიღუპებით, რადგან მის გარეშე არაფრის ქნმა არ ძალგვიძს იგია ვენახი, ხოლო ჩვენ რტონი ვართ (ინ.15,5).

ღმერთი თვითარსია. იგია სიცოცხლის, სიყვარულისა და სხვა საერთოდ ნებისმიერი სიკეთის სათავე; ყველა სხვა ქმნილება, მათ შორის, ანგელოზები და ადამიანებიც არ არიან თვითარსნი. ისინი მარადიული სიცოცხლისათვის აუცილებლად საჭიროებენ შემოქმედთან მტკიცე კავშირს, რაც მხოლოდ სიყვარულით შეიძლება განხორციელდეს. თუ როგორ უნდა მოხდეს ეს, მშვენივრად განმარტავს იოანე მახარებელი: რადგან — „ღმერთი სიყვარულია, სიყვარულის მკვიდრი ღმერთში მკვიდრობს, ხოლო ღმერთი — მასში“ (I ინ. 4,16), „ვისაც მე ვუყვარვარ, — ამბობს მაცხო-

ვარი, — დაიცავს ჩემს სიტყვას, და მამა ჩემი შეიყვარებს მას, და მივალთ და მასთან დავივანებთ" (ინ. 14,23), ხოლო ვინაიდან „ღმერთი არავის არასოდეს უხილავს, თუ ერთმანეთი გვიყვარს, ღმერთი ჩვენში მკვიდრობს" (I ინ. 4,12).

დაცემულმა ანგელოზმა და მისმა მიმყოლმა ძალებმა თავისი ამპარტავნებით ჭეშმარიტი სიყვარული სრულად დაკარგეს, რის შედეგადაც ეს გრძნობა ეგოისტურ ვნებად გადაექცათ. სწორედ ამაშია მათი, და საერთოდ, უღმერთო და ცოდვილი ადამიანების ტრაგედია;

თუ ჭეშმარიტი სიყვარული გაცემას, სხვისთვის მსახურებას და თავგანწირვას გულისხმობს, ეგოისტური სიყვარული საკუთარი მოთხოვნილებებისა და სურვილების დაკმაყოფილებისკენ მიილტვის, რაც სხვა და სხვა ცოდვის მიზეზი ხდება. ეს კი თავისთავად იწვევს ღვთაებრივი სიყვარულის დაშრეტას, სიცოცხლის წყაროსთან კავშირის გაწყვეტას და თვითგანადგურებას.

თუ ჭეშმარიტი სიყვარულისკენ სწრაფვაც და ეგოისტურ ვნებებში დანთქმაც ამქვეყნადვე იწყება. პირველის ბოლო ღმერთთან ერთობაა, მეორისა — ეშმაკთან თანაზიარება; სამწუხაროდ, საზოგადოების დიდი ნაწილი ამას ვერ აცნობიერებს.

საერთოდ, ადამიანი ნეტარებისთვის არის შექმნილი და მისკენ ლტოლვა ჩვენს არსებაშია შთანერგილი. მაგრამ ცოდვით დამძიმებულ პიროვნებას ნეტარებაზეც დამახინჯებული წარმოდგენა აქვს და ცდილობს, ეს მოთხოვნილება მიწიერი საცდურით — სიმდიდრით, პატივით, თანამდებობით, ნარკოტიკებით, სიმთვრალით, მრუშობით და სხვა მრავალი ცოდვით დაიკმაყოფილოს.

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ამ ყველაფერს ნილი არა აქვს ჭეშმარიტ სიყვარულთან; ისინი მხოლოდ დროებით ქმნიან ილუზიურ სამყაროს, რომელიც შემდეგ ქრება და სანაცვლოდ რჩება დაუკმაყოფილებლობის დიდი განცდა, რაც შეიძლება სასოწარკვეთილებად იქცეს.

სწორედ ეს არის სულის ჯოჯოხეთური მდგომარეობა; და თუ ადამიანმა ცოდვითი მიდრეკილებები არ გამოასწორა, იმქვეყნად მის დახმარებას უფალიც ვერ შესძლებს, რადგან ასეთ კაცს ღმერთთან და ღვთაებრივთან ურთიერთობა აღარ ანიჭებს ნეტარებას და სამოთხეში რომც მოხვდეს, კიდევ უფრო დაიტანჯება.

მაგალითისთვის ვიტყვით, რომ თამბაქოს ან ნარკოტიკების მუდმივად მომხმარებელს, საუკეთესო გარემოშიც კი მათ გარეშე ყოფნას, ამ საწამლავის ქონა და თუნდაც ყველაზე მძიმე პირობებში ცხოვრება ურჩევნია. მაშ, განვერიდოთ ცოდვას და ეშმაკის საცდურთ. პავლე მოციქული გვარიგებს:

„არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს. ნუ შეცდებით: ვერც მეძავნი, ვერც კერპთმსახურნი, ვერც მემრუშენი, ვერც ჩუკენნი, ვერც მამათმავალნი, ვერც მპარავნი, ვერც ანგარნი, ვერც მემთვრალენი, ვერც მაგინებელნი, ვერც მტაცებელნი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს" (I კორინ.6, 9-10).

თუმცა იესო ქრისტე ყველასადმი მაინც სიყვარულით არის განმსჭვალული. „ნებსით არა მნებავს სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევა და ცხონება მისი", — ბრძანებს იგი.

უფალი ცდილობს განსაცდელით მაინც აუხილოს თვალი ადამიანს. ამიტომაც ის პრობლემები, რაც თითოეულ ჩვენთანგანს ცხოვრების გზაზე ხვდება, მხოლოდ ღვთის სიყვარულიდან მომდინარეობს და მიზნად ისახავს ჩვენს გამოსწორებას, ჩვენს წინსვლას. „ვინც მიყვარს, მას ვამხილებ და ვწვრთნი, მაშ, ეშურებოდე და შეინანე", — ამბობს უფალი (გამოცხ. 3,19).

ესეც უნდა ვიცოდეთ: ყველაზე დიდი განსაცდელიც კი, რომელშიც შეიძლება ნებისმიერი პიროვნება ან ქვეყანა აღმოჩნდეს, უმცირესია იმასთან შედარებით, რასაც ის, თავისი სულიერი მდგომარეობიდან გამომდინარე, იმსახურებს.

ამიტომ ქრისტიანი თუნდაც პატიმარი იყოს, ან დევნილი, ან მძიმედ სნეული, თუნდაც შვილმკვდარი მშობელი, ყოველდღიურ ლოცვებში ამბობს: „გმადლობ შენ, წმიდაო სამებაო, რამეთუ მრავლისა სახიერებისა და სულგრძელებისა შენისათვის, არა თანაწარმწყმიდე უსჯულოებათა შინა ჩემთა, არამედ ჩვეულებისამებრ კაცთმოყვარე მექმენ მე..."

მსურს ციხესთან დაკავშირებულ პრობლემებს შევეხო ზოგადად.

პატიმრობა ადამიანისათვის ერთ-ერთი მძიმე სასჯელია. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთ მდგომარეობაში მრავალნი იმყოფებიან, რაც ისედაც მცირერიცხოვან ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებაზე, რა თქმა უნდა, უარყოფით გავლენას ახდენს. ამას ემატება ისიც, რომ საპყრობილეში არსებულ მძიმე პირობებს ქვეყნის სოციალური გაჭირვება კიდევ უფრო აუტანელს ხდის. ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში ციხე პატიმრის გამოსწორებას ისახავს მიზნად. ჩვენთან კი, ჯერ-ჯერობით, ეს ვერ ხორციელდება. ვითარებას ისიც ართულებს, რომ შედარებით მსუბუქი და უკიდურესად მძიმე დანაშაულის მქონე ადამიანები იხდიან სასჯელს.

ჩვენ ადრეც ვწერდით და კვლავაც ვიმეორებთ, რომ სასურველია, მცირე დანაშაულის მქონე პირების განცალკევება და შედარებით მსუბუქ რეჟიმში ან მიმაგრებაში გადაყვანა, რათა მათ დასაქმების საშუალებაც ჰქონდეთ და ოჯახთან კავშირიც შეინარჩუნონ.

ეს ალბათ, მომავლის საქმეა; ამჟამად კი მინდა მივმართო ნებისმიერ პატიმარს, ნებისმიერ გაჭირვებულს, საერთოდ ყველა ადამიანს: თქვენ გყავთ ყოვლისშემძლე, ყოვლისმომცველი, სიკეთის, სიხარულის, მშვიდობის, სიბრძნის, ბედნიერების მომნიჭებელი უერთგულესი თანამდგომი, — შემოქმედი ჩვენი და ღმერთი ჩვენი, რომელიც არასდროს არ მიგატოვებთ.

ჩვენ მხოლოდ უნდა ვისწავლოთ მასთან უერთიერთობა. უნდა ვისწავლოთ მისი ნამდვილი სიყვარული, რომ ჩვენსა და მას შორის დამყარდეს კავშირი და მაშინ ვერავითარი განსაცდელი ვერ მოგვერევა.

მაშ, ჩავიხედოთ ჩვენს გულში, გადავხედოთ ჩვენს განვლილ გზას და გავცეთ პასუხი კითხვას: გვაქვს კი ჭეშმარიტი ერთგულება ღვთისა?! გვაქვს კი განცდა იმისა, რომ არავისზე და არაფერზე არ გავცვლით მის სიყვარულს, და შევძლებთ, პავლე მოციქულის სიტყვების გამეორებას:

„ვერც სიკვდილი, ვერც სიცოცხლე, ვერც ანგელოზნი, ვერც მთავრობანი, ვერც ძალნი, ვერც აწმყო, ვერც მომავალი, ვერც სიმაღლე, ვერც სიღრმე, ვერც რაიმე ქმნილება ვერ განგვაშორებს სიყვარულს ღმრთისას“ (რომ.8. 38-39).

თუ ასეთი სარწმუნოება გვაქვს, ნეტარება ჩვენ!

და თუ არა, ვეცადოთ, დღეიდანვე დავიწყოთ ფიქრი და ზრუნვა გამოსწორებისათვის და უფალთან დარღვეული კავშირის აღდგენისათვის. მაშ, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ და გავითავისოთ დარიგება, რომელიც შემოქმედმა პირველად მოსე წინასწარმეტყველის პირით განუცხადა თავის ერს, და ძალისებრ ჩვენისა, ვეცადოთ აღვასრულოთ იგი:

„ისმინე ისრაელო, და ეცადე შეასრულო, რომ კარგად იყო და დიდად იმრავლო ქვეყანაში...

გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი მთელი შენი გულითა და სულით, მთელი შენი შეძლებით. გულში გქონდეს ეს სიტყვები..., ჩააგონებდე შენს შვილებს და უთხრობდე სახლში ყოფნისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისას და ადგომისას. შეიბი ნიშნად ხელზე და ტვიფრად შუბლზე. წააწერე სახლის წირთხლებს და კარებს. უფალის, შენი ღმერთის გეშინოდეს და მას ემსახურებოდე“ (II რჯული 6, 3-9,13).

წინასწარმეტყველთა და წმიდანთა ცხოვრება თვალსაჩინო დადასტურებაა ღვთისადმი თავდადებული სიყვარულისა. გავიხსენოთ თუნდაც მამამთავარი აბრაამი, რომელიც სწორედ იმიტომ იქნა გამორჩეული, რომ მან მთელი გულით შეიყვარა შემოქმედი და არაერთხელ დაადასტურა ეს თავისი ცხოვრებით: უფალზე მინდობილმა დატოვა სამშობლო, ნათესავები და გაემართა ღვთისაგან მითითებულ სრულიად უცხო ქვეყანაში, სადაც მთავარი განსაცდელი გამოიარა. იგი წლების განმავლობაში უდრტვინველად, რწმენითა და სასოებით ითმენდა უშვილობასაც, რაც ებრაელთა შორის ღვთის სასჯელად ითვლებოდა, ხოლო, როცა მას მოხუცებულობაში აღთქმული ძე შეეძინა, ღვთის მოთხოვნის შესაბამისად, უყოყმანოდ მიიყვანა იგი უფლის სამსხვერპლოდ. ღმერთმა მისი მორჩილება და რწმენა შეინირა, ისააკს სიცოცხლე შეუნარჩუნა და, აბრაამის მადლით, ებრაელთა ერთ-ერთ მამათმთავრად ჰყო იგი.

ღვთისადმი ასეთი ერთგულებისა და სიყვარულისთვის კი თავად აბრაამი უფალმა ხალხების მამად გამოირჩია და დიდად განამრავლა.

როცა ისრაელიანთა ერი აბრაამისა და სხვა წინასწარმეტყველთა მიერ ნაქადაგები ღვთის გზით მიდიოდა, ყოველთვის იმარჯვებდა და ბედნიერი იყო, ხოლო როდესაც შემოქმედს ეურჩებოდა, სხვა და სხვა განსაცდელში ვარდებოდა.

ღმერთი კვლავაც ასე წვრთნის თავის სამწყსოს, — ახალ ისრაელს, ქრისტიანებს, როგორც წმიდა მამები უწოდებენ, და ეს ჩვენს ისტორიაშიც ნათლად გამოვლინდა.

მაშ, გულით შევიყვაროთ უფალი და დავიცვათ მისი მცნებები, რათა ღმერთმაც შეგვიყვაროს და „რჩეულ ერად“ გამოგვაჩინოს. „მოახლოვდა ძილისაგან ჩვენი გამოფხიზლების ჟამი... ახლა უფრო ახლოა ჩვენთან ხსნა... განვიშოროთ ბნელის საქმენი და შევიმოსოთ ნათლის საჭურველი“ (რომ.13, 11-12).

აღივსენით სასოებით, არ შეუშინდეთ სირთულეებს და განსაცდელს, ბოროტება დათრგუნულია, მას სძლია ბეთლემში შობილმა მაცხოვარმა.

ღმერთს ებარებოდეთ!

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა.

ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

შობა ქრისტესი
თბილისი, 2008წ.



გურამ დოჩანაშვილი

ჩას უფრო მახსოვს, და მეტად მაგონდება:

(ეგრეთწოდებული „ავტობიოგრაფიული რომანი“)

(გაგრძელება)

...

..., —

ერთხელაც, „პრაგულკა“ზე, წარბამ მითხრა „მგონი შენ გეძახის ვიღაცა მეოთხე სართულიდან, აიი იქიდანა“ო, და, დავაკვირდი და ძლივს გავარჩიე ჩემი სახელი რადგან „გურამ“ში „უ“ ძნელად გასარჩევი იყო, „უ“-სათვის ყურის ბიბილოსთან უნდა მიგეტანა თითები, არადა სახე ცხაურს იქით ჰქონდა და, დაჟინებით შევცქეროდი და, ჩემი სახელი თითქოსდა ამოვიცან მაგრამ ხელის საოცრად მოძრავ მტევნებს თუმც ვხედავდი მაგრამ მერე ველარაფერი გავარჩიე — ისე ძალიან სწრაფად კი არა და, რაღაც ძაანაც თავანყვეტილი სხაპასხუპით მელაპარაკებოდა ანუ ხელებით დამწერლობდა და „ნელა, ნელა“-მეთქი და, შედარებით მკაფიოდ დამიწერა „გილარი ვარ“-ო, და, გამეხარდა ისე ძალიან რომ, იქვე შემრცხვაც, „რამ გამახარა, გილარის ციხეში მოხვედრამ“...-მეთქი?

და, თავისი IV სართულის სიმაღლიდამ ისევ რომ დამაყარ-მომაყარა, პირველი სიტყვის გარდა ვერაფერი აღვიქვი, ისი სიტყვა კი — „რომელ“ იყო და,

ალბათ რომელ საკანში ხარ-ოს მეკითხება-მეთქი და, რომ დავუწერე, ას მესამეში, —

ცოტათი იყუჩა, ალბათ რომელიღაცა თანასაკნელს მხარუკუღმა რაღაცას დაეკითხა, მაგრამ, მერე კი აამოძრავა თითები მაგრამ შედარებით ნელა, „რამ გაქნევინა ეგ“,ო, რაღაცნაირად მოწყენილმასავით დამიწერა და უღონოდ ხელის დაშვებულ მტევნებზედაც კი შეეტყო რომ, როგორღაც ცივად იკითხა ეს, მე კი განზე გავშალე ხელები — „რა ვიცი“-მეთქი, გაკვირვებული ვიყავ; მერე ხელები ისევ საკანში შეიტანა, ალბათ ზედამხედველი თუ შეუვიდათ და, მეორე დღეს კი ახლა მე „გამოვიძახე“, და, ისევ როგორღაც ცივად — „ბებია როგორ არი“ო, — საკუთრივ ჩემსა მე-ზე აღარაფერს მეკითხებოდა, „როგორ იქნება ჩემ ხელში“-მეთქი, ვითომდაც გონებამახვილურად ვუპასუხე, მაგრამ, წინადღინდელი რომ გამიმეორა — „რამ გაქნევინა ეგ“-ო, გადავირიე, “თავისით გამანაწილეს მე არაფერი მიქნია“-თქვა, მე-მ, იმან კი: „იძახე ეგრე და წინ წახვალ, სხვებმა დაგაძალეს,არა“...-ო? „კი“-მეთქი,გახარებულმა დავუწერე, და, „ვინ ოხრებს დაუჯერე და აყევი“ო, — არა, სწორედაც რომ საკვირველი! — რაღაც ისე ძალიან ცივად მელაპარაკებოდა და თან ცხლად მსაყვედურობდა, რომ, დიდ გაკვირვებას ვიყაავ და, ისე კი ძალიან მომინდა ჩვენს საკანში რომ გადმოეყვანათ და, ჭიჭიკობიძიამ კი, გაჭირვების ტალ-კვესმა კი არა და, მთლადაც ხანძრულად ნაპერწკალმა, მითხრა, გავაგებიოთ, შეკაცო, მამაშენს და გადმოაყვანინებს მაგშენ ძმაბიჭს, ო, და, ჩავეწერეთ „ექიმის რიგში“, და, გაგვიყვანეს და,

ერთიც ექიმი ქალი (ქალი, კი... — ისემც!) იყო, ისეთი წუნკალი ექიმებსა და მერედამერე ზოგყაიდისი ქალებში კი არა, თვით ვერცერთსქესის პოლიტოლოგებში, პოლიტეკონომისტებსა და პოლიტიკოს-ასეშემდგომებშიაც რომ არ შემხვედრია ეგ კიდევ არაფერი, საერთოდ არცკი გამიგია, ამერიკულ ფილმებშიაც კი ვერავინ ვჰპოვე მე იმისთანა, სახელად (— სუყველასა გვაააქ, ეეჰ...) მგონი მაშო ერქვა, ხოლო ციხური ინფორმაციებით მდიდარმა ქურდმა მითხრა, რომ, ეგეთი მურდალი არავინაა მარტო ადამიანების ვითოექიმებსა კი არა არამედ ძაღლ-კატის უნახავ ცუდ ვეტექიმებშიაც კი, ო, თუ ეტყვი ექიმო მგონი ფილტვების ანთება

დასაწყისი იხ. №1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,1,/2007-2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქვს ისე მახველებს და მთელი კვირაა სიცხე მახურებს და თან მაკანკალებს სიცივისაგან და ნეკნებში მჭვალავსო, მაშინ ზრდილობისათვის ვითომ გაგსინჯავს მაგრამ რა გასინჯვაა ეს ზედ ტელაგრეიკაზე დაგადებს ყურებში გარჭობილ რაღაცა გრძელი რეზინებით გაწყობილ მრგვალ რაღაცას და, მოგიგდებს ვითომ იმ რაღაცაგარჭობილ ყურს, და, არაფერი გიჭირს, არ ხარ შენ საავადმყოფოს ღირსი, ო, გეტყვის, არ დაგიმსახურებია შენ ჩვენი პატივცემული საავადმყოფოო, და, მაგრამ მარტო მაგითი კი არაა ----- შკა და ---- ნდარა თავისიანებსაც აბეზღებს ციხის უფროსთან, და რეჟიმის უფროსთან ეგ ვირიშვილი (იხ. ვარაშვილოვი? — არა, პირიქით, ის-ხო ძაანაც გვამხნევებდა, ის მერე რა რომ პირობითურულ ალეგორიულ-ჰიპერბოლურათ), მაგას ოღონდაც აბოზებინე და, რა უნდა მაგას სხვა მაგას რომ -------ნ-ო, შუაში-ო, სუყველაფერი-ო, და,

მეორე დღესვე რომ წაგვიყვანეს მამაჩემთან — სიით იცოდა ყველა ექიმმა თუ-თუ რომელი „ავადმყოფი" უნდა გაესინჯათ ციხის საავადმყოფოში და, დაგვხვდა, ოღონდ მხოლოდ მან კი არ იცოდა ეს — დადგა მაშოი ჯორივითა და, მაგრა დაეჩაჩხა იატაკზედ ისათავისი ბრუნდე ფეხები და, მოგვჩერებია ძალიან, პირში, ვწრიალებ მე, ვერ ვეუბნები მამაჩემს ეგებ გილარი ჩემთანგადმოაყვანინო-მეთქი,და,მაგრამწაივლოხვანჯრის-ქვემოთე,მოფერებითადეგრეთნოდებულ „დუქანი ღიაა"-საკენ ჭიჭიკობიძიამ, ხელი, და, მამაჩემს კი, ექიმო, რაცხა ცუდათე გამეიყურება, ო, ვაითუ მარტო ალერგია არ იყოს არამედ რაცხა შთამომავლობითი უბედურობა, ო, და, მაშუასა კი — პატივცემულო, როგორც ნამდვილ ქალს ისე გთხოვთ რომ თუ შეიძლებოდეს პეტერეხნითე გაბრძანდით სადმე ქალბატონო მე თქვენისთანად პატივცემულათ მოსარიდებელ ქალთან მე ჩემიიმას ვერ ამევიღეფ, ო, ქალბატონო, ო, და, რა ექნა მაშკას, საბრალოს-იმას, თვალყურ-მოცარულს, ერთი ისღაა მრისხანეთე მიალაპარაკა „ქალბატონები შენიანებში მოიკითხე შე გადმონაშთო"ო და, გაიძურწა, ხოლო კარზე კი, ალბათ მოგვადო ნაცადი ყური, და ხმადაბლა რომ ვუთხარი მამაჩემს გილარი ხომ გახსოვს, — როგორ არაო, ჰოდა იმას თუ გადმოაყვანინებ ჩემთან, ძალიან მინდა-მეთქი და, მაგრამ, მამამ, ამ ორსამ დღეში საავადმყოფოში გადმოგიყვანენ, აქ ბევრად სჯობსო, კვებაც უკეთესია და ყველაფერი, სუფთა ზეწრიანი საწოლი გექნება, საღამოობით მაწონი და დილით კარაქიც და კარგი პური... —

ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა მეთქვა თუ რარიგ-როგორ ვიკვებებოდით:

მთელი დეკემბერი საკანში ამმხრივ ისე ვიყავით რომ, მოწონებული კი არა და, მთლადც გადასარევი —

„პერედაჩები" შეუზღუდავად გადმოგვეცემოდა, და რადგან ძირითადად „ფაშისტები"საგან, ანუ გამფლანგველებისაგან შევდგებოდით, მე მგონი საქართველოს არც ერთ რესტორანში არ ექნებოდათ იმდენი გოჭი, საცივი, კუპატი, ხაჭაპური, ეკალა და ასე შემდეგ ჩვენს საკანში რომ აჰ-ისე უხვად მოიძიებოდა, და, რომ დავსხდებოდით სადილად, კუტოკ-კუტოკ, ჩვენსა ისედაც სანაქებო სუფრას... ოღონდ მთლად „დიდად სანაქებო" მაინც ვერ იყო რადგან შუმი და ურიოშო კი არა, აძმარებული შაქრიანი ღვინოც კი ეჰჰ, აბა სადღ მოგვეძევებოდა და, და ნაღვლიანად, როგორღაც წყნარად ღელვილები დავცქეროდითაა, რაცგინდა საჭმელს, რადგან, როგორცაც შემდგომ, „სვაბოდა"-ზე ერთმა ლოთმა არცთუ უსაფუძვლოდ განაცხადა, ღვინო ცუდი არ არსებობს არამედ სამი მოდგმისაა:

I — გადასარევი,

II — ძალიან კარგი,

დაა,

III — კარგი, ო, —

სამივე ჭკვიდან შესაშლელია, ო (— ეს? ნაღდად, ნაღდათ... და არა ისემც!, ისემცეც... — გშლის, კი, ჭკვიდამა,),

ხოლო რა-ღვიძლი მეზობლები რომ გამოგვიგზავნიდნენ ბურვაკის ბარკალს ან შებოლილ ნეკნებს? — ეს გუგუშვილის კუტოკიდანაა, გვეუბნებოდნენ ყოვლად უხინჯო აფიციანტები,დაგულწრფელმადლობასროგორარვუხდიდით, მაგრამაც, თუმცა, ისი ბურვაკი (თუ, იგიბურვაკი? — რა ვიცოდით ჩვენ იმისისქესი და, ამიტომაც, ეგება ჩვენი ესიკუთხური — „ციბურვაკი", სჯობს... კიდო იტყვით რომ, კიდენე რო, კუთხურობანა იმა-თავისი შეუზღვედლურულ გრამატიკუკულათე — გლახაარიო? ეჰჰ...) სულაც არაფრად, ჩირის ფასად გვარგიამდა, ვერ, და, სამაგიეროდ ჭიჭიკობიძიასი თურმე ულამაზესი ახალგაზრდა ცოლის ნაზი თითებით გამოყვანილ კუპატს ვუგზავნიდით, არადა, გინდაც ასერიგ ულვინოებს, მთელკამერასი მაამებლად უმშვენიერესი თამადა გვყავდა — ვასო ანთაძე, ის მერე რა რომ დიდათე-დიდად ამაღლებულსა სადღეგრძელოებს ორიოდ ყლუპურსა ტყემალს აყოლებდა ალუმინისა გულცივი ტოლჩიდან, ამბობდა ასე — გაუმარჯოს ეს, რაც ქვეყანაზე ვარაშვილოვებია გინდაც კანპიტალისტურ ამერიკებში ყველა იმათო დიდებაო და ჩვენი კამერის იმათ სალამი და ხელში კალამი ჩვენი გათავისუფლების და კარშიგაგდების ხელმოსანერათა, ო, გადადიოდა ალავერდებს გორელ წარბასთან, ხოლო ისი კი... ციკი ვარასიშვილოვის ასე კეთილად აღმზრდელ სტალინისასას ჰსომდა ხოლმე, დიდად გაბედულ საქმედ ითვლებოდა, ჩემო ბატონო, ეს — მაშინე უნკვე დიდ-აკრძალული იყო ხურუშჩოსგანე მავზოლეუმიდან გამოგდებული გარეთე სოსო და კობა და მთის-არწივი, და სოსელოი, მაშინ, მაგრამ გორელ კაცს აბა რა გული გაუძლებდა

რომ არამცა-თუ ვარასიშვილოვის არამედ თელისოფლიოს და განსაკუთრებით გორელებისა ბელადისა და სახლიკაცის კეკესშვილოვის სანდღეგრძელო არ დაელია ტყემლით პირთამდე სავსე ჭიქით ის მერე რა რომ ამა-საქმისა შუაგზაზედ კარგა აშკარად აურიალებდა, მერე კი ვასო — რომელ ვასოსაც ცეკასი პირველ მდივნად მოჰქონდა თავი, და ამიტომაც განსაკუთრებულ-უსაქმობის ჟამს? — გვინანილებდა თანამდებობებს,:

ჭიჭიკობიძია — საგარეო საქმეთა მინისტრი იყო,

ბატონი ნაპო — წერა-კითხვისი გამავრცელებელი საზოგადოების,

ტოვარტკბილადზე — საქონელთ-დია-ვაჭრობისა,

ყოფილმენშევიკ-მგალობლიშვილი — კავშირგაბმულობის,

ხოლო ეს მე კი — ჩემი ყველაზე უმცროსობით? — კომკავშირისა მდივნად დამსო, ასერომ ჩვენსა იმა-კუტოკში, რამოდენიმე? — კაიმაღალი თანამდებობის მფლობლები, გახლდით,

ხოლო ჭიჭიკობიძიამ, ერთხელაც?:

ყრუ-მუნჯთა საზოგადოების თავმჯდომარე რომ არ გვყვავენ ჩვენ, მოგვეჭრა თავი და, ისაო,

და, ვასო ანთაძემ? მთლად-ამხანაგმა ვასომ? — მჟავანაძესი ორმაგ-სეხნიამ: ცეკას ნუმერპირველი მდივნობითა და სახელით ვასილ და სხვათაშორის გვარებიც აძე-ზე უმთავრდებოდათ,

დაპრთო, ჭიჭიკობიძიას, სინამდვილეში ამ მართლაცდა ჩვენიკამერის ნაღდსა-თავკაცს, ამისი ნება:

— ვის გვირჩევ მაინც ყრუმუნჯებისი თავკაცად, ო, დაასახელეთ კანდიდატურა და ვიმსჯელებთ მორიგ ბიუროზე, ო,

— შეკაცო, ეე, შეამხანაგო როგორ თუ ვისვის... ვისა და, აგერ დანიელზე უკეთესს მე ამ-მაგ პოსტზე საუკეთესო კანდიდატურა და მოკუმულპირის დახშულობა მე დუნიაზე არ მეგულება, ო, და, ახსნა იქვეც:

რა ჩუმათაა აგი ეკაცი, ვეჟო, გადასარევი და შესანიშნავია მაგი პირდაპირ ვასილპავლოვიჩ თქვენი თავი ნუ მომიკვტნება, ძაან მაგონებს მე მაიკაცი პირველხანებში თელათ ჩუმათე რო იყვო რომკი თელათერომში კატილინა, შეთქმულებამდე პირველ ხანებში... გატვრინული თლათ!

აქ რეჩხს უზამდა, კი, დანიელას, კი, თავისიგული, კი... არ იცოდა მან კატილინა, კი, და, რაიმე შარში გავეხვიოო-არ, კი... მაგრამ რაღაცა ხომ უნდა ეთქვა საპროტესტო და, — რითი ვგავარ ქალ, დაგენაცვლეო —

სულაცე ქალი ნაგონებარა კატილინა, კი... — და თავისი ცოდნის პატრონს ძველირომისი საკითხებში, არ ეგონებარებოდა ესი ასთე? .. — კი.

ხოლო დავბრუნდეთ ახლა ახლავე და ახლავესე ჭიჭიკობიძიასთან და მამაჩემთან თორემ ჰადაჰა შემოვა კიდეც რა ბოროტულად თვალებ-ჭყეტია და დაცქვეტილად ყურებცანცარა მაშო-მაშიკო და ისაა:

კვება რად მინდა უკეთესი, გოჭები და ინდაურები სად გადავყაროთ აღარ ვიცით,-თქვა,

— ეგრე გეგონოს... ახალი წლიდან ახალი კანონი შემოდის, თვეში მარტო ერთხელ იქნება პერედაჩა...

— აჰჰა! — მყისვ იაზრა ჭიჭიკობიძიამ, — რას გატყავდებიან ჩვენიანები და ხოხობიჭო არ დაცემიათ თავზე აგურის ტუზი პერედაჩნიკებს? განსაკუთრებით პირველ ხანებში...

ისე აგიხდათ... სესერეკაში, ისევე როგორც სუყოველსაგვარ ახალ კანონს, ერთი პირობა ამასაც მკაცრად ანუ ფულის წაცინცვლით დაიცავდნენ, კი.

აენყობოდა მერე საქმე, ხელმა ხელი დაბანაო-სი პრინციპით, კი... მერე შეამსუბუქებდნენ ცოტა-ცოტათი სანუკვარ ქრთამს, კი... მაგრამ დიდ გულზე ვიყავი მაინც. ჯერ. კი.

— არაფერი მიჭირს, — ვუთხარი,

— ეგრე გეგონოს.

და, პატარათი შეფიქრიანებულმა, მაინც შორს დავიჭირე მისი ნათქვამი საავადმყოფოს თაობაზე — არა, ჯერ ჩემი ბიჭები-მეთქი, ვიცოდით მაშინ ძმაკაცობა, სულ დღეინდელურს ე.წ. დაწინაურებულთ არა ვგავდით? და მამას კი თუმც შეეტყო რომ მოენონა ჩემი ნათქვამი მაგრამ მითხრა იმათ მერე გადმოვიყვან როგორმე, ო, მე კი — არა, ჯერ ერთ-ერთი და მერე მე-მეთქი; კარგი, ჯერ ჯონდოს გადმოვიყვან ორი კვირითო, ჯონდოსთან უფრო ახლოს იყო, ჩემით, და შემოვიდაკიდეც ერთგვარად ისე-ცქვიტი რომ მთლად „ზადნი ხოდით" — ხო მორჩით კაცო რაღაცების თვალიერებასა, ო, მაშოკკ-პრეკრასნა-მაშოთეა, კრასნა-დევიცა, ჭიჭიკობიძიამ კი, სად ხართ ამდენხანს ქალბატონო რას მოგვანატრეთ რომოგვანატრეთ თქვენი თავიო, დავამთავრევით რახანია კაიხანია ჩვენი საქმე, ო, — გახეთქა გულზე, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის ხვანჯარი ისევ გაინასკვა როგორც თავად ამბობდა „მარსკოი უზელი"თ ჩორნიპაუკის არ იყოს და, ვჩუმდით ისე ძაან რომ ამითი ისა-ცოდო მაშუაი-და-მაშ-მაშტაკა ანუ მუხლებცმაგარი რო შემოვიდა მაშო სწორედაც იქიდანა (— ეს საიდანა „იქიდანა" და რასაკვირველია აღმოსავლეთიდგანა ანუ ვითარცა ჰელიოსი-მზე ლოყებ-ვარვარა, თუ, მაშკა-იო?) და, ენისიმაგრატანიაობის — ვაჰ, თანია-ცა? —ამჟამად ისი-საბრალოთე პროფესდაფისიფისიონალი ოსტატიკუნათ გამოწაფული და თვალყურმარჯვე? რა-ღ დარჩენოდა, ვჩუმდით ჩვენ ისე რომ-რო ესი მაშო-მოცემული მხოლოთ ჰაერში-ღ, რაღაც ახლახან წარმოთქმულ ბგერათ დაფიქსირება-დაჭერასა-ღა ცდილობდა და მგონი ნაღდათ უშედეგოთ, კი, და,

ორი დღის შემდეგ ჯონდოს აღარ გამოუყვია ცხაურებიდან ის როგორ ამო-დ მოლაპარაკე თითები, ვიღაც სხვამ მითხრა საავადმყოფოშია, ო, თან გამეხარდა, მოვიწყინე თან, ც, და, ავედი იმა-პრაგულკიდამ კამერაში და, ვინ დავინახე — გილარი, კაცოო, ბატონ ნაპოსთან ერთად დაგვხვდა, რაღაცა ძაან სქელი და მძიმე და გრძელი, ყარაულური ქურქი ეცვა, ჩემი სმოკინგის ტანსაცმელური ანტიპოდობა, კი, და, რომ დამინახა? — აუტყდა მაგრამ რას-რა აუტყდა ისეთი სიცილი რომ, საკვირველი — იცინოდა და, შემომცინოდა და და რა მაგრა შემომცინოდა, სულ ხვევნა-კოცნით გადამეხვია, ძლივასღა მითხრა:

— როგორცკი ამ ას სამში შემოვედი მივხვდი რომ შენ გეგონა რომელ კამერაში ზიხარ-მეთქი, გკითხე...

— აბა რა მკითხე...

— რა გკითხე და რომელი მუხლით დაგიჭირეს-მეთქი და, შენ რომ, ას მესამე-ო, იქვე გავიკითხე და, ას სამი მუხლი თურმე მანქანების ნაწილების მოპარვაა...

— ვაჰ! —

გავშრი:

— და, დაიჯერე!?

— რა მექნა აბა! — იცინოდა, როომ... — კოდექსს თუ არ დავუჯერებთ აბა სხვას რას უნდა დავუჯეროთ, ამინდის პროგნოზს?

და დიდად დამანამუსებლად თუმც შევცქეროდი, იცინოდა მაინც...

რა დამრჩენოდა, გახუმრების გარდა:

— მე კიდევ, მაგ შუბაში რომ დაგინახე ალბათ სტოროჟად მოეწყო სადმე და ის მაღაზია თვითონ გატეხა და, ჩაავლეს-მეთქი!

ამაზე ისევ აუტყდა სიცილი, და, მოიწყინა:

— ალბათ დააზუსტეს პადელნიკთან რომ ვიჯექი და, ამიტომ გადმომიყვანეს...

ეს დიდზე დიდად საოცარი, გადასარევი პირდაპირ, კი, ამბავი იყო — პადელნიკები ანუ ერთსა საქმეში გასულები ერთ კამერაში! მაგრამ ხდებოდა, ყველაფერი, ესესერშიაც კი, თვით, და:

— არა გილარ, მამაჩემს ვთხოვე, ხომ იცი აქ მუშაობს და იმან ჩაგვიწყო ეს საქმე-მეთქი,

არ დაგიღუპივარ, ბიჭო, ო, ერთად ვიჯექით და მოწმეებს ჩვენებები გადაათქმევინეს ჩვენებმა და ერთმანეთს კოხტად ვუთანხმებდით გამომძიებელთან რა როგორ გვეთქვა... შენთან ყოფნას რა მირჩევნია მაგრამ მგონი ვიძვრენთ თავს და, ვაჰ ბიჭო ეგებ როგორმე ისევ იქ დამაბრუნონო და, —

და ჭიჭიკობიძია ახლა სოლოდ-მონოლოგურ-არიოზოდ გავიდა მამაჩემთან და, ჯერ, დახვეწილათე გამომუშავებულ-ტრადიციისამებრ, სამაშოოთე? — ისევაც ხვანჯრის რეგიონში, კი, წაივლო ხელი იმაზე და: „მე სიამოვნებით კი მესიამოვნა მაგრამ შველით კი ვერაფერი მიშველა მე, პეტრე-ექიმო, ამჩემ იმაზე თქვენმა სტრეპტოციდისი მალამომ“ო... და, — „ერთი სული მაქ როგიჩვენოთ მარა მრცხვენია ჩემიიმისი ამჩემისასი დანახვინება ამა-საქმეში ჩემთვის ნამეტურ უცხო ქალისთვისა“ო, და,

— რა დარჩენოდა, რაცგინდ ცქვიტს-მაშოს...

ხოლო სანამ თანამოსაქმესთან დააბრუნებდნენ, მთელი სამი დღე ერთად ვიყავით, ჭიჭიკობიძიამ გაუხერხა ნარი და, ის სამი დღე ჭადრაკობიაში გაიყვანა, აბა დომინოს იკადრებდა? და ჯერ რომ ხუთივეს მოუგო, მერე და მერე, თამაშს რომ „ინტერესნული“ ხიბლი შესძენოდა, ჯერ ცხენი ან კუ, მერე ეტლი დაუთმო მეტოქეებს, მერე კი მთლადაც უდედოფლოდაც დააყუმბარავა, კი, ჩვენი საკნისა მინამდისინე დიდადტრაბახა მოჭადრაკეები, ტალ-პეტროსიანთ ის მერე რა რომ დაუსნრებელი და შორითა მაგრამ პრინციპში თითან-იმათთა თანამეინახ-კოლეგები, ასე ოციოდ წიგნიც აითვისა და,

მე რომ ვუამბე ნოდარას ამბავი, თუ როგორ ცეცხლში სჭედდა თურმე შალიკოსისი ბარაბნებს, ყურის,

ეგო, რა�ო, უკეთესს გეტყვი, ერთი ჩვენი ნახალოვკელი ძალიან მაგრა შებერტყილი ბიჭი დაიჭირეს ისეთ საქმეზე რომ, თხუთმეტი წელი თუ არა თორმეტი-მაინც ნაღდად ჰქონდა მაგრამ ვერ უმტკიცებდნენ, თანაც იმისი პადელნიკები ვერ იცოდა გამოძიებამ, არადა ნაღდი იყო რომ ის დიდად გახმაურებული საქმე მისიც ჩადენილი რომ იყო და თანაც უდამხმარეებოდ ისიც კი ვერ შესძლებდა მარტოდ, ამას... იმისი ძმაბიჭებიც კაი თუქსუსები იყვნენ, ქუჩაში ერთმანეს არ ესალმებოდნენ, ვითომ უცნობები ბრძანდებოდნენ ერთიმეორის და, იმათი დადგენა არ გინდოდა? თან, იმის ჩიტები იყვნენ რომ, თბილისიდან დათესილიყვნენ? იცოდნენ, ძალიან სჯეროდათ რომ არაფრით ის არ გატყდებოდა რაც არ უნდა ფეხებით შედგომოდნენ და, მართლაც, რაღა არ უქნეს, მთლად გაცვითეს კეკელასი და მაროსი სუცოტა ორი ფირფიტა მაინც იმის რტყმევაში, მაგრამ, რომ ვერ გაბზარეს — ეს ენობრივად... — ვერასდიდებით, და რა დარჩენოდათ, ნასედკობისა საქმის ლასკერ-და-ზედაც-კაპაბლანკასავით გროსსმაისტერული ნასედკა შეუგდეს კამერაში, თან ნაცემივით გაფორმებული ნაირფერადი მელნებით, და, სამი დღის შემდეგ რომ გამოკეთდა ცოტათი ვითომ, და ვითო-ნაღრძობმა ფეხმაც რომ უგრძნო-ვითომ პატარა შვება, ორნიღა იყვნენ კამერაში და, ამან, ნახალოვკელმა, შებერტყილი კი იყო მაგრამ ასე ნათრევი შეეცოდა და, თანაგრძნობით ჰკითხა, იმას, რისთვის ზიხარო, იმან, ბოლმით ამოხედა და, არის ერთიც ასეთი აგდებული პასუხი რომელ ციხურ-კლასიკურ პასუხშიაც ცხოველი, და არა-ადამიანი არამედ ვირი ურევია, და იმ პასუხის შემდეგ დაამატა, რომ, მე შენ ხომ არ გეკითხები აი შენ

რატომ და რაზე ზიხარ და სულაც ფეხებზე მკიდიხარ, რა ვიცი ეგებ მოგზავნილიც ხარ მაგრამ ჩაგაფურთხებინებ დენიკინის ორშაურიანშიო (აი, გამოთქმა, მესმის — სულ არ სჭირდება გადასხვაფერება „ვირი გავაუპატიურე"-საგან დიდგანსხვავებით...), აი, ასეთი გამჭრიახობით ჩაატარა ისეთი გამბიტი რომ, თვით ტალსაც კი შეშურდებოდა... იცი, გამბიტი რას ნიშნავს...

— არა.

— ჭადრაკში დასაწყისშივე მოწინააღმდეგეს პაიკს ან ფიგურას რომ შეწირავენ იერიშის წამოსაწყებად... ჰოდა, არადა დიდად ჯანიან ნასედკა იყო, ისევე როგორც პოლიტ და პარტიულ მუშაკებში გვხვდებიან აქაც დიდად განსხვავებულები ბრძანდებიან-გდიან მუსკულატურით და, მოუქნია კიდევაც ხელი ხოლო ამან კი, აბა სად ისა და აბა სად ნიმცოვიჩი მაგრამ ხელები ისე შემოიხვია თავზე, როომ, ისეთი ყრუ დაცვა თვით ნიმცოვიჩსაც ვერ მოელანდებოდა და, კიდევ მთელი კვირა ხმას არა სცემდნენ ერთმანეთს, ხოლო მერე კი, ადამიანები აკი მაინც ადამიანები ვაართა და, გვსურს ხმის გამცემი, და, უთხრა იმ კაცმა (ბოლო სიტყვები, ეს, რაცგინდ სწორულად გამართული, მაინცე კარქა-პირობითია... — „იმ კაცმა" არი ნასედკა, აპა? არა სჯობია ამას, კაცო, უთხრა „იკაცმა?"), კი გავხარ დედიკოსიბიჭს — მართლაც ძალიან ბავშვური ნაკვთები, აღნაგობა და რაც მთავარია გამომეტყველება ბავშვური (— ბოვშური!), ჰქონდა, გამოცდილებით უფროდაც მეტად ბავშვობისაკენ (— ბაღნობისაკენ!) დახვეწილი, მაგრამ, მოდი ჩვენ-ჩვენ საქმეზე კრინტს ნუ დავძრავთ და სხვა რამეებზე, აი გინდაც ძველ კინოებზე ვილაპარაკოთო,

და,

შეუყვნენ, ენდშპილს — შუა თამაშს (სხვადასხვაგვარია,),

და,

ჰყვებოდნენ თურმე ტარზანისას, რობინ ჰუდისას, გრაფ მონტე-ქრისტოსას,

და, დაახლოვდნენ ძალიან თურმე ხელოვნების ამ ერთ-ერთი დარგით, მაგრამ, გამოელიათ კვინოები და,

რაღა ექნათ,

არადა, ეს ჩვენი ნახალოვკელი ისეთი აღფრთოვანებული ჩანდა მისით, ამ ნასედკათი კაცო!, რომ,

ისე კი, გურამ, რა ტყუილია ადამიანები მატარებლით მგზავრობისას ძალიან უახლოვდებიან ერთმანეთსო... ადამიანები ციხეში და საავადმყოფოში უახლოვდებიან ერთმანეთს, — ჩამიკრა, თვალი, — ესენი კი, ორად-ორნი იყვნენ და, ვინღა დარჩენოდათ მეტი, დასაახლოებლად, ერთიმეორის გარდა, და, თანაც, ნასედკასადმი ძალიან დიდად თვალსაჩინო კეთილგანწყობა იმანაც გაუღვივა, რომ ორ დღეში ახლა მართლა ურტყამდნენ ნასედკას ძაან-ერთგვარი პატრონები — აქამდე როგორ არ გამოტეხეო და, ხოლო ისა კი ალბათ თავს იმით იმართლებდა, რომ, მაცალეთ ადამიანო, ამ საქმეში აჩქარება არ ივარგებს მე ჩემი მუღამი მაქვსო, იმათ — შენაც და შენიც მუღამიო, იმათ, დრო არ ითმენსო და, ხომ არ შეგატყო სიაფანდზე (ე-რა სიტყვებსა ჰხმარობდენ, კაცო, მილიციანრები? აბა კაგებეშნიკ ჟ. გ-ია ამას იქამდა?) რომ გქონდა ჩალურჯებებიო და, არა, არაო, მაგრამ პატრონი რის პატრონია, თანაც ერთგვარი, და, აი იმასაც, იმ ნასედკას მხოლოდ უპაპიროსობას კი არ აკმარებდნენ, არამედ სოციალისტურად გმირული შრომით გამორჩეულთ კეკელასი და მაშოსი ურთიერთ კომპარტ-შეკითხვით — „ერთმანეთს ეკითხებოდნენ რა დასთესე ქალო"-ოთი რომ ლამის იყო და, ჰა და ჰა მიასიკვდილებდნენ, — შე ნაბოზარო ვირიშვილო (ეგრე რა!..) აქამდე როგორ ვერ გამოტეხეო, მერე კი, კამერაში, ესა ჩვენი ნახალოვკელი სულ ნაღდ კოპებსა და მართლაც უზადოდ-ნატურალისტურს ჩალურჯებულო-ბანებზე ადებდა სველ ცხვირსახოცებს, თავის თამბაქოს აწევინებდა, ეცოდებოდა ისე ძალიან, რომ, ძაან დიდად დაახლოვდნენ ძალიან, თურმე,

და,

ამას, ნახალოვკელს, გამოსვლა ბუნებრივია, ეჩქარებოდა, შეუჩივლია — მე კი სწორად მიჭირავს თავი მაგრამ ჩემი ძმაბიჭებიც ნეტავი არ დაიჭირონ, რადგან, ვაითუ სადმე ყაზახისტანში ან თურქმენეთში დაგაზონ და ამით ხომ გაიყიდებიან და დაიჭერენ და მეც ჩამაგდებენო და, იოცნება — მე რომ როგორმე შევატყობინო იმათ იცოდეთ არ ჩაიჭრათ, მე არაფრისი მთქმელი არა ვარ, ოღონდ ის ნივთები უფრო კარგად დამალეთ-მეთქი და მარტო მე ვიცი სიჩქარეში სად ჩავფალი და როგორმე რომ შევატყობინო არაა ის სანდო ადგილი და გადაფალით სადმე ღრმა ტყეში, მეთქი, რა კარგი იქნებოდა? —

კი, აი ასე დაესვა ნასედკას პაიკს ძალიან ცხვირწინ, დედოფალი,

და,

ამანაც, რას დაიმჩნევდა მაგრამ ბოროტი სიხარულით ალბათ როგორ გულაკაწკაწებულმა ნასედკამ? მე მგონი გამოგვივა ეგ საქმე, დეიდაშვილია ჩემი სანდროო — ანუ ერთ-ერთი ნადზირატელის შემოკლებულა-მოფერებითა სახელწოდება აკადემიურ-ალექსანდრედან, და იმას გავატანოთ ქსივი (ანუ საიდუმლო ბარათ-წერილი, „სვოდკა") ოღონდ მაინც რომ მშვიდად ვიყოთ, შენი ძმაკაცის სახელს ნუ ჩაწერ, ისე-უბრალოდ სანდროს ხმადაბლა უთხარიო, დაა, ესღა უნდოდა, ნახალოვკელს? — კიდევაც მეტად გულაჩუყებულმა მისი ასეთი შორსმხედველური ზრუნვით, მოიმარჯვა ფანქარ-ქაღალდი, ის ნასედკა კი გლაზოკს ისე აეფარა რომ — სანდროს გარდა ვაითუ სხვა ვინმემაც შემოიხედოს და არ დაინახოს რაღაცას რომ წერ და არგაფაციცდნენ და ჩვენი ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იყიდონო და, ამანაც, კარგა ხანს წერა წერილი დიდად წერილობითი და, ჩამოართო იმ ვითომაცადა დიდად ერთგულმა კამერელმა ქსივი, და, მოუხმო სანდროს პაროლურად ერთგვარი კაკუნით, და, რაღა თქმა უნდა იცოდა სანდრომაც ნასედკა თუ რაოდენ-დიდ საპასუხისმგებლო გამოჭერაზე მუშაობდა და, გაიღო მაშინვე, წამსვე ციხისა არ იყოს კაპეზეს რად უნდა რკინის კარებიო და მაგრამ მაინც რკინის კარი, და, ნასედკამ კი, არიქა ჩქარა ვინმე სანამ ჩამოივლიდეს უთხარი სანდროს შენი ძმაკაცების სახელები და ადრესიო, და, ამანა კიდე, სულ ერთი ეზოს ბიჭები არიან ამა და ამ ქუჩის ამა და ამ ნომრის ეზოში და იმათგან ერთ-ერთს ძალიან სანდო დაიკო ჰყავს და, ყველაფერში ვენდობი მე იმას და სვოი თამარა იკითხეთ და იმას გადაეცით თუ შეიძლებოდესო, და,

გაიბადრნენ თურმე მაგრამ რას გაიბადრნენ ნადზირატელი და ნასედკა რომლებიც მიხვდი ალბათ გურამ დეიდაშვილები კი არა და, გარე მულიშვილ-გარერძლისშვილებიც თანაც ლევად გაკეთებულები სულაც ვერ იყვნენ, კი, მხოლოდ საწყისი ნა-ღა აკავშირებდათ — ნა-სედკა, ნა-დზირატელი, და,

რომ კი ჩაიგდო ხელში ის როგორ დიდად მნიშვნელოვანი ქსივი? ამ რამდენი ხნის გროსმაისტერულად ნაჭადრაკალმა ნასედკამ კი? — ხომკი გეტირა ბიჭო, დედა, რაც შენ მე დრო დამაკარგინე, ამ ორთვენახევარში რამდენ შენისთანა ბითურს წავაბამდიო, და,

იქვე გახსნა ისე ძალიან საგულდაგულოდ რომ მგონი თექვსმეტად დაკეცილი ქსივი ნასედკამ და, ხედავს მაგრამ რას ხედავს, ვერ უჯერებს თვალს:

„ძვირფასო დედიკო თამარა, როგორ მეცოდები რომ ალბათ ისე ძალიან რომ იტანჯები შენი ალალმართალი შვილი კაპეზეში რომ უდანაშაულოდ გყავს და რა უსამართლოდ მოსწყვიტეს შენი შვილი მე მშობლიურ კერას და მზის სინათლეს მაგრამ სამართლიანობა მაინც გაიმარჯვებს, აი ნახონ თუ მაინც არ იზეიმებს მართლმსაჯულება რადგან არსება მისი უკოდექსებოდაც გრძელია და იმედი უნდა ვიქონიოთ, დედიკო, რომ მოვლენ საღ ჭკუაზე და მოეგებიან გონს და ასცდებიან ცილისწამების მოლიპულ გზას და დაადგებიან დიდ შარაგზას შუქიანი სამართალისა და გამომიშვებენ, გკოცნი დედიკო შენი შვილი მალხაზიკო"...

... —

!!! —

და, აი იმ ნასედკას, ძალიან ჯანიანს? ძალიან ძლივას გააგდებინეს თურმე ხელიდან ეს მობავშვურო მალხაზიკო, თურმე ჯანს აღარ სჯერდებოდა, კბილებით სულ-სუ მალხაზიკოსი ყელის გამოღადრვას ლამობდა, და,

რაღა თქმა უნდა განაშორიშორეს იმავე დღესვე ყოფილი ძაან მეგობრები და მოათავსეს ერთიც, მეორეც კაპეზეს რის აღარ მნახველ უცხო საკნებში,

აიი, ასე დააშამათა მთლად მიტელშპილში (დაბოლოებაში) ნახალოვკელმა ბიჭმა-მალხაზმა იმ ნასედკასი ხერხებით ვითომც ლაშქარმრავალი მეფე, და ის მერე რა რომ კარგად მოხვდა სამაგიეროდ რა მოგებაში, მალხაზი, დარჩა? და ტყუილად კი არ დააჩქარებინა ნასედკას თავისი თავის ვითო-გამოტეხვა — კაცო, ფიშერმა რომ პეტროსიანი დააყუმბარავა, ეცემა მერე რამდენიც უნდოდა სულ ჰავლაბრული თავებითა ტიგრანას ბობა, დაიბრუნებდა ამით ისა მოგებას, თუ რა?

ხოლო, მალხაზი? ერთიც კარგა მაგრა აქოთაქეს გამომძიებლებმა და მერე მაინც გამოუშვეს კიდეც ორიოდ დღეში თავის დედიკო თამარასთან, ვისი მისამართიც ძალიანაც ზუსტად უთხრა ნადზირატელ სანდრიკოს მალხაზიკომ... ეს ერთადერთი სიმართლე იყო, მისი პირიდან კაპეზეში გამოსული ისეთ წვრილმანებს თუ არ ჩავთვლით რომ „მალხაზი მქვია", „მწყურია", „ბაყაყი წყალში ყიყინებს" და ასე შემდეგ, უიჰო მართლა, თუ, რაღა თქმა უნდა არც კინოების სწორა მოყოლას თუკი არ ჩავთვლით,

და,

მისი აი ასეთი საზრიანობით? ეგება ტყუილად არ თქმულა — :

„ბიჭო ვისი ხარ მალხაზი,
დაურჩი დედაშენსაო"...

— არ მოგეწონა ამბავი, გურამ?

— კი, როგორ არა... მაგარი ამბავი კი მიამბე, მაგრამ, ჭადრაკს ძალიან დააწექი...

— რა მექნა აბა... ერთ სკოლაში ვსწავლობდით, პარალელურ კლასებში და, ჭადრაკს ნარავნე (— თანაბრად, თანასწორად!) ვთამაშობდით... კარგად სწავლობდა, იმ წელს მხოლოდ ორმა დაამთავრა ჩვენი სკოლა ოქროს მედალზე, —

თავისი თავი ნუმერ III პირში მოიხსენია, გილარმა... — ჰოჰხ, რა ერთგვარი ბიჭი ხარ შენ ვინც არ გიცნობს შე, — გრამმატიკავ?

— ძალიან უჭირდათ... მამა არც ახსოვს, ფრონტზე დაეღუპა, დეიდა თამარა რომელიღაც ქარხანაში მუშაობდა, მუშად, ცვლანახევარს, დაზგასთან თორმეტ საათს იდგა, მალხაზა ჯერ კიდევ მეხუთე კლასში რომ იყო, უბნის ძველბიჭებმა მისი მოჭადრაკეობის გასაოცარი უნარი რომ შენიშნეს და, მუშტაიდში დაჰყავდათ, დღეში სამ-ოთხ პარტიას უგებდა იქაურ ვითო-მოყვარულ და სინამდვილეში კი ნაღდ-პროფესიონალ კაიხნის ბებრებს, და მისით მოგებული ფულიდან მალხაზას ჯერ კანფეტების ფულს აძლევდნენ, მერე ღვეზელების მაგრამ მერე და მერე აღარავინ ეთამაშებოდა თორმეტი წლის ღლაპს — შტერები კი არ ვართო და, ერთხელაც რომ იჯდა მუშტაიდში, მოწყენილი, ძველბიჭები არ ერიდებოდნენ და რომელიღაც მორიგი მაღაზიის გატეხის გეგმას რომ ადგენდნენ და ჰქონდათ დიდი ბჭობა და კამათი, ათასი ხრიკი გადასინჯეს და, ამან

კი უცებ ისეთი რამ ურჩიათ, რომ, გაკვირვებულებმა გადახედეს ერთმანეთს, შემდეგ ჯერ რჩევებს ეკითხებოდნენ, და, აწყობდათ და აიყოლიეს და სად და სად აღარ დაჰყავდათ, ათასნაირ ოხრობაზე, და, ბუნებრივად თავკაცობაც კი ითავა, ჩაიგდო, მათი, მაგრამ, თანსულ ფრიადებზე დაამთავრა მაინც, სკოლა, ის ამბავი კი, მე რომ გიამბე, შარშანწინ მოხდა...

...

ხოლო ორიოდ დღის შემდეგ, საახალწლოდ, გილარი ისევ დაბრუნეს თავის... —

ყველაფერსა აქვს მხოლოდ თითო ნაკლი კი არა, არამედ თვით პლუსიც კი — უსასურველესს საკანში; ჯონდოსაც ველარ „ვემასლაათებოდი" — საავადმყოფოში გახლდათ, მერაბს ხომ სულვერ ვხედავდი — განზე კამერაში ძალიან დიდად უსაქმურობდა, როიალსა და პიანინოს კი არა ტუჩის გარმონსაც „არავინ სციდა", მას,

და ამას ისიც დაემატა რომ მამაჩემი რუსთავის კოლონიაში გადაიყვანეს — „მამა-შვილი ერთ დანესებულებაში (— !?) ერთად არ შეიძლება"-ო, ამისათვის კი უფრო იმან უბიძგათ, რომ, პეტრე-ექიმისგან „ზემოთმდგომები"საგან ფულს ვერავინ იღებდა, ტყუილ-უბრალოდ ანუ ფულით არავის აწვენდა საავადმყოფოში, სხვა იყო ნათესავი, მეზობელი, ახლობელი, გაჭირვებული ძალიან — ესა ერთგვარი სისუსტე, სჭირდა, ხოლო მისთვის სრულიად უცნობებიდან ერთადერთი ნოდარ დუმბაძე იყო ვისაც მოუხერხა ეს და თანაც კარგახნით, მაშინ ნოდარი არ იყო ცნობილი პროზაიკოსი, ლექსებსღა წერდა ხოლო მისი მეუღლე, ქალბატონი ნანული ჩემი მამიდაშვილ-სინამდვილეში-დაიკო ლამარასი ამხანაგი იყო, რომელმა ლამარამაც ნოდარის ლექსები წაიკითხა და დიდად განეწყო მამაჩემი ნოდარისადმი, ხელოვნება-ხომ რაღაც ძლიერულ სისუსტედ სჭირდა, მამას, და მერე, ბევრი წლის შემდეგ ბატონი ნოდარი რამდენჯერაც შემხვდებოდა, სიტყვით გინდაც იმჯერად არ ეთქვა ეს, მადლობით ცრემლმოძალებულ თვალებში მუდამ ეტყობოდა მამაჩემისადმი მადლიერება, მისი ამაგის რარიგ შეძრულად დაფასება, კი, არადა, ციხის საავადმყოფოში დანოლის ყოველი დღე დიდი ფული ღირდა, ჩემი თუ არა გჯერავსთადა, სად ვიპოვით ახლა მაგრამ კითხეთ ბატონო, ქალბატონ მაშოს, ჩვენ კი, ბოლოსდაბოლოს ერთმანეთს შერჩენილი მამა-შვილი? — აღარ მახსოვს ჩემი ერთგვარი-აკადემიაობისას უკვე გადასულები ვიყავით ციხეზეც კი უფრო შორს, ციხისქითა ორთაჭალაში, სამოთახიანი ბინის ერთ ოთახში, დანარჩენ ორში სხვები იყვნენ, კარგი ხალხი მაგრამ თან-ექვსნი, მამამ მერე, ბევრი წლის შემდეგ ძლივს აიშენა ოროთახიანი ბინა რვასართულიან სახლში, ვაკეში, ვაკე-საბურთალოს გზაზე და ნურავინ მეტყვის საიდანო, რადგან, ჯერ ერთი ის რომ როგორც სამხედრო ექიმს იმ დროის პირობაზედაც კი დიდი პენსია ჰქონდა და თანაც ორგან მუშაობდა „სამოქალაქო" სამსახურებში და, თანაც, მაშინ მთელი სრულად-სავსებით იზოლირებულ-ოროთახიანი!, ვაკეში!, ვაკე-საბურთალოს-გზაზე ძალიან ცოტა, ზუსტად არ მახსოვს, 1.800 თუ 2. 8000 მანეთი ღირდა, მხოლოდ,

მაგრამ იმა-ჩვენს აკადემიაში კონსულტანტად მაინც დატოვეს, ციხეში იმდენი წლის მუშაობით ვის ექნებოდა მასავით დიდი გამოცდილება ვენეროლოგიაში რადგან ახლა არ ვიცი როგორაა და მაშინ კი ქურდების დიდი ნაწილი დასიფილისიანებული, იყო,

და, ახალ, 1959 წელს დიდი პურმარილით კი-შევხვდით უღვინოდ მაგრამ ბარაქიანი ხიზილალებ სუ შავ-წითლადა შერეული დელიკატესები მრავლადა გვქონდა, და თუმც მკაფიოდ გამოგვიცხადეს ახალი წლიდან პერედაჩების („ამანათ-ნობათი" არა, ტოროლა... — უღვინოდ იყო...) შეზღუდვის შემოკანონება და, მაინცდამაინც არ გვინაღვლია ეს რადგანაც თვალწინ ჩვენი ფანჯრების გისოსებზე მრავლად გვეკიდა გოჭ-ინდაურნი და ქათმები ებრაელებს კი ბატი ისე ულევად რომ მათი ყიყინიც გვესმოდა, თითქოს,

და, ჩვენიცეკას ჩვენმამდივანმა ვასილიი... აძე-მ რომ მოგვილოცა მჭეხარისა ხმით, რაღა თქმა უნდა თვიით მჟავანაძეზე უფრო ხმამაღლად ახალი წელი,

და,

გორელმა წარბამ თავის-ზემლიაკ სოსელოკოსი სადღეგრძელო რომ მთლად ორი ტოლჩური ტყემლითა შესვა-დალია-ძლივასშთაინთქა და, სულაც ისეთი ჟრჟოლითა თქო, რო, თლათ-ცტრანღიგკული აქტიორივით: „მეკი მაგისი ჭირიმე სქელ ქართულ ულვაშში რომ ამა-დურაქ ხრუშჩოვსკისა პოსლიკა თავი სულაც ჩიბუხის პეპელნიცათა როქონდა"ო, — კი,

ხოლო რადგანაც ჩვენი კამერის იმა-ჯგრო ხალხში სამნახევარი ნასედკა მაინც გვეყოლებოდა,

„ვინაა აი სულელი"ო, ნაპო ბაბუამ რომ ჩაილაპარაკა ჯერ მეგონა თუ, ნასედკებს რატომ ახარებს წარბა, შავ სიაში რომ შეიტანონ ისედაც რუხ-რუხსიელიო?! — მაგრამ ბაბუა ნაპომ დააყოლა: „ის ოხერი და ქვეყნისტიალი და ამომგდები და დამაქცეველი იმის მაგივრად რომ რუსებსაც კი უფრო უყვარდეთ და ჩვენ კი, გვძულდეს ზოგიერთი ხელ-უნამუსოდ მომთბარის ანდა გინდაც მთლადგოღლეტილსასულელს გარდა",ო, მაგრამ ხმამაღლა არ უთქვამს ეს, არ ჩაუშხამა გორელ წარბას ისეთი დიდურჟრჟოლისა, ისედაც მჭახე-როგორ, ტყემალი, ჩვენს კუტოკში თქვა ეს, მხოლოდ,

მერე მე მომიბრუნდა და, „შვილო, გურამ, შენ სად იყავი იმ ყოვლად უბედურ ცხრა მარტს, მოუსვენარი ბოვში ჩანხარ და ისე-უბრალოდ არ გაჩერდებოდი შენ, გურამ"ო, — მკითხა,

მე კი:

— მე და ჩემი ძმაკაცები ჯონდო და ვალიანტი ცხრა მარტს გორში მატარებლით წავედით დილაადრიან და იმდენნი ვიყავით სტალინის მშობლიური კერის (— ისემც!..) სანახავად რომ, იქით ვაგონის სახურავზე გაწოლილებმა და ერთმანეთს ჩაბღაუჭებულებმა ასე ვთქვათ ვიმგზავრეთ და აქეთობისას კი საფეხურზე სულ ერთმანეთში ჩაჭედილები ვიდექით და დაღამებულზე რომ ჩამოვედით ისე ვიყავით გადაღლილები და მშივრები რომ საპროტესტო მიტინგის თავი აღარა გვქონდა და შინ-შინ დავრიგდით და მეორე დილითღა გავიგე ის საშინელება, ისე ცოცხალმკვდრებივით გვეძინა რომ სროლის ხმაც ვერ გავიგეთ იქვე-სოლოლაკში, მეთქი,

და, რამე თუ ნახეთ გორში საინტერესოო, — ბატონმა ნაპომ,

კი როგორ არა, სატვირთო მანქანის ღია ძარაზე გორის თეატრის ორი წამყვანი მსახიობი იდგა, თბილისისაკენ გამალებულები მოისწრაფოდნენ რადგან გრიმით ძალიან შეთხაპნილები და ულვაშებ-ცალწვერ (ლენინასასი, ანუ) დაწებებულები იყვნენ რადგან ერთი სტალინი იყო ვითამ, მეორე კი ფსფსევდოლენინა და, მაგრამ წამდაუწუმ აჩერებდნენ და, ჯერ აქ, გორშივე აკოცონ ილიჩ-კობამა ერთმანეთს, ძაალიანა აკოცოოონ-აო, და, მსახიობები კი იმის შიშით რომ არ ჩაგვეთვალოს არა-სოლი დარულურს თანადგომაშიო? — ისე ძალიან კოცნაობდნენ ლენინ-სტალინა რომ სულ აეზილათ ერთიმეორის სახეებში ერთ-მეორისა გრიმები ბატონი ნაპო, მეთქი, იქნამდისინ რომ ბოლოს ლენინი სულაც უფრო ხურუშჩოვს ჰგამდა მეჭეჭიანსა-მეთქი, და რა გამოვიდა, ერთურთს კოცნიდენ ზასოსებითა სოსო-ნიკიტა, მეთქი?

სულ ცოტათი, კი, ჩაეღიმა და, მოიწყინა იქვე, ძალიან, ბატონმა ნაპომ:

ეეჰ, რომელი ერთი სულიერია ადამიანსავით ბრძენი და დიდად ამაღლებული, მაგრამ, ადამიანისთანა შუშუს და ისეთ ძალიან სულელისთანას? — არც ერთ მაიმუნს არ უხტუნავია მთელი აფრიკის უღრანს თუ მეჩხერ ჯუნგლებშიო, — ბაბუა ნაპომ, ეს, და, — ახლა რას ფიქრობ შენ იმ შენს მაშინდელ სტალინზე,ო,

რას ვფიქრობ ბაბუა ნაპო და, მაშინ თექვსმეტი წლის ვიყავი ჯერ და სანაპიროზე ზედ იმისი ძეგლიდან ლექსი რომ ვჭექე, საკუთარი, ხალხს ისე მოეწონა რომ მერე და მერე კარგა ხშირადაც ამეორებინებდნენ კარგ დიქციაიანებს, განსაკუთრებით ერთი კუპლეტი მოსწონდათ, ჩემი:

ვინ იფიქრებდა რომ ხუთსა მარტსა
უბედურება დიდი გველოდა,
ნუთუ შეუწყდა ფეთქვა გულისა
არწივს, აფრენილს საქართველოდან!, —

იყურებოდა ბატონი ნაპო ჩვენი ბეტონისა თუ ცემენტის (ინჟინერიაში კარქა ვერ ვერკვევი) იატაკისაკენ, ჭმუხვნილი, იჯდა, და მე, სასწრაფოდ:

— და ახლა კი არა უკვე მაშინვე, სურაღაც ორიოდე თვეში, მეც და ჩემს ძმაკაცებს რაც მართალია მართალია ზვიადისაგან ისე შეგვძულდა... — ჩამეღიმა, აქ, შევღიმილე, — შეგვზიზღდა კიდეც მთის არწივი... — და, ხუმრობა-რაიმ იყო საჭირო, აქ, კიდევ... ჰო! — ისე ძალიან, ბაბუა ნაპო, რომ, იმ სიძულვილის მეათასედადაც არ ყვარებიათ ტრისტანიზოლდას ერთიმეორე, მეთქი,

ასწია თავი, ძალიან შემხედა, შემომხედა თავად ანუ ბრძენკაცმა-თვალმოჭუტულმა და რაღაც უჩვევ-ფარულსხივ ნაღდად ხლებურულ მოსაფერებლადაცსავით გამომაკრთუნებელმაო, თითქოს, და,

„ყოჩაღ გურამ"-ო, „გცოდნია შენ შენშენი საქმე ჯერჯერობითე... გურამიი"-ო, —

მითხრა, —

ჰეე, კარგი დრო იყო, თურმე, როგორი კარგი, და მიუხედავად იმისა რომ ის მერე რა რომ სადღაც და მაინც ძალიან გვერდით ანუ ციხეში აღარ მყავდა მამა, ჯონდოსთან ვეღარ ვურთიერთობდი და მერაბი ხომ, სულ არ მინახავს, და მხოლოდ გილარი მელაპარაკებოდა ანუ მეხელისთითებოდა თავისი ცხაურიდან, მენატრებოდნენ ბიჭები და ბებია, როგორ, მაგრამ, ძალიან საამაყოდ მთლად გვერდითგვერდში მყავდნენ როგორი დინჯი და იშვიათი მაგრამ როგორებ-წონიანსიტყვებიანი ბატონი ნაპო, მარად კნიაზი ისევ და მუდამ, აქ, ც, კამერაშიც და, ჩემი გარე კი არა როგორი მკვიდრი ჭიჭიკობიძია, ტახტის ყოფილი ოზნოურშვილი და, ჩემზე როგორი გადაგებული და ასევე აგრეთვპატარ-პატარად — სხვეებისაათვიისაც? — ჭკუისი ისე დამრიგებელი და თელიკამერის — ბატონი ნაპოს და დანიელასი, გარდა, — ისე ძალიან აღმტყინებელი რომ სხვა ვინ-რა შესძლებდა ამას თუ-არ თვით ის როგორად-ზნამენიტიი დჟონი დჟონსტონის ნუმერ პირველი ჩაუქისებრი ჩორნი პაუკის რა დაძაბულად-ამო მთხრობელი, —

კიიი, —

მართლა,

ძალიან მყავდნენ,

ხოლო ერთხელაც ჭიჭიკობიძიამ, კუთხურობების ეშხში შესულმა, შინაურულათ განგვიცხადა რომ, ამ ბოლოსწინა დაჭირვაზე ისე გავცივდი მოვკვტნი კილამას ლომივით კაციო, და, რომ ჩაფიქრდა, მეგონა რომ თავის პროკურორურულს სანქციებს იხსენებს-თქვა, და, —

— რამდენჯერ იყავით ჭიჭიკობიძია, დაჭერილი?

ასწია თავი, შემომხედა:

— ოფიციალურათ?

— ჰა... ჰო, დიახ... თუნდაც,

პეტერეხნითე კიდაფიქრდა, მარაა, ჩეიქნია აქ თავისი აბა სხვა ვისი, ხელი:

— ახლა მაგინის ჩამოთვლების დრო სამქონდა, ბიჭო... შენ უსაქმური გგონივარ, მეე?

აჰაჰ, როგორ გეკადრებათ ჭიჭიკობიძია, მეთქი,

დაფიქრდა, ისევ რაღაცეებსა-თუ აწონ-დაწონურ წონვით სწონიდა, და, თურმე რასა:

— ახლაა, გრაფ მონტეკრისტო ჩემზე მეტს იჯდა საერთო ჯამში რასაკვირველია, მარა, დაჭირვებითე მე ბევრათ მეტჯელ ვარ დაჭირული...

და, ნაახალწლევს, გავიდა სამიოდ დღე და, ცოტა არ იყოს შიმშილმა არა მარა, რაღაცა პაწად-მოშიებამ გემრიელურათ-გაძღობიზადასავითმა პაწას-პირნათლივ ქე-შემაწუხა, ველარ იყო, კი, მაინცდამაინც ისე რბილი და კაი, საჭმელი, კბილებს ვატანდით ძალას ეს მოგურმანო ხალხი ჩემობატონო, და, პირდაპირ რომ საკვირველი მაგრამ არც ისე-საკვირველი, — მეტყველებაზეც კიდაგვეტყო, ეს... —

ხოლო პატიმრებს, მოგეხსენებათ... — აჰ რა წამომცდა, თქვენ რაშვაში ხარ!.. — არამედ პატიმრებს, მოგვეხსენებაა, განსაკუთრებით ჯერ მიუსჯელებს განაჩენისა მოლოდინში კიგვჭირიაა, კიი, რაცხა ღიმილი და ყოველთვის ხომ ვერ ვიხუმარაებდით და, გორელ წარბასა, რომელიც ძაანც ერთდროულათე აგრეთვ ნერვული და მხიარულიც აგრეთვე, იყო, გახშირებულად ვთხოვდით ისი-თავისი ანეკდოტი მოეყოლა და, ჰყვებოდა ისიც მთელის ბოღმით თუ როგორ ძალიან გარბის კურდღელი და როგორ ეკითხებიან გზად შემოხვედრილი ტურა, მელა, მგელი, დათვი, ვეფხვი — სად გარბიხარო, კურდღელი კი შეუჩერებლივ მიუგდებს გადი ერთი მე კი შენი ასე და ისეო, იგინებოდა მთელის ხოშით გორელი წარბა მაგრამ თან მაინც როგორღაც უბოროტოდ და ხოლო დიდად ვიცინოდით, ვხარხარებდით ძალისძალათი ჩვენც — გვშიოდასავით, აკი, ბოლოს კი, როცა თვით ლომი შემოხვდება და ისიც ჰკითხავს სად გარბიხარო კურდღელი ლომს-ხო აკი ვერ შებედავს — წადი ერთი შენიკი მეკი ასე და ისეო და, შეუჩერდება კიდეც და, ეტყვის, სად გავრბივარ და სპილოებს იჭერენო, და, მერედა-ო, — გაიკვირვებს ლომი, შენ რა ძალა გადგას ასე კისრისტეხით რომ გარბიხარ შენ ხომ არა ხარ სპილოო, და, ამაზე კი, კურდღელი? — დაგიჭერენ და, ამტკიცე მერე პროკურორებთან რომ არ ხარ სპილოო, არაფერიც არ გამომივა მაგათთან მეკი მაგათი ასე და ისეო, და, გარბის ისევ, —

ამაზე ძლიერ ვიცინოდით

ხოლო გრინვიჩის უტყუარ-დროით ასე მეხუთე-მეშვიდე დღეს ვიღაცამ ერთგვარი შვებისათვის, უკვე ნამდვილად გვშიოდა და რომელიღაცა ჩვენთაგანმა ერთგვარი შვებისათვის ისევ რომ სთხოვა წარბას, გვიამბეო, ისა კი ჯერკი-დაფიქრდა, მაგრამ მერე ჩამოჰყვა ისევ კურდღელისას და, ადრე თუ მომხიარულოდაც-ძაან, რაღაცა აგრეთვ-ისეთურ-ცქვიტად იგინებოდა რომ, მთლად უბოროტო სიცილით ვიცინოდით, ახლა კი წარბა, მოშიებული, ტურა-მელ-მგელსა ისეთის წვდომურის ნდომით აგინებდა, რომ, ჩვე-დღეინდელურ ზოგიერთულსა პოლიტიკოსსაც კი დაბურძგლავდა, ტანთ, ხოლო რომ დაამთავრა ამ... თქვენ ანეკდოტი ეძახევით და... არამედ ჭანგნით გულისნადების გულისფხანანი, გინებებისა საღერღელაშლილს გინებები-ზა, და, ვიღაცამ რომ იქავე ისევ შესთხოვა გამეორება იმა-ისეთი მკვეთრთნხმოვნება მძაფრი სიტყვების? — გორელმა წარბამ, აბა როდი იუკადრისა, ეს, და, გაორმაგებულ-ძალისხმევითა და სიშმაგით მთლადც აღარასფერი არ დაუტოვა მთელს გვარ-ჯილაგში ტურა-მელ-მგელ-დათვსა და, ვეფხვსც, და, დაძრულმაუუმ, დაამატა ზედ მაჩვიც, ენოტიც, ფოცხვერები და ლეოპარდები და მისთანანი, და ამას ისიც დაემატა რომ, ბატონი ნაპოს გარდა (— დანიელა უკვე „პერესილკა"-ში გახლდათ თავის ტანიან-უძრავენიანა,) ყველანი ერთად ვუტრიალებდით ტურა-მელსა და ასე შემდგომთ ყველას, ყველაფერსსს, —

ვუხხ,

ხოლოკი ასე... — გრინვიჩი-მაინც სად წავიდოდა და მის ასე მეშვიდე-მეცხრე დღეს კი, დომინოობის მსურველთა რიცხვმა დიი-დად იკლო, ხოლო ვინმეები თუ მაინც-მაინცე შეუდგებოდნენ, ტელეფონსა? — საქონელთმცოდნე ტოვარტკბილად-ზე აღარ ჯდებოდა იმათთანა საანგარიშოზე ანუ ჩოთქზე მათი ქულების დასაფიქსირებლად — მე აქა თამაშ-„ტელეფონი"-ს უცოდინრებთან ვრცელ და შეგნებულ ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ, საჭირო არი ჩოთქი ტელეფონობიაში და ადრე თუ ჩოთქთან სხვას ცოცხალი თავით აბა ვისღაღა მიუშვებდა თავის მუზასთან, ჩოთქთანა ანუ, ხოლო ამბობდა აწ: რა მაქვავია და მაშავია და ესა ჩოთქიც მე აბა რაღა მე ჩემ „იმათ"ა მინდა, ო, დაა,

მოკლეეთ, —

ვერ მიდიოდა კარქათ, საქმე,

ვიღას გვახსოვდა ვარასიშვილობანა და კლიმენტისა სახელისა ფიცულობები, ვერ,

და,

ამასე ისიც დაემატა, რომ, როგორც ძალიან ცნობილია, უფრო ადრე და აქეთ ახლა როგორაა არ ვიცი მაგრამ ჩვენს იმდროინდელ იმადროში? (დრო ეძახეთ შენ...) არ იყო თურმე ისეთ-კამერათელციხეში,რომ,ამნისტიაზეწამდაუწუმა რომ არ სმულიყო იმედის ენით სულ პირიდგან ყურში საგოგმანებელ-მოფერებულ ამო სიტყვები, ვიყავით ძაან ჩვენი მშობლიურ და მოქართულო-ძაან ვარასიშვილოვითა გულმოცემულნი დიდს-იმედიან მოლოდინში, კი, ამნისტია,-სკე, ხოლო ახლა-კ-ღა? ვიღაცამ ძაანაც ძლიერულ მწარედ რომკი თქვა გულზეშემოყრილზე უგოჭობითე — სადაა კაცო ეს ამნისტია, აღარ მოვა, ო? — თვით ებრაელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობიზონამა, — არ იყო სხვათა შორის ურიგო კაცი მაგრამ, წესისა და ადათის მიხედვით დანიელასავით არა მარა სხვა ჯურის ხალხთან ანუ ჩვენთან კაი-საკმაოთ გულჩახვეული უბრალოდ კი არა, წრიალურათ და აჟუჟუნებულათა? — გულჩაათხრობილმა და, უცებ, — ეს!!??, — ძალიანა, თქო:

ისემცკი მე კი ვარაშილოვ რო მე რომკი... — დეიცვით ბოშო ყურები აქანე!! — ... — თუმც, ტყვილა ხოარ გვაქ დეფისები ჩვენ, გრამატიკულათც, — მე რო კლიმენტა-თხლესს რომკი ----------ნნნ სუყველაფერი, ო,

და, ის დღე-და-ნიმუტი იყო და, რაც კი იქამდე კი-ფიცულობდნენ (რაღა თქმა უნდა, ჩვენი კუტოკის, გარდა,) ვარასიშვილოვს, ახლა იმდენი „შამქმნელები"-სა და საერთოდაც სუყველაფრისა შაგინებებაი მგონია რომ თვით-თითან ხრუშჩოვს არ ღირსებია სესერეკა-სი უპუროდაცკი ყურყუტობითს, ჟამს, განსაკუთრებით იმისსა-მისსა მის („მის" — გოუთხოვარის, ანუ, — ინგლ.) გვარში გასათხოვრების არცთუ საქებრად მოხსენიება განსაკუთრებულ გულის ნიაზად ედებოდა თელ-კამერასა,

კი,

და,

აშკარა იყო ძაანაც, რომ —

ვერ მიგვდიოდა კარქა, საქმე, —

კი,

კაცოო, კაცო ეს კუჭი და იმისი კუჭმაჭობანა რაღას არ შვრება, რაღას არ შობა ადამიანო, თურმეე, კიი, თურმე იმისი (— დიაღაც კუჭის) ყოფილა თურმე, კი, ბევრს გრინვიჩულა მომენტებში თვალი და ყური, ტვინი, გონება, ენა და ფეხი, ხელები თავის მტევნებიანა, და ჰოჰხ-ხხნერწყვი? — ნამეტურ, და ასე განსაჯეთ მგონი ეგება თვით წარბ-ლავიწიც, —

კიი,

ხოლოკი ასე-მეათე დღეს?

რას გვეყოფოდა ის წყალზე ნახარში ვუმბრალო ფაფა, და პურის ულუფის მთელ ნახევარს ჩაის ვატანდით, და ისიჩაი კი გემოთი უფრო თუ რასა წააგავდა ვინემ ჩაისა? — იყოს ეს თქვენსა წარმოსახვულსა წარმოდგენაზე-დ, მე შეგბედავთ-ვერ, ყველაფრის თქმასა, ჩაი ხომ მუდამ ისედაც გვაკლდა — ესა პლანტაციური კულტურავან-სახეობაი, კი, იკრძალებოდა ამანათებში ეგრეთწოდებულ „ჩიფირ"-ად რომ არ გამოგვეყენებინა — ანუ მონარკოტიკულო მოსქო სასმელად, კი, ტყვილა ყოფილა ერთიც ძაანე ცნობილ-სიმღერა:

„იქ სადაც უწინ ჭყაოდა ტურა,
ჩვენ გავაშენეთ ჩაის კულტურა", —
აბა? —

გვიკრძალავდნენ,

კი,

და, ახლა კი სწორედ ისიჩაი გაგვიხდა ჩვენა საკვებ-საზრდოთა ნუმერ პირველად დიქტატორულა პრიმად-ნუმერი,

კი,

და ერთი-ორჯერ კიგავსინჯევი ძალიან ვითომ ციხის სადილი — აი ესაცა სიტყვა „სადილი" ყოფილა როგორ-რაოდენ პირობითი, — და ჯერ ისედაც ჩაჩანაკი კარტოფილისა ყოვლად უცხიმო პიურე ვყლაპე — წავიდა ცოტა, ხოიცი... — მაგრამ, რომ არ მეყო, იმა რაღაცა-დიდადამაზრზენ ბორშჩში ჩავყავ ამტანი-როგორ, კოვზი, მაგრამ მეე-ხომ იმა კოვზივით დიდადამტანი ხომ — სულაც არ ვიყა, და, ძაან ფრთხილად ავძვერი ნარზე და პირაღმა გავნექ, და, აი ასე-ამგვარად „ნასადილევზე", კარგა ხანს ვიწექ მაღლისკენ სისოვლე-ძაანმოძალებული თვალებით ჭერისააკენ აპყრობილი და, მერე, როგორც იქნა და ვიგრძენი-რომა, ბეწვზე გადავრჩი გულის ზიდვას, კი, და ამა-ერთგვარი გახალისებით ცას ავაშურე მშიერი თვალი, — მუდამ იყო, კი, ოღონდაც ახლა ცხაურებით გადასერილი და, იყო მაინც, თავისუფალი თვით ღვთის ნებით, კი, ღრუბლებიანი, ჩიტებიანი, თურმე რა კარგი ჰყოფილა, გარეთ, და თუ სუოდნავ დანაყრებული? — კარგი კი არა უკეთესიც ჰყოფილა თურმე ცისქვეშე ყოფნა ოღონდაც ყოვლად უგისოსებოდ,

თურმე,

და ერთი კარგი ებრაელიც გვყავდა საკანში, დიდად ტანადი, როგორღაც ჯანიანად ზონზრორხა კაცი, ძალიან შავი და ტლანქად ჯმუხი, მაგრამ, ჩვენი თამადა ვასილი --- აძე საკვებობისას შვილების სადღეგრძელოს რომ წამოიწყებდა? — აჰ, ის აცრემლდებოდა და ისეთის ცხარის ცრემლებით ტიროდა რომ? მხრები ძალიან უცახცახებდა და დიდრონი მჯიღით იწმენდდა შავად დაჯაგრულ, სახეს, მგონი იაშა ერქვა, და სხვათა შორის დომინოს თითქმის ჰადაჰა ჭიჭიკობიძიასავით თამაშობდა, ჩვენს ა-კლასშია რა საპატიო II ადგილზე იყო მუდამ, და, ერთი ის იყო შიმშილობისას ძველებურად მხნედ შვილები თუ არ შეხსენდებოდა არადა თავისითაც-ხო როგორ რა-ხშირად ზლუქუნებდა, კი, და სწორედ იმან, სახელად რომელიღაცა მოვაუკაცურო სახელი — ტარიელა თუ ავთანდილა თუ რიჩარდა თუ ლესტანბერიცკი თუ გერშონა თუ შუშუნიკა თუ სულაც იოსკა, ერქვა, და, შემომთავაზა როლანდამა თუ იაშამა, — ძმაკაც, მოდი და ერთი ეს გასინჯე და, რა იცი ეგებ მოგეწონოსო

რა არი-მეთქი, და,

რომკი გახსნა კარგა მოზრდილი პარკი, არა? —

მაშინვე მართლა ისე დამზრინა რომ მთლადაცკინაღამ დამეწყო, კი, ძალიან მართლა რაცგინდა მშიერზე ზიდილი, კი, და დამდუღრული მზერა მაშინვე-მყისვე ავარიდე მის ასევთქვათ შემოთავაზებულს, რა იყო ეს და, ციხურ ბორშჩზედაც კი გადაცილებით უარესი ამ სულელ-მე-სთვის? —

ზეთისხილი,

საქართველოს პარლამენტი ეროვნული

ეროვნული ენციკლოპედია
ეროვნული ენციკლოპედია
ეროვნული ენციკლოპედია

„ვით“ რადგანაც, ისა, შიმშილისაგან? მთლადც ისეთ მოსხნილ რაიკომისა ექს-მდივანივით იყო ძაანე-დიდი სიმშილისაგან, რომ, ომახიანობ-მთლადდაკარგული, მისუსტებული ესვენა ნარზე და თამამ ფიქრებში ხილ-ბოსტნეულის საწყობისა დირექტორობას კი არა და, ალბათ მუშობას ძლივსღა ბედავდა ერთი ორ-სამ ცალ ბოლოკისა ჯერ ჯიბეში და მერეკი პირში მოგ-დების იმედითა, კი,

და, — კარგი იყოს ათი ცალი, იოსებ-მეთქი,

და, აჰა შე-კამსამოლსცკო დაგენაცვლე, შენ გაიხარე შენოჯახში,-ო, და

ამას ისეთის ხმითა ამბობდა რომ, რაის მჭა-ხე ხმა — თურმე ისეთის მტკბარის-მწყაზარის ხმიანობითა, როომ, რომა მგონი-რო კაცო იმა-სა სულაც ეგება იოსკაი და ყარამანა და აქი-ლევსა კი არა და ეგება სულაც ორფეოსა, კი, ძალიან ერქვა,

... —

გამქონდა, მოკლედ, ციხეშიც თავი...

ხოლო ერთხელაც, პრაგულკაზე ხომ მაინც გავყავდით და... — არადა, შედარებითე-გა-ცილებითურ სუფთა ჰაერზე როგორ ძალიან უფრო, კიდევაც-ვუმფრო გვშივდებოდა, კი, ძალიან-დიახ, და ერთხელაც რომ პრაგულკიდ-განა ამოვყავდით, გამოგვეცხადა ჩვენდაჭი-რად ზედ სნორედჩვენი კამერის კართან ციხის რეჟიმის უფროსი და, სულ თვალების ბრიალით მითხრა შენ დაიცადეო, და იმისგან კი „დაიცა-დე“ო? — მტერს...

ხმელი, მაღალი კაცი გახლდათ, დიდად-მოძ-რავი თვალები უპრიალებდა როგორღაც თან გრძელ და თანაც ნიკაპ-შეკვეცილ (— აკვე-ცილ?) სახეზე, როგორღაც ფარულ-შინაგანად აშკარად დუღდა რაცგინდაც მშვიდად გამოი-ყურებოდა-იქნებოდა და, ბევრისმომსწრე და მნახველი კაცი რომ იყო ეს ჩვენსაკნელი ქურ-დისაგან ვიცოდი თუმცა იმისთვის ისიც რიგი-თი „სუკა“ იყო და ამასთანავე როგორ ძალიან უსურველად ბოროტისეული თუნდაც იმით რომ სიკვდილმისჯილი პატიმრები თურმე ორ ეგრეთწოდებულ „თანამშრომელთან“ ერთად თურმე სნორედაც მას გაჰყავდა დასახვრე-ტად, ხოლო ციხის უფროსი და სათანადო ექი-მი და ჯალათი იმ ყოვლადფარულ დასახვრეტ-ში უცდიდნენ, თურმე, და მაგრამ თანაც ისეთი უშიში კაცი ყოფილა, რომ, — ადრე ერთიპირო-ბა სიკვდილით დასჯა დროებით რომ გააუქმეს და ამიტომაც ოცდახუთწლიან-მისჯილები როგორი დიდად სახიფათონი უნდა ყოფილიყ-ვნენ, რადგან, ციხის რაცგინდა თანამშრომ-ლის მოკვლაზე იმა-თავიანთ ოცდახუთ წელს აბა რაღას-ღა დაუმატებდა რაცგინდა მჭახე და მომთხოვნელი პროკურორი, და, ერთხელაც ის ოცდახუთწლიანები ძალიან რომ აჯანყებულან-სავით და ვერავინ ბედავდა იმათ საკანში, შეს-ვლას, იმა-ოცდაათ განრისხებულთან შესულა მარტო, უიარაღოდ, — არადა, როგორ ძალი-ან ელოდა იმას ნაღდი მოკვლა და, — შესულა მაინც! მთლად გამართულმა შეაბიჯა თურმე მთლად თავზეხელაღებულ-მხოლოდღაწყალ-წაღებულებში კი არა და, მთლადაც დაკბილულ-რკინებიან ცეცხლის ზვავებად გადამქელებსა და მონარცხებულ-ბოლოსმომღებთში!, და, — არაფერი, ვერაფერიც ვერ უყვეს, რადგან, —

რაღაცა ძალა ედგა თვალებში, ისე-იქამდე უშიშარი, რომ, ის მართლაც-ნაღდი კაციჭამიე-ბიც კი გაბზარულან, კი,

და, ამა-ამგვარმა, მათშუა მდგარმა კარგა-მშრალად რომ აღუთქვა რომ გადახედავდა მათს ზოგიერთ მოთხოვნას, ზოგს საჭიროები-სამებრ შეისწავლიდა და, შესაძლო იყო ნაწი-ლობრივ დაეკმაყოფილებინა, კიდეც და იმა მკვლელებმა და ამკლებებმა, მსხვერპლთნაწყ-ურებად-ამომრთველებმა, სულის, ტყავით იგრძნეს თუ სულისმაგვარით რომ ერთგვარუ-ლად ძალიან ნაღდად-ამაღლებულა პიროვნე-ბამდეცკი ჰქონდათ, — ეძახეთ თქვენა ეს სიტყ-ვა, — „საქმე“, და, ისა კი რომ ნაწილობრივ დათანზმდა იმათ რაღაც პატარა შეღავათზე, მათაც როგორღაც მისი წყალობით, მრისხანე-სი, პიროვნებებად იგრძნეს თურმე თავი,

და, გამოსულა ნელი და მაგრამ მტკიცის ნაბიჯით საკანის კართან ცახცახშერეულ თა-ნამშრომლებისაგან ნამდვილ-ნაღდ გიჟად შე-რაცხილი ხოლო ისინი პირდაღებულები მიჩე-რებულან, მას, სახელი არ მახსოვს გვარად კი ნაღდად კიკნაძე იყო,

და მაშინ რა ვიცოდი თუ, კიკნაძეები ხარაგა-ულიდან იყვნენ — არც ხარაგოული ვიცოდი მე-რომ შემირცხვა ეთნოგრაფია თუ რაღაც ამდაგვარი სადაც რომ თურმე სნორედ იმა-ხა-რაგოულში იმ გვარის ხალხი სჭარბობს მე რომ შემდგომ როგორ-რამდენად მაგრძნობინეს სი-კეთე, სითბო, ეს გვარებია

თაბუკაშვილი,
ხარაძე,
ბუაჩიძე,
კიკნაძე,
ვეფხვაძე,
ებანოიძე

და სხვა გვარებისაც როგორ სუფთად მატა-რებელნი და მათგან ვინც კი მე შემხვედრია ისეთ წყალობად სითბო და ნიჭი და მადლი მიგრძნია მათგან და თან ისეთი როგორიღაც უმწიკვლოდ სუფთა გულუბრყვილობა და თავ-მდაბლობა-ამაღლებული და კეთილშობილი სიღრმე, როგორი, რომ ჯერ მეგონა-თუ ამჩვე დროში-ც ხარაგოულელებმა მიტომ შეინარჩუ-ნეს ასეთი სისუფთავე ალბათ მატარებლები არ მიმოდიან ხარაგაულით, თქვა, რადგანაც შემდგომ, არქეოლოგობისას ადგილობრივებ-თაგან მე სნორედ იქ შემხვედრია მეტი უშუა-ლობა, კეთილგანწყობა, თვინიერება ნაკეთი-ლარი, და სიამტკბილე სადაც ეს ასე-ვთქვათა და „ცივილიზაციის პირმშო“, ელმავლიანი მა-

ტარებელი ლითონის რელსზედთ, მიმოდგრიალე გადი-გამოდის და შეაქვ-გამოაქვს რაღაცა უცხო და ვითოხილი, მაგრამ... — სწორედაც-რომსაკვირველი! — ხარაგოულშიც დანავალა, კი, მატარებელიც მისთვის ამ მაინც შეურყვნელ-როგორ, არემარეში, მაინც მადლიან და სანდომიან საქართველოსი-ერთ-ერთ მეტად დალოცვილ კალთასა-ფრთე-ში, და გავიკვირვებდი ციხეში მაშინ ძალიან, ეს რომ მცოდნოდა, — ხარაგოულელი კაცი და, ასეთი-როგორ როგორღაც ყინულზართ-დამცემი, მეთქი, და სწორედაც მან, ვისთანაც მაშოს — ხომ გახსოვთ ეგებ ჯერაცკიდევ, ჩვენი ციხური აკადემიის მითოექიმი, დანამდვილებით ანტიტურფა ი-წუნკალურად ჯაშუშოვანი და ჯაშუშოვნად წუნკალაი და ავად მოენე, მოყურიადე, ეგზომ-მაშიკოო, და სწორედ იმან, ვისთანაც მაშოსა მიჰქონდა თვითი უძვლო ენაი გადატვირთული საჩივლელადა — სწორედაც იმან, ციხის რეჟიმის მთლად-უფროსმა, თვალთა ბრიალით მიმიხმო მე და, მიმოიხედა და, კარგა მოზრდილი ფილა, კაცო, შოკოლადისა, კაცო, ჩამიდო ჩემი ტელაგრეიკა-დუშეგრეიკას ჯიბეში, და, რომელიღაც ფეხისწვერებზე მოახლოებული ქვეშევრდომის გასაგონად, მომალაპარაკა — შედი ახლა კამერაში და მეორედ აღარ გავიგო მაგისთანები თორეემ მერე სხვაფრივ წაგივა საქმე და ახლა კი გპატიობ მამაშენის ხათრით, რაცგინდა იყოს მაინც გინდაც ყოფილი თანამშრომელია, ჩემი, ო —

გაიბზარავა, „ერთგვარ სისუსტით", ამ პოლკოვნიკმა თუ პოდპოლკოვნიკმაკაცმა ვინცხასერჟანტთან, ჩემი ხათრით, კი, თავი,

და,

საკანში კი ისე დაბნეულად შესულს, შოკოლადის ფილის ჩვენსა კუტოკში გაყოფვისას ჭიჭიკო ბიძია მიხვდა ალბათ მყისვე ყველაფერს, — იგი, როგორი გამჭრიახი, ვერ შეამჩნევდა რომ თვით რეჟიმის უფროსმა საკანის კართან შემაჩერა? და, შოკოლადის მცირე ნატეხი ისე თვალმილულულმა რომ იგემა, გინდაც თვით თავად ზეთისხილი ყოფილიყო ოღონდაც ნაპო ბაბუასა და, ჩემთვის, და, სახელითა და წოდებით თუმცკი არ უხსენებია, აღნიშნა ასე:

კაცი ყოფილა, ო, —

„კაცი"...

ხოლო ნაპო ბაბუამ მხარზე დამადო ხელი, თქვა, რა ნახეთ მაინც ასეთი მაგ შოკოლადში, შეუნახეთ ბოვშვს, შენ გჭირდება ეგ, გურამი, ო, დაა, თავადაც, ჩემთვის ყოვლად მოულოდნელად, ასე ჩაილაპარაკა თუმც არა-მგონი მაშინ ჩემსავით იმასაც სცოდნოდა დიდი სერაფიმე საროველი: „სადაც კი გინდა მუშაობდე, ყველგან შეიძლება იყო კაცი",-ო, —

იმანაც: — „კაცი"...

ბატონი ნაპო არასოდეს იტყოდა ასე-ამგვარულ ამადაგვარსა, თქმებს: „კაცური კაცი", „უპატიოსნესი", „უსპეტაკესი", „ყოვლად გათახსირებული და უზნეო", არამედ, ერთხელ რომელიღაც ჩემთვის უცნობსა-ემხვარზე რომ თქვა, — „კაცი იყო"ო,

ამ მისით თქმისა მაღალი ფასით მეტი შექება მე არავისგან მთლად არავისზე გამიგია, სამაგიეროდ, ერთხელაც რომ თქვა მაშიკუაზე — „უზნეოა"ო — მთლად გაასწორა მინასთან, კი, კი, ის იმოტოლა-თანამდებობით აქიმი ქალი... — ისეემც!!,

და,

სხვაზე კიდევ — „პატიოსანი იყო"ოთი მთლად აამაღლაა, რომელსა-იერთ უუპაატიოსსანსავისიმდისინ, რომელიღაცა შტაბს-კაპიტანი შერვაშიძე, მთლად ფელდმარშლობამდე აამაღლა, რადგან —

ხომ გააჩნია, ვინ იტყვის თუნდაც ძალიან ერთიდაიგივე ერთსა და იმავე სიტყვებს, რა შინაგანი სიღრმის კაცი, ცხოვრებით დიდად გამოცდილი თუ — შტერუკუნი, გონიერი თუ მტკნარი სულელი, ჭკუვაზედ სწორა თუ ჰაფრაკად მყოფი, არამედ ასე ღირსეულ, ბატონ ბაბუა-ნაპოსავით, კი, მთლად ღირსეული, არცერთ სიტყვისა ჰაიჰარად არ-წარმომთქმელი, კი, და, დარჩეს ჩვენში და ჭიჭიკობიძია ბაძავდა-კიდეც ცოტცოტაობით მას, ბატონ ნაპოს, და აკი თქვა კიდეც, შინაგანი აღფრთოვანებულობისადამიუხედავად, მხოლოდღა ასე:

„კაცი ყოფილა"-ო,

კი,

გადიოდა, დრო,

ეს შიგნითაა ციხე ცუდიდაგლახა და კაიმძიმე მაგრამ, თუკი გამოხვალ, მიხვდები მერე-ღ რომ არცთუ ისე ფინთი ჰყოფილა,

ხოლო როდესაც გამოვიდა ჯონდო ციხის თვიით საავადმყოფოდან ციხისავ „ტიპურ"-საკანში, სა-პლებეოში და, „ვიმუსაიფეთ" ასე ორსამ დღეს და, ამიმეტყველა თითებით რომ — „ნახავ ჩქარა შენც საავადმყოფოში რაც ვინც ფრუხტები გელის"ო — ვინ, თუ არ ჯონდო მიმხვდარი-იყო რომ მეც მის ნაპალატავარში განმათავსებდნენ, კი, და, მართლაც, სამიოდ დღისა შემდგომაა-კი მეც გამიყენეს კუდიგორისა რა იყო და არამედ ასე 200-ოდ ნაბიჯოვან გზას ციხის საავადმყოფოსაკენ, კი, და რაც მართალია მართალია წარმატებითე დავძლიე მე ისა-გზა-ისი და, სულმოუთქმელად, ც, საავადმყოფომდე, ბალიშისპირი და ზენარი თეთრნი, თეთრონნი, საჭენებელად ზამბარიანნ, უცხოდ ქათქათნნა მენატრებოდა და აგრეთვ თეთრი მაწონი ხომ?.. — ნუღარ იტყვითა,

და,

თუ არ მეშლება ას მეთექვსმეტე პალატა იყო თუმცაღ მგონია 10 პალატაც არ იყო იქა, და, მაგრამ ხოლოთ? ესა ნამდვილად მხოლოდ ოთხნახევარი შვება კი არა, არამედ რამდენად

მეტიც — თვით ოცდაცამეტჯერ შვება იყო ჩვენსა საკანთან შედარებით და ტვ აქ თუ რატომ და, — რამდენი ასო-ბგერაცაა ქართულ ანბანში, იმდენჯერ, სწორედ, —

ანი: ზამბარიანსა „კრაოტ"-ზედა სუფთა ლოგინი აჰ, როგორ ძევდა, ასე მგონია ეკატერინე II-სა და პუშკინ-ჰიუგო-როსინის და მარია-ანტუანეტასაც კი არ ღირსებიათ ისეთი დიდადუმწიკვლო საწოლები, რადგან, მათგანა განსხვავებით? — სოლო-დ ვიწექით,

ბანი: ხის იატაკი; რომელი ნოხი და პარკეტი აი იმასთან, მოშვინდისფროსთან შედარებით, ლანჩებქვეშ როგორ ამოდ ფენილი, ბეტონისაგან დიდგანსხვავებით სულ-არ მრქენელი, სულაც ვერ-მრკენი, ლანჩთ-გაცვეთისა სუარ მრჩოლელი, კი, ზოგ აქიმ-ქალსა სულაც არგვანდა,

განიდადონიდაენიც-ზედა? — ერთადა, კაცო! — სასმელ-საჭმელი?: დილით, გენაცვათ, ოცდაათ-გრამიასპირანტურულ-მარგარინიკარაქი ანუ, ზედ მაკარონი ყოვლადუბინო და ცალიც თვით ბიტკი და ჩაი ისეთი? — მთლად თავისუფლად და თამამადაცკი შეიძლებოდა მისიან-ჭიქის არამცთუ ხელში აღება არამედ თითან დალევაცკი, მერე, სადილად, პირველი თავი ბორშჩი ან სუპი ისეთ-ისეთი, როომ, უწინაღობვოდ შაგერგებოდა შეგესვა თუნდაც ერთი კი არა არამედ მთელი თექვსმეტნახევარი — 16,5 — ამა ჩვენური ალფაბეტის ასოებისა ნახევარიცკი — კოვზი, მეორე თავით — გვეძლეოდა მუქი კოტლეტი ისე ძალიან თვალსაჩინო რომ, მგონი ხორციცკი ერია, ცოტა, ზედაც კომპოტი კამპოტაური ნამდვილად ხილისა-მიჩურინულის, ხოლო საღამოობით ჩემო ბატონო... — გაიტრუნევით! — თავად მანონი მთლად პირველ თოვლად ალპურულურად თეთრზედათეთრი ზოგ ზენარივით და, ყველიც კი, კაცო, აკადემიურ-ფურდედოსი, კი, და ყველაფერსა ამაებთან ლბილი პური იმდენი რომა გვრჩებოდაც-აა, კი, ერთკაცის გარდა — ოღონდაც ისი გამონაკლისი იყო რადგან არამცთუ ჩვენსასაც, პურსა, არამედ პური კი არა და, ხმელა-აგურის ყოვლად უმნვანილ-უოხრახუშოდაც ქვესკნელისებურ-ჭაობებრ შთანმნთქავი, კი, დიაღს, იყო,

ვანი: არავითარი პარაშა, კაცო, ვისაც კი როგორ მოესურვილებოდა მყისვ გაჰყავდათ ისეთსა კარგსა სატუალეტნოშია რომ, რომლისა არცერთს-ვერცერთს კედელზე ცუდი სიტყვაი კი არა და, „დიდება სკკპ!"-ც კიარ ეწერა, მაშ,

ზენი: ... — მაგრამ აქ ძაანშორს წავაალთ, კაცო, თქვენი დროისა მერიდება, და ბარემ გავიდეთ, შეღავათებში, მთლად ბოლოსკენა —

ხანი: რა ხანი იყო, ასეთ-ასეთი შვებაებები არ მენახა, კი,

ჯანი: ჯანზე მოვედი? ვითარცა ხარი, ნაიალაღარი, რადგანაც, ბოლოდ-ოცდამეცამეტედ? —

ჰაე: ჰაერზე-დ მთელი საათნახევრით გავყავდით, კაცო, და იმა ჩვენსა შემოღობილში ერთი საშვალო-ნაძვი იდგა, კი, და, ბოლთათაშორისს? — „სდექ!"-საცა ვქამდი, სწორედ იმ ნაძვთან ვმუხრუჭდებოდი და, ხელისგულს ძლიერ, თან მორიდებით ვადებდი ხოლმე, მესმოდა მისი, თუმცა ჩემსავით დაჭერილის და მაინც ბუნების შვილის ძლიერ, დიდად და, მისი წყალობით სუსუცოტათიც მეც ბუნებისა შვილიც ვხდებოდი, კი, გავხდი, გახლდით მე იქა, საშვალო ნაძვით,

პალატაში კი პირისპირობით, ორ რიგად 16 კოხტა საწოლი გვედგა, ზამბარებითა აღკაზმული, პირსახოცკოხტადგადაფენილნი, ტუმბოებიცა, კაცო, ხისა, ისეთები როომ? — „სატივეზე ტუმბოო შევკაარ"-ის დამღერებაი მოგინდებოდა ქართლურ-ხალხურის ტენორითაააა, ვااااჰ, კაცოო, ესაცა ჩვენი მაასპინძლის ااკადემიაა იყოოო დაა, — ჩვენი მასპინძლის კამერაცაა?.. უგოჭებოოი, ო...

ერთი ეგ იყო, იმ თექვსმეტ კაცსა, ორნი ისეთნიც გვერივნენ რომ?

ერთ-ერთი ასაკით ყველაზე უფროსი იყო, ასევთქვათ, მხცოვანი, მაგრამ მის პირობაზე ესისიტყვა, „მცხოვანი", რომელიც ჭაღარა-ს გარდა გადატანითი მნიშვნელობით „დამსახურებულ", „საპატიო" ხანდაზმულ ადამიანს ნიშნავს? — აჰ!, არა!!, არა!!! — აპაპაპაპა!!!! — ... — ისეთი უწმაწურსიტყვებიანი მცხოვანი კი არა, არამედ კაი-შუახანს ენათ-მაღალიხულიგნობებითმიტანებულიმითომც-რიგითიმოადამიანო აჰხ მე კი არა და, მართლაცდა მცხოვან ოფიციანტს არ შეხვედრია, ალბათ, ალბათ კი არა, დანამდვილებით, მის რესტორანსა თუ რესტორნებში (ხანდახან იცვლიან ადგილს, ფირალებივით — „ბურჭულაძე ეუბნება" — და თანაც, კაცო, თითონ ვის-ვის, — ბიჭობაში დიდადგანთქმულ სისონაის, დარჩიას, კი, — „გამეეიცვალოთ ადგილი",ო...) გათხლიშინებულად გადამთვრალ, გალეშილ კლიენტებში — ვის ექნებოდა ბილწსიტყვაობით ისე ნამეტურ-ხვავრიელად ჩაბუუბუჟებული ავლექსიკ-ლექსიკონი იმას რომ ჰქონდა, ამა საქმეში უცენზურობის აკადემიის ნამდვილი წევრი კი არა და, მთლადაც ექვსმაგი პრეზიდენტი გახლდათ თავის ექვს-ექვსი ვიცე-პრეზიდენტებიანა ამა ერთს კაცში კაცოო, კაცოოვ, და ზედაც იმა-აკადემიის სულ-სუ მთავარი პარავოზის იზ-ვოზჩიკც-ვოკზალისდიდცოცხდვორნიკიანა, დაა, სწორედაც ცოცხზე გამახსენდა: ულვაში ედო ისე ფსხვილი? — რომელ-კურტანი შეედრებოდა, სატუჩეზედა, გულწრფელად მხოლოდ ისღა მიკვირდ-გვიკვირდა ჰაერი როგორ შეუდიოდა ნესტოებში, არადა, ცალ-პლუს იმასაც ჰქონდა — როცა ეძინა რაც მართალია მართალია არ იგინებოდა და ისა აუგთმფრქვევი პირი მოკუმულ-ჰქონდა, და, არ ვიცი ციხეში საღებავს როგორ შოულობდა ან აბანოში რო გაგვიყვანდნენ იმა თმას ისე კუნაპეტურად

მაინც როგორ-ღა იღებავდა და ხოლო იმას ისი ულვაში ისე-ნამეტურ ეამაყებოდა? შემირ-ცხვენია თვით კუტუზოვის თავად ალეკსანდრ სუვოროვის ზორბა ორდენი ზედაც თავისურ ბრილიანტებიანა, და, ყოველივე ამასთან ერ-თად — ესღალა აკლდა! სრულ-ოხრობისათვის! — თავს იმითაცაც იწონებდა, რომ... არც და-მიჯერებთ... — ნასედკა ვაარო!! — მა როგორ გინდათ მე როარ ვიყო მეკი ვარანცოვ-დაშკო-ვისა ჰალალი დების და ზედაც იმათ-იმათი №-ების და იქს-ებისა ასე და ისე..... — აქ, გა-მოვტოვოთ ოცზე მეტი ისეთი სიტყვაა, რომ... სულ „ყ"-ებითა აღჭურვილები, და, აი ვთქვათ ჩემი ჭკუით არ გამოვტოვო? — გინდაც ვიხმა-რო და ჩემის ჭკვითა მოგაწვდინოოთ? — ვერ გამომივა ვერასფერი რადგანაც აკი ე-ქაღალ-დიცა ხო ისე-ძაან როგორი ამტანი, ა, მაგრამ, იმა სინტყყვებით ისე ძალიან მთლად დახვრე-ტილი ქაღალდი-ღა შეგრჩებით, კი, თვალთ..., თავისი ოცპირ-ქარებითა გრიგალურებით თა-ნაც მძვინვარით, ხოლო იმათგან განსხვავებით ზოგი გრიგალი აკი ლბილია, „შეჩემა"-სავით, და, ისა გვარი კი, იმას რომ ჰქონდა არც მანამ-დე და იქამდისინ და არც მერე და აქამომდე? — არ გამიგია: ურმიშვილი იყო, კი, გვარ-წოდები-თა, კი, აფსუს, აკი ყველას გვააქ გვარიშვილო-ბა, ისა კი კიდეე, ურმიშვილი გახლდათყე გვა-რად და თუ საბას მიხედვით „ურმისთვალნი" ეტლისა თვალსაც ნიშნავს, ხოლო თანამედრო-ვე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონით „ურმიანი" — ქვევრს რომელშიაც ერთი ურემი ყურძნისაგან დაწურული ღვინო ჩადის, აი ისა კი? — რისი ქვევრი და რაის ურემი, — გინებე-ბითა? ესენი კიარ უნდა ჰრეოდა არამედ კაი კრეისერივით და 33 დირიჟაბლი ანბანურათა ვერ დაიტევდა იმისსა მყრალად აუგურსა სიტყ-ვიანობას, და, ამიტომაც, იმასა კაცო ურმიშ-ვილი-ო კი არა დაა, მთლად წესითა და ზედაც კანონით და ჰამაც — კოდექსით? ანაცა, კაცო, ეგრევ ბაყბაყწუნკალაშვილი უნდ-ჰყოფილიყო ანაცდა სულაც — გრანდუშვერიძე, კი, ანდაც-და ეგებ — გროსვავასკანიენაია-სკირიდაუმ-ფრო — დვირე დააა, ანდ, ც, ეგება — ანდაც — მე-ხუ-ზლა ან — მყრალებიანი, ანც — აუგგია-ნაული,

კიი,

და ი-მეორე კი, ყველაზე-დ უმცროს-უმრწე-მესი? — თექვსმეტი წლისა იყო მხოლოდ, და სად მოასწრო ნეტა-მაინც ისეთ წუნკელა-დ ჩამოყალიბება, რომ, მე იმისთანა აღნაგობრი-ვი წყობით მურდალი და სულით კიდე — ტურ-ტლიანი? სულაც თავიდან ბოლომდე კი არა, მის ჭერ-სხვენამდისინ და მის იატაკქვეშაც არავინ მინახავს, ბინძური იყო? — აი ისეთი უნ-მინდური, რომ, ეგება რომც მიელწია ეგრეთწო-დებულ მხცოვანობამდე, ამა ჩვენს უკვეღაღ-„მცხოვანს"აცკი, ულვაშისშიგნით იმ-ენიანსა, ეგებ კიდეცა გადაჰხტომოდა? — არადა, ხმა არყით ისე ძალიან გადასწვოდა, რომ, მის წამო-როშვულ ლაზღანდარობებს ვარაუდითღა თუ ამოიცნობდი აისე ჰგავდა იმისი პირობითი-ხმა მჭვარტლით და ჟანგით სავსე ტრუბაში (მილ-ში-ა კაცო!) ქარის ჩაბერვა-ბერვას, ზედდატა-ნებულ ძაანაც ბასრი სამართებლის შუშაზე-დ მძლავრად ჩამოსმასა, კი, და ქურდობაზე თუმ-ცა-კი იჯდა, კანონიერსა ქურდობამდისინ ჯერ კარგა ბლომა მანძილი, ედო, — რისი არშინი, — მთლად სინათლისა სისწრაფითა, კი, გასა-ზომი — ქურდები ხშირა-შემთხვევაში ერთგვა-რად ღირსეულათე თავდაჭერილი და მოლაპა-რაკეც? — ამო-ლოღიკით, რაღაც უცნაურ-სიმ-შვიდეთი დატენილები ასაფეთქებლად, საინტე-რესოდ განაბული არსი-ს, ხალხნია, ხოლო ესა კი? იმა თავისი ვა



გიორგი მინდელკორი

* * *

იალაღებზე,
თვითაც ლაღები,
ლექსებს ხედნიან კვლავ ხევსურები.
დღენი,
მითებით ნაბალახები
მორჩილად დგანან სავსე ცურებით.
ბავშვობა გაქრა.
დატოვა ლანდი.
ცნობისმოყვარე მოდის მნახველი...
როგორც გენერალს ადიუტანტი,
შემოღამებას მოსდევს ნაღველი!

სანუგეშო ბარათი შვილმოკლულ მოძღვარს

უფლის ბარათებს იღებს მეფურად!
ვაუა დაჭლექდა!
ილია მოკლეს!
და ჩვენც მივათრევთ ჩვენ უნებურად
სიცოცხლეს —
კურდღლის კუდივით მოკლეს.

ვიჩქარი,
ღობე-ყორეს ვედები...
არ მსურს, მეუფე ვნახო მტირალი.
რად არ მიაწყდნენ სარკმელს მტრედები,
ქარი რად დაძრწის როგორც ფირალი.

მინდა რამ გითხრა,
ან ვით მოგმართო.
გამოცდა იყო მკაცრი და მძიმე!
შენ უნდა შეხვდე ამ ტკივილს მარტო,
შენ გენაცვალე,
შენი ჭირიმე!

მაგრამ ხმა აღარ მემორჩილება
მეც მახრჩობს ცრემლის ტბა — ნიაღვარი.
რახან უფალმა ასე ინება,
ცა გაგეხსნება ალბათ ახალი.

იური ჯინჭარაძის ხსოვნას

რუსთავო ჩემო,
დრო იყო კარგი,
შენსკენ რომ გულით მომიხაროდა...
ჭაღარა კაცის ხელით ნაქარგით
მე მირონს ვსვამდი ლექსის წყაროდან.

მისი წილ-ხვედრი გზა და ბილიკი,
ვით კაცს შეჰფერის,
გავლო კეთილად.
არც გულის კარი,
არც სახლის კარი
ძმა — მეგობრისთვის არ დაკეტილა.

არ გვშინებია იჭვის,
ყოყმანის.
წინ, მშვენიერო, გამიძეხ, გვედრი!
მთებიდან მთვარე იშვა გოგმანით
და დაგვანათა პოეტის ხვედრი.

სიკვდილ-სიცოცხლეს შორის მანძილი,
ან მივხვდი,
თურმე რა მოკლე არის.
ახლა დამაშვრალს გძინავს ღრმა ძილით,
ეულს, სამადლოდ დაგტირის ქარი!

* * *

ალბათ არის უფლის ნება —
შემეჩვია ჯავრი...
გაცინება მენატრება
სიკვდილივით მძლავრი!
და ვთრთი,
როგორც მეშენია
ტყვიის მოლოდინში...
შეღამების მეშინია,
თუმც არ მომდგამს ჯიშით.
სიჭაბუკის აბდა-უბდა
ველად გაჰყვა ქარებს.
ჰა, სიბერეც მომდგომია,
მიკაკუნებს კარებს.

აუხდენელ ოცნებათა
ციხე-კოშკი მედგა...
რაღა დამრჩა?!
ერთი მხოლოდ —
შევეგებო მედგრად!

წინაპრები და შთამომავლები

გავალებს შენი ჯიში განთქმული —
ფხაბასრი შეხვდე აწმყოს ჟინიანს.
წარსულში ხომ გაქვს ფესვი გადგმული
თან მომავლისაც არ გეშინია.
თუმც გადაშენდა გიპარიონი
და ტერომორფის მოდგმა უჯიშო...
კვლავაც გუგუნებს ზარი სიონის,
მიენდე ჰანგებს, გასწი, ნუ შიშობ!
გზა საით მივცე ფიქრებს მოწოლილს
და ცრემლებითგან ნაგუბარ ამ ტბორს.
წარსული,
როგორც ცივი კოცონი,
შორით თვალს გვჭრის და
ველარ კი გვათბობს.

თუმც გადაშენდა გიპარიონი
და ტერომორფის მოდგმა უჯიშო.
კვლავაც გუგუნებს ზარი სიონის,
მიენდე ამ ჰანგს,
გასწი, ნუ შიშობ!

გაზაფხულის დილა-ადრიანი

აქა-იქ თითო ოროლა
ველად ამღერდა ტოროლა.
ცისკარმა ცეცხლი აფრქვია
დაქუეხსა და ბოროლას.
გაივლის ჟამი ზღაპრული
და ყოფა მამა-პაპური...
ცეკვა-თამაშით მოსულებს
გაგვისტუმრებენ პამპულით.
შემდეგ იტყვიან:
უყვარდა
სიმღერების თქმა უხვადა
და წუთისოფელს კაცურად
ბეგარა გადაუხადა.

* * *

ო, ეს ყოფა მწარე, უმი,
შემზარავად აგრე ჩუმი,
შიგან ასრე გამახვია,
როგორც ჭია აბრეშუმის...

და დღესდღეობით, ამჯერად
აღარაფრისა არ მჯერა!
მწამს ღმერთისა და სიკვდილის,
ისემც შემრჩება მარჯვენა.
ჯერ სიკვდილს შევეგებები
ჩემი კაცობის გერბებით;
სხვა ყველა გაუფასურდა,
ესენი დამრჩნენ კერპები!

ივრის ჭალაზე შობილი ლექსი

დრო იყო,
ივრის ჭალებში
იჭერდი შამაიასა...
არცრა შიმშილი ყოფილა,
არცარა ჭამაი ასა.
არცრა სიცოცხლე ყოფილა,
არცრა სიკვდილი არისა!
სხვა მხარის მონახულება,
ქარ-ბუქში შეცვლა მხარისა...

* * *

ხან ხახაბოს,
ხან კი ამღას
გლოვის ზარი მაცილებსა...
რა აძინებს ნეტავ ამ ხალხს,
ან მე რა არ მაძინებსა!



ვახუშტი კოტეტიშვილი

ჩემი ნუთისოფელი

(წიგნი მეორე)

(გაგრძელება)

გასტუდენტება

დადგა ის დღეც, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ჩემი, როგორც ზრდადასრულებული პიროვნების ცხოვრების გეზი. „მამიდაანთსა“ გაიმართა ოჯახური თათბირი.

ძია სერგო: — ჩააბაროს ბავშვმა ისტორიულზე. გამოვა ან საქართველოს ისტორიის სპეციალისტი, ან ეთნოგრაფი, ან თუნდაც არქეოლოგი.

მამიდა: — მააშ! ეგლა აკლია, შენსავით საფლავები ქექოს და ჩონჩხებში იფათუროს ბალღმა. მამა ფოლკლორისტი ჰყავდა და ეგეც ფოლკლორს უნდა გაჰყვეს.

ძია გიგო: ეგრე თუ წავიდა, მაშინ ვახტანგილიტერატორიც იყო, სოციოლოგიც, მხატვარიც, მოქანდაკეც, ხელოვნების ისტორიკოსიცა და თეორეტიკოსიც. მე მგონი, ვახუშტი ფილოლოგიურზე უნდა შევიდეს და მერე თავადვე გადაწყვეტს, საით წავიდეს.

მედიკო: — ვახულიკო მშვენიერ ლექსებს წერს. აი, ნახავთ მაგისგან როგორი პოეტი დადგება.

ცოტნე: — პოეტობა ხელობა არ არის. რაღაც სპეციალობა ხომ უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ პური ჭამოს და ოჯახი არჩინოს.

ლეილა: — ცოტნე მართალია, ჩვენს დროში თუ „საამათო“ ანუ კომუნისტურ ლექსებს არ წერ, არ გაბოგინებენ. მე ფილოლოგობისკენ ვიხრები.

იათო: — ჩემი აზრით, აჯობებს ვახუშტიმ უცხო ენების ინსტიტუტში ჩააბაროს, ინგლისურზე. ფილოლოგიც იქნება და თან ენაც ეცოდინება. პოეტური ნიჭი აქვს, დაჯდეს და თარგმნოს შექსპირი და ბაირონი, შელლი და სხვანი...

მე: — უცხო ენების ინსტიტუტში რა მინდა?! გოგო ხო არა ვარ?! იქ მარტო გოგოები სწავლობენ.

დავა და კამათი მალე დამთავრდა. ბოლოს ყველანი ფილილოგიურს დაყაბულდნენ და მათი თანდასწრებით დაიწერა განცხადება ამ ფაკულტეტზე ჩემი შესვლის შესახებ.

მეორე დღეს მივადექი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის კარიბჭეს. ვესტიბიულში მედალოსნების ტევა არ იყო. სამდივნოების პატარ-პატარა სარკმლების თავზე გამოკრული იყო ფაკულტეტების დასახელებები. ყველაზე დიდი რიგი იურიდიულის სარკმელთან იდგა, შემდეგ ეკონომიურთან და ა.შ... ფილოლოგიურზეც საკმაო რაოდენობის გოგო-ბიჭები იდგნენ. ვატყობდი, კიდევ ორსამ საათს დამჭირდებოდა ლოდინი, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა. გავიხედე და დავინახე აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ფანჯარა, რომელთანაც არავინ იდგა. გული შემიქანდა. საქმე ის გახლდათ, რომ მე ცოტა ხნის წინ დამიმეგობრდა იათოს ამხანაგი, ჩემზე ოხი წლით უფროსი ალექსანდრე გვახარია, რომელსაც ყველანი შურას ან შურიკას ეძახდნენ. ჩვენ ბევრი რამ გვქონდა საერთო: ორივენი რეპრესირებული ოჯახებიდან ვიყავით, მამებდახვრეტილები, ორივეს გაგიუებით გვიყვარდა პოეზია და ზნეობრივი ფასეულობებიც ერთი გვქონდა.

დასაწყისი იხ. №9, 10,11, 12, 1, /2007-2008



ვახუშტი კოტეტიშვილი
სკოლასა და სტუდენტობას შორის

ერთ მშვენიერ დღეს შურიკამ მომიტანა ომარ ხაიამის რობაიების სპარსული კრებული. მე იუსტინე აბულაძისა და ამბაკო ჭელიძის თარგმანები კარგად ვიცოდი (მაგალი თოდუას თარგმანები ჯერ არ არსებობდა) და შურას ვთხოვე სპარსულად წაეკითხა, რომ ყღერადობა გამეგო. შურამ სიამოვნებით შეასრულა ჩემი თხოვნა და ღიღინ-ღიღინით ჩამიიადონა რამდენიმე რობაი. მე შევძახე: გადაწყვეტილია, სპარსულზე ვაბარებ-მეთქი. შურამ ჯერ გაიხარა, მაგრამ მერე დაფიქრდა და მითხრა: — მაგას რა აჯობებს, თუ ყველაფერთან ერთად კოლეგებიც გავხდებით, მაგრამ ერთი რამ მაფიქრებს და მეაფსუსება. აღმოსავლური ენების კარგად შესწავლა დიდ დროსა და მონდომებას მოითხოვს, თანაც ჩათრევა იცის. ვაი, თუ ლექსების წერას შეეშვა და მთლიანად მეცნიერებაში ჩარგო თავი.

ამან, ცოტა არ იყოს, მეც შემაფიქრიანა და ისევ ფილოლოგიურისკენ გადავიხარე. და აი, ახლა, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სამდივნოს ცარიელი სარკმელი მაცთუნებლად შემომყურებდა და მიზიდავდა ანდამატისებრ. მაგრამ სანათესაოს სამსჯავროს მიერ გამოტანილი ვერდიქტი ჩემთვის კანონი იყო და არავითარ გადასინჯვას არ ექვემდებარებოდა.

უცებ, სად იყო და სად არა, ვესტიბიულში შემთხვევით ჩამოიარეს მანანა გიგინეიშვილმა და მაია მამაცაშვილმა, რომლებსაც ისევ და ისევ იათოსგან ვიცნობდი და დიდ პატივს ვცემდი, როგორც უჭკვიანეს, უგანათლებულესსა და უკეთილშობილეს ახალგაზრდებს. ისინი მეხუთე კურსის სტუდენტები იყვნენ, მანანა — ფილოლოგიურისა და მაია — აღმოსავლეთმცოდნეობისა.

მე ფილოლოგიურის უგრძეს რიგში რომ დამინახეს, ჩამავლეს ხელი, „გამომათრიეს“ და დამიცაცხანეს: — შენ ხომ არ გაგიჟდი?! შემოდი აღმოსავლურზე, სადაც ყველა ის საგანი ისწავლება, რაც ფილოლოგიურზე. ამასთანავე აღმოსავლური ენების ცოდნაც შეგრჩება, დაჯექი მერე და თარგმნე აღმოსავლური პოეზიის დიდებული ნიმუშები.

ამის თქმა და ჩემი განცხადების დახევა ერთი იყო. სასწრაფოდ დამაწერინეს ახალი განცხადება, რომელიც ყოველგვარი რიგის გარეშე ჩაიბარა მდივანმა და გამომიცხადა როდის უნდა მივსულიყავი გასაუბრებაზე.

შინ დაბრუნებულს ჩემი გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ კრინტი არ დამიძრავს. ვიფიქრე, იქნებ გასაუბრებიდან სულაც გამომაბუნცულონ და ჩემიანები ფუჭად რატომ ვანერვიულო-მეთქი.

დათქმულ დღეს გამოვცხადდი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 94-ე აუდიტორიის კარებთან, სადაც ბრძანდებოდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მიმღები კომისია. ამ ფაკულტეტზე მედალოსნებისათვის გამოყოფილი იყო სულ ხუთი ადგილი, ამდენნი ვიყავით პრეტენდენტებიც. მაშასადამე, თუ იდიოტი არ იყავი და არ ჩაიჭრებოდი, სტუდბილეთი განაღდებული გქონდა.

მე გასაუბრებისათვის საგანგებოდ მოვემზადე. ვიცოდი, უნივერსიტეტში მამაჩემის კოლეგებთან მექნებოდა საქმე და იმათ ხომ არ ვათქმევინებდი, ვახტანგ კოტეტიშვილს ეს რა შტერი შვილი ჰყოლიაო. ამიტომ საფუძვლიანად შევისწავლე დავით კობიძის სპარსული ლიტერატურის ისტორიის ორივე ტომი, ბერტელსის, დარმსტეტერის და სხვა ირანისტთა ნაშრომები და „ცოდნით თავგასიებული“ გამოვცხადდი „სამსჯავროზე“.

აღმოჩნდა, რომ გასაუბრებამდე მოკლე წერითი გამოცდა გველოდა, რომელსაც უნდა გამოევლინებინა ჩვენი ნააზრევის წერი-

ლობით გამოხატვის უნარი. აქ კი გავიხარე. ჩემთვის ამგვარი წერილობითი გამოცდა „ნოვრუზ-ბაირამი“ იყო. წერა თხუთმეტიოდე წუთში მოვამთავრე და 94-ე აუდიტორიის კართან გადავინაცვლე.

კარი შევაღე თუ არა, თავზარი დამეცა: ოცდახუთამდე თმაჭაღარა თუ მელოტი სხვადასხვა დარგის პროფესორები რკალურად ჩამომსხდარიყვნენ. მათ შუა იდგა ერთადერთი სკამი მედალოსანი აბიტურიენტისათვის. ეს სურათი, მართალი რომ გითხრათ, სასიამოვნო განცდებს არ აღძრავდა.

მე მივედი და იმ სკამთან დავდექი. მითხრეს: დაბრძანდითო, მაგრამ მე უარი განვაცხადე: დამჯდარი პასუხს მიჩვეული არ გახლავართ-მეთქი. გაეცინათ: ეგ წესი სკოლაში იყო, უმაღლეს სასწავლებლებში პასუხისას ფეხზე ადგომა სავალდებულო არ არისო. რაღას ვიზამდი, „ეკლებზე“ დავჯექი და შეკითხვების მოლოდინში გავინაბე.

იმ რკალის შუაში მჯდომმა კაცმა, რომელიც თურმე მაშინდელი რექტორი იყო (რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ სამართლიანად მოხსნეს) გადაათვალიერა ჩემი საბუთები და ხმამაღლა ამოიკითხა: — კოტეტიშვილი ვახუშტი ვახტანგის ძე, სადაა, ბიჭო, მამაშენი?

ელდა მეცა. უნივერსიტეტის კედლებში ასეთ შიშველსა და ბოროტ შეკითხვას არ ველოდი. მიუხედავად ჩემი აღზრდისა და უფროსებისადმი ჩემი ზრდილობიანი დამოკიდებულებისა, გულიდან ამომსკდა საკმაოდ უხეში პასუხი:

— ამას თქვენ კი არ უნდა მეკითხებოდეთ, არამედ მე, ვინაიდან თქვენ უკეთ უნდა იცოდეთ მისი ბედი და ადგილსამყოფელი.

ეს ხდებოდა 1954 წლის ივლისში, ოცდაჩვიდმეტ წელს რეპრესირებულთა რეაბილიტაციამდე ორი წლით ადრე. ასე, რომ მე ჯერ კიდევ „ხალხის მტრის“ შვილად ვითვლებოდი.

ამ პასუხის შემდეგ მე ფეხზე წამოვდექი და წამოსვლა დავაპირე, ვინაიდან ჩავთვალე, რომ ჩემთვის გამოცდა თუ გასაუბრება უკვე დამთავრებული იყო. ბოლმა ყელსმობჯენილი მქონდა და გამოსვლას ვჩქარობდი, რათა რისხვის ვულკანი იქვე არ ამომსკდომოდა.

უცებ კომისიის რომელიღაც წევრმა ხაზგასმულად კულტურული და თავაზიანი დაყვავებით მომმართა: — დაბრძანდით, ახალგაზრდავ, სად მიიჩქარით, გასაუბრება ჯერ ხომ არც დაწყებულა?!

— უკაცრავად, მე მეგონა, რომ ჩემთვის უკვე დამთავრდა. – ვუპასუხე მე და ისევ დავჯექი. კომისიის წევრებს შევატყე, რომ რექტორის უტაქტობისა შერცხვათ და მას ინიციატივა ჩამოართვეს. ზოგი ისტორიიდან მაძლევდა შეკითხვებს, ზოგი გეოგრაფიიდან, ზოგიც ქართული თუ მსოფლიო ლიტერატურიდან. ვპასუხობდი სხაპა-სხუპით, ვინაიდან რასაც მეკითხებოდნენ, ჩემთვის იოლი აღმოჩნდა. ბოლოს თანამედროვე პოლიტიკურ საკითხებზე გადავიდნენ. ზოგზე სწორად გავეცი პასუხი, ზოგზეც ალალად ვუთხარი, არ ვიცი-მეთქი.

— ზოგიერთი საკითხი კარგად იცი, ზოგიერთი კი არა. რას მივაწეროთ ეს ამბავი?

— გასაუბრებისთვის ვემზადებოდი და გაზეთებს ალაგ-ალაგ ვკითხულობდი-მეთქი. ამაზე რატომღაც გულიანად იცინეს. უცებ ერთმა უაღრესად კეთილი სახის პროფესორმა თავაზიანად მკითხა: — ვახუშტი ბატონო, რატომ გადაწყვიტეთ მაინც და მაინც აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩაბარება ირანული ფილოლოგიის განხრით?

აქ კი თავისუფლად ამოვისუნთქე და მოვხსენი გუდას პირი. გადმოვაფრქვიე სპარსული ლიტერატურის ისეთი ცოდნა, რომ კომისიის წევრები გაოცებული თვალებით და ღიმილით შემომყურებდნენ. რომ არ შევეჩერებინეთ, ალბათ დილამდე არ დამელეოდა სათქმელი.

— კარგი, საკმარისია, — მითხრა იმ სიმპათიურმა კაცმა (რომელიც, როგორც შემდგომ გაირკვა, მსოფლიოში სახელგანთქმული თურქოლოგი ბ-ნი სერგი ჯიქია აღმოჩნდა). მანვე კომისიას განუცხადა: — ნეტავ ჩვენს დიპლომანტებს ჰქონდეთ ასეთი ცოდნა, როგორიც ამ ყმაწვილს აქვს. გილოცავთ, თქვენ ჩარიცხული ბრძანდებით.

ვახუშტი კოტეტიშვილი და თენგიზ მირზაშვილი (ჩუბჩიკა) უნივერსიტეტის ბაღში

მე წამოვდექი, კომისიას მადლობა მოვახსენე და დავემშვიდობე. მაგრამ ეს რიტუალი ისე ჩავატარე, რომ რექტორისთვის მდუმარე პროტესტის ნიშნად ერთხელაც არ შემიხედავს.

ასე და ამგვარად გავხდი თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ირანული ფილოლოგიის განყოფილების სტუდენტი.

ეს ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ ერთი უმთავრესი „გასაუბრება" ოჯახში მელოდა, ჩემიანებთან. რის ვაი-ვაგლახით ამოვღერღე: — აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩავირიცხე, სპარსული ფილოლოგიის განხრით-მეთქი.

სპარსულიო? იტკიცეს ქალებმა. ლეილა მოსაბრუნებელი გახდა. საწყალს თურმე ეგონა, რომ დავამთავრებდი თუ არა, ირანში მიკრავდნენ თავს სამუშაოდ. რის ვაი-ვაგლახით დავარწმუნეთ, რომ ირანს რუკაზე თუ ვნახავდი, თორემ იქით ვინ გამახედებდა, თანაც მამაჩემის შვილს. ლეილამ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გაიხარა, როდესაც მეორეკურსელმა ომარ ხაიამის რობაიების ჩემეული თარგმანები დავულაგე წინ.

ერთი სიტყვით, ყველაფერმა უფრო მშვიდობიანად ჩაიარა, ვიდრე ველოდი. სწავლა დაგვეწყო. კურსზე სულ 15 სტუდენტი ვიყავით, ანუ სამი ხუთ-ხუთ კაციანი ჯგუფი: სემიტოლოგიის, ირანული ფილოლოგიისა და თურქეთის ისტორიის სპეციალობებზე. სპარსულ ჯგუფში ვიყავით 2 გოგონა – სოხუმელი ლეილა ბასილაია და სენაკელი გენრიეტა რომანოვა და სამი ვაჟი: ქუთაისელი ამირან ლომთაძე და თბილისელები: ბონდო თუთარაშვილი და მე.

აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი უნივერსიტეტში ყველაზე პატარა იყო. სტუდენტები, პირველიდან მეხუთე კურსის ჩათვლით, ისე ვმეგობრობდით, როგორც ერთი ოჯახის წევრები. ხუთკაციანი ჯგუფი იმას ნიშნავდა, რომ გამორიცხული იყო, დავალება არ შეგესრულებინა და როგორღაც „გამომძვრალიყავი". ამიტომ ყველა ნიჭისა და შეძლებისდაგვარად სწავლობდა: ზოგი ძალიან კარგად, ზოგიც საშუალოდ, მაგრამ ცუდად არავინ.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო პროფესურა. ჩვენს ფაკულტეტზე მოღვაწეობდნენ მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერები: ბ-ნი გიორგი წერეთელი, ბ-ნი სერგი ჯიქია, ბ-ნი გიორგი ახვლედიანი, ქ-ნი მზია ანდრონიკაშვილი, ბ-ნი დავით კობიძე, ბ-ნი კოტე წერეთელი, ბ-ნი კოტე ფალავა, ბ-ნი ალექსი ლეკიაშვილი, ბ-ნი ლეონ მელიქსეთ-ბეგი, ბ-ნი ივანე შილაკაძე, ბ-ნი ალექსანდრე გვახარია და სხვანი... ამ ლექტორების არა მხოლოდ ლექციების სმენა, არამედ უბრალო ურთიერთობაც საოცრად ბევრის მომცემი იყო.

აქ მე უნებლიედ მაგონდება ფილოსოფოს რასელის პასუხი ჟურნალისტის შეკითხვაზე: ბ-ნო რასელ, თქვენ ისეთი საქვეყნოდ ცნობილი პროფესორები გასწავლიდნენ, რომ, ალბათ მათი წყალობით მიიღეთ ასეთი საოცარი ცოდნა?

— თქვენ მართალი ბრძანდებით, მე მართლაც დიდებული ლექტორები მიკითხავდნენ ლექციებს, მაგრამ მე ცოდნა ბიბლიოთეკებში შევიძინე უშუალოდ წიგნებიდან. ლექტორებმა კი ის მასწავლეს, თუ როგორ უნდა გიყვარდეს შენი საგანი.

ასე იყო ჩვენს ფაკულტეტზეც. ყოველი ჩვენი ლექტორი სწორედ ასეთ სიყვარულს გვინერგავდა და ჩვენც მწყურვალებივით ვეწაფებოდით მათი ცოდნის ამოუწყავ წყაროს. და არა მხოლოდ ამას. მათგან ყოველი იყო კეთილშობილების და დიდი ადამიანურობის მატარებელი. ნათელში ამყოფოს უფალმა მათი სულები. ამინ!

აქვე ისიც უნდა ვაღიარო, რომ, რასაკვირველია, უნივერსიტეტის ყველა ლექტორი ასეთი არ იყო. განსაკუთრებით პარტისტორიის, პოლიტეკონომიის და დიამატ-ისტმატის ე.წ. „წითელი პროფესურა", რომლებიც კურიოზულ კონტრასტს ქმნიდნენ ჩვენს ზემოხსენებულ ლექტორებთან. ჩვენ მათ ლექციებს, რასაკვირველია, ვაცდენდით, ამ საგნების სწავლითაც, ბუნებრივია, ტვინს არ ვიღლიდით, მაგრამ სახელობითი სტიპენდია რომ არ დაგვეკარგა, ამ საგნებშიც აუცილებლად „ფრიადი" უნდა მიგვეღო. ეს კი ჩვენგან ათასგვარ ხრიკსა და ოინბაზობას მოითხოვდა. მახსენდება ერთი კურიოზული შემთხვევა. მესამე კურსის დასასრულს ჩასაბარებელი მაქვს პოლიტეკონომია. ბოლო გამოცდაა. უსაშველოდ გაბერილ სახელმძღვანელოს რომ დავხედე, გული გამისკდა. არა და, გამოცდამდე ორი დღეა დარჩენილი. უცებ გონება გამინათდა. გამახსენდა, იმ ერთადერთ ლექციაზე, რომელსაც მე დავესწარი, ლექტორმა მიწის რენტაზე ისეთი სასოებით ილაპარაკა და ისეთი მნიშვნელობა მიანიჭა ამ ჩემთვის „ჩინურ" მოვლენას, რომ ეს ფაქტი გონებაში ღრმად ჩამებეჭდა. გადავწყვიტე ეს ერთადერთი საკითხი კარგად მესწავლა, რომ რაღაც მაინც მქონოდა სათქმელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავედი გამოცდაზე. ავიღე ბილეთი, რომლის სამივე საკითხი ჩემთვის, მართლაც ჩინურ იეროგლიფებს უდრიდა. მე, როგორც ჩანს, სახეზე ისეთი სასოწარკვეთა გამომესახა, რომ ლექტორმა ნიშნის მოგებით მკითხა: — რა იყო, კოტეტიშვილო, არ გეპიტნავა ეგ საკითხები. მე ვუპასუხე: — მართალი ბრძანდებით, ეს ისეთი უმნიშვნელო საკითხებია, რომ მათზე არც ღირს ლაპარაკი. მე ველოდი, რომ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი შემხვდებოდა, რომელზე მსჯელობას, მართლაც, ექნებოდა აზრი.

— მაინც რომელ საკითხს ისურვებდი? — ოდნავ დამცინავი ღიმილით მკითხა ლექტორმა. მე ვითომ ჩავფიქრდი და ბოლოს ამოვღერღე:

— აი, თუნდაც, მაგალითად, მიწის რენტა. ლექტორს სახე გაუნათდა და დაინტერესებულმა მითხრა: — ბრძანე ბატონო.

ბრძანეო და შევისხი ფრთები. ისეთი სხაპასხუპით ვპასუხობდი, რომ, მე მგონი, არც კი ვსუნთქავდი. ლექტორი გაოცებული შემომყურებდა და საკუთარ ყურებს არ უჯერებდა, ნუთუ ეს ის სტუდენტია, რომელიც თითქმის არცერთ ლექციას არ დასწრებიაო. რომ დავამთავრე, დაავლო ჩემს ბილეთს ხელი, გვერდზე გადადო და მოსაფიქრებელ მერხზე მსხდარ სტუდენტებს მიმართა:

— ახალგაზრდებო, აი, როგორ უნდა სწავლა. ყოჩაღ, კოტეტიშვილო, „ხუთიანს" გიწერ, შენ ეს ჭეშმარიტად დაიმსახურე. სტუდენტებს ეღიმებოდათ, იმათ კარგად იცოდნენ რა ოინიც ჩავიდინე, მაგრამ ვინ იყო ხმის ამომღები. იმ დღეს სხვა „ხუთიანი" არც დაწერილა. მე ჩემი თანაკურსელებისა მრცხვენოდა, ვებოდიშებოდი, რასაც მათი მხიარული ხორხოცი მოჰყვა. ჩემი ნახრიკალი „ხუთიანი", რასაკვირველია, იმ დღესვე „დავასველეთ" კოლას სახინკლეში.

რაც შეეხება სპეციალურ საგნებს, განსაკუთრებით სპარსულსა თუ ქართულ ენასა და ლიტერატურას, ზოგად ენათმეცნიერებასა თუ ინდო-ირანულ ენათა შედარებით გრამატიკას და სხვა ამგვარ საგნებს ისე ვსწავლობდით, რომ აუგს ვერავინ იტყოდა.

მახსოვს, ზამთრის სესიები იწყებოდა. მე ერთი სული მქონდა, გამოცდები ადრე ჩამებარებინა და ბაკურიანში წავსულიყავ სათხილამურო. მართლაც ყველა გამოცდა ჩავაბარე, სპარსული ლიტერატურის ისტორიის გარდა, რომელსაც თავად კათედრის გამგე, ბ-ნი დავით კობიძე გვიკითხავდა. პირველი კორპუსის დერეფანში რექტორის კაბინეტიდან გამობრძანებულ ბ-ნ დავითს მორიდებით ვთხოვე: შესაძლოა, ოჯახური მდგომარეობის გამო, ქალაქიდან წასვლა მომიხდეს და თუ შეიძლება, გამოცდა ადრე ჩაგაბაროთ-მეთქი.

ბ-ნმა დავითმა კეთილად გამიღიმა და მკითხა: — მატრიკული თან გაქვს? — დიახ-მეთქი.

— მომეცი! — მივეცი. გადახედა: — ყოჩაღ, ყველა გამოცდა წარმატებით ჩაგიბარებია. მეც „ფრიადს" გიწერ. — ეს ბრძანა, „ხუთიანიც" ჩაწერა და ხელიც მოაწერა. ჩათვლის წიგნაკი რომ გამომიწოდა, შევბედე: ბ-ნო დავით, მკითხეთ, რაც გნებავთ, გიპასუხებთ-მეთქი. გაეცინა: — მე ვიცი, რასაც ვაკეთებ, შენი გამოკითხვა რად მინდა, მთელი ორი სემესტრის მანძილზე ხომ ვხედავდი, რასაც აკეთებდი. ეს ნიშანი შენ ალალად დაიმსახურე.

ბ-ნი დავითის ამ ერთმა კეთილშობილურმა ჟესტმა ბევრად მეტი გააკეთა, ვიდრე ათასგვარი დიდაქტიკური შეგონება. იზამდა.

არ შემიძლია, არ გავიხსენო ერთი ფრიად უსიამოვნო შემთხვევა, რომელიც იმ დროისათვის ყოვლად მოულოდნელი შედეგით დაგვირგვინდა.

1956 წელია. დაიწყო 37 წელს რეპრესირებულთა რეაბილიტაცია. მთელი ჩვენი ოჯახი გულის ფანცქალით ველოდით ამ დღეს და აი, როგორც იქნა, მისი დადგომაც გვეღირსა. ლეილა უშიშროების კომიტეტში გამოიძახეს, რათა ოფიციალურად ეცნობებინათ ეს ამბავი და სათანადო საბუთიც გადაეცათ მამას რეაბილიტაციის შესახებ. ბუნებრივია, ლეილას მარტოს ვერ გავუშვებდი და თუ მე იმ „ქაჯეთის ციხეში" არ შემიშვებდნენ, კარებთან მაინც დაველოდებოდი, რომ აღელვებულს რაიმე არ დამართოდა.

(ირანისტები)- ირანული ფილოლოგიის კათედრის სხდომა. (მარცხნიდან მარჯვნივ) ვახუშტი კოტეტიშვილი, კოტე ფაღავა, დავით კობიძე, ალექსანდრე გვახარია და თემო გორელიშვილი

იმ დღეს, ზუსტად იმ დროს, ლეილა რომ იყო დაბარებული, მე პარტისტორიის ლექციამქონდა. ლექციის დაწყებამდე დერეფანში დავხვდი ლექტორს (რომლის სახელსა და გვარს არ ვასახელებ, ვინაიდან აღარ არის ცოცხალი და არ მინდა, მისი შთამომავლები უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო) ვთხოვე, როგორც იქნა, მამაჩემის რეაბილიტაციას ვეღირსეთ, უშიშროების კომიტეტში ვართ დაბარებულები და გთხოვთ, ლექციიდან გამათავისუფლოთ-მეთქი. რას წარმოვიდგენდი, თუ უარს მივიღებდი. — არაო, — ცივად მომიგდო მოღუშული სახით და აუდიტურიაში შევიდა.

მე მისი უარი არად ჩავაგდე და საქართველოს უშიშროების კომიტეტისკენ (ანუ „სუკისკენ") გავეშურე ლეილასთან შესახვედრად. მე, რასაკვირველია არ შემიშვეს და იძულებული ვიყავ, მოსაცდელში დავლოდებოდი ლეილას გამოსვლას. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ლეილა გამოჩნდა ფარატინა ქაღალდით ხელში, რომელიც გვამცნობდა, რომ ვახტანგ კოტეტიშვილი თურმე უკანონოდ იყო რეპრესირებული. „სუკის" გულმოდგინე მუშაკებმა მაინც ვერ გაძლეს ტყუილის გარეშე. ეს საბუთი იმასაც გვამცნობდა, რომ ვახტანგ კოტეტიშვილი გარდაიცვალა გადასახლებაში 1941 წელს ფილტვების ანთებით. ჩვენ კი უკვე ვიცოდით, რომ მამაჩვენი არსად გადაუსახლებიათ და დაჭერიდან რამდენიმე თვის ნაწამებს, მუხლებგადამტვრეულს, მაგრამ მაინც ვერგატეხილს, ტყვია დაახალეს შუბლში სოღანლუღის სასაკლაოზე.

პარტისტორიის ლექტორმა შემდეგ ლექციაზე აუდიტორიაში შემოსვლისთანავე განმიცხადა:

— კოტეტიშვილო, ლექციის უმიზეზოდ, თვითნებურად გაცდენის გამო გიკრძალავ ჩემს ლექციებზე დასწრებას.

— თქვენ უმიზეზოს ეძახით იმას, რასაც ჩვენი დაობლებული და გაწამებული ოჯახი ოცი წლის მანძილზე ელოდებოდა?

როგორც ჩანს, ჩვენი „დახვეწილი პედაგოგი" მასში მილეულმა სინდისის ქენჯნის მაგვარმა რაღაცამ შეაწუხა და ამოღერღა:

— მე ვაპირებდი, გამეშვი ლექციის დაწყების წინ.

— მე კი თქვენ სიტყვის კაცი მეგონეთ და რას წარმოვიდგენდი, თუ ორი წუთის წინ მოხლილ უარს უკან წაიღებდით. კარგად ბრძანდებოდეთ. – ვუთხარი და აუდიტორია დავტოვე და მის ლექციას აღარ გავკარებივარ. სემესტრის ბოლოს გამოცდისთვის ჯიბრზე საგანგებოდ ვისწავლე ეს შემზარავი საგანი და გავედი საპასუხოდ. იოლი ბილეთი შემხვდა. კარგად ვუპასუხე. უამრავი დამატებითი კითხვა დამისვა. ვუპასუხე. ბოლოს საიდანღაც რაღაც ჯანდაბური საკითხი გამოქექა და ნიშნის მოგებით მკითხა. – არ ვიცი-მეთქი, ვუთხარი.

— რა ვქნათ ახლა? შენ, მგონი, სახელობით სტიპენდიას იღებ. ოთხიანი რომ დაგიწერო, დაკარგავ. ამიტომ ხვალ გამოდი კიდევ.

— ხვალ ვერ გამოვალ, ვინაიდან ამაღამ ექსპედიციაში მივყავართ ბ-ნ ლეო მენაბდეს სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. და თუ ოთხიანიც არ გემეტებათ, სამიანზე ხომ მაინც გიპასუხეთ. დამიწერეთ სამიანი. – ეს იყო ჩემი პროტესტი არა მხოლოდ მის მიმართ, არამედ იმ ცრუმეცნიერების მიმართაც, რომელსაც ის მთელი სერიოზულობით ემსახურებოდა.

გაბრაზებულმა დაავლო ხელ ჩემს მატრიკულს, ჩაწიკწიკებული ხუთიანების ქვეშ ნერვიულად ჩაწერა ოთხიანი და გადმომიგდო. მე უსიტყვოდ წამოვდექი და ხაზგასმულად კმაყოფილი სახით დავტოვე აუდიტორია. დარწმუნებული ვიყავი, რომ სახელობით სტიპენდიას მომიხსნიდნენ. მაგრამ ექსპედიციიდან დაბრუნებულს ჩვენმა მაშინდელმა დეკანმა ბ-ნმა კოტე ფაღავამ მითხრა: — ვახუშტი ბატონო, მოლარემ დამირეკა, კოტეტიშვილი სად არის, სტიპენდია აქვს ასაღებიო. ავედი სალაროში და სახტად დავრჩი. სახელობითი სტიპენდია ხელუხლებელი დამხვდა. როგორც ჩანს, ჩვენი ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ არაფრად ჩააგდო კომუნისტური სისულელეების მქადაგებლისმიერი შეფასება ჩემი ცოდნისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია იმ ერთადერთი ოთხიანის გამო არ მომიხსნა და უნივერსიტეტის დასრულებამდე შემინარჩუნა.

მადლობა უფალს, რომ კომუნისტურ ეპოქაში ისეთი ხალხიც არსებობდა, როგორიც ჩვენი ფაკულტეტის პროფესურა ბრძანდებოდა. ნახევარი საუკუნის შემდეგ კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას და ღმერთს ვავედრებ მათ კეთილშობილ სულებს. ამინ!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ამირან ხაჯაჯი

სანამ ქართულ ოდებიდან

ძილ-ბურანის ნისლში თვლემდა
ველ-მინდორი, მთა-სანახი,
წაბლის ოდის გულისცემად,
ბაგუნობდა ქვასანაყი.
ქარს მიჰქონდა ქინძის სუნი,
პიტნის ქარი, ქროლვა ქონდრის
და ეუვნების ნელი ჟრუნით
ირხეოდა ბინდში ბონდი.
ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინები,
ჭრაჭუნობდნენ ნალიები
და უფოთლო ხეჭეჭურებს
ესხა ჭროლა ვარიები.
მეხვეოდა გლეხკაცივით
მოფართქალე ვაზის ლერწი,
ღამე ქართულ ეტრატივით
დაწერილი რქებით ვერძის.
და ჩურჩულებს დღესაც ჩემში
იმ ღამეთა ეშხი-მეშხი,
ადესურის შავი შხეფი
ჩუხჩუხებდა ორშიმოში.
არ მოკვდება გოდებითაც
ჩემი მინა და სანახი,
სანამ ქართულ ოდებიდან
კვლავ ბაგუნობს ქვასანაყი.

ღმერთით, საქართველო, ღმერთით!

გამოგიდარია,
ღელვა დაგცხრომია მკერდის,
კოლხეთ-იბერიავ,
ღმერთით, საქართველო,
ღმერთით!
წიგნი გიწერია,
როგორც აქამომდე წერდი,
ჩემო ივერიავ,
ცისკენ აგიპყრია კვერთხი.
გადაგიწვიმია,
შველი მოგწოლია ფერხთით,
ფერნი გიცინიან,
ღმერთით, საქართველო,
ღმერთით!

ლექსის ქვეყანა

სადმე ქვეყანა მაჩვენეთ კიდევ,
სად დაბადებას ლექსით ხვდებიან,
ლექსებით კრეფდნენ, ლექსებით მკიდნენ,
ლექსით ცოცხლობენ, ლექსით კვდებიან.
მაჩვენეთ კიდევ სადმე ქვეყანა,
ლექსებს რომ წერდნენ მთაში მწყემსებიც,
ლექსად უბნობდნენ ცაში ღმერთთანაც,
ტაძრად გალობა იყოს ლექსებით.
ბარში ატანენ ჭუკჭუკა ღვარებს,
მთაში ამოთქმულ ლექსიკაფიებს
და საფლავებზე კითხულობს მთვარე,
ლექსად დაწერილ ეპიტაფიებს.
ჩამოსდის ლექსის ტკბილი ბადაგი,
წვერწათლილ რითმებს, ბრწკიალა ბწკარებს,
ფეხქვეშ ვეფხვების ჭრელი ფარდაგით,
მზე მთიებს ღადრავს მზისფერი ბრჭყალით...
სადმე ქვეყანა მაჩვენეთ კიდევ,
სად დაბადებას ლექსით ხვდებიან,
ლექსებით კრეფდნენ, ლექსებით მკიდნენ,
ლექსით ცოცხლობენ, ლექსით კვდებიან.

ნახტომი, კიდევ ნახტომი...

გინახავს? როგორ სხლტებიან,
მთის ცივ წყაროთა ჩქერებში,
ეს ვერცხლის კალმახებია,
მზეზე უბრწყინავთ ქერეჭი.
გინახავს? თუნდაც სიზმარში,
ლომ-ვეფხვთა სრბოლა კამარით,

რა დიადია ის მარში,
რა ლამაზია ტრამალი.
ღელენი ზღვას მიერთვიან,
ლანქერს მიელტვის ლანქერი,
წვეთი კლდის თავზე წვეთია,
გადმოხტება და — ჩანჩქერი.
არცა სვლა მიყვარს ჩანჩალით,
წყალიც არ მიყვარს ნადგომი,
ყველა დამდგარი საწყალი,
ნახტომი, სულო, ნახტომი.
პირი ვიბრუნე მთისაკენ,
დიდხანს არც აქ ვარ დამდგომი,
ნახტომი სიკეთისაკენ,
ნახტომი, კიდევ ნახტომი.

ვიცი

ბევრჯერ ჩავიცვი ხამლი კანჯარის,
სამოგზაურო გავთალე ჯოხი,
გზას გავუყევი სულის ზანზარით,
ფეხქვეშ ბილიკთა გავთელე ნოხი.
ისე, ვით ზღაპრის მზეთუნახავი,
ქორწილის ღამით გამოპარული,
იდგა ქალაქი მზით და კარავით,
სახეზე თეთრი ფერუმარილით...
ვიცი, ქალაქო, დაცხრილულ მკერდზე,
ვით ძელზე გაგსვეს ერთხელ ოსმალის,
აგიყვავდება ცივი ქვის ფერდზე,
ჩემი სახელი სამი ლურსმანით.
რადგან არ მქონდა ბინა-სახლი და...
მარტო ვიყავი მიუსაფარი,
მე საშინელი ამ სიცხადიდან,
ქარებს გავყევი ქართულ ზღაპარში...
იყო მდევარი, იუდას ვერცხლით,
წინ კი სივრცე და თეთრი ტრამალი...
და იღლიის ქვეშ ბრიალა ლექსი,
მიჩანდა, როგორც ჭრელი მამალი.

წვიმები — ძახილის ნიშნებით!!!

ამოუხსნელი იეროგლიფებით,
ვით მოჩურჩულე ნეფერტიტები,
მეფერებიან გრილი წვიმები,
ვარდის ფერებში ნაფერ თითებით.
ელვით ირთვება ზეცის თავანი,
ბაგე გაიხსნა ზღაპრულ მარჯანთა,
იყო მიწაზე ღამის თევანი,
მაგრამ სამყაროს კიდე არ ჩანდა.
მიაქვთ სამუმებს ველთა ქვიშანი,
ქრიან ქარები თავაწყვეტილი,
წვიმა ძახილის არის ნიშანი!
წვიმა — სამყაროს მრავალწერტილი...
სავსე ვარ სევდით გალაქტიკების,
გზები — ანბანთა იეროგლიფებით
და შორეული გრილი წვიმები,
მეფერებიან თბილი თითებით.
ოკეანეთა მწვანე ჯეჯილი,
ქარჩავარდნილი ღელვა ქათიბის
და ითიბება ელვით ცელილი,
ლურჯი ტალღების ჭრელი სათიბი...
ამოუხსნელი იეროგლიფებით,
ვით მოჩურჩულე ნეფერტიტები,
მეფერებიან გრილი წვიმები,
ვარდის ფერებში ნაფერ თითებით...

როდის

როცა კოლხობდა კოლხეთი,
როს ფალავნობდა ივერი,
როდის ყოფილა ქართველი,
საქართველოზე ძლიერი.
ჩამომასწავლე რაც გინდა,
მაღალი, ზეცისმიერი,
როდის ყოფილა ქართველი
საქართველოზე ხნიერი.
ჩამოდი, ჩამომესვეტე,
თავზე დამადექ ნათელით,
საქართველოა პირველი,
მერმინდელია ქართველი.
მადინე სისხლი თქრიალა,
შემომაწივლე მათრახი,
ჩვენ შენგან გადმოვაბიჯეთ,
შენი აკვნით და არტახით...
მოაქვს მშობლიურ ღელეებს,
ალვის ხის ჩამონათალი...
მოაქვს მშობლიურ ღელეებს,
ალვის ხის ჩამონათალი...
ჯერ არ გვყოლია ქართველი,
საქართველოზე მართალი.

ბანას ტაძარი

ბანთა ბანო, სარკმელ-ბანავ,
ზეცისკენ ვინ აღგიტანა,
იქნებ ხელმა ლაზისამან,
იქნებ აჭარელმა, განა...
ვინ გიმღერა ნანი-ნანა,
ვინ გიცეკვა განდაგანა,
ბალავარს ვინ ჩაგეტანა,
იქნებ აჭარელი, განა...
ვისმა ზარმა მოგიბანა,
პარხალმა თუ დოლისყანამ,
თუ ხახულმა ტყუპისცალმან,
ან თუ ომკმა შენმა დამან...
ვინ მოგხატა თავიდანა,
ვინ დაგწერა ანა-ბანა,
ან ვინ დაგცა გულში დანა,
ან ჭრილობა ვინ მოგბანა...
ვერცა რამე დამიბარა,
ვერცა ზარი მომიბანა,
მხარზე წვეთი დამენამა,
თაღიდან თუ თვალიდანა...



ზვიად ყვარელიძე

წინათ, ახლა და მეხე

ეს გზა მიყვარს. ერთბაშად გვერდს შევაქცევ ქალაქში ტბორილ უსახურობას, ბაზრიდან ამოზიდულ აურზაურს და, ნაცნობ სავალს შევუდგები.

განაპირა ეთქმის, თორემ აქაც ის პროვინციული სიო ქრის, რაც ყველგან პერიფერიაში შეინიშნება შეუიარაღებელი თვალითა და კულტურულ-საგანმანათლებლო თვალსაზრისით.

აქ იწყება სოხუმისკენ გამიზნული რკინიგზის ტკეცილი, გაცვეთილია და უხმარი, მიწას შეზრდია, ღორღს დაუფარავს და ჟანგი შესჭამს სადაცაა. გადააბიჯო უნდა.

საერთოდ, ძნელია გიყვარდეს სიტყვა „ხსოვნა", რომელიც ტოლერანტობასაა მოკლებული და სააქაოში დარჩენილთ ბევრად უკეთეს მდგომარეობაში სახავს, ვიდრე იმქვეყნად გაბიჯებულ ადამიშვილებს. „ასე და ისე, ამისი და იმის ხსოვნა იყოსო", რომ იტყვიან საგანგებოდ საეგებიო სუფრაზე, გაუცნობიერებლად იგულისხმება ცოცხალთა მეტობა გარდაცვლილებთან შედარებით... ამიტომ, ქართველისთვის შეურაცხყოფაზე არანაკლებია, როცა ხსოვნის პარაგრაფში არსებულ ურიცხვ ქვეთავებს სოხუმის სახელიც დაერთობა სადმე.

ხსოვნის ხსენება არც თათა ბებოს უყვარს. გაცისკროვნებული ღიმილით შემომეგება კარებში და ჩამიხუტა. „ციოს დავუძახებო ახლავე", დამსვა მისაღებში და ფეხაკრეფით გაიცეცა სადღაც.

თათა ბებო სულ ძაძებში მახსოვს, იმ დროიდანაც კი, როცა არც ციო ვიცოდი და მათთან სიარულს არ ვიყავი დაჩვეული.

ყველას არ უხდება პროტესტი. ზოგს ყალბი გამოსდის და საარვისო ქცევებით ათამაშებული, ტრაგიკულობას იბრალებს აშკარად. სახეზე დადენილი მწუხარება მისი ჭირის მოზიარედ კი არ გხდის, კიდევ უფრო გარწმუნებს მოყვასისადმი უნდობლობაში, რომ თამაშია ეს ცხოვრება, თამაშია და ვინც უკეთ გაირჯება, მას შეარქმევენ სვიანსა და ბედნიერს.

„ჩემი ბედნიერება იმ დღეს მორჩა... მაშინ, ჩემო ზვიად", — მის სმენაში ვარ გაფაციცებული, დინჯი, აწონილი საუბარი იცის, მისხით მისხითამდე მოედება, ერიდება გადაკვრებს, სიტყვის ღიაობა ურჩევნია. „ის იყო ჩემი ბედნიერება, ჩემი სიხარული, ჩემი გათენება, ის, რასაც ცხოვრების აზრს ვეძახით ჩვენში და შვილი ჰქვია..."

თეოზი კინოთეატრ „საქართველოს" წინმოკლეს ავაზაკებმა, უფრო სწორად, ერთმა იმათგანმა, ცოდვის მრავალძარღვათი რომ ჰქონდა სული გადასერილი, სასიკვდილო ტყვია სცა კისრის არტერიაში და დედის თვალწინ მოაკვდინა მოყმე.

ეს ტრაგედია ყველას გულს მოივლის მერე, ყველა ქართველის გულიშინამოს მოედება სევდა სისხლის ხსენებაზე და სულში დარდი შეეხიწვება.

მრავალთათვის ნაუბარს თათა ბებო ახლა მე მიხელახლებს, სიდინჯეს არც აქ უმტყუნია, ვატყობ, მხოლოდ ცრემლი თუ მოერევა, თვალი აუწყლიანდება, ჩემს სტუმრიანობას მოიმიზეზებს, ყავა (ან ჩაი) და ტკბილეული მოიძიოს სამზარეულოში, რითიმე გამიმასპინძლდეს... ამასობაში კი დარდს გაიქარვებს, ცრემლს შეეშვება, გაიერთბაშებს გულის ტაძრულობას...

*

სულ ასე ხდება: „ჰაე" შემოიხედავს დიდრონი, გადაყვლეფილი თვალებით ჩვენს ცხოვრებაში და პასუხს დაელოდება კითხვაზე:

„ვისი სული გსურს!?"

გვარს არა დავასახელებ თავიდან, ერთი მეცნიერია ჩვენში, ყველაფროლოგი, ბევრისმცოდნეობას იჩემებს და ცა და მიწის საიდუმლოთ შემტყობად მოაქვს თავი. ლინგვისტიკაა, ისტორიკოსი, არქეოლოგი, პალეონტოლოგი, ეპიგრაფიკოსიც, ეთნოგრაფი, ლიტერატორი, ჟურნალისტი, მეპასკვილეც — რა აღარ — ყოველ საგანზედ თავისი წარმოდგენა გააჩნია.

ჰოდა, ეს პატიოსანი გვამი (ბარემ, რადგან პატიოსნებაზე მიდგა საქმე, ისიც დავსძინოთ, რომ პოლიტიკურ სცენაზეც მრავალჯერ გაუტანია თავისი შინაგან-პირადი, მაგრამ სულ წარუმატებლად, ერთხელაც არ ენდო ამომრჩეველი და მარადმწვანეობის ცუდ განსახებად მოიაზრება დღემდე) ამ ბოლო დროს, სასაფლაოებსაც შეეჩვია.

სიძველეთა სიყვარული ადრეც მოსდგამდა. ვერ დაძალავ — დიდი ცნობისწადილითა და შრომისმოყვარეობით უფურცლია არქივსა და წიგნსაცავებში გაცრეცილი ქაღალდები, ცალ ხელში კალმი, მეორეში — ქაღალდი ჰქონია მომარჯვებული და ხელდაკაპიწებული იწერდა საარაკო ამბებს, ფაქტებს, აღრიცხავდა მოვლენებს, მაგრამ თავისი ჩურჩუტა და ქარაფშუტული ხასიათის გამო, ისევ ჩრდილში რჩებოდა.

იმედგაცრუებას იყო დაჩვეული, თითქო ხელმოცარვას დაევაჟკაცებინა, სასომიხდაში გაჭაღარავებულიყო, ჭაბუკური სურვილი კი მაინც არ ანებებდა, ყველაფერში ეცადა ხელი, არაფერი გამორჩენოდა.

ეს ეპიტაფიები არ დასცალდა. ამასაც გადასწვდა ახლა და ხელჯოხიანი მომაღლებულ ადგილებსა და ეკლესიის შემოგარენში დაეცეცება. ფეხს ქუსლგავარდნილი ხამლი უმშვენებს, პერანგიც განგებ გაუღელია, ბოჰემური მეცნიერის კულტს თუ ნერგავს, ალბათ; სმა დიახაც უყვარს, მაგრამ ბევრს ვერ სწვდება, სათავეშივე მოეძალება თრობა და ბილწსიტყვაობის გუნებაზე აყენებს.

ეგეც თავისებური კოლორიტია.

— მშვიდობა შენდა, ჩემო აბელ, — გამოეგებება მოძღვარი ღიმილით, ეს არ აცლის მისალმებას, ფერხთით დაუვარდება:

— დამლოცე, მამაო.

— ნამეტანი ხშირადა გვაქვს თქვენი ნახვის ბედნიერება, ჩემო აბელ, — მოსვლის მიზეზზე ჩაეძიება დეკანოზი, როცა კი მის კაბას გამოდებული არსება იგუმანებს წამოდგომას, — ახალს ხომ არ გვიმზადებთ რამეს?

ქალაქში ყველას სმენია აბელ ლაშაურის საზოგადო ინტრიგნობისა და ქვებუდანურ ქსელთა ხლართვის შესახებ. ლეგენდასავით დააქვთ და ბალღებს ძილის წინ უყვებიან მისი გაუთავებელი პოლემიკების ამბავს, რომელიც თავიდან მეცნიერულ საწყისზე ამოიზდება, მერე შეიძენს ზნეობრივ და პიროვნულ ჰიპოსტასებს და ბოლოს რელიგიურ-სამართლებრივი მსჯავრით გვირგვინდება, როგორც სჩვევია.

— ეპიტაფიებს ვეძებ, მამაო, — და მოძღვარს ნელ-ნელა, შეპარვით გაუმხელს თავისი მიზნის სიდიადეს, — მინდა შევკრიბო, სათითაოდ გამოვაქვეყნო და კონკურსის წესით გამოვავლინო საუკეთესო საუკეთესოთა შორის.

— ძნელი საქმე გიკისრია, აბელ.

— მეცნიერება მოითხოვს ჩემგან, მამაო, მეცნიერება! მეცნიერის პორტფელი ყველა ტვირთზე ძნელი საზიდარია. მაგრამ რას ვიზამთ, უნდა გავიჭირვო, წელებზე ფეხი ვაყენო და ბოლო ვუჩინო ამ საქმეს. თუ ხარ ხარი, უნდა მოხნა!..

— თუ არადა, უნდა მოკვდე! მოკვდი ხარად! — მღვდელმა დააბოლოვა საზოგადო პირისაგან ამოთქმული სენტენცია „ღმერთმა ხელი მოგიმართოთ“, პირჯვარი გადასახა აბელს და კარგად შენახული კოპწია მანქანისკენ გაეშურა ჩქარი ნაბიჯით.

ბოლომდე ხარად სიცოცხლე, აბელს კი არა, ბარე ოცი მისოდენა ნიჭის, ქველობისა და უნარიანობის ბიჭებს უჭირდათ უწინაც და ახლაც. ხან სად უმუხთლებდათ ბედი, ხან სად გამოერეოდათ ხარვეზი, მიწყივ მიწოლას ვერ უძლებდნენ, რქებით დაენარცხებოდნენ ცხოვრების შუკაშარაზე, ერთი ნაქცევით ჯვარს დაასვამდნენ მთელ ჩავლილს, შემონაქმედს, ნაშრომნადაგ-ნაჭირნახულევს და მკვიდრდებოდნენ, ვითარცა სიძველენი.

*

ერთი ძველისძველი ამბავი უნდა გამცნოთ, სხვანაირად არ ეგების და სხვა ჩარას არც დამანებებს ნება, ჩემი გულის საკუთარი ტიპიკონი.

ჩვენი ქვეყანა რომ მისნებისა და ჯადოსნების თავშესაფარი ყოფილა, სხვისგან არ გვესწავლება, ოდითგანვე ვიცით. ამიტომ არის ასე რაგინდარად მიმოპნეული ათასი წამლობა, კურნებისა და რიგი მისთანების წესი და განგება გაცხადებული, არც ძველ კარაბადინებში ჩხრეკა-ხეტიალი გიხდება და აღარც ბევრჯიბევრხელ გადიგადმოფურცლულ ეტრატების შლა. როგორც საქმეში ჩახედული მაძებრები იტყვიან, ზედ გულისპირზეა ყველაფერი — ერთი გადაყრუებული დედაბრის ადევნება გყოფნის. აეკიდები კუდში თვალთვალ-ხეტიალად და ისიც სულ ზუთხვა-ზუთხვით გასწავლის ჩხიბვა-ქარჩხვაში გამეცადინებას. დაგზარდება გგონია? უფრო დაგიბეჯითებს, თუ შეეხვეწები.

ძველებთან ჭრის თხოვნა და ღიჭინი. თავისთავში რწმენა ემატებათ და თქმით კი მთელი ქვეყნის სალაპარაკოს არ დაირჩენენ ენაზე.

მიდ-მოდება და ლათაიები ხომ სულ მათი მოგონილია, იყოდაარაიყორასავით აწყობილი სიტყვების იწილობიწილო. არც იმას დატოვებენ სარკვევად, რომ ერთი ჩვენებური წესმისნობისდა თანახმად, საზარი და საშინელი სიტყვის შესარბილებლად, მისი სხვით შენაცვლება იცოდნენ ბრძენმა ოქროპირებმა.

ჯერ ულერადობას გამოუნგრევდნენ ძირფესვიანად, ერთმანეთზე ახოხოლავებული თანხმოვნების წყებას დამარხავდნენ დავიწყებისურ სარკოფაგში, მის ადგილას სახელდახელო, ჯებირ ხმოვნებს წამომართავდნენ.

რაკი ულერადობას ჩამოიშორებდნენ, ჩამოეხსნებოდნენაც ერთიხანობა, სიტყვის აზრსა და გაგებაზე მივიდოდა მათი თვალჭვრეტა.

ასე იქცეოდა ყველა საზარელი სიტყვა უწყინრად... ასე იქცა ყველაზე დამთრგუნველი და თავზარდამცემი „სიკვდილი" „ჰაედ", როგორც ბოლოს, მისრულის, მიწურვილის აღმნიშვნელი.

სიკვდილი ხომ მწუხრია და რაღაცის დასასრული, დასალიერი სამუდმივ ფორიაქშემდგარი სიცოცხლისა, როცა გულის ერთი მხარე სიყვარულს გავალებს, მეორე სიძულვილით ხაციცდება, ნაოჭდება ცოდვით;

როცა გულის ერთი მხარე ღვთისკენგახედებს, მეორე გეუბნება, — არ მოიშალო ბოროტის დოინჯი;

როცა გულის მარჯვენა მხარე თეთრად გიფერადებს გავლილ თუ გასავალ დროისმანძილს (წარსული, ანმყო, მომავალი), გულის მარცხენას შავი ფერწერა აუღია.

დგახარ ამღვრეული და უბედური. სიკვდილს ელოდები. „ჰაეს" დანატრებულობა ჰქვია ამას, ან ჰაერში ყოფნის ოცნება, ანდა „ჰაედ" მიქცევის აუტანელი სურვილი. ერთდროულად შეგესევა ბრაზი და მრისხანება, წყვილად — ბოროტება და ჯავრი, ცალკე — ტკივილები წამოგენთება, იქით — ძველის, ნამყოდ გასხვისებულის მონატრება წამოგივლის, აქეთკენ — იარებიც არ დაგაკლებენ ხელს.

ასე იცის ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, სიცოცხლიდან განაპირებისას, შიშველი ძვლებითა და სულის დანგრეული შენობით რომ წარდგები საკუთარი თავის წინაშე და აქამდე და ასე მოსულობას გადაისინჯავ — რისთვის გიცხოვრია, სად გივლია ხიფათით და სად — უფათერაკოდ, სად იყავი მართალი და სად გამოჩნდა შენი გულის სიდედლე.

„ჰაე" კი ჭიშკართანაა, დამთრგუნველი და შემზარავი სიკვდილი, ისეთივე მღვრიე, როგორც მთვრალი კინტოს თვალები, მწუთხე ისეთი, უდაბნოში მზე როა, და ზოგჯერ ისეთი სანატრელი, როგორც ძეწნის ჩანგზე დამღერებული დედაშვილობა.

*

„ჰაეს" მოახლოვება, ანუ სიკვდილის პირისპირ დგომა დაბადების თვალახელიდან იწყება და ხიფათის ტეხილებად გასდევს მთელ ცხოვრებას. ადამიანი თავდაცვისათვის ხშირად იყენებს ბედისწერისაგან შემოთავაზებულ წინსართებს:

„კინაღამ" (კინაღამ მივიცვალე მისი ულონობის შემხედვარე, უფალს სული მიაბარა კინაღამ დამთხვეულის ერთმა).

და „რომ", რომელსაც ემატება უარყოფით ფორმაში შესაბამისი ზმნა (ის რომ არა, არ ვიქნებოდი ამქვეყნისა).

თავდაცვის ზღუდეთა გასანგრევად და „რომ" და „კინაღამ" წინსართების მოშლისათვის, „ჰაე", ყოველი ხიფათის კვალად, შეამზადებს მეძუძურ ჭეშმარიტებას, სახელად — ტკივილი.

ბედნიერებაა, როცა არ გტკივა. თავშეხვეული და გახსნილ ჭრილობაზე დრენაჟის მილაკდაფენილი ვწევარ პირაღმა ძველ, დაობებულ პალატაში, მზერით კედელს მიშტერებული. ჭერიდან ბათქაში და საღებავი ჩამოფხეკილა, ძნელბედობასა და უჟამობას ოფლისა და შარდის სუნი დაუყენებია და შეჭირვებამდე ხარ მისული.

რადგან სიკვდილით ოტებულმა წინსართებმა ვერაფერი გიშველეს — მრუდე გზატკეცილზე სიბნელისა და უყურადღებობის დახმარებით „ჰაემ" პირველი ტურის გამარჯვება მიითვალა — ბედისწერას შემოჰყავს გადარჩენის სამედიცინო საშუალებები: აუცილებელი მედიკამენტები, გადაუდებელი ოპერაცია, სისხლის გადასხმა და იძულებითი თერაპია ნემსით ვენასა და კუნთებში.

აქ უკვე ექიმები დაფაცურდებიან. თეთრი ხალათების მცხუნვარება აირევა ერთმანეთში, იქნებ ამ ერთადერთხელ შეძლონ „ჰაედ" განზრახული სიცოცხლის გამოხსნა, ამქვეყნისად მობრუნება, შველა.

— ნუ გეშინია, გადარჩენილი ხარ! — ყრუდ ჩამესმის ვიღაცის გახარებული ხმა და ვიდრე ნარკოზი აზრად მოსვლას დამანებებდეს, თვითონ, მე თვითონ, ჩემით გავახელ ორსავე თვალს და უსათუოდ უნდა ვიკითხო: „სადა ვარ?" და ზღაპრიდან დახსომებული ფრაზითაც გავაცინო მომხვდურები: „ეს რამდენ ხანს მძინებია".

საოპერაციო მაგიდაზე, მახსოვს, კი არ ვიწექი, ვკანკალებდი უფრო ჭერში ყურება ხომ ნესად დამჩემდა. დიდის, გრანდიოზულისკენ მიმართებამ იცისო, იტყვიან. არის ჩემში რაღაც განსაკუთრებული! თუნდაც ახლა, თუნდაც შიში, შიში — სხვა ასეთი, არ განმიცდია.

ექთანი თავს გამისწორებს ბალიშზე, ვენაში კათეტერს შეიყვანენ და ანესთეზიოლოგი ნარკოზის რაშებს გამოუშვებს თავლიდან. წვეთავს სითხე და ტვინში იზრდება სითბო, იღვიძებენ ძილის უჯრედები, გუგა გითეთრდება და თითქო სიბნელის ფარდა ჩამოგაფარესო, სამყაროს ეთიშები.

— ნუ გეშინია, გადარჩენილი ხარ! — ისევ ის ხმაა, ნაცნობი, ქვეშეგნებაში რომ გწვდება და სანამ გაბრუება აზრად მოსვლას დაგანებებდეს, კიდურებს ამოზიდავ საბნიდან, თვალისშუქზე გასასინჯად.

არა, მთელი და უვნებელია ყველაფერი! თითებს ხელახლა გაეცნობი, მუშტად მოიქცევ, ხელის ხაზებს დააშტერდები.

ნამდვილად შენია. აგერ ნაწვალები ფრჩხი-

ლები და ცამდის მართალი ნუნა. აქ კი ბედისწერა ახალი ზმნის შემოყვანას შეეცდება და ნარკოზის ბურანიდან თავდაღწეულს თხოვნით გათქმევინებს:

— მშია! მწყურია!

*

ზვიად, გეშიება, შვილო, — უცებ, რომ არ ელი ისე დაფაცურდება თათა ბებო, ციოსაც შეუძახებს, აახლებს ტუქსვა-საყვედურს. ჩვენებური ღომი, კარგად შეკმაზული ლობიო და შებოლილი ყველი დანაყრების საღერღელს განსაკუთრებით ზამთარში აგიშლიან, ჭამას მიეძალები. ციო ყავას მოადუღებს, სავარძელზე მიცუცქდება (თუ მიცუცქება ჰქვია) და ნებიერ წრუპვას მოჰყვება.

თათა ბებოს სურვილს მივუხვდები და ღვინოს ჩამოვასხამ. ქართული ვაზის მადლი იღვენთება. სანამ ჭიქა აიწეოდეს, სიტყვა მოიტანს და იმ ეროვნულ სირცხვილზე აიგება სათქმელი, რომელიც არა მარტო მავანთ აწევთ ცოდვად კისერზე. მონანიება არ არის წამალი. მონანიებით გაფუჭებულს ან ცუდად ჩადენილს არ ეშველება.

თათა ბებოს ტკივილსაც არ ეშველება მკვლელის დასჯით და მისი უღირსი ქცევის შენანებით. ტკივილმა დათქვა დრო და თავი მარადისობისთვის განაყენა.

— ჩვენი მშვიდობისა იყოს, — თათა ბებოს სულ ოდნავ უცახცახებს ჭიქამომარჯვებული მარჯვენა ხელი, თვალებში სევდისმაგვარი შუქი გაუკრთება, — ღმერთს დიდება და ჩვენ მშვიდობაო, იტყვის უწყვეტ ომსა და რკინებას შეჩვეული ქართველი კაცი, მშვიდ ცხოვრებას დანატრებული; ჩვენში უსსოვარი დროიდან შეგუებულნი იყვნენ საწუთროს ორომტრიალში ყოფნას, განგაშისა და ზედახორისთვის ყური ჰქონდათ მიგდებული და დაღუპვაც არ ეგონათ განგების სასჯელი, უფრო კანონზომიერ ხვედრად წარმოედგინათ. იღუპებოდნენ მშვიდ ხარ-გუთანს, ყალამ-საჭრეთელს დანატრებულნი და ბედს არ უჩიოდნენ, ვინ იცის, იქნებ სიკვდილის მერე მაინც ღირსებოდნენ ნანატრ მშვიდობას, იქ მაინც აღარ ჰქონოდათ საომარი და თავშისაცემი.

ახლა თავიდან დატრიალდება სიუჟეტი, გაგისაკუთრდება მოყმის ხვედრი, მისთვის დამიზნებული ტყვია, რათა შენ თვითონ განიცადო „ჰაეს“ პირისპირ დგომა და შეუმკრთალი ელოდო სიკვდილს.

— ეს ერთადერთი მყავს და ნუ მომიკლავთო, — ყველა დედა ისედაც ერთნაირია, ერთნაირად გადაგებული შვილიც სიცოცხლეზე, თავგანწირული, — ეს ერთი მყავს და ნუ მომიკლავთ, მე მომკალით, მე მესროლეთო!

შვილიც ყველა ერთნაირია, თუ დედის ცრემლიან თვალებს და მისთვის მოღერებულ საფრთხეს შეეყრება.

— ოღონდ დედაჩემს არა, ეს დედა მყავს ერთადერთი და საფიცარი სიწმინდე და მას ნუ შეეხებით, მე მესროლეთ, მე მომკალით!

მკვლელი თხოვნას არ ეპუება და ჯიუტად შესდგომია „ნაკისრი ვალდებულების“ აღსრულებას... მკვლელისთვის სისხლია ყველაფერზე მთავარი, როგორც ნადირისათვის მსხვერპლის სხეულზე გახსნილი იარა.

მაშინ სიკვდილი შემოიყვანს მისეულ სიტყვათშეხამებას: „სასიკვდილო ჭრილობა“, რომელიც ცოტა ხანში „საბედისწეროდაც“ იქცევა.

ჯერ არტერიიდან უნდა იფეთქოს სისხლმა და ვიდრე განუკითხაობაში დაუცველ დედაზე ფიქრი ჩაგრჩებოდეს, ხელსაც აფარებ დაკოდილ ადგილს. ეს ინსტინქტია, ადამიანური ჩვევა, „ჰაეს“ რომ ბოლომდე არ ეპუები და სიკვდილისაგან თავის გამოხსნას ცდილობ, ვიდრე სიბნელის ფარდა ჩამოგფარებია.

*

ღამით უკუნის ფარდა ჩამოეფარება ქვეყანას, ქარი მწვერვალიდან ნისლს წამოჰკრეფს, წამოხვეტავს — ქალაქი ყიამეთში გაისუდრება.

ეტყობა, მართალია ძველების შეგონება, ღამით იღვიძებენ საფლავები. მკვდრები დგებიან და ეცნაურებიან ერთმანეთს:

„გადამდები ხარ. სიშორე იმისთვისაა, მონატრებამ გაიზაფხულოს გულში, გაიფურჩქნოს მონატრება, დაასკდეს კვირტები და გამოსცადოს სიცოცხლის უნარი გაძლებისა და ისევ ყოფნისა, სიყვარული გამოაწრთოს, მრავალი ვიშისა და ვაგლახის საპირწონედ რომ გვიბოძა უფალმა...“

ზოგი დიდი ხნის ნაცნობია. ღამით სხდებიან და სააქაო ამბებს არჩევენ საფიხვნოზე. გუშინწინის დებატი გუშინისაც გადმოსწვდა, რადგან ბევრი ურთიერთგამომრიცხველი აზრი დაიბადა კითხვაზე, „სამშობლო თუ ჭეშმარიტება?“ კამათში ჩაერთვნენ ღრმადპატივცემულნი გვამნი და მათი შეხედულების უარყოფა უბრალოდ უაზნო კაცთ ფრიად გაუჭირდათ. საქმეს საჩხუბარი პირი უჩანდა, რომ არა, ხურო ტარიელის სევდანარევი რეპლიკა:

— თქვენ დიდად საზოგადო ამბებზე მსჯელობთ, ბატონო ჩემო, უხვი დარიგებებით გვათბობენ თქვენ ბაგეთაგან მომდინარე სიტყვები, მაგრამ მთავარი გვავიწყდება ასე მგონია: შიგნით, ოჯახში, ჩვენ გარშემო გახრწნილ ნაგავს ვერ ვხედავთ და სხვის ბაღჩაში ვსაქმიანობთ სულით და გულით, უდარდელად.

პროფესორები გაისუსნენ, გაკვირვებისგან დააღეს პირი.

— უკვე რაოდენი ხანია, სასაფლაოზე ერთი კაცი დანანწალებს. ხელი ჩანთით დაუმძიმებია, ტილო-მჩვარით მიეჭრება საფლავის ქვებს, ასუფთავებს და ქაღალდზე რაღაცას ინიშნავს. არა ჩანს სანდო...

— რატომ, ჰაბიტუსი არ მოგწონს თუ რა, — საკრალური სარკაზმით ჩაეკითხება ერთი განმანათლებელთაგანი, ულვაშში ჩაიცინებს.

— არა, ხომ იცით, კაცი სახით რომ არ ბრწყინავს, მოქცევაც არ უვარგა, გავლა-გამოვლა, მეტი მისი ცოლი მე არა ვარ...

— რაო, რა მინდაო, იმან?

— ისტორიკოსი ვაარო, ეპიგრაფიკის დარგით. ჩემს სპეციალობაში ხარისხის დაცვას ვაპირებო.

— მერე სასაფლაო ნახა სადისერტაციო საბჭო იმ მამაშეჩვენებულმა? — გაოჩნდება პროფესორი, ამჯერად სამედიცინო პროფილისა, წარბებს აიკრეფს, მხეცი გეგონება.

— ეპიტაფიებს აგროვებს, ბატონი. იწერს სათითაოდ, მისი დაბეჭდვაც მოუწადინებია მომავლისთვის.

მიცვალებულები ერთმანეთს გადახედავენ. მათ თვალებში შეკრთომა ილანდება. რას გაუგებ, როდის გაიღიმებენ, როდის დაეცემათ თავზარი. დადარაჯებული უნდა იყო, უცებ არ შემოგწყრენ და „ჰაეთი“ არ გააუფასურონ სიცოცხლე.

— რაღაზედ დაცუხცუხებს აქ, სხვა ადგილი ვერ იპოვა? რაღა ჩვენს ეპიტაფიებს დაერია. მერე რა, რომ ძველია და გამოკვეთილადაც არა ჩანს, ამისთანა სალახანებისთვის კი არ მემეტება!..

— მე ჩემმა მჯობნზე უმჯობესმა ქალმა დამიგრევა ეს წარწერა, ხედავ რა პოჩერიკია, მოდური წერილობა და აზრი დევს შიგ, ვინმემ თუ გაბედა და ხელი ახლო, მაგრა დაერხევა.

— ნაეთრეს თავის მტვრიან პორტფელიანა. ეს პირველი და უკანასკნელი საჩუქარი მაქვს ჩემი ოჯახისგან, მეტს ვერაფერს ველირსე ნახევარი საუკუნე მუქთახორა შვილების შემხედვარემ და ეგეც არ დამირჩინოს! არა, ბატონო! მიწაზე არ მასვენებდით და აქ მაინც შემიცოდეთ, ლამაზად სულშეკურთხულ-დაგვირისტებული გამიშვით აქაობიდან, ეს კინკილა ეპიტაფია დამიტოვეთ საიქიო საგზლად და იმედად, რომ ზოგჯერ მკვდარიც არ არის მკვდარი...

*

— ბოლო ჭიქა, ჩემო აბელ, სულ ბოლო და მერე საითაც გინდა წასულხარ უფლის წყალობით, — შეევედრა მოძღვარი გზად გახაზირებულ აბელ ლაშაურს და პირთამდე შევსებული ფიალა შეაჩეჩა ხელში.

გვარიანად გამომთვრალიყო. წიგნებითა და ხელნაწერებით ჩახერგილი პორტფელი მიუხუტებია მკერდზე.

— რაღა დაგვრჩა მეტი.?! მშვიდობისაო, პურიარსობისა, ოჯახიშვილობისა, სამშობლოს, პატრიარქის, მიცვალებულთა...

— ჰო, გამოგვრჩენია, გამოგვრჩენია, მამაო, — მეცნიერმა სიხარულისად დააბაკუნა ფეხები ხის იატაკზე და წვერზე ჩამოისვა უსაქმოდ დატოვებული ნეკათითი.

— საფლავის ქვაზე, თუ კარგად დააკვირდებით, ერთ საოცარ რამეს შენიშნავთ, მამაო. თავიდან დიდი ისეთი არაფერი, უბრალო წარწერაა: „შოთა აბიბოს ძე მაისურაძე, 1920-1984“. სახელი, გვარი, მამის სახელი, როგორც პირადობის ნიშანი და აუცილებელი მოწმობა, ადამიანი პიროვნებად ვიცნოთ. შემდეგ მოდის დაბადების თარიღი და ბოლოს გარდაცვალების დრო.

...მაგრამ მათ შორის მოქცეულია ის, რაც ჩვენ ასე გვაღელვებს და რაც ასერიგად გვაფორიაქებს — ტირე!

— ტირე?!

— ცალკე ტირე არარაობაა, მამაო, მაგრამ ტირე, ორ, შობისა და მიცვალების თარიღს შუა მოქცეული, არის ცხოვრება, მთელი ცხოვრება, ჩვენი აქაყოფნის წუთისოფელი. გაძლებისა იყოს!

*

აღმართს აუყვება. ღვინომ დაამძიმა გზა, დათენთა, უჭირს სიარული, ეს ხურჯინივით პორტფელიც სამტროდ გადაჰკიდებია, ლამის გაწყვიტოს წელში. არადა, შვილივით უყვარს. უწინამც თავს შეელევა. ყველაფერს, რაც ხელს ნამოჰყვება, შიგა ჰყრის. საღამოთი, შინ მიღწეული აცარიელებს ნამთელდღიურობას და გულდასმით აკვირდება, ვინ იყო წინათ, რა ჰქვია ახლა და რა იქნება მერე...

ზურგში ატანს მეზობლებისა და მილეთი ხალხის ალანძული, დამცინავი გამოხედვა, საშარო განხილვის ცდები. ამადაც შეზიზღდა სიცოცხლე და გულისკუნჭულში სასაფლაოზე წრიალი უფრო უხარია, ვიდრე მეცნიერის ნოდება და პენიან საზოგადოებაში ყოფნა.

აი, მეც მოვედიო, რიხინად შემოაღებს კარიბჭეს. შეუყვარდა აქაურობა, სულზე უტკბესი გაუხდა.

„ჰაიტ, მანდ რომელი ხარ, რომ მემალებიო“, შევარდება საუკუნო ნაკრძალში, „მოოდი, ჩემო სევერიან, ჩემო მეგობარო, სევა ანთიმოზოვიჩ...“ მიეჭრება გაბროს თლილ ქვას, გვარ-სახელს ჩაიკითხავს, თარიღებს, ტირესაც სიყვარულით ჩაუკრავს თვალს...

მოიცა!

ერთწამს მოიცა!

ხომ არ ეჩვენება!? აკლია თითქო რაღაც.

არა, აბელ ლაშაური არ შეცდება, ისიც ზედმიწევნით იცის, რომ აქ, სადღაც კუთხეში, მრუმე ეპიტაფია უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი. სასნაული მოხდა და წვიმამ ჩამორეცხა? თავის მოტყუებაა.

„ნამეტანი მომივიდა“, ჩურჩულებს აბელი, ამ ქვას ეცემა, გვერდითაც გაიხედავს — მეორისკენ... იქიდანაც გამქრალა ეპიტაფია, უკვალოდ გადაშლილა.

მესამე... მეოთხე... მეხუთე...

დაკარგულან წარწერები. მიწას ჩაუყლაპავს მიცვალებულის სახსოვრად დატოვებული სალექსო ტაეპები, ხანდახან რომ გამოერევა საინტერესო და ძირითადად შინ შეთხზული სადღეგრძელოები, და განვლილი გზის გულითადი შეჯამება.

— რა იქნა!? რა მოუვიდათ? — ნუთუ ყველა მკვდარმა ერთად შეკრა პირი მის წინააღმდეგ, ფიცით შეიკრნენ, რომ მკვლევარის თვალს არ დაანახონ აღარც ერთი ძარღვიანი სტრიქონი.

ნუთუ უჟამოდ დაინაცრა აბელ ლაშაურის ნანატრი წადილი, ყველა საქმეს შეჭიდებულს ეპოვა თავისი ნავსაყუდელი, გამოკეტილიყო ნაჭუჭში და უბინაო პოეტივით საფლავ-საფლავ მოწრიალეს ეწერა და ეწერა.

თავდაღმართზე დაეშვა გულგატეხილი ლინგვისტი, ისტორიკოსი, პალეონტოლოგი, ეპიგრაფიკოსი, ლიტერატორი, ჟურნალისტი, მეპასკვილე, — ყველაფროლოგი — დარდი უბოჟირებს გულგვამში, ცრემლი მოსძალებია, გულიან ვალალსაც ამოუშვებდა, საკაცობრიო ეპიტაფია რომ არ გასჩხეროდეს ყელში, რომელიც ტირილს არ ანებებს და სევდიანი გადასვლებით მოუწოდებს ბრძოლისკენ, მოძრაობისკენ, სიცოცხლისაკენ —

„წუთისოფელი რა არი,
აგორებული ქვა არი,
რა წამს კი დავიბადებით,
იქვე საფლავი მზა არი“.

*

კოვზით გასმევენ წყალს. ნაოპერაციევზე მეტი არც შეიძლება. უნდა გაუძლო. წვეთ-წვეთობით გადარჩენილი სიცოცხლე მერე უფრო ძვირფასია, უფრო შეინახავ, გაუფრთხილდები. მერე იქნება სიკვდილსაც ხანდახან შეხვდე გზაჯვარედინზე, განსაცდელად გამოცხადებული როგორმე მოიცილო, გვერდი უქციო, უგანო. თორემ ფათერაკთან გამარჯვებული ბევრი არ გვინახავს ჩვენ, ვინმე გიჟი ან უშიში ვიღაცა, არაფერს რომ არ ეპუება ისეთი, ერთხელ დაბადებულის ერთხელ მოკვდინებისა სჯერა და სამედიცინო ჩარევებისა არა სწამს.

არც ღონივრად დაბინტული ჭრილობის ნახვას ურიგდება, პირიქით — შეჰზარავს და აწრიალდება გაწამებული.

— ნახე, კიდე გამოუჟონავს, ექიმო, — მთავარ ნეიროქირურგს ეპატაკება ექთანი, — ქალაში ჯერაც არის დაბეჟილი სისხლი.

— ბოლომდე, ბოლომდე უნდა გამოვდევნოთ, — ყინჩად იმზირება ნეიროქირურგი, ორი თითით ამოწმებს ჭრილობას და ექთანს აჩქარებს.

ექთანი დაფაცურდება. ცალი ხელით საფეთქელთან დაამაგრებს, მეორეთი ჭრილობაზე დააპკურებს სითხეს და გადახვევას (ფართოდ გავრცელებული ტერმინოლოგიით ამას „პერევიაზკა“ ჰქვია) დაეშურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს მორჩნენ, ხვალაც შემოვლენ. ხვალაც იგივე.

ხვალამდე ის იმედი გვაძლებინებს, რომ გამონადენი ნაკლები იქნება, დაბეჟილობა მოშუშდება და უკეთესობა გვექნება სახეზე.

ეს წესადქცეული ჭერში ყურება ხომ პალატაში ყველაზე მეტად ამართლებს. დროის მოკვლის უებარი წამალია. დრო კი, ჰეეე, ჩეჩქივითა გვაქვს.

ხანდახან გადატრიალების ნებასაც გვრთავენ, იშვიათად — წამოჯდომის, ისიც დიდი სიფრთხილითა და დაკვირვებით, რათა შიდა ქალის წნევამ არ აიწიოს და თავბრუსხვევა არ დაგვჩემდეს.

მანამადე — წამლები ნაირნაირი. ნემსით რეფლექსოთერაპია კუნთებსა და ვენაში, წვეთოვანი სისტემები და ალაგ გამაყუჩებლებიც კი.

როდის როდის გულიც აგიტირდება ამ ჯვარცმისაგან. ყელში დარდი მოგებჯინება, სიკვდილს ინატრებ.

ნეტაი, ცოტა მაგრად გავეტანე მაგ მამაცხონებულს და მორჩებოდა ყველაფერი, ამდენი ჯახირი და ტკივილის თვიდან თვემდე ზიდვა არ დასჭირდებოდა ჩემს სხეულს, დარჩებოდა მხოლოდ სამარე და ძაძით მოსილი დედაჩემი.

დედა ამოაკითხავდა ყოველდღე ჩემს საფლავს. ყვავილებს და გლოვის ცრემლებს მოაყოლებდა სამარეზე წამოსაქცევ ღვინოს. დედას ეცოდინებოდა, რომ „ხსოვნის“ მოხსენიება არ მიყვარს და უფალს შესთხოვდა, სადაც არის და რომელ ქვეყანაშიც არის ჩემი შვილი, ჩემი უსაზღვროდ მონატრებული პატარა, კარგად იყოს, არ დაამციო და არ დაამშიო, შენ მიეცი სითბო ზეციური, კალთა შენმიერი გადააფარეო.

მამაჩემიც ამოათავებდა უსასრულო აღმართს ჩემს სანახავად. თმაში ჭაღარა შეერეოდა, წვერი დასცემდა მკერდზე. ქვას ჩაეხუტებოდა და იგლოვდა, იტირებდა. ეს საცოდაობა მეც ამიჩუყებდა გულს, იქვე, უგანგებოდ მოხვედრილ მესაფლავეებს შევთხოვდი, წამოეყენებინათ შვილმკვდარი მამა და ცივად არ ეცქირათ მისი წამებისათვის.

ჩემი ძმა მარტო ამოიპარებოდა საფლავზე. დაჯდებოდა და ერთად ვიტირებდით რა მალე ჩავლილ ბავშვობაზე, რა მალე დავიწყებულ ყმანვილობაზე, დაუვიწყარ პირველ სიყვარულზე და არ დაგვტოვებდა იმედი კიდევ ერთხელ, იმქვეყნად შეხვედრისა...



ირაკლი ფალავა

მახსოვს

მახსოვს გაურიყავი
პატარა ნავი ვიყავი
და ტალღამ მთხოვა:
როცა სიყვარული მოვა –
ნუ დაივიწყებ მას, რაც შენია.
მახსოვს გაურიყავი
ნათელი ბავშვი ვიყავი
და გულმა მთხოვა:
როცა სიყვარული მოვა –
ნუ დაივიწყებ რაც შემოგრჩენია.
მახსოვს გაურიყავი
რომ ფოთოლი ვიყავი
და ქარმა მთხოვა:
როცა სიყვარული მოვა –
ნუ დაივიწყებ მას, რაც შენია.
მახსოვს გაურიყავი
რომ ფურცელი ვიყავი
და სტრიქონმა მთხოვა:
როცა სიყვარული მოვა –
ნუ დაივიწყებ რაც შემოგჩენია.

მარიამს

თოვს უნაზესი დარად ბავშვობის
და ფიფქთა ფარდის არის რიდობა.
სახურავებზე თოვლის გაშრობის
საფრთხე იწყება. ქრება მშვიდობა!
სტროფებს ფურცელზე სისხლად
გიფშვნიდი,
რაც მე იდუმალ განცდებს მიმატებს.
გაუთავებლად ბარდნის სიმშვიდით
და ჩემს მორევში ფიქრი მიმათრევს.
მოდის ეს გრძნობა ცივი, ფარული,
ავადმყოფურად ჩემსკენ ნასხლეტი.
მაგრამ არ ქრება ეს სიყვარული,
როგორც ადრეულ გრძნობის ნაფლეთი;
არ ქრება სევდა სიჩუმალეთში...
ვრჩები უცვლელი, მუდამ ვარ ესე.
ზეცაზე მთვარის მოსჩანს ნახლეჩი
და ფიფქთა ნოხი სახურავებზე.

* * *

შენზე ფიქრი ბნელ ღამეებს ათევს,
მონატრება მოქრის, როგორც ზვავი.
შენი კოცნა მე სიცოცხლეს მმატებს
და უკვდავი მეჩვენება თავი.
გულს მივანდობ თავისუფალ ნებას,
სტროფებს შენსკენ ზამბახივით ვისვრი.
შენ რომ მკოცნი, გაზაფხული დგება
და სევდების იფანტება ნისლი.
რადგან სული წუხილს ვეღარ აქრობს,
მსურს ჩემს გულში მიგიჩინო ეზო,
რომ იქ ხშირად მოსეირნე გნახო
და ბავშვურად სიყვარული შეძლო.

შემოდგომაა მარიამის

შენ დღეს მიჰყვები იდუმალ მთვარის
ღრუბლებში წოლას, ვნებიან ლივლივს.
სხვა ჩემნაირი აღარსად არის,
რომელიც მოდის და ასე გივლის.
სხვა ჩემნაირი აღარსად არის
სტროფებს რომ კრეფს და
გიფანტავს კარად;
ვით პოეზია შეშლილი ქარის,
ვით უკვდავება მარად და მარად.
ზამბახით მორთულ პატარა გვირგვინს
თავზე დაგადგამ, გიკოცნი ტუჩებს.
შენ გაწითლდები, როდესაც ირგვლივ
თვალს მოკრავ ხალხით გაჭედილ ქუჩებს.
გაბრუებული სასმელით, შფოთით
მოვივლი ქვეყნის კუთხეებს ფრენით.
ჩემზე იტყვიან: შეხედეთ, ლოთი!
გადმომხედავენ ზიზღით და ღრენით.
მაგრამ მე მოვალ შენს აივანთან
და გკითხავ: ხომ არ დამაგვიანდა?
ვიყვირებ მარად პოეტის ენით:
ეს შემოდგომა შენია, შენი!!!

წამომყევი მთვარევ!

(უტოპიური ელეგია)

არის ნაპირი!
... და მჯერა, რომ არის ნაპირი!
რომ მივაგნებ, რომ მივადგები
ამისიც მჯერა.
ის შორეული, დაუპყრობელი არის ნაპირი,
მაგრამ ვამბობ, რომ არის.
დავიღუპები?
თქვენ ამბობთ, რომ დავიღუპები?
არაფერია: ჩვენ ვმეორდებით,
ოდესღაც, სადღაც ყველა ვგრძელდებით
და არასოდეს არ დავმთავრდებით.
არის ნაპირი,
სხვა არაფერი,
ზეცას ოცნება გამონაკერი
ეშვება ჩემზე კოსმიურ სხივად,
მხოლოდ სიზმრებში
შეერთებულს არარეალურს
მივყვები მძივად.
სიბნელის ბოლოს არის ნაპირი,
არის ნაპირი, სხვა არაფერი.
ხელი გამიშვით...
ნუ მექაჩებით ჭაობებისკენ
და ნურც მაძალებთ გავხდე
თქვენებრ მოკვდავი მკვიდრი,
ჭაობები – გავსებული ჩონჩხების ნოხით,
ჩონჩხებისგან ახორხლილი მერყევი ხიდი.
თუ ვიღუპები,
არ იქნება ეს დაღუპვა უბრალო სულის,
ჩემი სიკვდილი თქვენს სიცოცხლეს
გერჩივნოთ იქნებ?!
თუ გადავრჩი, მივაღწიო უნდა იმ მხარეს,
რომ ვოცნებობ, რომ დავეძებ
დღისით და ღამით.
არის ნაპირი, გეუბნებით, არის ნაპირი,
რა თქმა უნდა, არის ნაპირი.
... და რომ მივაღწევთ,
გარდაიქმნება გარდაქმნებად
ყველა ჩვენგანი
და ამ ბნელ სულებს სხვა სხივებით
უმალ გავაპობთ.
არ მომყვებით?
მაშ, არავის გსურთ ეს სილაღე?
მე დღეს მარტო ვარ,
ასე მარტო გავყვები ტალღებს,
გზად დავაპურებ თბილ ქვეყნებში
გადამფრენ ფრინველთ,
იქნება ღამე და ნიჩბების ჭრაჭუნი ჩუმი,
მაგრამ მე ვეძებ, მე მივაგნებ, ვიპოვნო უნდა.
მომყევი მთვარევ, წამომყევი, გზა გამინათე,
ვიცი, რომ არის შორეული,
მაგრამ არის ნაპირი,
არის ნაპირი მხოლოდ ერთი,
სხვა არაფერი.
... და ჩვენ ყოველთვის ვმეორდებით
სადღაც და ოდესღაც...
გჯეროდეთ ამის,
არის ნაპირი...

სიამოვნებით შევჭამდი შიმშილს

ჩემი საფიქრალი არ არის რითმების ჯირითი.
ჩემი საფიქრალი ფორმის ძიებაა.
ჩემი საფიქრალი არ ყოფილა კმაყოფილება.
ჩემი საფიქრალი არის მუდმივი მსვლელობა
სიმაღლისკენ.
ჩემი საფიქრალი არ არის თქვენი აზრი,
არც ის, პოეტად მიმიღებთ თუ არა.
ჩემი საფიქრალი არ არის ტანსაცმელი
(ეს უფრო ხასიათის ნაწილია).
ჩემი საფიქრალი სხვადასხვა მდედრი
და ბევრი ლუდია.
ჩემი საფიქრალი „ლოტოსის გაღვიძებაა".
ჩემი საფიქრალი დამაფიქრებელია.
ჩემი საფიქრალი თქვენი
კეთილდღეობისთვის არის,
მე აქედან სარგებელი არა მაქვს.
ჩემი საფიქრალი დაუოკებელი შიმშილის
მოკვლაა,
რასაც ცხოვრების შეხვრეპა ჰქვია.
შორი-ახლოს, ჩამავალ მზის ფონზე
ჰორიზონტი გაუხლეჩიათ ამერიკულ
ვერტმფრენებს,
რომლებიდანაც მოწამლულ,
ჰუმანიტარულ კომპენსაციებს უყრიან
გახრწნილ ვიეტნამელებს.
ა მ ე რ ი კ ა ,
რომელიც ჩემს ქვეყანას ამერიკული
ნაგვის ნარჩენად
გადააქცევს,
ო ბ ო ბ ა ა.
გაუმაძღარი, შავი, ცხიმიანი ობობა.
ქსოვს და ხლართავს აბლაბუდის ბადეს
და პატარ-პატარა ქვეყნებს წუწნის.
ჩემი საფიქრალი წინასწარმეტყველებაა,
რომელიც მინდა ვიცოდე, როდის ახდება.
მაგრამ ჩემი საფიქრალი აღარ არის ის,
თუ ვინ მოძოვს ამერიკულ ბალახს
ჩემს მიწაზე.
რადგანაც ამის უფლება თავად მისცეს.
ხმა მიეცით სისხლით გაბეყილ ობობას
და ემსახურეთ მას!
ჩემი საფიქრალი შონბერგის აზროვნების
განზომილების ახსნაა.
ჩემი საფიქრალი აბსოლუტური
თავისუფლებაა.
ჩემი საფიქრალი იდეის დონეზე —
ბედნიერებაა,
ყოფითი თვალსაზრისით – უბედურება.
მინდა, ცხოვრებას ვხვრეპდე,
სიამოვნებით შევჭამდი შიმშილს!

ბერნარდ შოუ

გოგონა ხვლიკით

გაგრძელება

7

სტუდენტობის მესამე წელს მამა გარდაეცვალა. როგორც ბოლო დროს ხშირად ხდებოდა ხოლმე, დუქანში წასულა დასალევად, დამთვრალა, სახლში დაბრუნებისას ფეხი დასხლტომია, ბუჩქებში გადავარდნილა და გაყინულა. მამის დაკრძალვაზე ჩამოსვლა სასწავლებლად წასვლის შემდეგ მისი პირველი ვიზიტი იყო მშობლიურ ოჯახში. იანვარი იდგა. ძვალ-რბილში ატანდა ცივი ქარი. სასაფლაოს ეკლესიიდან საფლავამდე გზა მოყინული გუბეებით იყო მოფენილი. დედამ ხელმკლავი არ გააყრევინა, სანამ ფეხი არ დაუსრიალდა და კინაღამ არ წაიქცა. ვერ ეპატიებინა მისთვის, ამდენი ხანი რომ დაუგვიანა სტუმრობა.

რამდენიმე მეზობელი, რომლებიც სასაფლაომდე გამოყვნენ, დედამ ბუტერბროდებსა და ჩაიზე მიიწვია. როცა შეამჩნია, რომ სტუმრები ალკოჰოლურ სასმელს ელოდნენ, წამოდგა: "ვისაც გული წყდება იმაზე, რომ ლუდი ან არაყი არ შევთავაზე, შეუძლია წავიდეს. ამ ბინაში უკვე საკმაოდ დაილია".

საღამოთი დედასთან ერთად მამის კაბინეტში შევიდა.

„აქ მგონი მხოლოდ იურიდიული წიგნებია. ხომ არ გინდა? იქნებ გამოგადგეს რამეში. რასაც არ წაიღებ, გადავყრი". დედამ მარტო დატოვა ოთახში. ბიჭმა შეათვალიერა ბიბლიოთეკა, რომელსაც მამა ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. აქ თავმოყრილი წიგნების ახალი გამოცემები დიდი ხანია არსებობდა, ჟურნალებზე ხელმოწერა კი შეწყვეტილი იყო. ოთახში მხოლოდ ერთი სურათი ეკიდა – გოგონა ხვლიკით. სხვაგვარად, ვიდრე ძველ ბინაში. იქ მას მთელი კედელი ჰქონდა დათმობილი საწერი მაგიდის თავზე. აქ თაროებს შორის იყო ჩაჭედილი, მაგრამ მაინც მთელ სივრცეს ფლობდა. თავით თითქმის ჭერზე მიბჯენილი ბიჭი ზემოდან დასცქეროდა სურათს და ახსენდებოდა, როგორ იდგა მის წინ და როგორ უყრიდა გოგონას თვალს თვალში. საშობაო ნაძვის ხეზე ფიქრობდა, რა დიდი იყო ის წინათ და რა პატარაა ახლა. სურათი არ დაპატარავებულა, თავისი ძალა არ დაუკარგავს და არც ნაკლებად აჯადოვებდა მას. პატარა გოგონა გაახსენდა, იმ სახლის ბინადარი, რომლის სხვენის ქვეშ ცხოვრობდა, და გაწითლდა. „პრინცესას" ეძახდა მას, ფლირტი ჰქონდათ ერთმანეთში გაჩაღებული და როცა გოგონა ეკითხებოდა, ხომ არ მიჩვენებ შენს მანსარდასო, დიდი მოთმინების მოხმობა სჭირდებოდა, უარი რომ ეთქვა მისთვის. გოგონა მთელი მიამიტობით ეკითხებოდა, მაგრამ რადგან იმის მიღებას ესწრაფოდა, რისი მიცემაც ვაჟს არ სურდა, კეკლუცობა დაუწყო ისეთი მაცდუნებელი საქციელით, ცქერით და ხმით, ბიჭს კინაღამ არ დაავიწყა მისი მიამიტობა.

„არ მინდა მამის წიგნები. ხვალ ანტიკვარს დავურეკავ. შეიძლება რამდენიმე ას ან ათას მარკამდე გადაგიხადოს". დედას მიუჯდა მაგიდასთან სამზარეულოში. „სურათს რას უპირებ"?

დედამ დაკეცა გაზეთი, რომელსაც კითხ-

დასაწყისი იხ. №1,/2008

ულობდა. მოძრაობები ისევ ნერვიული და მოუსვენარი ჰქონდა და მათში იყო რაღაც ახალგაზრდული. ტანწერწეტა აღარ ეთქმოდა, ხმელიაო, იტყოდი. კანი გადაჭიმვოდა სახის ძვლებსა და ხელებზე და თმა თითქმის გათეთრებოდა.

უცებ თანაგრძნობით და სინაზით განიმსჭვალა მისდამი. „შენ რას აპირებ?" ჰკითხა და ხელი უნდოდა დაედო ხელზე, მაგრამ ქალმა არ დაანება.

„გადავალ აქედან. ფერდობზე რამდენიმე ტერასიანი სახლი აშენდა და ერთოთახიანი ბინა ვიყიდე. ერთ ოთახზე მეტი არ მჭირდება".

„ბინა იყიდე"?

დედამ მტრულად შეხედა. "მამაშენის პენსიას და ჩემს ხელფასს ერთად ვდებდი. რასაც ის სასმელში ხარჯავდა, მე ჩემთვის ვინახავდი. საწინააღმდეგო გაქვს რამე?"

„არა". ბიჭს გაეცინა. „ათ წელიწადში მამამ ერთი ბინის ფული გაფლანგა სასმელში?"

დედასაც გაეცინა. „მთლად არა, მაგრამ იმ საბანკო საბინაო ხელშეკრულებაზე უფრო მეტი, რომლითაც ბინის ფული გადავიხადე.

„რატომ დარჩი მამასთან?" ყოყმანის შემდეგ ჰკითხა ბიჭმა.

„რა შეკითხვაა"? დედა თავს აქნევდა. "ერთხანს შეგიძლია აირჩიო, ამას გააკეთებ თუ იმას, ამასთან გსურს ცხოვრება თუ იმასთან. მაგრამ ერთ დღეს ეს საქმიანობა და ის კაცი შენი ცხოვრება ხდება და რატომ რჩები შენს ცხოვრებაში, საკმაოდ სულელური შეკითხვაა. სურათი გაინტერესებდა ხომ? შეგიძლია წაიღო, ან ბანკში მიიტანო, თუ დიდი სეიფი გაქვს."

„ვერ მეტყვი, რას ნიშნავდა სურათი თქვენთვის?"

ქალმა სევდიანად შეხედა მას. „ვერაფერს გეტყვი, ჩემო ბიჭო, მე მგონი, მამა ბოლომდე ამაყობდა მისით". დაღლილი ღიმილით გაიღიმა.

„ისეთი სიამოვნებით გეწვეოდა და ნახავდა, როგორ მიდის შენი სწავლის საქმე იურისპრუდენციაში, მაგრამ ვერ გაბედა. არასდროს მიგიწვევივართ. იცი, თქვენ, ბავშვები ნაკლებ შეუბრალებლები როდი ხართ, ვიდრე ჩვენ, მშობლები ვიყავით. ამპარტავნობის ბრალია. სულ ეს არის."

შეწინააღმდეგება სურდა, მაგრამ არ იცოდა, ტყუოდა თუ არა დედა. ვწუხვარო, მხოლოდ ეს უპასუხა.

ქალი წამოდგა. „ძილი ნებისა, ჩემო ბიჭო. ხვალ დილის შვიდ საათზე გავალ სახლიდან. როცა გამოიძინებ და წახვალ, სურათი არ დაგავიწყდეს".

8

სურათი მანსარდაში საწოლის თავზე დაკიდა. საწოლი მარცხნივ იდგა, კედელთან, მარჯვნივ – კარადა და თარო, წინ, სახურავის ლუკის ქვეშ – მაგიდა.

„მას ვგავარ, ვინ არის"? ჰკითხა სტუდენტმა გოგონამ, რომელიც ჯერ კიდევ პირველი სემესტრის ბოლოდან მოსწონდა. სურათთან მსგავსების გამო? არ ჰქონდა გაცნობიერებული.

„ვინ არის, არ ვიცი, თუ, საერთოდ, ვინმე არის". ყოველშემთხვევაში, შენ უფრო ლამაზი ხარო, უნდოდა დაემატებინა, მაგრამ სურათზე გამოხატული გოგონას ღალატი არ სურდა. ნახატის ღალატი შესაძლებელია?

„რაზე ფიქრობ?"

„იმაზე, რომ ლამაზი ხარ".

გოგონა მართლაც ძალიან ლამაზი იყო. ბიჭი ზურგზე იწვა, იგი მუცლით დასწოლოდა ზემოდან, მკლავები მის მკერდზე დაეყრდნო, ნიკაპი კი – მკლავებზე და მშვიდად შესცქეროდა ვაჟს. თუ მის მიღმა იცქირებოდა? მუქი თვალები და კულულები, მაღალი შუბლი, ღაწვების ქორფა სიწითლე, ნესტოების და ტუჩების თრთოლვა – მთელი თავისი მშვენიერებით თითქოს მისკენ იყო მობრუნებული და მაინც უცნაურად შორს მისგან. თუ ბიჭს წარმოედგინა ასეთად ქალი, რომელიც უყვარდა, და რადგან უყვარდა, სურათად ექცია იგი? ერთსა და იმავე დროს მისკენ მობრუნებული და მიუწვდომელი?

„ვინ არის მხატვარი?"

„არ ვიცი."

„სურათს ავტოგრაფი უნდა ჰქონდეს". გოგონა წამოდგა და სურათის ჩარჩოს დააკვირდა. შემდეგ ბიჭს მიუბრუნდა. "ორიგინალია".

„დიახ".

„იცი, რამდენად ღირებულია იგი"?

„არა"

„იქნებ ძვირფასია. საიდან გაქვს"?

ბიჭს მამა გაახსენდა, მისი ნათქვამი მრავალი წლის წინ. "მოდი აქ". მკლავები გაშალა. „არ მსურს, ვიცოდე, ღირებულია თუ არა. ეს თუ მეცოდინება და გეტყვი, ეჭვი შემიპყრობს, რომ სურათის გამო ხარ ჩემთან".

გოგონა მის მკლავებში მოექცა. „ნუ სულელობ. თუ მართლა ძვირფასია, მანსარდაში არ უნდა ეკიდოს. ზაფხულში აქ მეტისმეტად ცხელა, ზამთარში კი ცივა. გარდა ამისა, ხომ შეიძლება, შენმა სასაცილო ღუმელმა ერთ დღეს სახურავი და სახლი გადაბუგოს. შენ,

კი ბატონო, გაასწრებ, გაიქცევი მეზობლის სახურავზე, მაგრამ სურათი ხომ დაიწვება. ძვირფას სურათს თანაბარი ტემპერატურა და თანაბარი სინოტივე სჭირდება, რამდენადაც ვიცი. რადგან აქ არ ძალგიძს მისი შენახვა, უპრიანი ხომ არ არის, ახლავე გაყიდო. დღენიადაგ შრომობ, მაგრამ უფულობის გამო თავს არაფრის უფლებას აძლევ. ეს უაზრობაა".

ბიჭმა თავის ახალ სამუშაოზე წამოიწყო ლაპარაკი, მისი ყურადღება სხვა რამეზე რომ გადაეტანა. წასვლისას გოგონამ უთხრა: „იცი, რა?"

„რა?"

„ჩემი .ძმა ხელოვნების ისტორიას სწავლობს. მას უნდა უჩვენო სურათი".

არა, აქამდე არ უნდა მისულიყო საქმე. შეყვარებულის შემდეგი ვიზიტის წინ სურათი საწოლის ქვეშ შეაცოცა და დედამ მისი უკან დაბრუნება მომთხოვაო, უთხრა. გოგონა მაინც ესაუბრა სურათზე ძმას, რომელმაც არც სურათის თაობაზე იცოდა არაფერი და არც სავარაუდო მხატვარზე, თუმც პარიზში დაარსებული ჟურნალი "Lezard violet" გაიხსენა. იგი დადაიზმიდან სიურეალიზმში გადასვლის პერიოდში – 1224-30 წლებში გამოდიოდა და სულ ათი ნომრის გამოცემა მოასწრო. მალე გოგონას სურათი გადაავიწყდა.

ყოველთვის, როცა მიდიოდა, ბიჭი სურათს კვლავ საწოლის თავზე ჰკიდებდა. თავდაპირველად თამაშად ეჩვენებოდა ეს . ღიმილით ხსნიდა სურათს და ღიმილით აბრუნებდა თავის ადგილზე, ემშვიდობებოდა შეყვარებულს და ესალმებოდა გოგონას ხვლიკით ხუმრობანარევი შენიშვნით. მაგრამ მალე მობეზრდა სურათის ჩამოღება ყოველი მისი მოსვლისას, შემდეგ კი მისი მოსვლაც მობეზრდა. როცა ერთად იწვნენ, ერთი სული ჰქონდა, როდის წავა, სურათს ისევ ჩამოვკიდებ და სიცოცხლეს დავუბრუნებო.

ერთ მშვენიერ დღეს შეყვარებულმა თვითონ მიატოვა. „არ ვიცი, რა გიტრიალებს თავში და გულში". ჯერ შუბლზე დაუკაკუნა თითი, მერე მკერდზე. "რაღაც ადგილი შეიძლება რჩება ჩემთვისაც, მაგრამ ის მეტად მეცოტავებაო".

9

ბიჭი მოსალოდნელზე მეტად იტანჯებოდა. ზოგჯერ თავის თავზე ბრაზდებოდა – სურათის გარეშე იქნებ ყველაფერი სხვაგვარად და უკეთ ყოფილიყოო. მაგრამ გაბრაზება ისევ სურათთან აკავშირებდა. მას ესაუბრებოდა: შენს გარეშე უკეთ ვიქნებოდი, უსიამოვნებას შენ გადამყარე. ახლა ხომ შეგიძლია უფრო თბილად შემომხედო, ხომ არ ამაყობ იმით, ასე ოსტატურად რომ მოიშორე მეტოქე თავიდან. არაფერი გაქვს გასაყოყოჩებელიო.

ერთ საღამოს აიღო წიგნი რენე დალმანზე და კითხვა გააგრძელა. ხელოვნების აკადემიის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა მხატვარი ერთ მდიდარ კარლსრუელ ქვრივთან ცხოვრობდა, ქვრივმა მას სახელოსნო მოუწყო. ეს იყო წესიერი სარეზიდენციო ქალაქისთვის სკანდალი, რომლითაც, ბიოგრაფის ინფორმაციით, ორივე უფრო ტკბებოდა, ვიდრე მათ შორის არსებული რთული ურთიერთობით. დალმანი ცდილობდა, სახელი მოეპოვებინა, როგორც პორტრეტისტს. მისი პირველი პორტრეტები საზოგადოებრივ ნორმებს არ ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ, როცა სკანდალურ ცხოვრებაში დაადანაშაულეს, სკანდალური პორტრეტების ხატვა დაიწყო – კარლსრუელი სამხარეო სამმართველოს პრეზიდენტის ბიუროკრატიული თავის ქალა ხისგან გამოჭრილს ნააგავდა, მისი ვაჟის – ყოჩაღი ლეინტენანტის სახე ეპოლეტებით, უნიფორმის ნაწილით, მათრახებით და ხმლით იყო შედგენილი. სამხარეო სამმართველოს პრეზიდენტმა სასამართლოში უჩივლა. რენემ ბრეტანს შეაფარა თავი. ბრეტანში სახლი ჰქონდა დედამისის ოჯახს, რომლის დიდმა ნაწილმა 1871 წელს ელზასი დატოვა. იქ, სადაც მშობლებთან და და-ძმასთან ერთად მრავალი არდადეგები გაეტარებინა, ომის დაწყებამდე დარჩა. ომში წავიდა, როგორც მოხალისე ფრანგი ჯარისკაცი. სანიტრის მოვალეობას ასრულებდა. ეს იყო ესკიზების წლები. მეტისთვის არც დრო ჰქონდა და არც საშუალება. დაჭრილ, დასახიჩრებულ, მომაკვდავ ჯარისკაცებთან ერთად გაჩნდა რელიგიური მოტივებიც. ადამს და ევას, სიძე-პატარძალს ბრძოლის ველის სამოთხეში გზა არევიათ, დასახიჩრებულ ჯარისკაცს კურნავს დასახიჩრებული ქრისტე. ომის დამთავრების შემდეგ დალმანი პარიზში ცხოვრობდა და დიდ დროს კაფე „ჩერტა"-ში ატარებდა, თუმც დადაისტებს არასდროს ეკუთვნოდა. ანდრე ბრეტონთან ერთად, მისი წაბაძვით, კომუნისტურ პარტიაში შევიდა, მაგრამ იქიდან სიურეალისტებთან არ გადასულა, განზე გადგა, სანამ რამდენიმე მეგობართან ერთად "Lezard violet" არ დააარსა. რენე მაგრიტი ჟურნალში წერდა მხატვრობაზე, როგორც აზროვნებაზე. სალვადორ დალი გოგონას თვალის ჭრილზე. ჟურნალმა მაქს ბეკმანის ნებართვის გარეშე გამოაქვეყნა ინ-

გლისური თარგმანი მისი პატარა, საქორწინო მოგზაურობისას შექმნილი ესესი – კოლექტივიზმის შესახებ. თავად რენე დალმანის წერილი შეეხებოდა ფანტაზიის გათავისუფლებას თვითნებობისგან. დალმანი გრაფიკულადაც აფორმებდა ჟურნალს.

ყველაფერმა ამან არც ისე დააინტერესა, კითხვას თავი დაანება და მხოლოდ ფურცლავდა წიგნს. რამდენიმე გვერდი ბოლოში რენე დალმანის ცხოვრებისეულ თარიღებს, მის მიერ შექმნილ და მის შესახებ დაწერილ ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფიას და გამოფენათა სიას ჰქონდა დათმობილი. აქ აღმოაჩინა ბიჭმა, რომ გალერეაში მოწყობილი გამოფენის „Est-ce qu'il y a un surrealismus allemand?" კატალოგის ყდაზე რენე დალმანის "ხვლიკი და გოგონა" იყო აღბეჭდილი ხვლიკი და გოგონა.

მეორე დილით უნივერსიტეტის ხელოვნების ინსტიტუტს მიაკითხა და 1933 წლის კატალოგის ეგზემპლარს დაუწყო ძებნა, მაგრამ ამაოდ. ლექციები გააცდინა, რესტორანში, სადაც ნაშუადღევს ოფიციანტად მუშაობდა, მოიბოდიშა, გრიპი მჭირსო და გაემგზავრა ქალაქში, რომლის მუზეუმში თავის დროზე რენე დალმანის სურათები ნახა და წიგნი იყიდა მის შესახებ. აქაც არ იყო კატალოგი. ზედმეტად ღელავდა. ბიბლიოთეკარმა შეამჩნია და ჰკითხა, რა ხდებოდა. ბიჭმა აუხსნა, რომ ეძებს რენე დალმანის სურათს "ხვლიკი და გოგონა" და კატალოგს, რომლის ყდაზეა სურათი დაბეჭდილი და ვერ პოულობს. სად იქნება უახლოესი ხელოვნების ინსტიტუტი. "რატომ უნდა იყოს სურათი ყდაზე დაბეჭდილი"? ვერ გაეგო ბიჭს.

„სავარაუდოა, ჯერ მხატვარმა გადაუღო სურათი თავის ნახატს, შემდეგ გალერეის მეპატრონემ, პრესამ, მუზეუმმა, რომელშიც ის კიდია."

„თქვენ ფიქრობთ, რომ ის მუზეუმში კიდია, სად?"

„ჩვენ სურათების არქივი გვაქვს. წამობრძანდით."

ბიჭი გაჰყვა ბიბლიოთეკარს. კორიდორით ოთახში შევიდნენ, რომელშიც პროექტორი და მუყაოს ყუთები იყო. ყუთებზე პატარა აბრები მიეკრათ გვარებით. ოდნავ დამშვიდდა. ისიც კი დააფიქსირა, რომ ქალს ლამაზი ტანი და მსუბუქი მიხრა-მოხრა ჰქონდა. ქალი ვაუს მხიარულად, მის აღელვებას კი კეთილი დამცინავი თვალებით შესცქეროდა. თაროდან ერთი მუყაოს ყუთი გადმოიღო, გაეცნო სიას, რომელიც ყუთზე შიგნიდან იყო მიკრული, ამოიღო თითქმის ღია ბარათის ტოლი შავ ფოლიეში ჩასმული დია და პროექტორში შედო. „შუქს გამორთავთ?"

ბიჭმა შუქი გამორთო და ქალმა პროექტორი ჩართო.

„ღმერთო ჩემო, აღმოხდა ბიჭს. ეს მისი სურათი იყო: გოგონა, პლაჟი, კლდე, მაგრამ სურათში მარცხნიდან გოგონა კი არ ჩანდა მიყრდნობილი, არამედ უზარმაზარი ხვლიკი, კლდეზე მზეს ხვლიკის ნაცვლად კი ნამცეცა გოგონა ეცხუნებოდა, უსაყვარლესი მუქი კულულებით და ფერმკრთალი სახით, ღია ფერის კორსაჟით და მუქი ქვედატანით. გვერდულად იწვა, თავი მკლავებზე დაეყრდნო ნახევრად ცელქ ბავშვს და ნახევრად მაცდუნებელ ქალს.

10

რომელ მუზეუმში კიდია სურათი?

„უნდა ვნახოთ". ბიბლიოთეკარმა გამორთო პროექტორი, დია დააბინავა და წიგნებიან ოთახში შევიდა. ბიჭი უყურებდა, როგორ იღებდა თაროებიდან ტომს ტომზე და ფურცლავდა. "მადლობის ნიშნად ვახშმად ხომ არ მომეწვია"? ქალი ფურცვლას განაგრძობდა. „ოჰ!"

„რა მოხდა?"

„სურათი არც ერთ მუზეუმში არ კიდია. დაკარგულია. დაკარგულია და, ალბათ, განადგურებულიც. უკანასკნელად 1937 წელს მიუნხენში წარმოადგინეს გამოფენაზე - "გადაგვარებული ხელოვნება". ბიჭი უაზროდ იცქირებოდა.

იგი ჯგუფ ხუთთან ერთად იყო გამოფენილი. აი, რა წერია "პორნოგრაფიას სიშიშვლე არ სჭირდება და გადაგვარებას განსაკუთრებული დამახინჯება. ფუნჯის სრულყოფილი მოსმით ებრაელმა შეიძლება გერმანელი მეწარმე გარყვნილ კაპიტალისტად აქციოს, გერმანელი გოგონა კი – მის ავხორცა მეძავად. ღორული და მარქსისტული კლასობრივი ბრძოლის ტენდენცია ებრაელთათვის რამ გაყო. როცა იმას წარმოიდგენ, რომ ეს სანახაობა შეიძლება გერმანელმა დედებმა და ქალებმაც ნახონ . . . გავაგრძელო?"

„რენე დალმანს აქვს სურათი "გოგონა ხვლიკით"?

ქალმა ფურცვლა განაგრძო. "ვახშამზე რა აზრის ხართ"?

„როდის გათავისუფლდებით"?

„ოთხზე".

„ვახშმისთვის ადრეა".

„აქ არ არის "გოგონა ხვლიკით". დარწმუნებული ხართ, რომ სურათს ასე ჰქვია"?

„არა". მისი მშობლები ასე ეძახდნენ და შემდეგ თვითონაც. რენე დალმანს შეეძლო ნებისმიერი სახელი მიეცა მისთვის. "მაგრამ სურათზე დახატულია გოგონა და ხვლიკი, იმის შებრუნებულად, რაც ჩვენ ახლა ვიხილეთ".

„საინტერესოა. სად ნახეთ"?

„აჰ, უკვე აღარ ვიცი". ყურადღება მოადუნა. უფრო მეტი კითხვა დასვა, ვიდრე ამის უფლება ჰქონდა. საბედნიეროდ, ვინაობა არ გაუმხელია. ჰოდა, უკვალოდ უნდა გაქრეს.

ქალმა შეამჩნია, როგორ ჩაფიქრდა. „რა დაგემართათ"?

„ახლა უნდა წავიდე. ოთხ საათზე ქვემოთ დაგელოდებით, კარგი"?

ინსტიტუტიდან გავარდა, სასაცილო შთაბეჭდილებას რომ ტოვებდა, სულერთი იყო მისთვის. მაგრამ როცა მერხზე იჯდა ტბასთან ქალაქის ცენტრში, მიხვდა, რამდენი რამე იყო მისთვის უცნობი და რამდენი რამ უნდა გაერკვია. ოთხ საათზე ქვემოთ, ხელოვნების ინსტიტუტის შესასვლელთან იდგა. ქალს კვლავ დამცინავი, მაგრამ კეთილი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

„ხვლიკები საშიშნი არიან".

„ვფიქრობ, ზოგი რამ უნდა აგიხსნათ. ტბასთან მზეში ხომ არ დავსხდეთ"?

გზიდანვე დაიწყო მოყოლა. იურიდიულზე სწავლობს და პარალელურად ერთ ადვოკატთან მუშაობს, რომელიც განსაკუთრებით მემკვიდრეების საკითხებით არის დაკავებული, მათ შორის დავით, მემკვიდრეების პოვნით, მემკვიდრეობის შეფასებით. ვიღაც გარდაცვლილი ამერიკელის ოჯახში აღმოჩნდა სურათი ავტოგრაფის გარეშე, შესაძლებელია, არაფრად ღირებული, მაგრამ, ასევე შესაძლებელია, მეტად ღირებული, ჰოდა, მას ევალება გამოარკვიოს, რას წარმოადგენს იგი.

„ამერიკელის"?

ბიჭმა ქურთუკი გაშალა და დასხდნენ გაზონზე, ტბასთან. "ამერიკაში გადასახლებული გერმანელის, რომლის მემკვიდრეებს აქ, გერმანიაში ვეძებთ".

„სურათის რეპროდუქცია გაქვთ"?

„თან არა, მაგრამ მახსოვს კარგად". ბიჭი მის აღწერას მოჰყვა.

„ჰე", ქალმა გვერდიდან ახედა "გეტყობათ, შეყვარებული ხართ მასზე".

ბიჭი გაწითლდა და თავი მიატრიალა, ვითომ აფრიან ნავს გასცქეროდა.

„არა უშავს, თუ დალმანია, მართლა გადასარევი იქნება. ნანახი გაქვთ მისი სურათები ჩვენს მუზეუმში"? და საუბარი მუზეუმსა და ქალაქზე გადაიტანა, ამ ქალაქის ყოფაზე და კიდევ იმაზე, საიდან იყვნენ და საითკენ ისურვებდნენ წასვლას. ბიჭი ცდილობდა, კითხვები დაესვა, გაეგო, როგორ გამოიცნობენ სურათის ავტორს, ბედს, მის ჭეშმარიტ მფლობელს. ქალი პასუხობდა კითხვებზე, თუმცა ცდილობდა, კვლავ გაქცეოდა ამ საუბარს. მზე სახლებს მიეფარა და აგრილდა. ტბის ირგვლივ გაისეირნეს.

„მეგობარი გყავთ"? ბიჭს ვერ წარმოედგინა, როგორ არ ეყოლებოდა მეგობარი ასეთ მხიარულ, გონიერ, გონებამახვილ ქალს. იგი არა მარტო ლამაზი იყო, რაღაც საოცარი მანერა ჰქონდა, ქერა თმა შუბლიდან გადაეყარა და ცხვირი აეპრიხა.

„სამი თვის წინ დავშორდით ერთმანეთს. თქვენ"?

გადათვალა. „ოთხი თვის წინ".

საღამოს რესტორანში ისხდნენ. ბიჭმა შეამჩნია, როგორ სურდა სიყვარული, ქალის თანაგრძნობა, სიახლოვე, მაგრამ ფრთხილად უნდა ყოფილიყო. მიკიბულ-მოკიბულად ესაუბრა, როცა საქმე მშობლებს, შეყვარებულს, რომელმაც მიატოვა და მისთვის სასურველ ქალებს შეეხებოდა, იმას, თუ როგორ ცხოვრობდა. არ შეეძლო ისე ესაუბრა მასთან, როგორც სურდა. ისიც წარმოიდგინა, ჩემს ქალაქში რომ შემხვდეს და ჩემთან წამოსვლის სურვილი გამოთქვას, მანსარდაში ვერ მივიპატიჟებ, იქ სურათი კიდიაო.

სადგურამდე მიაცილა. ბაქანზე ქალმა თავისი სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომერი ჩაუწერა. ბიჭი ერთხანს ყოყმანობდა, მაგრამ შემდეგ მანაც იგივე გააკეთა.

„დეტექტივი გინდა გამოხვიდე, თუ"? იგივე კეთილი, დამცინავი ღიმილით შესცქეროდა ვაჟს.

„რატომ"?

„არა, ისე". მკლავები შემოაჭდო ყელზე და ტუჩებში აკოცა. "ჩემო პატარა დეტექტივო, ვისაც კითხვები აწუხებს, თუ წიგნი აქვს წაკითხული მხატვარზე, ჩაიხედოს, ვინ არის ავტორი და მისწეროს მას მისი გამომცემლობის საშუალებით, თუ არაფერი აქვს ისეთი დასამალი, რომელიც არავინ არ უნდა შეიტყოს".

„მატარებელი უკვე გადის". რეპროდუქტორი კარების ჩაკეტვას და მატარებლის გასვლას იუწყებოდა. მატარებელში იდგა ქალი.

„დამალვა დამღლელია".

მას მხოლოდ თავის დაკვრა შეეძლო თანხმობის ნიშნად. კარები ჩაკეტილი იყო.

გერმანულიდან თარგმნა
ბელა სურგულაძემ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ILIA CHAVCHAVADZE

ILIASTAN DUELI BRZOLA

რატომ უწოდა დიდების ძუნწად გამმეტებელმა ქართველობამ თავის თვალუწვდენელ ისტორიაში ერთადერთს ილია ჭავჭავაძეს ერის მამა? აკი სხვა დიდებული ქართველებიც მოვლენილან ჩვენში: დავით აღმაშენებელი, თამარ-მეფე, ბაგრატ მესამე, გიორგი ბრწყინვალე, გიორგი ათონელი, იოანე პეტრიწი, შოთა, ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი. ხომ ისიც ცხადია, რომ ზოგიერთი, ცალ-ცალკე, უფრო დიდი პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი, პოეტი იყო, მაგრამ ერის მამობის ზეწოდება მხოლოდ მას ერგო. რატომ? რაა ამის მიზეზი?

ალბათ, — უკიდურესი, არნახული უძლურება ქვეყნისა. აკი მამა და მშობელი, განსაკუთრებით, უსუსურ, ავადმყოფ ჩვილს ესაჭიროება?! მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთის ვეება იმპერიიდან დამუქრებული საფრთხე სასიკვდილო იყო, (აკი მრავალი ხალხი და ტომი გადააგვარეს კიდეც!): ერთმორწმუნენი იყვნენ და ავტოკეფალია კი ნაგვართვეს მოყვარე მტრებმა; ქართულს ძაღლის ენას უწოდებდნენ და საერო-სახელმწიფო დაწესებულებებში რუსულს ამკვიდრებდნენ; დედამიწაზე ერთ-ერთი უძველესი, ღვთივკურთხეული მონარქია გაგვიუქმეს (მოგვიანებით სამაგიერო ეზღო ბედკრული ნიკოლოზ რომანოვის მოდგმას.); ჩვენი, ერთ დროს ორ ზღვას შუა გადაჭიმული, მამული დაკეპეს, დაანაწევრეს, თავიანთი ვეება სახელმწიფოს პროვინციებად გადააქციეს და თან, გეგმაზომიერად, ათასი ჯურის გადამთიელს გვისახლებდნენ, გადაგვარების დასაჩქარებლად; კაპიტალისტური მამონა, — ანგარებაც მოიშველეს და ჩვენი არისტოკრატია ჩინ-მედლებს ისე დაახარბეს, რომ ფრანგულ-რუსულს უფრო ახერხებდნენ, ვიდრე მშობლიურ ქართულს; მავანს კი დიდ ერში პატარა ერების გაქრობა სიბრძნედაც მიაჩნდა (ვაი, რომ ბაგრატიონი იყო ისიც!); დიახ, საქართველო მაშინ გზაზე დაგდებულ, ძონძებში გამოხვეულ ჩვილს ჰგავდა, რომელთანაც ილია ჭავჭავაძემ ფეხად მიასწრო მგლებსა და აფთრებს!

დაბადებიდანვე დუელში გამოიწვია იგი ბედმა და მანაც ყრმობიდანვე უშიშრად იპყრა ხელთ მრავალი იარაღი: ცოდნა, რწმენა, ნებისყოფა, ინტუიცია, შრომა და არაადამიანური პასუხისმგებლობა; დუელი იყო, როცა ჯუზეპე გარიბალდის რაზმში ჩასარიცხად იწევდა, აკი გმირობაზე ოცნება ქართველობის ერთ-ერთი ნიშანია; დუელი იყო, როცა თოფით ხელში გურიის ამწიოკებელ ალიხანოვ-ავარსკისთან შეომებას აპირებდა და თავისი მახვილივით განმგმირავი წერილებით დღენიადაგ ებრძოდა საქართველოს მტრებს; დუელი იყო, როცა ჭადრაკში ნაგებასაც ისე განიცდიდა, რომ ლამის გათენებამდე არ ეშვებოდა მოწინააღმდეგეებს. ნიკო ნიკოლაძისა და ივანე მაჩაბლის ისტორია გავიხსენოთ, თუნდაც: ერთი მათგანი, ორიოდე მოუზომელი სიტყვისთვის, დუელში გამოიწვია, — თანამებრძოლიც აჰყვა ამ უგუნურებაში (ისიც ხომ ამაყი ქართველი იყო!). კიდევ კარგი, მესამე ქართველს ეყო ძალა და ჩაშალა ეს სახიფათო საქმე.

განსაკუთრებით ძნელი დუელი ის გახლდათ, ეროვნულ კალაპოტში რომ უნდა დაებრუნებინა ხალხის სული, როგორმე. ამიტომაც თავგადადებული, დაუჯერებელი ენერგიით იბრძოდა ერთდროულად მრავალ ფრონტზე: პოეტი, პროზაიკოსი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, ბანკირი, მეურნე, რედაქტორი, სათათბიროს ხმოსანი, — რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?

უდიდესი კაცთმცნობელი და გულთმისანიც იყო, — აკი გენიალურად იგუმანა იოსებ სტალინისა და ნოე ჟორდანიას ფენომენი. ორივე მიიყვავილა, მიიზიდა თავიდან, სცადა მათი ერის სამსახურში ჩაყენება, მაგრამ სიცოცხლეში ვერ შესძლო მსოფლიოს მასონური დრაკონის დაძლევა და აკი ფიზიკურად ემსხვერპლა კიდევ მის ნაირსახეობას — სოციალ-დემოკრატიას. თუმცა, საბოლოო დუელი აქაც მოიგო: 1937 წელს, როცა სტალინმა ილიას სახელთან ოცდაათწლიანი ომი წააგო, თავის ამხანაგს ჰკითხა, თურმე:

— ვინ უფრო დიდია: ილია თუ მე?

— რა თქმა უნდა, თქვენ!

— არა! მე მხოლოდ საბჭოთა კავშირს ვხელმძღვანელობ, ილია კი მსოფლიოსაც გაუძღვებოდა! — თქვა ყოფილმა სოსელომ.

როცა შორეულ საფრანგეთში დევნილმა ნოე ჟორდანიამ სიკვდილის მოახლოება იგრძნო, ახლობლისთვის უთქვამს: „შევცდით! ილია უფრო სჭირდებოდა საქართველოს!"

დღესაც დუელში ჰყავთ გამოწვეული ილია. დღეს, როცა მისი დაბადების 170 წლისთავია, წესით მთელი საქართველო ფეხზე უნდა იდგეს, მანიფესტაციები და საზეიმო საღამოები იმართებოდეს ერის მამის სახელზე, მაგრამ რა ხდება? მთავრობა უსირცხვილოდ დუმს, მისი ერთგული ტელევიზიები კი ზნეობის, მამულიშვილობის დამანგრეველ სისაძაგლეებს უქადაგებს ახალგაზრდობას. არც ოპოზიცია იძლევა დიდ იმედს. მათშიც არიან ისეთი, გამუდმებით მოტივტივე „მოღვაწეები", ილია ჭავჭავაძის მწერლობა-მოღვაწეობა რომ ეეჭვებათ და მხოლოდ საკუთარი, ცვალებადი გუნება-განწყობილების დასაკმაყოფილებლად იცვლიან პოლიტიკურ პარტიებსა და ორიენტაციებს. ისინიც იმათი შთამომავლები არიან, „პატრიას" რომ პარტიას გადააყოლებენ!

ილიასთან გამუდმებული დუელია საქართველოს ბოლო ათწლეულების ისტორია: ცხრა აპრილი, სამოქალაქო ომი, სამეგრელოს აწიოკება, სამაჩაბლო-აფხაზეთი, ჭრელა-ჭრელა რევოლუციები (თავს თუ იტყუებენ!) საეჭვო და გამაღიზიანებელი გახდა თვით ისეთი დიდებული სიტყვები, როგორიცაა: „მხედრიონი", „მოქალაქეები", „ნაციონალები", — სწორედ ის მცნებები, რომელიც სათაყვანოდ მიაჩნდა ერის მამას, ენასთან, მამულთან და სარწმუნოებასთან ერთად. დიდად ვერაგია ზოგიერთი მტერი, — არა მხოლოდ თოფით, ძალადობით, არამედ ფულითა და გამალიზღებელი ქებითაც წაგიხდენს რწმენას სიწმინდეებისადმი!!! აქაც ფხიზლობდა ილია, აქაც გვაფრთხილებდა, — ახლა ხმლით, თოფით ბრძოლის დრო აღარაა, ცოდნა, შრომა და ფულია უმთავრესიო.

წინასწარმეტყველურად, შეჰყვარებია ხალხური სიმღერა: „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ, ყველა დაგიწყებს გმობასა, საცა კი შემომეყრები, გეტყვი ძმობას და დობასა. „დააკვირდით ამ სიტყვების შინაარსს! აკი ყოველივე მალე ახდა. აკი შემდგომ, სასამართლოზე, მისი სასიქადულო მეუღლის ოლღა გურამიშვილის პირით მან მკვლელებს შენდობა და პატიება შეუთვალა, თუმცა, სამწუხაროდ, ისიც ცნობილია, თუ რა უკიდურეს გაჭირვებაში ამყოფეს ეს ქალბატონი შემდგომმა მთავრობებმა. ესეც ილიასთან დუელი იყო, მის სახელთან, ოჯახის ღირსებასთან და სიყვარულთან დუელი.

ბედთან დუელი იყო, როცა საგურამოში გამგზავრების წინ მოსალოდნელ ხიფათზე გააფრთხილეს და ის მაინც წავიდა წიწამურისკენ. გულმხურვალე და გონიერმა ქრისტიანმა უწყოდა, რომ სიცოცხლეში გაწეული, ერის გადამრჩენელი სამსახური საკმარისი არ იქნებოდა, თუ მოწამებრივი სიკვდილითაც არ დასვამდა ბეჭედს, ბოლო წერტილს. „მე ილია ვარ!" — ეს სიტყვები შეაგება მისი შუბლისკენ გამოსროლილ ტყვიას და შთამომავლობას სამარადისოდ გვეყოფა საფიქრალად, თუ რა დევს ამ სამ სიტყვაში: ტკივილი? რისხვა? პატიება? სიხარული? ბოლო სიტყვითაც, ბოლო ამოსუნთქვითაც იგი ქართველი იყო, — ამაყი, ზვიადი, შეუპოვარი.

მერე რა, რომ უკვე წმინდანადაა შერაცხული? ილიასთან დუელი დღესაც გრძელდება შინაური თუ გარეშე მტრებისგან! გრძელდება დაუნდობლად, ქვეშეუდანურად, ათასგვარი ხრიკის გამოყენებით, რომ როგორმე მოუშალონ ქართველობას სამი დიადი მცნება: მამული, ენა, სარწმუნოება! ვერ ეღირსებიან ამას ისევე, როგორც ილიას სული ვერ ეღირსება მოსვენებას მანამ, სანამ მისი სათაყვანებელი საქართველო არ გამთლიანდება, არ გაბრწყინდება! ამიტომაც თუ არ გვეთმობა დღემდე ტირილით ნამღერი: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია? აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია". მწამს, ოდესმე, უთუოდ, დასრულდება ეს გაუთავებელი ელეგია. რაც არ უნდა იყოს, თავისუფლები ვართ (ცხონებულო ილია, ავტონომია გენატრებოდა!!!), მართალია, დაჭრილ-დაჩეხილები ვართ, მაგრამ თავისუფალი არსების, მითუმეტეს, გამარჯვებულის, წყლული მალე რჩება, თურმე.

იქამდე კი კვლავ გრძელდება დუელი, — ჩვენ არც ახლა ვიცით, სულ მალე ვის და რას აირჩევს საქართველო, ვის უერთგულებს: ილიას თუ???...

P.S. სიტყვა წარმოთქმულია ილია ჭავჭავაძის საიუბილეო საღამოზე ხელოვნების მუშაკთა სახლში. 2007წლის ნოემბერი



მარადი ოსტატობა

„სხვა ჰა?... საქართველო გქონდეს!“

შემოდგომა უხვფერობდა იმერეთში. 1978 წლის ოქტომბერი მზიანობდა.

აჭარის კულტურის დღეებს მასპინძლობდა ქუთაისი. დასკვნითი საღამო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა. ხალხით გადაჭედილ დარბაზში ლექსი დღესასწაულობდა. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა ქუთაისელ და აჭარელ პოეტთა უსაზღვრო სიყვარულით სავსე სტრიქონები...

იმ დღეს თავისი ემოციური გამოსვლით დამამახსოვრდა პოეტი ზურაბ გორგილაძე, რომელმაც სწორედ რომ მოხიბლა მსმენელი და მქუხარე ტაშში ჩანთქულ დარბაზს ახალი ლექსით ამშვიდებდა მხოლოდ.

მეორე დღესვე მოვიძიე პოეტის კრებული, მინდოდა, მის შემოქმედებას ახლოს გვაცნობდი. დიდი სიხარული განვიცადე, როცა მეგობარმა ზურაბ გორგილაძის 1977 წელს გამოცემული კრებული „სინაზე“ მათხოვა.

წვეთწვეთობით ნაგროვები სიკეთითა და სინანულითაა სავსე ეს წიგნიო, წერს წინასიტყვაობაში პოეტი.

„კაცობრიობის აზრი ცისკენ მიიწევს, სიმაღლეს მიელტვის, კვაზარებს გადადის, მაგრამ მე მაინც მიწას ვეშურები. ასეც ჩემი საუკუნის შვილი ვარ, ასეც განივთებულია ჩემს ყოფნაში მისი უკმარობა და უმაღლესობა...

ჩემო კეთილო, მოიღე წყალობა და გადასდე ქვეყანას სინაზე, დადგი იგი სიკეთისა და სინანულის ტაბლასავით.

მეტს მე ვერ ვიგუნებებ. დანარჩენს ეს წიგნი შემოგავედრებს, თუკი... თუკი ჩაჰყვები მას.

ჩამიყოლია და ჩავყევი ზურაბ გორგილაძის სინაზეს შეზავებულ სტრიქონებს და მას შემდეგ მისი თაყვანისმცემელი და ერთგული მკითხველი ვარ. ახლა, როცა პოეტის სული მარადისობაშია დავანებული, ლექსზე შეყვარებული მკითხველები კვლავ გაგვახარა აჭარელ მწერალთა ინიციატივით გამოცემულმა პოეტის რჩეულ ლექსთა ახალმა კრებულმა, რომელშიც ადამიანთა სიყვარულით გამთბარი სტრიქონებით ავტორის უწრფელესი განცდებია გადმოცემული.

ლექსი ხომ სულის საზრდელია, თაკარა გრძნობაა, მეტაფორებით შემკული. მასში ყველაზე მკაფიოდ ჩანს შემოქმედის ტკივილი თუ ბედნიერება. ჭეშმარიტი ნაწარმოები ყოველთვის ამ შეგრძნებითაა გაჟღენთილი. ზ. გორგილაძის ლექსებში იხატება მისივე სევდა-სიხარული და პირველი სტრიქონიდან ვიდრე ბოლო სიტყვამდე სამშობლო მიწის, მის სიღრმეში ჩაზრდილი ფესვებისა თუ მისკენ აშვერილი ტოტების სიყვარული, უსაზღვრო სიყვარული იკითხება და შენც განიცდი ამ სიყვარულით სავსე სულის მგზნებარებას, თან გრძნობ პოეზიის პირისპირ მდგარი პოეტის მშობელი მიწით ამაღლებას, რაც მწვავედ განუცდია ქვეყნის წარსულისა და აწმყოს სიამაყის შეგრძნებით თუ ტრაგიკული გააზრებით. მის ყოველ სიტყვაში სულის სიღრმემდე ვგრძნობ ქართველობას და აგერ უკვე ამდენი წელია, ზურაბ გორგილაძის პოეზია სამშობლოს სიყვარულით ჰკვებავს და აცოცხლებს. მის შემოქმედებაში ხატიმამულის სიყვარული აღმაფრთოვანებული პათოსით არ ხმაურობს, პირიქით, ყოველი მოვლენის ტრაგიკული განცდა მამულზე აფიქრებს და ცხადსა თუ ძილში მის კეთილდღეობაზე ფიქრობს პოეტი. ამიტომაცაა შეშფოთებული, სიზმარში ალავერდის ტაძრიდან ორი რუსთაველი რომ იხილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაური რამ ეზმანა პოეტს — აღზევებული და დაცემული საქართველო ერთად ნახა: ხედავდა, როგორ უთმობდა ტახტს ბრძენი როსტევანი, მაგრამ თან ტახტის გამო მტრობდა და ღრღნიდა; იქვე ვეფხვს კოცნიდა შმაგი ტარიელი, ერთგან კი მიდენიდა ვირებს, ერთგანაც „ავთანდილი ხელჭუჭყს მიღნაოდა და ერთგან ამღერებდა ბარბითს."

წარსულის დიდებასთან ერთად ასე წარმოაჩინა პოეტმა დამცირებული აწმყო. დიდი საქართველო დაგვანახა რუსთაველისა და მასთან ახლანდელი პატარაც, სადაც მამაძაღლობაა მეტი და:

„სულ ფეხზე ეკიდა მულღანზანზაროელს
შენი გულანშაროს ბედი,
აღარც უცხო მოყმის ძებნა რაინდული,
აღარც ცხრა მთის იქით წასვლა,
ფატმანს უღრიჯოდა შენი ავთანდილი
ქაჯთა დაცალეწვის ნაცვლად.
მტერი მიდიოდა, მტერი მოდიოდა,
ყოვლით და ყოველი მხრიდან,
იგი, მეორე რუსთაველი
პირველს ძიძგნიდა და თხრიდა."

ეს პოეტის ტკივილია, შიშია, რომ დამცრობილმა საქართველომ არ იმძლავროს. მხოლოდ ერთი სწადია, დიდმა იხაროს და იღორძინოს, ამიტომ შესძახებს: „ღმერთმა დაგვიფაროს, ღმერთმა! — საქართველოს ორი რუსთაველი ჰყავდეს!" იმ დიდ ეპოქას შენატრის ავტორი, რადგან მისთვის საქართველო რუსთაველია და რუსთაველი — საქართველო. თავისი მრავალფერი მამულის ტკბობას ესწრაფვის პოეტი, უკმარია მისთვის მარტო წარსულის განცდა და ამიტომ ეძახის თანამემამულეთ: „სული არ შეგეწამლება? გული არ დაგენაცრება? რა ქნან, რამდენი გიცადონ გაციებულმა ტაძრებმა?!"

ეს ხომ აწყმოთი ტკივილია, წარსულის მივიწყების გამო, არადა ვაჟას მთებივით უსასრულო მოლოდინით იცქირებიან ლოდებადქცეული ტაძრები:

„ცას შეტყორცნილი ოცნების ყელი,
გუმბათი, — ურჯი ლერწამის ღერო,
რომელიც კვნესის, რომელიც მღერის
ქარში გაძენძილი ზარის ბაწარით,
დგას და საყვარელ მომკითხავს ელის
სხალთის ტაძარი, სხალთის ტაძარი."

აჭარის მთებს გალობად ამოხდენია გულიდან თოვლზე თეთრი სხალთის ტაძარი. რამდენი დრო შემოაბერდა ხელში ახლა გუმბათდადებულ ძველ დიდებას, რომლის სიჩუმე ვერ აუტანია პოეტს და მუდარით მიმართავს მას: „უნდა დარეკო ზეიმი ზარი, ჩემო ამდენი ხნის მოთმინებავ!" ამ მუდარაში იმედი ხმიანობს, რომლითაც სულდგმულობს ზ. გორგილაძის შემოქმედება.

ერის აზროვნებიდან მომდინარე, ქართულ პოეზიას ერთი ცენტრალური ხაზი მოჰყვება — ახლანდელით სინანული და წარსულით ტკბობა. ქართველ კაცს თავისი ფიქრებისა და ოცნებების საიმედო თავშესაფრად წარსული მიაჩნდა მუდამ. აწმყო არასოდეს ჰქონია ბედნიერი ქართველს, მაგრამ ყველა აწმყოში ხომ მომავალი შენდება, რომელიც შორიდან დიდ საქართველოდ მოჩანს უკვე. მთავარი ისაა, ფესვებს არ უნდა მოსწყდეს ერის აზროვნება და არც მარტო წარსულით იცხოვროს, რადგან მხოლოდ განვლილის გაღმერთებით მომავალს ვერ გამოვკვებავთ. ყველა დროს თავისი სისხლი და ენერგია ჭირდება, ამიტომ ამაღელვებლად ისმის პოეტის მოქალაქეობრივი მრწამსით აღსავსე მიმართვა მამულისადმი:

„მე თუ მჭირდები, სად გჭირდები,
როგორ გჭირდები?
დამგმანა ეჭვმა, —
და მრისხანე ჯგველერთამ დამგმანა,
ვიცი! — ო, ვიცი მარტო ლექსის წერა
არ კმარა.
ვფაფხურობ?..
აბა რით მოგიკვდე, რით გემსახურო,
რა ჰქვია იმას, — ვინც რომ ქვეყნად
მართლა ფაფხურობს?"

პოეტი ერის შემძახებელია. იგი ერს აფხიზლებს, „ქვეყნის მეველე და მოვალეა," შემხსენებელია, ძმებმა სიყვარული არ დაკარგონ, მამულის რტომრავალ ბურჯს მოუარონ, უცხო თესლმა არ დასცინოს, რადგან:

„დღეს სხვა დროა,
სხვა მსხვრევა და განგაში,
შენს მაოხრალს რომ ამხელს და ამბობს,
მთიდან გვეხ-გვეხ გოროხებს ნუ დამიშენ,
სამშობლოში გამართული გამიშვი,
ტბელისა და სელიმის ძვლებს საფლავში,
პირჩაღმა ნუ ჩამაბრუნებ ხალხო!"

ქართველ ერს თავისი თვითარსებობის მანძილზე ბევრჯერ ჰქონია ძნელბედობა და ამ დროს ყოველთვის სიტყვის კაცი, მწერალი ამხნევებდა და აფხიზლებდა მას. ჯერ კიდევ VII საუკუნეში იოანე საბანისძე მოთქვამდა ერის გადაგვარების გამო. ეს იყო დრო, როცა „ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგულარძნეს" და ერთადერთი, რითაც შეიძლებოდა ქართველს შეენარჩუნებინა ეროვნული სახე, უნდა გამოეჩინა ერთგულება „ჩვეულებრისამებრ მამულისა სვლისადმი". და ეს გზა რომ არ გამრუდებულიყო, საბანისძე აფხიზლებდა ერს. მერე დავით გურამიშვილმა იკისრა მშობელი ხალხის არასასურველი მხარეების ჩვენება, ქვეყნის ნაკლოვანებათა საჯარო მხილება. სამშობლოს ტკივილებით გულგასენილი პოეტი გოდება, რომ „მცირედ დარ-

ჩა ცოდვისაგან კაცი ღვთისგან შენაწევრი“. ქართლის ტკივილების დიდი მოზარე ცდილობდა, მართალი ეთქვა, საძრახი დაეგმო, რადგან იცოდა, „ძრახვავე სჯობს საძრახავსა, ძრახვას კაცი მოუფრთხების“-ო.

ასე ფხიზლობდა ჩვენი დიდი პაპა ერის ზნეობის სადარაჯოზე. გურამიშვილის დროიდან ერთი ასწლეული გაივლის და ილია ჭავჭავაძემ თავისი დროის ქართველის რეალური სახე ასე წარმოგვიდგინა: „უწყინარი, უჩინარი, ქედდრეკილი, მადლიერი, უშფოთველი, ქვემძრომელი, ყოვლად მთმენი, ვით ჯორცხენი ნახედნი და ღონიერი... თვალაბმული, თავაკრული, ჭკვადამჯდარი, ცუღლუტი და მანკიერი. მტვერწაყრილი, თავდახრილი, არგამტანი და ცბიერი, მტრის არმცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი, არრის მქონე, არრის მცოდნე, უზრუნველი და მშიერი.“

ილიას შემოქმედების პრინციპად იმთავითვე იქცა „მოყვარეს პირში უძრახე...“ და ასე აფხიზლებდა იგი ქვეყანას, ამიტომაც ტკივილით ამბობდა: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?“

ილიას „ბედნიერი ერის“ გამოძახილია ზ. გორგილაძის` ამავე სახელწოდების ლექსი, მაგრამ აქ არსად ჩანს სატირა, პირიქით, მშობელი ხალხის სიყვარულით სავსე პოეტი მხოლოდ ერის საუკეთესო თვისებებს წარმოაჩენს და აქედან გამომდინარე, კეთილშობილური ხასიათებით სავსე მამულიშვილების გამო სამართლიანად განიცდის სიამაყის გრძნობას და ამბობს:

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!“
მოყვასი და შემფარველი,
დამთბობი და ლმობიერი.
სხვისი ნიჭის მოთაყვანე,
არბღენძი და კადნიერი,
ათასწლეულების ტომებს,
არ იქნება არ ახსოვდეს,
პატრონობა რომ იცოდა,
ბატონობა, — არასოდეს!
„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!“
ჭირვარამში გონიერი,
ზარ-ზეიმში ზომიერი...
ისევ? — ხელებდაშაშრული,
ისევ! — ქუსლებდახეთქილი,
კოლხეთივით გულფანცქალა,
გულგოროზი კახეთივით,
პატარა და დიდი მაინც!
დიდი, მაგრამ არა ბევრი...
ღმერთს მადლობა! — პატარა ხარ...
დარდს და იმედს აფრთიანებ,
შენს ცოდვებზე ვერ მოთქვამს და
ვერ იჩივლებს მატიანე.
შენისთანა ბედნიერი,
განა არის სადმე ერი?!
შენი მოთმინების იყოს,
შენი მრავალჟამიერი!“

ზურაბ გორგილაძე ქართველი ხალხის მიერ გამოვლილ უშორეს გზაზე გაბნეულ ღირსეულ ნაბიჯებს ეძებს, მან კარგად იცის, რომ საქართველოს არასოდეს უცხოვრია სხვათა მიხტომითა და დახმარებით, სხვისი არასოდეს დაუჩემებია, არავისთვის უღალატნია და რაინდული შემართებით უთელია ისტორიის ვრცელი სანახები. პოეტს თავისი ხალხის ღირსეულ თვისებათა წარმოჩენით სურს ერის შეფხიზლება, სურს თანამედროვეთ დაანახოს, რომ სიქველე და სიკეთე უფრო მეტია ქართველთა ისტორიაში და ხალხს, რომელსაც ასე უცხოვრია, ასე მოუტანია თავი აქამდე, ახლა სხვაგვარად არსებობის უფლება არა აქვს, ამიტომ რაინდული შემართების ერს ასე მიმართავს:

„კაციშვილი ვერ დაგწამებს,
ზარია თუ ნაღარაო,
საქართველო მომვარდა და
დამამხო და დამყარაო.
კაციშვილი ვერ დაგწამებს
ავსებავ თუ გავსებაო,
საქართველომ ამჩეხა და
ამკაფა და ამსხეპაო.
კაციშვილი ვერ დაგწამებს
მირონი თუ სამსალაო,
საქართველომ გამქურდა და
გამზიდა და გამცალაო.
საქართველომ დამათრო და
გამბორკა და გამყიდაო.
ღმერთი ჩემი, ენა ჩემი,
წიგნი ჩემი მოისრაო.
შენ კი... ლამის
რაინდულმა მოთმინებამ აგატიროს,
კაცო, რამდენს აპატიე და,
რამდენს უნდა აპატიო!“

მამულის ბედი თუ უბედობა „ურმულის“ მსგავს ტკბილ-მწარე მღერად გასდევს ზურაბ გორგილაძის შემოქმედებას. მის ყოველ სტრიქონში ჩანს, როგორ ეფერება პოეტი სიძველის ფერფლით დაფარულ შებოლილ ტაძრებს, რომელთაც ათინათებით აკიაფებს ძველი ლეგენდები, ეფერება სამრეკლოთა ზეცისკენ ანვდილ ხელებს და ქართული მიწის ყოველ გოჯს, სადაც „ძველთა ძვლების ალაგი ბოლავს და ზარზმა გუგუნებს გულთან, სადაც ჩურჩულით უნდა ილაპარაკო და ფეხაკრეფით იარო უნდა.“

ზ. გორგილაძის პოეზიაში ჭეშმარიტი მამულიშვილის ხმა ისმის, მას სულის სიღრმემდე უყვარს ყოველივე ქართული, წინაპრის ცხე-

ლი თვალები, უცქერს მუდამ და ისე განიცდის წარსულის სუნთქვას, მაოხარი მტრის გახსენება უჭირს, რადგან ტკივა მისგან ათასჯერ მოქნეული მახვილი.

თემურ ლენგისგან მრავალჯერ დაკლებული, ნატანჯი ქართლი გულს უკლავს პოეტს და სისხლიანი სულით დაგეშილ აზიის ლომს ასე მიმართავს:

„ცას ზარავდა აზიისას,
სტვენა ლახტის და ისრისა,
შენს ცხენებქვეშ რა ქვეყნები,
— რა ხალხები დაისრისა.
მოჰყვებოდა ხმალთა ჭიხვინს,
მიჰყვებოდა ქარის ყმუილს,
ბარე რვაჯერ შემოჰკარი
ქართლს სიკვდილის ალიყული.
ღმერთმა იცის, — ვის ჩეხავდი...
ღმერთმა იცის, — სად მარხავდი...
შენ კი გულზე ვარდებს გაყრის,
სამშობლო და სამარყანდი.“

ზურაბ გორგილაძეს სიამაყით ავსებს იმის გაცნობიერება, რომ აზიის ცის მზარავ ურდოსთან ბრძოლაში მისი ხატიმამული გადარჩა. გადარჩა და ისიც ეტრფის თავისი ქვეყნის ფუძის ქვას თუ ქოხის ღრიჭეს, ქართულ სიტყვასა და მეტაფორიზმებით მოზარნიშებულ ლექსს ეფერება, ზოგს ქუხილის სურნელი რომ ახლავს, ზოგს ლოდ-კენჭების, დაფნებისა, დედის და დიდნენეს სურნელით გაჟღენთილ სიტყვას ეტრფის პოეტი, ლექსს კი მისას „ყაბალახის, თუთუნის და საქართველოს სურნელი“ ასდის.

ზ. გორგილაძე მშობლიური მთების ნაღველს ხედავს დედის თვალებში, ტკივა თავისი ქვეყნის „ლოდებნაყრილი, დაღლილი სიძველე“, და ხიბლავს ციხეთ ნეკნებში ჩაძირული ბებერი ღველფი. ემოციით გაჟღენთილი მისი სიყვარული მელოდიურად აჟღერებს სიტყვათა ნაკადს, ლაღად, დაუბრკოლებლად მოედინება ლექსად და სიმღერად ნათქვამი მისი უწრფელესი გრძნობა ჰარმონიული მთლიანობით, სიმწყობრითა და დინამიურობით გადასდებს მკითხველს სამშობლოს სიყვარულს:

„ჰოიდა ნანა, ოჰოი ნანა,
წარბგახსნილი დავალ განა,
საქართველოვ, ჩემო დედავ,
ჩემი სუნთქვა განაცვალა,
ჩემი ყველა მქუხარება,
მწუხარებაც გენაცვალა,
შენი სიტყვის სიცოცხლისთვის
ხიხაძირში კიდევ ვდგევარ,
შენი ჭერის სიმაღლისთვის,
მარადიდში ვხლიჩავ ყავარს,
შენი რჯულის საჯილდაოდ
სხალთას ვრეკავ ზარებს მთვარეს,
ერთ ძირ ვენახს სულ მირგავდი,
კვლავ დაგირგავ დღეს და ხვალაც?
იდიდგულე, რომ ამფერი
აჭარელი გყავდი განა!!!

მკაფიოდ მუსიკალურ სტრიქონებში მომაჯადოებელი პლასტიკა იხატება განუმეორებელი აჭარული ილეთებით. რითმებში ექოსავით ხმიანობს „განდაგანის“ სულის გამმსჭვალავი გრძნობა და სტრიქონიდან გადადის სამშობლოს ტკბობით გამოწვეული ემოცია, ბედნიერი ხარ, რომ „კლდის კატარში მზე ყვავის და კლდის ბორჯღალზე ბენჩქვი ყანა“, რომ „ვაზის ლერწი ლოფორთქანა ყელზე შემოგეფართქლა“. და ამას ისე მსუბუქად ამბობს ავტორი, გიხარია, შენი სათქმელი ასე მარტივად რომ თქვა, რომ დაგხარჯა და სიყვარული ბოლომდე ამოგათქმევინა.

ზურაბ გორგილაძის პოეზიის მთავარი თემა სამშობლოა, „მხარე უანკარეს მოფერების მდგომი“, სხვა არც უნატრია რა, მხოლოდ.

„ხაპის ჟვერში ყველი გაახვიე,
ნაცრისკვერში დაადევი ზედან,
ციცაის თავშესაფარში გამოკოჭე
და მზე ცალი თვალით გამოგოჯე,
გასწი!-თავდაღმართში მხნედა.
ბიჭი მოზვერივით წინ გაიგდე,
ძაღლი დააბრუნე უკან,
აღარ მოუხედო ნაიარევს
და სხვა ღიღინებით გაიარე
შენი წუთისოფლის შუკა.
გზაში ღიმილებით იგონებდე
შენი დედაკაცის პუტუნს...
ბრდღვნიდეს ჭადის ყუას დამშეული
ბიჭი, წარბესშუა გაქცეული
შენ კი აფეტებდე თუთუნს“.

საქართველოში სიყვარულით გათანგულს მეტი მართლაც არ უნატრია.

სამშობლოს სილამაზით დაუკმაყოფილობა, თუ შეიძლება ითქვას, სამშობლოს მშვენიერებით გამოწვეული სევდა, არა ახალია ქართული პოეზიისათვის. კაცის თვალის უძღებია ჩვენი მამული, მაგრამ ბედით კმაყოფილი არასოდეს ყოფილა მუდამ აწმყოატირებული. ამიტომ ამბობდა დანანებით ილია:

„კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ,
ლამაზად მორთული და მოკაზმული,
მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ,
იმდენად, კარგო, მიკვდება გული“.

უფლისგან თვალდადგმული მამულის მკვიდრნი უფრო ლამაზ, უფრო ბედნიერ საქართველოს ნატრობდნენ. ლადომაც ასე თქვა: „ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდაო“. უკმარისობის გრძნობა აწვალებდათ თაობებს და სწორედ ამ განცდითაა სავსე ზ. გორგილაძის ლექსი „მაინც, მაინც!“ გულში დაუტეველი სიყვარულით ეფერება პოეტი კოლხეთის ნარინჯებს,

კახეთის ლილისფერ ვაზებს, მესხის ჩანგს და მეგრულ მღერას, ფშაურ ხანჯალსა და ჭრელ წინდებს, ეფერება და ეძვირფასება ყოველივე, მაგრამ მაინც ნანობს, რომ

„ვერ ვივარგე საჭაშნიკედ,
ეს საფქვავი არ ღირს მინდად,
რა ვქნა, ჩემი საქართველო
უფრო სხვანაირი მინდა!
მესიზმრება, რომ მარანში
ტაო-კლარჯულ მტევანს ვზილავ,
რა ვქნა, ჩემი საქართველო
უფრო, უფრო ჩემი მინდა!“

მაინც როგორი საქართველო უნდა, რა იწვევს ავტორში დაუკმაყოფილებლობის გრძნობას? ალბათ, ის, რომ ადრე იყალთოს, გელათს, პეტრიწონს ღვთის და ერის ხმა ებარა, ზნეობა ებარა ხალხის და იყო დრო, როცა „კაცობრიობამ ქართული აზრი თავის უმაღლეს თაროზე დადო“.

„ახლა? სად არის მძვინვარე ფრთები?
გარნა ყოველი გასრულდა, გარნა?
რატომ დაფასთან ლენჩივით დგები
და ელოდები მავანის კარნახს
ის არ სჯობს, ამდენ კეჭნას და მანჭვას,
აუგად მშვიდო, ამაყად ანცო
ერს გაუსინჯო დროულად მაჯა
და სნება თვისი პირველმა ამცნო?

სნებამართლაცშეპარვიამისმამულს:„გლეხი ვენახს ველარ ხელობს“, „ძროხას თათრის ქალი წველის, ღვინოს ლეკის ბიჭი ფერობს, გოგო — სიყვარულებს ჰყიდის, სხვის ხნულში ჰყრის ბიჭი თავთავს, გუთნის ტარი აღარ ტარობს, აღარც იგი ცელი ცელობს, აღარც ერთი ყმა ჰყავს გუთანს, რომ არაგვის ჭალა თელოს“. ისიც აწუხებს პოეტს:

„ნეტავ...
რა გზებით გაემართება,
შორეულს იქით ჩემი მამული?
ნეტავ სად, რა დროს შემოაკლდება
ქართული ცეცხლი და ჟრიამული.
ნეტავ სად, რა დროს შემოელევა
წარსული, — ჩვენი ყოფნის საგზალი?
სად გადაწყდება მისი დარჩენა
და მისი სულის ქროლა კეთილი?
ნეტავ სად, რომელ გზაჯვარედინთან,
სად არის იგი გზაჯვარედინი?“

ყოველთვის შიშობ, რაც გიყვარს, არ გაგიმსხვისდეს, არ დაკარგო. ზურაბ გორგილაძეს აშფოთებს იმის გაფიქრებაც კი, რომ შეიძლება მისი მამული გზაჯვარედინთან დადგეს, აფიქრებს სადაა თავისი ქვეყნის ყოფნის საგანი. ვერა და ვერ წარმოიდგენს, რომ გამართოს „შორეულს იქეთ ხატიმამული“, რადგან გრძნობს, რომ

„განტოტვილი ვარ, გაფანტული
ცხრაჯერ ცხრა მხარეს,
სად არ დამჩეხეს, სად არ დამკლეს,
სად არ დამყარეს...
ღმერთებთან ღრეობს საქართველო
ცა მინანქარი!..
მე სხვა სასწაულს
სამყაროში ვერ მივაგენი“.

პოეტისათვის სასწაულია მამულის მიწა და ცა მინანქარი, სასწაულია ენა ქართული, რომლის მსახურადაც , მოაქვს თავი და მოწიწებით მიმართავს მას:

„მე რასაც ვნახავ, რასაც ვიპოვნი,
მტვერი იქნება შენი კიდობნის,
ბული იქნება შენი ქალამნის
და ღმერთმა ნუ ქნას, ისიც ჰარამი, —
რამეთუ შენი კვერთხი მპატრონობს,
ქართულო სიტყვავ, სიტყვავ ბატონო!“

ზურაბ გორგილაძეს ლექსის ენა მსუბუქია და ხატოვანი. პოეტს ძალუძს სიტყვის ფლობის ხელოვნებით სისრულით დაგვანახოს საკუთარი შინაგანი სამყარო და წარმოგვიდგინოს ქართული სულით სავსე შემოქმედი, რომელიც ასე ეფერება მდიდარ ქართულ ენას: „სიტყვავ, შენ რჯულის სულო ბებერო, ნეტა სანამდე გეფერო, სანამდე უნდა გელოლიავო, სანამდე ფუთნო და გეალერსო“.

ასე ნაფერებ-ნალოლიავები ენით მხოლოდ სიყვარულსა და სიკეთეზე წერს ზურაბ გორგილაძე. მის სტრიქონებში არსად ჩანს ბოლმა და ჯავრის ამოყრის სურვილი, არც აუგს ამბობს, არც წყრომას გამოხატავს. მისთვის ქართული სიტყვა ხან ჯვარია, ხანაც მტევანი თუ მარგალიტი. პოეტი ულამაზეს დიალექტურ ფორმებს არჩევს თავისი გრძნობების გადმოსაცემად და იშვიათი სილამაზით უთანხმებს ერთმანეთს მდიდარ სალიტერატურო ენასა და დიალექტიზმებს. როდესაც იგი ამბობს „მზე ხვარჩალებს გარეთ“, ნათლად აგრძნობინებს მკითხველს, როგორ იღვრება მზე სანახებში და აფუებს მიდამოს. ან კიდევ „ბდგინავს რიარია ფერთა“, „კახაბრის ველზე ფთქინავს ყვავილი“, „მოხვანთქალე ხარდანზე ლერწები რომ ჰკიდია“-და ამ სიტყვებით გრძნობ, როგორ ზეიმობს გაზაფხული და გულის გულში გეჭიდება ხალასი ქართული სიტყვა, რომელიც საოცრად შთამბეჭდავია და ბოლომდე განგაცდევინებს ავტორის ჩანაფიქრს. ფიქრი კი მისი მხოლოდ ერთია:

„ხევში მზის ჯოგები ჩადიოდეს,
კვამლი ასდიოდეს ოდებს,
სხვა რა? —
აყალო და შავხოშორი,
მიწა მარჩენალი, ძვალხოშორი
და...
საქართველო გქონდეს!“

P.S. ქალბატონ მაცაცო ლოსაბერიძეს ახლახან მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაარსებული ზურაბ გორგილაძის სახელობის სახელმწიფო პრემია.

ვაჟა-ფშაველა

ლილი ლიკანი

ვაჟა-ფშაველა: ომი და გმირი

ვაჟა-ფშაველა მღვდლის შვილი იყო, სწავლობდა სასულიერო სასწავლებელშიც, მაგრამ უფრო თავისი წინაპრების ქვეყანა ეძახდა, ომი და გმირული სული, სისხლის ამბოხი.

ეცვა ჩოხა-ახალუხი, ყელზე ყაბალახი ეხვია. თავზე კრავის ფაფახი ეხურა. ეკეთა ქამარ-ხანჯალი, ეცვა წუღები ან ნაღები. იყო ცხენოსანი, მონადირე, ღვინის, ლუდისა და არყის მოყვარული, გარდასულ ომებზე ნოსტალგიით შეპყრობილი.

გალსტუკიანი და კოსტუმიანი ვაჟა არავის უნახავს, თუმცა თბილისში ზოგჯერ ტროსტითაც დადიოდა.

იყო ამაყი და პატივმოყვარე, ფიცხი და ძლიერი, კერპი და შეუპოვარი.

სახლში მუშაობდა, როგორც ჯანმაგარი გლეხი, გუთანს ეკიდა, საქონელს უვლიდა.

როგორც სიმონ ჩიქოვანი შენიშნავს, ვაჟას სახელი ჩარგალში განდეგილის სენაკს ჰგავდა.

განსხვავებით ილიასაგან, ფიზიკურად შრომობდა, წვალებით არჩენდა მრავალსულიან ოჯახს. ხმელ ქალამანს წყალში ალბობდა, ბუხრის ცეცხლის მკრთალ შუქზე წერდა. ცხოვრობდა მათ შორის, რომელთაც **„წიგნი ჭირივით ეჯავრებოდათ“.**

ვაჟას წინაპრები მეომრები და მოჯირითენი იყვნენ.

თავადაც სპარტანულად იზრდებოდა.

პატარა ლუკას განსაკუთრებით ჰყვარებია ბიბლიური დავითის მიერ გოლიათის დამარცხება, სამსონ ძლიერი, ძმათა მაკაბელთა თავდადება.

სახარება არ აინტერესებდა, არც ეკლესიაში დადიოდა.

თავადაც შენიშნავს, საგმირო ამბებს აღტაცებაში მოვყავდი და ეს დაედო საფუძვლად ჩემს შემოქმედებასო.

წარმართობა, ხატობა, ომი და ხევისბერი უფრო უყვარდა, ვიდრე ქრისტე და ქრისტესავით წამებულები, თუმცა მაცხოვრისადმი სიძულვილი ან დაპირისპირება არ ჩანს ვაჟასთან, როგორც ეს არის კონსტანტინე გამსახურდიას გმირთა ცხოვრებაში.

ყოველთვის პირველობას ესწრაფოდა, ეტანებოდა მას, რაც სახელს მოუტანდა. თავად წერს, აქებდნენ მოკრივეს, მეც ვკრივობდიო, აქებდნენ მოჭიდავეს — მეც ვჭიდაობდიო.

სახლში მელექსეობას ეტანებოდნენ და აქედან ჩაენერგა ლექსშიც პირველობის სურვილი.

ცალი თვალი სიჭაბუკეში დაუზიანა ციმბირის წყლულმა. მაგრამ ფიზიკურად ისევ ძლიერი იყო. შეეძლო ზამთრის ყინულოვან წყალში ჩამდგარიყო და ეთევზავა. ებრძოდა უსამართლობას, ერთის მიერ მეორის დაჩაგვრას, რასაც ჩხუბიც მოსდევდა ხოლმე.

ზოგს სცემდა, ზოგს ტყვიით დასჭრიდა ან ხანჯლით ყურს ჩამოათლიდა. არც მეზობლებს ინდობდა, თუმცა თავადაც არ დაჰკლებია შეურაცყოფა.

ოთახში კედელზე ეკიდა დათვის ტყავი, ირმისა და ჯიხვის რქები, თოფი და ფარ-ხმალი.

სიკვდილის წინაც, ლაზარეთში მწოლს, ჯარისკაცები ესიზმრებოდა და ეჩვენებოდა, რომ ფრონტი გაირღვა...

არადა — ეს მართლაც ასე მოხდა.

ფსიქიკური წარმოდგენებიდან და ხასიათიდან გამომდინარე, იდეალურად მიაჩნდა მეომარი რაინდი, რომელიც ლურჯაზე ზის, ცხენს მიაგელვებს, ჯავშანი აცვია, ხმალი ამოუწვდია და მტრის სისხლი სწყურია.

კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვით, **„ხმალი და ლირა, ჩაჩქანი და რკინის პერანგი შეეძლო ეტარებინა მხოლოდ ვაჟას“.**

გიორგი ლეონიძისათვის **„ვაჟას ლექსს აბჯრის სამუდამო ბრწყინვალება შერჩა“.**

ტიციან ტაბიძეს იგი აგონებდა საუკუნეთა წიაღიდან ამოტყორცნილ იხტიოზავრს, ვახ-

ტანგ კოტეტიშვილს — **„ჰერალდიურ ნადირს“**, სერგი დანელიას — უკანასკნელ წარმართს.

ამ შეხედულებათა საპირისპიროდ, ვაჟას წარმართობა ჩამორჩენილობად მიაჩნდა, სისხლის აღებას გმობდა, მხარს უჭერდა განათლებას. ნიცშე არ უყვარდა, ზარატუსტრას ქირდავა. თუმცა არაცნობიერად გამოვლენილი ომის სული, გმირის კულტი, სისხლის ძიება სწორედ ნიცშესთან აახლოებდა.

კარგად იცნობდა ფშაველთა და ხევსურთა ეთნოგრაფიულ ყოფას, ადამიანის ცხოვრების პრეისტორიას, ველური ტომების წეს-ჩვეულებებს (ძირითადად **ტეილორისა და სპენსერის მიხედვით**); ხევსურს **„ნახევრად ველურს“** ეძახდა, ხევსურთან შეუძლებელია **„ცოტაოდენი კაცური ლაპარაკიო“**, სასმელს რომ დალევს, ცოფდებაო!

მაგრამ პერსონაჟებად სწორედ ეს "ორმოცდაათნაჭრევიანი", დაჩეხილი ხევსურები გამოჰყავდა! — თავისი შორეული წინაპრები.

ებრძოდა სასოწარკვეთასა და ცრემლებს, ურბანიზმსა და ვაჭრის მორალს **(„გამრავლდა ჩვენს ქვეყანაში მიკიტანი და ჭონია“)**. მისი იდეალი იყო პიროვნული და ეროვნული თავისუფლება, რაც უომრად არ მოიპოვება.

ნიცშეს აზრით, მშვიდობა ანტიბიოლოგიურია, იგი ცხოვრების დეკადანსია, ხოლო ომი ყოველი საგნის დედაა.

ამიტომ სწორედ „ზარატუსტრას“ ავტორი გამოადგებოდა მეგზურად, როგორც დანტეს — ვირგილიუსი.

ვაჟასავით გმირი ბრძოლაში უნდა მოკვდეს.

ასეთი იყო იგი — თანამედროვეობისაგან განზე მდგარი, როგორც ვასილ ბარნოვი, უდროობის გმირი და ამდენად — დეკადენტების მონათესავე.

ასეთად წარმოადგინა იგი პაოლო იაშვილმა:

„მას ჰქონდა ღმერთების ენა და ჰომეროსის ნოყიერება. მაგრამ, არწივად წოდებული, საქართველოში დადიოდა, როგორც „ჩხიკვი ზაქარა“ — თვალჩამოხეული, ყველის სუნით გაჟღენთილი, დაკონკილი ჩოხით, ფრჩხილებში მიწაგამოგლესილი, ნარმის საცვლებში, დასული სოფლის მეწვრილმანის ვაჭრობამდის, მიუღებელი, უგვირგვინო. ის ჭლექით დააკვდა საავადმყოფოს ლოგინს, ისე, ვით უბინაო და ქუჩის მათხოვარი“.

მაგრამ ეს სასტიკი ცხოვრებით ნაადრევად ჯანგატეხილი კაცი სულით ვულკანს დაატარებდა და ძველი დროის ნოსტალგიით ახალი დროის გმირებს მოუხმობდა, როგორც აკაკი ნერეთლის დაფი და ნაღარა.

* * *

ვაჟა-ფშაველას ოცნება იყო თავისუფალი საქართველო. მაგრამ კოლონიური ქვეყანა, გადაგვარებული თავადიშვილები, დაბეჩავებული გლეხობა ახალ ცისკარს ვერ მოიყვანდნენ.

ხმალი **„არშინსა“** და **„ჩოთქს“** შეეცვალა **(„ჩივილი ხმლისა“)**, ვაჭრუკანები მომრავლებულიყვნენ **(„პროვინციის ქებათა-ქება“)**. ქართლოსი რომ ბრძოლაში სისხლს ღვრიდა, მისი სომეხი ძმობილი დუქანს ხსნიდა **(„ჰაოს და ქართლოს“)**.

ვაჭარი რაინდი და მეომარი არ არის.

ჯერ კიდევ რუსთაველის ავთანდილი ამბობდა:

„თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ,
ომისაცა უმეცარნი“.

„ჯაბანი“ კაცი ლიდერი ვერ იქნებოდა, ბორკილებს ვერ დაამსხვრევდა.

პოეტისათვის ორი დრო არსებობდა — გმირული წარსული და ნათელი მომავალი. ხოლო აწმყო ბნელი იყო და ავის მომტანი. ამიტომ, ერთი მხრივ, ისტორიულ გმირებს ეხმიანებოდა, მეორე მხრივ — ოცნებით თხზავდა მათ თანაზიარ ფშავლებსა და ხევსურებს, კიდევ რომ შეეძლოთ ხმალთა კვეთება, ცხენით ჯირითი და სისხლის ძიება.

თითქოს პრეისტორიული აჩრდილები გადმოდიოდნენ ფშავ-ხევსურეთის გორებზე, ან — ორფეოსის დარად საიქიოში ჩადიოდა და მიცვალებულებს ესაუბრებოდა, ცოცხლებზე უფრო ცოცხლივ წარმოიდგენდა:

„ცოცხალი მკვდრებთან ვსაუბრობ“,
„იქა ვარ, იქა, მკვდრებშია,
ამქვეყნად ვცოცხლობ ძალადა“
(„ერთხელ კი ჩვენაც ვყოფილვართ“).

ვაჟას პერსონაჟი არ არის წიგნის კაცი, ინტელექტუალი, ინტელიგენტი ან არისტოკრატი. იგი მონადირე და მეომარია, რადგან **„არ გვეშველება თუ ერთდროს სისხლად არ იქცე, მელანო“ („საახალწლო“)**, ეთნიკურად — ხევსური, ფშაველი ან თუში, ჩერქეზი, ქისტი ან ლეკი.

ზოგჯერ გმირული სული მაღლა დგება ეთნიკურ წარმომავლობაზეც **(„ალუდა ქეთელაური“)**.

კულტურაში გროვდება იდეები. მათ ძველად ძალად აქცევდა მეომარი, ახლა — პოლიტიკოსი, რადგან სამყაროში ბატონობს დათრგუნვის, დაპყრობის, დამორჩილების ბარბაროსული ან კულტურით სახეცვლილი ინსტინქტები.

სიტყვა არის ის მარცვალი, რომელსაც აღვივებს გმირის გულის ცეცხლი და აღმოაცენებს. გმირი ვლინდება და ინრთობა შეუპოვარ ბრძოლაში, როცა იგი იმარჯვებს ან იღუპება.

მას ჰგლოვობს მგოსანი. მის სიმამაცეს, ვაჟკაცობას მაგალითად სახავს, რათა დაღვრილმა სისხლმა აღაგზნოს და გაანედლოს ტომის თუ თემის სული:

„გმირთა სამარეს, როგორც ხატს,
სამთხვევლად დავეღირები“.
„გმირების მოყვარულია
თვალი და გული ერისა“.

ვაჟას გმირთა განუყრელი ატრიბუტებია — ხმალი, ცხენი და აბჯარი. მაგრამ დღევანდელობას გმირი არ ჰყავს, ვისაც სჭირდება საჭურველი.

ხმალი დაჟანგულა, ქარქაში დაობებულა **(„ჩივილი ხმლისა“)**. ხმალს ისევ მოხუცი თუ

გალესავს, მაგრამ სად არის მებრძოლი („ბერიკაული“)? ომი მხოლოდ ჭაღაროსანს სწყურია. ახალ-უხლებნი კი გადაყოლილნი არიან ქეიფს, დროსტარებასა და ქალებთან ღლაბუცს („ხევსური ბერდია“).

არავის სჭირდება ძველი მეომარი („რაინდის ჩივილი“).

მაგრამ გულგატეხილ მგოსანს ესმის ხმა სულეთიდან, კვნესა და ბორგვა:

„ხმალი გალესე, ძმობილო“
(„ხმა სამარიდამ“).
„ტანზე ამასხა ეკალი
საფლავთ წინაპართ კვნესამა“
(„მოდი, მოხშირდი, ჭაღარავ“).

ისტორიიდან პოეტს აღელვებს ორი სახელი — თამარი და ერეკლე, მითოლოგიიდან — ამირანი და ლაშარი.

გულმოცემული მგოსნის ზმანებაში იკრიბებიან ჯაჭვ-მუზარადიანი აჩრდილები. ინერება — „მხედართა ძველი სიმღერა“, „გალაშქრება ლაშარის ჯვრის დროშით“, „ომის წინ ჯარის სიმღერა“, „სიზმარი სასოწარკვეთილისა“, „ნუგეში მგოსნისა“, „1795 წლის სახსოვრად“, „დანაბარები“, „ირაკლი ბრძოლის წინ“, „ბუნების გლოვა“, „ბაკური“, „კახეთს“, „ბათურის ხმალი“, „მოხუცის ნათქვამი“, „ბახტრიონი“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, „ძაღლიკა ხიმიკაური“, „გიგლია“, „ჩვენება“, „ძვალები“, „სულა და კურდღელა“, „ჰაოს და ქართლოს“, „ნანგრევთა შორის“, „მოკვეთილი“...

ასეული ათასობით წლების მანძილზე ადამიანი იყო ცხოველი. იგი მუდმივ შიშში ცხოვრობდა და ყოველ წუთს მზად უნდა ყოფილიყო თავის დასაცავად, სარჩოსა და მდედრის მოსაპოვებლად. ამიტომ გადარჩებოდა ის, ვისაც ჰქონდა ძალა, ძლიერი მკლავი, იარაღი.

როგორც ფრ. ნიცშე შენიშნავს, ბერძნები ბერძნების სისხლში ბანაობდნენ. იგივე ითქმის ვაჟას სამყაროში ასახულ ქისტებისა და ხევსურების გაუთავებელ კონფლიქტებსა და დაუნდობელ ბრძოლებზე.

ტომის თუ თემის იმედი იყო ბელადი, წინამძღოლი, გმირი.

გმირის აპოთეოზი არის სიკვდილი.

იგი ბრძოლაში უნდა დაეცეს, რათა სახელი ლეგენდად და მითად გადავიდეს შთამომავლობაში.

აი, რას ამბობს ქისტების მიერ მოკლული გიგის მამა თინიბექ:

„მოკლან, თუ მოკლეს, რაღა ვქნა,
წეს ეგ არიო გმირისა“
(„გიგი“)

უომრად დარჩენილი, პატრონმოკლული ხმალი ვერ ისვენებს, ბორგავს და შფოთავს. კვლავ საომრად მიიწევს და სისხლი ენატრება („ბათურის ხმალი“).

ილუპებიან — გიგლია, ცხრა ლეკის მომკლავი („გიგლია“), ბაკური, თორმეტი ქისტისა და საკუთარი ცოლ-შვილის დამხოცველი („ბაკური“), ლელა, კვირია, ზეზვა („ბახტრიონი“), ჯოყოლა და ზვიადაური („სტუმარ-მაპინძელი“), ქიჩირბე („სისხლის ძიება“), სულა და კურდღელა („სულა და კურდღელა“).

მძიმედ დაჭრიან ქართლოსს, სუმელჯსა და ლუხუმს — საქართველოს მეომარ სულებს; თემი მოიკვეთს ზნეობისათვის მებრძოლ ალუდა ქეთელაურს.

მაგრამ სწორედ ესენი იმსახურებენ სიყვარულსა და თანაგრძნობას. მათ გმირული სიკვდილით დაიმკვიდრეს სიცოცხლე თაობათა მეხსიერებაში, ანუ როგორც ამბობს გოეთე — „მოკვდი და აღსდექი“,

გმირთა მიღმა დგას ბარბაროსული ქვის ეპოქა, რომლიდანაც წამოსული სიგნალები სისხლის ძახილად და მტერთა მოსპობის ყიჟინად იქცევა.

ვაჟას გმირისათვის აქვს შესატყვისი — „კაი ყმა“.

„კაი ყმა“ არის იგი, ვინც იქ შეიჭრება, სადაც სიკვდილი დაგელაობს, ხმალ-ხანჯრები ელავენ და სისხლის ტბა დგას, ვინც პირველი მიეგებება მტერს, სისხლი სდიოდეს და ტკივილს არ იმჩნევდეს, კვდებოდეს და არა გმინავდეს, წყლული დედის კოცნა ეგონოს, სამარე — ლოგინი, ლურჯა ცხენი — საკაცე, ქალების ქვითინი — სიცილ-ხარხარი.

კაი ყმა — ეს იგივე ურჩხულის ანუ მტრის სისხლში მობანავე ზიგფრიდია. მას აქვს ნადირის ძალა და ინსტინქტები, რაც თითქმის დაკარგა თანამედროვე მოქალაქემ.

ასეთ ვაჟკაცს სულეთში თავად თამარი და ერეკლე მიეგებებიან. ხოლო იგი, ვინც მუცლის მონაა, როგორც ლუარსაბ თათქარიძე, უაზროდ ცხოვრობს და კვდება.

გმირი და ომი ერთმანეთისაგან განუყრელია, რადგან მტერი უნდა დაითრგუნოს:

„სიკვდილი თავად უფალსა
გაუჩენია მტრისადა“.
„ვინაც მტერს მტრულად არ დახვდეს,
მისი სახელი კრულია“.

ამ წესის შეცვლა შეუძლებელია. მას ვერ დაძლევს სხვა რომელიმე ტრადიცია, თუნდაც სტუმარმასპინძლობისა (ქისტი ჯოყოლა და ხევსური ზვიადაური) ან მიმტევებლობისა (გველისმჭამელი მინდია).

მტრის ხელში ჩავარდნას ისევ ისა სჯობს, რომ კაცმა თავად დახოცოს თავისი ცოლ-შვილი („ბაკური“).

კაი ყმის (გმირის) მოქმედებას განაგებს გული და ეს არის იგივე გონი, შექმნილი ბარბაროს წინაპართა გამოცდილებით, ქცეული სასტიკ ეთიკურ კოდექსად, რომელიც მოითხოვს სამაგიეროს გადახდას — სისხლის აღებას, მტრის არა მხოლოდ მოკვლას, არამედ მარჯვენის მოჭრასაც („გიგლია“, „ალუდა ქეთელაური“, „სისხლის ძიება“, „მამიდის დანაბარები“):

„სისხლის აღება, ხომ იცით,
მუდამ წესი და რიგია“.

ხოლო თუ რომელიმე ამ წესს არ დაიცავს, ეს იქნება თემისა და ადათის ღალატი და ისჯება კიდეც.

„მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ,
უკან მისდევდი მა რადა?!"

შერისხავს განცვიფრებული თემი ალუდა ქეთელაურს.

„გეკიდოს მტრისა ხელები,
მხარიღლივ გადაგდებული",
აქეზებს ქალი ვაჟს („გიგლია").

დაღუპული მტრისათვის მარჯვენა უნდა მოეკვეთათ, რადგან იგი უკავშირდება გამარჯვებას, ხოლო მარცხენა — ქალისა და ქალურ საწყისს (შდრ. — ევა ღმერთმა მარცხენა ნეკნისაგან გააჩინა).

ამგვარი ბიოლოგიური ასიმეტრია წარმოიშვა ზედა პალეოლითში, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო ტვინში ბგერითი სიგნალებისა და ექოს ლოკალიზებით.

ასეთი დაყოფა ცხოველთა სამყაროში ახასიათებთ მხოლოდ დელფინებს.

მკლავის მოჭრისაგან განსხვავებით, მთელ მსოფლიოში იყო გავრცელებული თავის მოკვეთა. ზოგი ველური ტომის წევრები მტრის მოკვეთილ თავს ინახავდნენ და პატივს სცემდნენ, დაღუპულ მტერს გლოვობდნენ კიდეც (შდრ — ალუდა ქეთელაური)!

შეიძლებავაჟა-ფშაველასგმირებითაცყოფილიყო შთაგონებული კონსტანტინე გამსახურდია, როცა თავის რომანს **„დიდოსტატის მარჯვენას"** არქმევდა.

აღსანიშნავია, რომ ეს წიგნი დაიწერა **„ხოგაის მინდიას"** დასრულების შემდეგ, როგორც ლეგენდის გავრცობა ისტორიაში.

ხოლო უძველესი, ბარბაროსული მოვლენა კანიბალიზმი — კაცის სისხლის სმა და ხორცის ჭამა ვაჟას სამყაროში მოცილებულია ადამიანურ ყოფიერებას და ეკუთვნით დევებს, ან დევები აიძულებენ ადამიანებს **(„დევების ქორწილი", ალუდას სიზმარი, „კოპალა", „ეთერი", ლელას სიზმარი)**, ზოგჯერ კი გადატანილია პრეისტორიაში.

ვაჟას გმირები მაშინ მოიწყენენ, როცა **„ხმა აღარ ისმის ომისა"** (**„გოგოთურ და აფშინა"**). ომი ისე ენატრებათ, როგორც ქორწილი და ხატობის ზეიმი. ტყვიის ხმა დედის ნანად ეჩვენებათ, რადგან მხოლოდ მტერთა ძლევის შემდეგ **„შვილებს საზღაპროდ ექნებათ ჩვენი ბრძოლა და ომები"** („მხედართა ძველი სიმღერა").

იმედი რაზიკაული ცხენს გლოვობს, რადგან უცხენოდ სალაშქროდ ვერ წავა (**„იმედი რაზიკაული"**).

ვაჟკაცისათვის იარაღის აყრა სიკვდილის ტოლფასია (**„გოგოთურ და აფშინა"**). როცა ივანე კოტორაშვილს მეფემ იარაღი ჩამოართვა, ვაჟკაცი ტყეში გაიქცა და ატირდა.

ტირილი ყველაზე დიდი სასოწარკვეთის ნიშანია: ჩალხიას, ძველ მეომარს, სახლში სამი კუბო ედგა — ცოლისა და შვილებისა. მაგრამ ცრემლს არ ღვრიდა, რადგან **„დიაცთ საქმეა ქვითინი"**, ხოლო ვაჟკაცისა ანუ **„კაი ყმისა" — „ხმლების ტრიალი და ლურჯეების ბიბინი"**.

დიდი სევდა მხოლოდ ჩონგურზე დაკვრით, ჰეროიკული გლოვის ანუ ძველბერძნული ელეგიის მსგავსი ჰანგებით უნდა განიმუხტოს (**„ჭირისუფალი"**).

ომი იყო, სიყვარულთან ერთად,რუსთაველის ყველაზე დიდი შთაგონება.

ნესტანმა პირველივე უსტარით ეს შეუთვალა:

„წა, შეებ ხატაელთა,
თავი კარგად გამაჩვენე".

ვაჟას გმირები რუსთაველის ანუ ქართული მეომარი სულის გზას აგრძელებენ.

უწყინარი, ფლეგმატური ივანე კოტორაშვილი კი, რომელიც ცოლმა ძალათი ჩაინვინა ლოგინში, მხოლოდ მაშინ ხარობს, როცა მტერს ეუფლება.

რუსთაველის შემდეგ ქართულ პოეზიაში არავის ისეთი ექსტაზით არ გადმოუცია სალაშქროდ მიმავალი ჯარის გუგუნი და ომის საშინელი სურათები, როგორც ვაჟას. იგი თითქოს თავად ახლავს თავის გმირებს, მათთან ერთად იდგამს მუზარადს და თითოეულ მეომარს შეჰხარის:

„როშკით მოიდნენ ხევსურნი
სუმელჯაურნი ცხრანია,
ამღითა — ბათაკის ძენი,
ჭინჭარაულნი ძმანია;
გუდანელთ ჩამასძღოლია
ხოშარეული ხარია;
ხევსურთ, რო ზავამა მთისამა,
წინ მაიმძღვარეს ქარია;
ჭორმეშელ, ჭიელ ბიჭებსა
ღულელებიცა სტანია.
ხახმატელთ ცხენთა ფეხის ხმამ
შააზირზოლა მთანია;
მგლური დააწყვეს ნაბიჯი,
მოკლედ გადმოვლეს გზანია;
თითოს ხევს არაგვისასა
თან მოსდევს ლაშქრის ღვარია.
ფშავლისშვილებიც მოიდნენ,
სულთქმა თან მაჰყვა ჩქარია.
ყურებს სხვა როდი რა ესმის,
მარტო ფარ-ხმალის ჩქამია".

ბახტრიონის ასაღებად მიმავალი **„ლომისფერი ვაჟების"** ცხენთა ფეხის ხმას თითქოს გვასმენინებს ერთ სარითმო ერთეულზე აგებული სტროფები. ამ ჰეროიკული მარშის მხატვარი აღტაცებას ვერ მალავს:

„რა საამური დრო არის,
რა საამური წამია".

მაგრამ ეს იყო ოდესღაც, XVII საუკუნეში. დღეს გაზაფხულიც კი აღარ დგება, თუმცა აპრილის მიწურულია. გველი სოროდან რომ გამოდის, გაზაფხულის ნიშნად ეჩვენებათ; მტკვარი ადიდებულაო, არადა — ძლივს შხუის, ყორანი ჩემს ჭერქვეშ აგებს ბუდეს, თქვენ მერცხალი გგონიათო (**„რად ამბობთ, "გაზაფხულდაო"**).

ვერც პოეტის მშფოთვარე სიტყვამ, ვერც ის-

ტორიულმა თუ გამოგონილმა გმირებმა საზოგადოებას ფიქრის სადინარი ვერ შეუცვალეს, სამოქმედოდ ვერ განაწყვეს. ამაო ყოფილა ომი და თავგანწირვა.

ახალი დროის შვილებს აღარ უნდათ ჩანგი და საგმირო სიმღერები: „ჩოთქს" აჩლაკუნებენ, ალი-მუსიასთან მეგობრობენ და ძმას უწყრებიან, დედას მანდილი მოჰხადეს, ცოლს კაბები გაუყიდეს და **„პროლეტარობის დოღმებით"** თავს იწონებენ **(„თმაგრძელა-ჭკუათხელა")**.

ეს იწვევს გულის გატეხას, რაც დეპრესიულ განწყობილებასა და თვითუარყოფაში ვლინდება:

„წაიღეთ ჩანგი, თქვენ გქონდეს,
ლახტს ვიპყრობ იმის ნაცვლადა;
ეხლა ისა მაქვს ნუგეშად,
უდედოს — დედინაცვლადა.
თავში ვცემ გუშუნდელ სატრფოს —
მთასა, წყაროს და იასა,
ალუდას, ზვიადაურსა
და ლუხუმს თავაზიანსა.
ვსცემ და დავყვირი: „მე ჩემი
ყოველივე ვთქვი სათქმელი;
ხმა ამოიღეთ, თქვენცა სთქვით,
მე დავიყბედე რამდენი.
თქვენ გაანათეთ სამყარო,
მე ხომ გამიქრა სანთელი"
(„მე ჩონგურს აღარ ვაჟღერებ", 1908 წ.).

საშინელი პესიმიზმის სათავე იყო რეალობა: დამარცხდა 1905-1907 წლების რევოლუცია, რომლისგანაც ქვეყნის გათავისუფლებას ელოდნენ აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა, სოციალურ ხსნას — იროდიონ ევდოშვილი და ჭოლა ლომთათიძე. მოკლეს ილია ჭავჭავაძე, ისევ ქართველებმა და თითქოს უკუნი — **„შავი ნისლი"** გამეფდა ქვეყანაზე.

ვაჟა ცდილობდა, ლუხუმისა და ზეზვას მსგავსად, თავად ჩასდგომოდა სათავეში სახალხო მღელვარებას, მთიდან ჩამოეყვანა მეომარი ფშავ-ხევსურები. შეიპირა სხვა კუთხის შვილებიც. თითქოს ყველა თანახმა იყო. პოეტის სულში დაბრუნდა ძალაუფლების ნება, ადრე რომ ფარხმალიან პერსონაჟებს გადასცემდა. ახლა მოინდომა, ქვეყნის საშველად თავადაც ისე ებრძოლა, როგორც ლუხუმსა და ზეზვას.

მაგრამ გამტყუნდა ეს მოლოდინი. ვაჟას არავინ აჰყვა, ნაოცნებარი სახალხო ლაშქრობა ჩაიშალა, ვერც სხვათა ჯანყმა გაიმარჯვა და პოეტი სიტყვების ამარა დარჩა. ამას ისიც დაერთო, რომ მოკლეს ილია, ვისაც თანამედროვეთა შორის ყველაზე დიდ პატივს სცემდა.

ვაჟა ხომ ცრემლებს კრძალავდა, მაგრამ ამგვარი უნიათობის შემყურე **„ჩუმად, ქურდულად"** მაინც ატირდა. პესიმიზმი კი მისთვის მაცოცხლებელი ძალა არ იყო. ამიტომ გაუფერულდა პოეტის სიტყვა და კრიზისი მოეძალა, უგმირო დრომ გული მოუკლა.

შეიძლება ეს ასაკის ბრალიც იყო, ან, უფრო სწორად — ასაკი უძლიერებდა უიმედო განწყობილებას. მხოლოდ აკაკის შემოტევამ აღუნთო ძველებური ცეცხლი, ხოლო მსოფლიო ომის დაწყებამ ისევ გაახსენა გმირული სული. ეს ომი ხომ მხოლოდ რუსეთის ინტერესებს არ მოიცავდა. ისევ გრძელდებოდა ოცნება თურქთაგან მიტაცებულ სამხრეთ საქართველოზე.

იმპერიის ჯარები ანატოლიაში შეიჭრნენ და გაჩნდა იმედი დაკარგული მიწების დაბრუნებისა. ამ პათოსითაც იწერებოდა ვაჟას უკანასკნელი შედევრი **„ფშაველი ჯარისკაცის წერილი"** (1914, 10 დეკემბერი).

ქართველ ჯარისკაცებს წინ მიუძღვით ლურჯცხენიანი, ხმალმოღერებული ლაშარი. ასევე ლურჯა ცხენზე იჯდა იგი, ლურჯი ბეგთარი ეცვა და ჩაჩქანი ეხურა, **„ფრანგული ამეეწურა"**, როცა ბახტრიონისკენ მიუძღოდა თუშ-ფშავ-ხევსურთა ლაშქარს.

* * *

გრიგოლ ორბელიანი რუსეთის ერთგული გენერალი იყო, ნიკოლოზ პირველის მეხოტბე.

ხანდაზმულმა ილიამ ანტირუსული პათოსი აშკარად შეიცვალა, იმპერატორ ალექსანდრე მესამის ჩამოსვლასაც მიესალმა და რუსეთთან შეერთებაც მოიწონა. მაგრამ აკაკი წერეთელი თითქმის ბოლომდე შეურიგებელი დარჩა, თუმცა ცოლი რუსი ჰყავდა **(„დამეხსენი, ჩრდილოელო", „ოი ამას ვენეცვალე", „გამოდით, თქვენი ჭირიმე", „ძირს, მთვარობავ, ძირს და ძირსო")**.

ხოლო ვაჟა-ფშაველამ თითქოს მთიანი კავკასიის ჰერმეტული სამყარო შექმნა (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, ქისტეთი, ლეკეთი, ჩერქეზეთი, ძველი საქართველო).

მისი გმირები რუსებს არ იცნობენ, არც შამილს ახსენებენ — კავკასიური ილიადის ავტორს, ან რომელიმე ქართველ მეამბოხეს.

ვაჟა-ფშაველა თავისი ჩაკეტილი გმირული სამყაროთი დაუპირისპირდა რუსულ აგრესიას — მთებით, არაგვის ტალღებით, წინაპართა აჩრდილებით, არწივით, შვლის ნუკრით, ხმელი წიფელით, ხმლითა და კაჟის თოფით...

* * *

ნიცშეს ლომის მსგავსად, ვაჟას მეომარ და მონადირე გმირებს შეუძლიათ თავისუფლების დაცვა ან მოპოვება, მაგრამ მათი მახვილი და დაღვრილი სისხლი სულიერ ღირებულებებს ვერ შექმნიან.

იქნებ ამას თავად პოეტიც გრძნობდა და ამიტომ მკლავის გმირი სულის გმირით შეცვალა **(„გველისმჭამელი")**.

ეს არის მინდია, რომელიც 12 წელი ტყვედ ჰყავდათ ქაჯებს ქვესკნელში (შავეთში) ანუ წინაპართა ქვეყანაში. თავმოძულებულმა ხევსურმა თავის მიკვლა გადაწყვიტა და ქაჯების კერძი — გველის ხორცი შეჭამა. მაგრამ სიკვდილის ნაცვლად პირველყოფილი ადამიანის ინსტინქტები აღუდგა, სამყაროს იდუმალებას ეზიარება, მცენარეთა და ფრინველთა ენის ცოდნა შეიძინა, როგორც სოლომონ ბრძენმა.

გახდა მისანი და მკურნალი, რადგან გველი სიბრძნისა და მედიცინის სიმბოლოდ ითვლება (მკურნალობის ღმერთს ასკლეპიოსს გველს სწირავდნენ).

ეს არის დარღვეული ჰარმონიის აღდგენის ილუზია.

თითქოს გამართლდა ნიკოლოზ ბარათაშვილის რწმენა.

ოდესღაც ჩვენი წინაპრები გველის ხორცსაც ჭამდნენ. შემდეგ მას ტაბუ დაედო, როგორც სხვა მსგავს ველურ ჩვეულებას. ამჯერად კი, არაცნობიერად, ადამიანმა დაიბრუნა დაკარგული ძლიერი შეგრძნებები, ისევ ბუნების კეთილი შვილი გახდა და არა მტერი და მეტოქე.

იტალიაში მოხარშული ან შემწვარი გველით, გველის ნახარშით მკურნალობდნენ მალარიას, ეპილეფსიას, მუნს, კეთრს, სურავანდს, დამბლას, გველის ხორცით ახორცებდნენ ჭრილობებს.

ფარხმალიანი მინდია მუდამ სახემკრთალი და დაღვრემილია, რადგან ადამიანურ საწუხარს სამყაროს საწუხარი დაემატა. ცხოვრება კი თავისას მოითხოვს — ადამიანი თავის გენეტიკურ გარსს ვერ გასცდება.

როგორც შენიშნავს გრიგოლ კიკნაძე, მინდიას აქვს არა ცოდნა, არამედ — შეგრძნობისა და მიხვედრის ინსტინქტი.

მაგრამ ნამდვილად გველის ხორცი ჭამა ტყვე ხევსურმა?

გრიგოლ კიკნაძის აზრით, არა!

„შეიგრძნო, ჭამა გველისა
ქაჯთაგან იყო ზმანება.
სიბრძნე აჩვენეს გველადა,
რომ ჰზიზღებოდა საჭმელად“.

დევები და ქაჯები ხომ კაცის ხორცს სჭამენ და სისხლს სვამენ, როგორც არაერთხელ გვაჩვენა პოეტმა (მაგ., **„დევების ქორწილი“, „ალუდა ქეთელაური“, „ეთერი“**).

ჯერ კიდევ 1886 წელს "ივერიაში" დაბეჭდა მოთხრობა, რომლის პერსონაჟია გამოქვაბულში მცხოვრები ზღვისპირელი კანიბალისტი. იგი ცდილობს, მაგრამ თავს ვერ ანებებს კაციჭამიობას (**„გოჩი“**).

ვაჟა-ფშაველაზე უკვე მოეხდინათ გავლენა **ედუარდ ტეილორსა** და **ჰერბერტ სპენსერს,** რომელთა ანალოგიური სამყარო კავკასიის მთებში აღმოაჩინა.

გავიხსენოთ 1908 წელს დაწერილი ლექსი **„სიზმარიც“**.

„თავფეხი ადამიანის
დასცურავს გულის მწველადა
იქვე, ჩემს თვალწინ... მზარავდა,
მეჩვენებოდა გველადა“.

ასე რომ, მართალი ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ მინდიამ, როგორც ალუდამ სიზმარში, კაცის ხორცი ჭამა, ქაჯური ანუ ბარბაროსული კაცთშეწირვის რიტუალის უნებური მოზიარე გახდა, როცა ეგონათ, რომ ღვთაების ხორცს სჭამდნენ და მის ძალას ღებულობდნენ.

მინდიას სხეულშიც გადმოვიდა უჩვეულო ძალა, შეგრძნება, ხედვა, განცდა და ყნოსვა უძველესი ეპოქის მხეცკაცისა (რომელიც მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს ნაწილია და ჯერ არ ამოვარდნილა სიცოცხლის სტიქიური წრედიდან), მაგრამ შეინარჩუნა ადამიანური სახე.

გველივით გრძნეულ და ტყვიასავით სწრაფ მინდიას მთელი ფშავ-ხევსურეთი აღმერთებს. მაგრამ გადის დრო და იძულებულია მოჭრას ჭადარი, მოკლას ჯიხვი, რათა ცოლის საყვედურს გაექცეს და ოჯახი არჩინოს. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ ისევ ბუნების მტერი გახდა და დაჰკარგა მასთან კონტაქტი, ნიჭი და მისნური შეგრძნება, უძველესი თანაზიარობა.

ამიტომ მისცემს ქისტებთან ომში ხევსურებს მცდარ რჩევას და მისი მიზეზით ლაშქარი დამარცხდება.

სასოწარკვეთილი მინდია თავს იკლავს.

ქართულ ლიტერატურაში პირველი თვითმკვლელი დავარია, ნესტან-დარეჯანის მამიდა. შემდეგ, ვაჟა-ფშაველამდე, ყველა პერსონაჟი ბუნებრივად კვდება ან შეტაკების მსხვერპლი ხდება.

მინდიას გარდა, თავს იკლავენ — გოჩი (**„გოჩი“**), აღაზა (**„სტუმარ-მასპინძელი“**), ქიჩირბე და ქიჩირბეს დედა (**„სისხლის ძიება“**), ეთერი (**„ეთერი“**), ილო (**„ილო“**), ჯავარა (**„მოკვეთილი“**).

ჯოყოლას მიერ გადადგმული ნაბიჯი, როცა იგი ხევსურთა ლაშქარს მარტო დაუხვდა, იგივე თვითმკვლელობაა, ისევე როგორც ბაკურის შებმა ქისტებთან.

ცხოველთა სამყაროსათვის თვითმკვლელობა უცნობია. ამდენად — ანტიბიოლოგიური მოვლენაა. იგი ადამიანური დეპრესიის, გამოუვალი სიტუაციის შედეგია, როცა პიროვნება გრძნობს, რომ ყველაფერი დაიღუპა. თვითონ კი არაფრის შეცვლა არ შეუძლია.

ამ მხრივაც ვაჟა მახლობელი იყო დეკადენტებისა და მოდერნისტებისათვის, რომელთაც შექმნეს სიკვდილისა და თვითმკვლელობის ესთეტიკა.

მინდია, ვისიც არათუ ხევსურებს, თამარ მეფესაც ეიმედებოდა, საბედისწერო ომამდეც დეპრესიით იყო შეპყრობილი. **„ველარას ვარგებ ქვეყანას“,** — იტყოდა და ფარულად ტიროდა. მზია ეუბნება სანდუას, რომ იგი მთელი ერთი წელი სნეული იყო და იხსენებს მინდიას სიტყვებს — **„დავკარგე ძვირი საუნჯე“,** რაც გამხდარა დეპრესიის მიზეზი.

ეს **„ძვირი საუნჯე“** არის კაცის ხორცის ჭამით მოგვრილი სიბრძნე, უსულო სამყაროს სიყვარული სულიერისადმი, რაც ადამიანისათვის დამღუპველი გამოდგა, როგორც აკრძალული, ეშმაკეული, როგორც ტაბუს დარღვევა.

მინდიას არსებაში ცოლის ანუ სინამდვილის ჩაგონებით ერთმანეთს დაუპირისპირდა **„ცხოვრების კაცი“** და **„სულის გმირი“,** რაც კატასტროფით დასრულდა.

მომაკვდავ ხევსურს მთვარე მოზარე ქალი-

ვით დააცქერდა ანუ, როგორც შენიშნავს გრიგოლ რობაქიძე, ბუნება მაინც დასტირის თავის მოღალატე შვილს.

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ხოგაის მინდიას სახელი ჯერ კიდევ 1886 წელს გვხვდება ვაჟას ნაწერებში. მაგრამ მაშინ მისი ეპითეტი იყო **„გველის მჭამელი“**.

გავა დრო და ამ პოემის შთაგონებით დაწერს გრიგოლ რობაქიძე დრამას **„ლამარა“**, კონსტანტინე გამსახურდია მოთხრობას — **„ხოგაის მინდია“**.

როგორც ითქვა, ვაჟას მამა მღვდელი იყო, თავადაც სასულიერო განათლება ჰქონდა მიღებული, მაგრამ წარმართული ამბები, ომები, ლეგენდები, თქმულებები და ხალხური ლექსები იტაცებდა.

მასში წარმარტული და მითოსური ეპოქა მღელვარებდა, საიდანაც მოდიან დაუდეგარი, მეომარი პერსონაჟები.

ვაჟა ცნობიერად ემიჯნებოდა თავისავე შემოქმედებაში ასახულ სამყაროს, უარყოფდა წარმართულ წარმოდგენებს, დევებისა და ქაჯების არსებობას, სწამდა განათლება და მეცნიერება. არც ღვთისმოსავი იყო, არც ძველი წესჩვეულებების დამცველი. მაგრამ ლექსებში, პოემებსა და მოთხრობებში არაცნობიერად ისეთ ქვეყანას აჩვენებდა, როგორიც სწამდათ მის წინაპრებს, ე. ი. რეალობად აღიქვამდა.

ამავე რწმენას განამტკიცებდა ხალხური ლექსის ფორმა, დაბალი შაირი, რომელიც გაამტონა თავის ლირიკასა და ეპოსში; ფშავ-ხევსურული დიალექტი, რომელიც გადახვევაა სალიტერატურო ენიდან და არქაული ჟამის სურნელი დაჰკრავს, რითაც დაუპირისპირდა მეტყველების შერყვნასა და დაცილებას მშობლიური წიაღიდან; მთის მკაცრი ლანდშაფტი, მცენარეთა სამყარო, თოვლი და ქარიშხალი, ცადაწვდილი მთები, ჩაჩქანი რომ ახურავთ თავზე: ცხენი და გმირთა საჭურველი.

პოეტის ტოტემად შეიძლება ჩაითვალოს არწივი, ლაღი და ხმამოყაშყაშე, რომელიც ხან დაჭრილია ან წეროებს ხოცავს, ხან ყვავი და ყორანი ჩხუბობდნენ მის ნაბუდარზე. ზოგჯერ კი გმირს შავეთის გზაზე მიუძღვება.

არწივი არის თავისუფლების სიმბოლო, გველი — სიბრძნისა, როგორც ეს არის ფრიდრიხ ნიცშესთან.

ვაჟა მითოლოგიურ სახეთაგან ხშირად უხმობს გამოქვაბულში დაბორკილ ამირანს, ლურჯცხენოსან, ხმალამოწვდილ ლაშარს, გუდანს, იახსარსა და კოპალას (ფრიგიული კიბელეს ნაირსახე), დემონურ ძალებს — ქაჯებს, დევებს, ალებს, წარმართულ რიტუალებსა და კულტის მსახურებს (ხევისბერი, დასტური...).

ვაჟას გმირები ამ სამყაროში ცხოვრობენ, იბრძვიან და იღუპებიან. გველი ჭრილობას ულოკავს დაჭრილს **(„ბახტრიონი“)**, მონადირე წყლულს შეუკრავს ვეფხვს **(„დაჭრილი ვეფხვი“)**, ადამიანის ენით ლაპარაკობენ შვილის ნუკრი, მგელი, ლომი, მელა, ქუჩი, ხის ფესვები, მთის წყარო...

როგორც ოდესღაც ჩვენი წინაპრები ტომის ბელადს, ისე გლეჯენ მშიერი მგლები ბებერ ტოტიას **(„ამოდის, ნათდება!“)**.

ეს **„მთის სასტიკი ბუნებაა“**, სადაც **„სისხლის პურისჭამა“** ბატონებს, ისევე როგორც ავსტრალიურ და აფრიკულ ტომებში, აცტეკებთან და ინდიელებთან. ვაჟას სიტყვით, **„კაცთა ნათესაობის გონება ერთნაირად მუშაობდა, ერთნაირად ჰგრძნობდა. თავთავისთვის შემწყვდეულნი, როგორც ამერიკის ველური კაცი, ისე აფრიკისა, ცალ-ცალკე დაშორებულად მცხოვრებნი ცალ-ცალკე ჰფიქრობდნენ, მაგრამ ერთნაირად კი“**.

როგორც შენიშნავს აკაკი გაწერელია, ვაჟას „შავეთი“ **(„სულეთი“)**, რომელიც ფშავ-ხევსურული მითოსური წარმოდგენით არის აგებული, მოგვაგონებს ანტიკურ ჰადესს, სადაც სიზმრად ჩადის ალუდა ქეთელაური, როგორც ჰომეროსის ოდისევსი, ხოლო ცხადად სულები სტოვებენ საიქიოს მკრთალ სინათლეს.

ვაჟა-ფშაველა ხშირად მიმართავს სიზმარს, როგორც მოქმედებისა და გმირთა ქცევის მოტივირების ხერხს.

ახალი დროის მწერლობას, კერძოდ — მოდერნისტულ ლიტერატურას, სიზმარიც ისევე აღელვებდა, როგორც პრეისტორია და თვითმკვლელობის მოტივი.

სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ფარული კავშირი ცნაურდება სიზმრით, რომელიც მომავლის მაუწყებელია, მეტნილ — ტრაგიკულისა, რაც იგივე ქვეცნობიერის გამოვლენაა.

გმირთა გზას თუ დაღუპვას განსაზღვრავს ანტიკური ბედისწერის მსგავსი „წერა-მწერელი“.

წარმართულია სისხლის ძიება, სისხლის კულტი, მარჯვენის მოკვეთა, კაცის მსხვერპლშენირვა, რაც პრეისტორიის წყვდიადიდან მოდის. ხოლო ის, რაც უარყო და დაგმო ადამიანმა, დევებს ანუ ბოროტ, დემონურ ძალებს შერჩათ (მაგ., კაცისა და გველის ხორცის ჭამა).

„გველისჭამელის“ ავტორი აღზრდითა და ცნობიერებით ქრისტიანი იყო, მაგრამ თხზვის ჟამს მითოსური ხედვის წარმართად რჩებოდა, როგორც გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია, რადგან ეყრდნობოდა უძველეს არქეტიპულ წარმოდგენებს.

* * *

ვაჟა ქვეყნის გადარჩენას არ ელოდა მშვიდობის, ვაჭრობისა და განათლებისაგან. იგი სამშობლოს ხსნას ომსა და გმირს უკავშირებდა, როგორც ლეგენდების თანაზიარი.

და როცა ევროპის მიწაზე ამოტყდა დიდი ქარიშხალი, ისევ მიეცა განახლების, იმპერიის დაშლის იმედი.

სიკვდილის წინაც, ლაზარეთში მწოლს, ჯარისკაცები ესიზმრებოდა და ეჩვენებოდა, რომ ფრონტი გაირღვა...

ნათელი ფიქრები

ეროვნული ფასეულობა

ხელოვნება ადამიანთა ამქვეყნად არსებობის მუდმივი თანმხლებია. ადამიანი ქმნის ხელოვნებისეულ მშვენიერს, თვითონაც ტკბება მისით და სხვასაც ატკბობს. მშვენიერით ტკბობა სულის საზრდოა. სულის საზრდოს მოთხოვნილება ისეთივე თვისებაა ადამიანისა, როგორც მოთხოვნილება ხორციელი საზრდოსი. არც ერთის, არც მეორის გარეშე მას არსებობა არასოდეს შეეძლო. ასე რომ არ ყოფილიყო, პალეოლითის ხანაში ხატვას დაიწყებდა? ქვით ქვაზე! იმიტომაც ვიცით, ეჭვსგარეშეა, იმ დროს ის მღეროდა კიდეც და ცეკვავდა. იქნებ ლექსსაც თხზავდა? ხომ ექნებოდა რაღაც სათქმელი ცხოვრებაზეც და საკუთარ თავზეც — ის ხომ ღმერთმა მოაზროვნე არსებად შექმნა!

ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში აირეკლება არა მარტო რეალურად არსებული სინამდვილე, არამედ თვითონ ხელოვანიც — აგვერევა ერთმანეთში ილიას, აკაკის, ვაჟას, დავით კლდიაშვილის ნაწარმოებები? ფიროსმანის, დავით კაკაბაძის, ელენე ახვლედიანის, ლადო გუდიაშვილის ფერწერა? ზაქარია ფალიაშვილის, რევაზ ლაღიძის, სულხან ცინცაძის მუსიკა? მიხეილ თუმანიშვილის, რობერტ სტურუას და თემურ ჩხეიძის დადგმები? თენგიზ აბულაძის, ოთარ იოსელიანის, მიხეილ კობახიძის ფილმები? ვერიკო ანჯაფარიძის, სესილია თაყაიშვილის, აკაკი ხორავას, სერგო ზაქარიაძის, ვასო გოძიაშვილისა და გიორგი შავგულიძის სცენური თუ ეკრანული სახეები? არა, რადგან შემოქმედი განუმეორებელია. ის კი არ მსჯელობს იმაზე, რასაც ხედავს, რაც აინტერესებს და აღელვებს, არამედ მხატვრული სახეებით გვთავაზობს პრობლემის გადაწყვეტის საკუთარ ვერსიას. ამნაირად ცდილობს საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვას, რათა ზემოქმედება მოახდინოს აღმქმელზე და ეს თვალსაზრისი მასაც გადასდოს. ამისთვის ქმნის იგი ამ მეორე — მხატვრულ სინამდვილეს. ეს შეუძლია იმის გამო, რომ უზენაესმა ის ამისთვის აუცილებელი საგანგებო ნიჭიერებით დააჯილდოვა.

ღვთით ნაბოძები ნიჭი შემოქმედში მისი ნებისაგან დამოუკიდებლად ცოცხლობს, როგორც განსაკუთრებული შინაგანი ენერგია. ის ძალზე მგრძნობიარეა სინამდვილის მიმართ — სხვებზე მეტს ხედავს და სხვათათვის არგასაგონი ესმის. ასეთი განსაკუთრებული "მიმღების" წყალობით მოიპოვებს იგი ცხოვრებისეულ მასალას, გაატარებს მას საკუთარი პიროვნების მოქალაქეობრივსა და შემოქმედებითს პრიზმაში და სხვას გადასცემს იმ იმედით, რომ ნაწარმოებით მიღებული შთაბეჭდილების ძალა ააღელვებს ადამიანებს, მათ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რაც შემოქმედს მიაჩნია მნიშვნელოვნად, საჭირბოროტოდ და საზრუნავად.

ასე, ცხოვრების სინამდვილიდან აღმოცენებული მხატვრული სინამდვილე, ისევ ცხოვრებას დაუბრუნდება, თუკი სათქმელი ხელოვნების ენით ითქვა — სახეობრივი ენით.

ეს ენა პირდაპირი და ერთმნიშვნელოვანი არაა — სათქმელი ითქმის მინიშნებით და გათვალისწინებულია არა წაკითხვაზე და ცნობაზე, არამედ ამოხსნაზე, ამოცნობაზე

— არ უთქვამს გრიგოლ ორბელიანს სატრფოსთვის მიყვარხარო, მან ასე უთხრა:

„გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალს გავახელ — ზედ წამწამზე მიზიხარ“...

და დაიბადა სიყვარულის ხატი...

რუსთაველმა გარეგნული მშვენიერების ხატი ასე შექმნა:

„ავთანდილ იყო სპასპეტი,
ძე ამირ-სპასალარისა.
საროსა მჯობნი ნაზარდი,
მსგავსი მზისა და მთვარისა.“

არ აღწერა ავთანდილის გარეგნობა, მხოლოდ მიგვანიშნა — ორი მნათობის ბრწყინვალებისა იყო იგი, ხოლო სახელდობრ როგორი, მკითხველო, შენ თვითონ წარმოიდგინეო.

კომპოზიტორ ე. გრიგის „მზის ამოსვლა“ ძალზე კონკრეტული რეალობის ამსახველია. ჩვენ ეს რეალობა უამრავჯერ გვინახავს და არასოდეს გვსმენია. ნაწარმოებში კი გვესმის. რა გვესმის? მზის ამოსვლა? ამის მოსმენა არ შეიძლება, რადგან ცხოვრების სინამდვილეში ეს მოვლენა უხმოა, სახილველია და არა მოსასმენი. მაშ, რა გვესმის მუსიკით? ამ მოვლენის, მზის ამოსვლის სიდიადე. ამ სიდიადემ ააღელვა მუსიკოსი და შეაქმნევინა მისი ხმოვანი ხატი.

ესთეტიკის მკვლევარი **ნ. ჭავჭავაძე** წერს:

„მხატვრული სახე გათვალსაჩინოებული იდეაა. ის განუყოფელი მთლიანობაა. აზრი და გრძნობა, იდეა და თვალსაჩინოება, სიმართლე და მხატვრულობა მისი განსხვავებული, მაგრამ ურთიერთგამსჭვალავი მომენტებია.

მხატვრული სახე არის ადამიანის მიერ ასახული, გაცოცხლებული და გაადამიანურებული სინამდვილე“.[1]

უზუსტესი განსაზღვრება მოგვაწოდა ფილოსოფოსმა **რ. ბალანჩივაძემ:**

„სახეებით აზროვნების თავისებურება ისაა, რომ ნათქვამია ერთი და სხვა რამ კი იგულისხმება —

„მზემ დაიხურა პირბადე,
მთებმა დახუჭეს თვალები...
ქარი ქვითინებს...
ღრუბელთა ზარი თქვეს შესაზარები“ (ვაჟა).[2]

დიდი ძალა აქვს ხელოვნებას და ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი საფუძვლიანადაა შემოსული ადამიანთა ცხოვრებაში, დროულად და ხანგრძლივ. გავიხსენოთ, როგორი მეგობარია ამ დროს მხატვრული ლიტერატურა, მუსიკა, სახვითი ხელოვნება, კინო, თეატრი...

სულის საზრდო ყველას სჭირდება და მის მისაღებად იმისთვის მივეშურებით, რომ გავმდიდრდეთ იმ ძალით, რომელსაც გაიღებს იგი ჩვენთვის. შემოქმედება ხომ მხოლოდ ნიჭსა და ინტუიციას არ ეფუძნება. მასში ხომ ხელოვანის სათქმელიც, მაშასადამე, ცნობიერიცაა ჩართული. სადაც ცნობიერებაა ჩართული, იქაა აზრი და მიზანდასახულობა. ასეთი მხატვრული ქმნილება კი აღრმავებს სამყაროს ჩვენეულ ცოდნას, გარკვეულად წარმართავს ჩვენ აზროვნებას და განწყობილებას, ზოგჯერ ცვლის კიდეც ცხოვრებაზე ჩვენ წარმოდგენებს.

რა თქმა უნდა იმას, რომ მხატვრულ ქმნილებას არ შეუძლია მასთან შეხვედრისთანავე რადიკალურად შეცვალოს ჩვენი მსოფლმხედველობა ან რომელიმე ცხოვრებისეული მოვლენისადმი ჩვენი დამოკიდებულება. მას შეუძლია ჩვენ სულში აღძრას ისეთი **განცდა** (რადგან ის ემოციურად ზემოქმედია), რომელიც შემდეგ გარკვეულ ზეგავლენას მოახდენს ჩვენ მსოფლმხედველობაზე, ცხოვრებისეული მოვლენებისადმი ჩვენ დამოკიდებულებაზე.

ადამიანში საუკეთესო გრძნობების აღძვრით, მხატვრული ქმნილება, მათ შორის სპექტაკლი, თავის მაყურებელს ქმედებაზე უბიძგებს იმით, რომ გრძნობაგაღვიძებული ადამიანი აღარაა გულგრილი. ის ფიქრობს, ღელავს და სურს ამოქმედება.

ხელოვანის მართალი სიტყვა ადამიანებზე სასიკეთოდ მოქმედებს. ასეთია მისი დანიშნულება. მხატვრული ქმნილება მის აღმქმელს ცხოვრების სინამდვილის შეგრძნობისა და მისი გააზრების ახალ დონეზე აღამაღლებს. ეს ამაღლება სულის ამუშავების, მისი გააქ-

1. ნ. ჭავჭავაძე. ესთეტიკის საკითხები. „საბჭოთა საქართველო“. 1958. გვ. 48, 49.
2. რ. ბალანჩივაძე. ვ. ასათიანი. პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები. თბ. 1997. გვ. 202-203

ტიურების შედეგია. ჯერ კიდევ როდის ამ-ბობდა დიდი **ილია ჭავჭავაძე:**

„პოეზია ღვთაებრივი ღონეა, გულის სიღ-რმიდამ ადამიანის გრძნობათა მარგალიტე-ბის ამომტანელი. მხატვარია ცხოველმყოფე-ლი და ხორცშემსხმელი უსხეულო აზრისა, ფიქრისა, გრძნობისა და მსოფლიოს სულის მოძრაობისა."[1]

ზემოთქმულიდან ნათელია — ერთმანე-თისგან უნდა ვასხვავებდეთ ცხოვრებასა და ხელოვნებას, ანუ რეალურად არსებულ ფაქტს მხატვრულად ასახული იმავე ფაქტი-საგან. ხელოვნების ძალა სწორედ ისაა, რომ მის ქმნილებაში ცხოვრებისეული ჩაქსოვი-ლია სატყვებში, ფერებში, ხაზებში, ბგერებ-ში, ქცევებში. მათი საშუალებით შეთხზულ მხატვრულ სახეებში და ამნაირად ასახული სინამდვილე ახალ შინაარსს იძენს. გვაჩვევს ადამიანთა შინასამყაროს წვდომას, გვაც-ნობს ამ ადამიანებსაც და საკუთარ თავსაც, რადგან არც ერთი ჩვენგანი, მეტ-ნაკლებად, არც ერთი ადამიანური თვისებისგან სავსე-ბით თავისუფალი არაა. განა შემთხვევითია, რომ ხელოვნების მუდმივ თანმდევი ბერძნუ-ლი სიტყვა კათარზისი ზნეობრივ განწმენ-დას ნიშნავს და რომ ეს მხოლოდ ადამიანის უნარია — იმის, ვინც ქმნის მხატვრულ ნაწარ-მოებს და იმის, ვისთვისაც ქმნის იგი.

ყველა ხელოვანი თხზავს არა მხოლოდ თავისთვის, არამედ სხვისთვის — მკითხვე-ლისათვის, მსმენელისათვის და მაყურებლი-სათვის. სთავაზობს მას ყველაზე იდუმალსა და ფარულს, თავის ნაფიქრს, ნაგრძნობს, მრწამსს... და განა ამისთვის არ ვკითხუ-ლობთ მხატვრულ ლიტერატურას, ვესწრე-ბით გამოფენებს, ვისმენთ მუსიკას, ვუც-ქერთ ფილმს... განა ამისთვის არ მივდივართ თეატრში?

დრამატული თეატრი ხელოვნების ერთ-ერთი სახეობაა; აქვს მხოლოდ მისთვის დამა-ხასიათებელი, მისი რაობის განმსაზღვრელი, მუდმივ თანმხლები თვისებები და საკუთარი მხატვრული ენა. ეს ენაა სცენაზე სხვა ადამი-ანთა სახით მოქმედი მსახიობების ცოცხალი კავშირების გარკვეული სისტემა იმ მთლია-ნობაში, რომელსაც ეწოდება სპექტაკლი.

თუ ლიტერატურა აღწერს ქცევებს, თუ კი-ნო ფირზე ასახავს მათ, დრამატული თეატრი ცოცახლი, სახეობრივ მეტყველი ქცევებით წარმოადგენს სცენაზე მწერლის ქმნილების მოქმედ პირებს. ესაა დრამატული თეატრის უმთავრესი ნიშანდობლიობა, რადგან მხო-ლოდ მისთვისაა დამახასიათებელი.

ამავე დროს, იგი მხოლოდ ამ ერთ ენაზე არ უბნობს — ის მიმართავს და იყენებს ხე-ლოვნების ყველა სხვა სახეობის მხატვრულ ენას: სიტყვას, მოძრაობას, ფერს, ხაზს, მუსი-კალურ ბგერას; ყველანაირ ხმოვანებას, საგ-ნებს, ნივთებს, განათებას და ა. შ.

ეს ყოველივე, შერწყმულ-შედუღაბებული, ფიზიკურად იშლება სივრცეში. ესაა სივრცე იმ ადგილისა, სადაც წარმოდგენა მიმდინარე-ობს — სცენის სივრცე.

თეატრში არსებობს კიდევ ერთი სივრცე — მაყურებელთა სამყოფელი, ყოველთვის უფრო დიდი, ვიდრე თვით წარმოდგენისათ-ვის განკუთვნილი ასპარეზი. ეს ორი სივრცე ერთი მთელის ორი ნაწილია, მუდამ ერთად მყოფი. ამიტომ აქვს თეატრალურ სანახაო-ბას მის მრავალრიცხოვან აუდიტორიაზე უშუალო ზემოქმედების ასეთი ძალა — აქ ცოცხალი ცოცხალზე ზემოქმედებს.

1. ი. ჭავჭავაძე. პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ გაზეთი. „ივერია" 1886 წ. 139

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოქმედების სხვა სახეობათაგან განსხვავებით, სათეატრო ხელოვნების ქმნილება უთუოდ ეფუძნება ლიტერატურულ მხატვრულ ქმნილებას, დრამატურგიას.

თავის მხრივ, ლიტერატურის ეს სახეობა იმთავითვე სწორედ იმისთვისაა გამიზნული, რომ სცენაზე იქნას გაცოცხლებული. ამგვარად, სცენის ხელოვანს საკუთარი სიტყვის თქმის საშუალებას აძლევს სხვა ხელოვანი — მწერალი. ლიტერატურით განპირობებაც სათეატრო ხელოვნების ნიშანდობლიობაა.

ვინაიდან სასცენო ხელოვნება ლიტერატურის გარეშე არ არსებობს, მის ხელოვანს მოეთხოვება ლიტერატურულ ნაწარმოებში ჩაღრმავების, მისი მხატვრული თავისებურების განსაზღვრის, შესატყვისი სცენური სახეობრიობის მიგნებისა და ხორცშესხმის უნარი.

ჭეშმარიტ მწერალთან შემოქმედებითი დაწყვილება ორი დიდი ძალის — ლიტერატურისა და სცენის, ცოცხალი სიტყვისა და ცოცხალი ქცევის გაერთიანებაა.

თავის სათქმელს დრამატული თეატრი ცხოვრებას უკიდურესად მიმსგავსებულ ფორმებში გამოხატავს. ეს ხელოვნება თავისი დროის ხელოვნებაა; მას ქმნიან ამ დროის მსახიობები ამავე დროის მაყურებელთათვის. ისინი აღვიძებენ მასში საპასუხო ემოციებს, იწვევენ შესატყვის ასოციაციებს, აზრებს. გარკვეულად წარმართავენ მათ ფიქრსა და ნებას. ასე ისტუმრებენ თეატრიდან, თან ატანენ განცდისა და აზრის ტვირთს იმისთვის, რომ შემდეგ მაყურებელმა თვითონ იფიქროს სპექტაკლში წამოჭრილ საკითხებზე. ამაშია სცენიდან მიღებული ესთეტიკური სიამოვნების საუკეთესო შედეგი. ამისთვის არსებობს დრამატული თეატრი. ესაა მისი უდიდესი მოქალაქეობრივი დანიშნულება.

თეატრი ყველაზე თვალსაჩინო ხელოვნებაა. ყველაზე ხელმისაწვდომი, რადგან მისი

ენით თქმული უფრო ადვილად იკითხება, ვიდრე ფერებითა და ბგერებით თქმული — აქ ადამიანები ცოცხლად ქმედებენ მაყურებლის თვალწინ. ქმედების ენა კი ცხოვრებისეულადაა ნაცნობი, მით უფრო, ყველა სხვა გამომსახველი საშუალებებით შევსებული.

დრამატული თეატრი პირდაპირი თანამონაწილეობისათვის იწვევს უამრავ ადამიანს განცდათა ამ თავისებურ სასწავლებელში. ამ ადამიანთა თვალწინ ის ცოცხლად წარმოაჩენს იმას, თუ როგორ ჩაწვდა ცხოვრებას. რა ამოიკითხა მის მშფოთვარე დინებაში და იმის მაჩვენებელიცაა, თუ შენ როგორ უნდა იცხოვრო ამ ქვეყანაზე.

სათეატროხელოვნებისქმნილებასარსებობის მხოლოდ ერთი დრო აქვს — აწმყო. თეატრი მუდამ თანამედროვეა მისი მაყურებლისა და მის გარეშე არსებობა არ შეუძლია. თეატრი მისი დროის ადამიანებისათვის არსებობს იმისთვის, რომ დიდი ქართველი მსახიობისა და თეატრალური მოღვაწის — ვალერიან გუნიას თქმით:

„თეატრი ხელს უწყობს და შველის ცხოვრების კანონს და სადაც საერთო კანონების ძალა თავდება, იქ იწყება ზნეობრივი კანონების მოქმედება ხალხზე და ამ ზნეობრივი კანონების სამსჯავრო მხოლოდ თეატრია... ისე არაფერი ასაზრდოებს და განავითარებს ადამიანის სულიერ და გონებრივ მოთხოვნილებას, ისე არაფერი ამაღლებს კაცს, როგორც სათეატრო ხელოვნება“.[1]

თეატრი მაშინაა მასწავლებელი, როდესაც კი არ გიხსნის, არამედ გიტაცებს, გაღელვებს, ახდენს მხატვრულ შთაბეჭდილებას და ამ დროს, შენდა შეუმჩნევლად, აღგიძრავს იმას, რისთვისაც გააცოცხლა მან თავისი ნაწარმოები.

განუსაზღვრელია მეცნიერების შესაძ-

1. ვალ. გუნია. თეატრის მნიშვნელობა. კრებული „ხელოვნება“ 1953 . გვ. 91-92

ლებლობანი. მას შეუძლია ყველაფრის აყვავება და დაქცევაც, მაგრამ ადამიანის გული რომ უფრო კეთილი გახადოს, ეს მას არ შეუძლია, ეს შეუძლია ხელოვნებას. ამისთვის კი თვით ხელოვანის გული უნდა იყოს დამუხტული სიკეთით. უდიდესია სიკეთის ენერგია.

თუ წიგნის ფურცელი, მხატვრული ტილო, ეკრანის და სცენის სივრცე არაა აღვსილი ადამიანურობით, ადამიანისადმი სიყვარულით, თუ ჩვენ არ ვუცქერთ სურათს, არ ვკითხულობთ წიგნს, არ ვუყურებთ ფილმსა და სპექტაკლს როგორც სიკეთისა და ზნეობის ადგილსამყოფელს, მაშინ ნიჭიერი ნაწარმოებიც საზიანო შეიძლება გახდეს.

ნაწარმოები, რომელიც არ იცავს ადამიანურს, რომელიც არ მიგიძღვის ჭეშმარიტებისკენ, განწმენდისაკენ, — ის არ შეიძლება იყოს სულის საზრდო.

სიღრმეში მიმალულის წვდომის სურვილი ააქტიურებს მხატვრული ნაწარმოების აღმქმელს.

აქტიურობა ემოციის გამღვიძებელია, ემოცია კი ათასნაირი.

რაც უფრო ძლიერია იგი, მით უფრო ახლოა ხელოვანის ჩანაფიქრთან, მაშასადამე, აზროვნებამდე ამაღლებულა, ვინაიდან დედააზრთანაა მიახლოებული.

ასე ერწყმის ერთმანეთს მხატვრულ ნაწარმოებში შემოქმედის ნაგრძნობი და ნააზრევი.

შემდეგ კი, როდესაც ნაწარმოები დასრულებულია და გადაეცემა მკითხველს, მსმენელსა თუ მაყურებელს, — შემოქმედის ნაფიქრ-ნააზრევი მისი ნაწარმოების აღმქმელის ნაფიქრ-ნააზრევსა და განცდილს უერთდება.

ეს ძალზე რთული, ამავე დროს განსაცვიფრებლად წარმტაცი პროცესია — ეს სულის შრომაა.

მერაბ მამარდაშვილი გვეუბნება —

„ამაღლებულიმხოლოდჩვენსულშია...არავითარი აზრი არა აქვს მთელი სამყაროს მოპოვებას, თუ საკუთარ სულს დავკარგავთ".[1]

განა შემთხვევითია, რომ ყველა ქალაქში სათეატრო ნაგებობა სხვა, თუნდაც მშვენიერი შენობებისგან ასე გამოირჩევა?

ყოველი მათგანი საგანგებოდაა გააზრებული გამოჩენილ ხუროთმოძღვართა მიერ და ამის გამო ერთმანეთისგანაც განსხვავდებიან.

დანიშნულება კი ყველას ერთი აქვს — აქ ადამიანთა ცხოვრებას თამაშით წარმოადგენენ მაყურებელთათვის. ყველა დროის ყოველნაირ თეატრში.

მოზარდს უნდა ვასწავლოთ ის ენა, რომელზეც უბნობს ხელოვნების ყოველი ცალკეული სახეობა. მათ შორის თეატრის ენაც ვასწავლოთ სკოლაში. დღეს ჩვენ ეს უკვე მოგვეთხოვება.

გაგრძელება იქნება.

1. მ. მამარდაშვილი. ფილოსოფიის საფუძვლები. „მეცნიერება" 1992. გვ. 113, 136



კოლეგ ნინოსაშვილი

უსანასკნელი მოჰიკანი

ფრთხილად იხსნება სხვადასხვაფრად გათხუპნილი გრიმის კოლოფის თავსახური. ენერგიული ხელით იწყება სახის დასაფარი ტონის შეზავება... მოქნილმა თითებმა შესაფერისი ტონით უკვე დაფარეს მსახიობის ნამდვილი სახის კანის ფერი. გრიმის წკირა ოდნავ შეეხო წარბებსაც და მათ საჭირო მოხაზულობა მიიღეს — გაჭაღარავდნენ; კიდევ უფრო გამოეკვეთა ბაგეები, თუმცა ფარული სევდის კვალი დაეტყოთ. ნაოჭს ნაოჭი მიემატა და დაღარულ სახეს იდუმალი ნაღველი გადაეკრა, უპეებიც ჩაუღრმავდა, მხოლოდ სხივი დარჩა უცვლელი: ხალისიანი, აციმციმებული, მორიგი ოხუნჯობისათვის შემზადებული.

ვინ მოთვლის რამდენათასჯერ გადასხვაფერებულა ვასო გოძიაშვილის მეტყველი სახის ნაკვთები, რამდენჯერ გამოუმეღავნებია მსახიობის თვალებს მხატვრული გმირის შინაგანი ბუნება, რომელსაც ვერავითარი გრიმით ვერ მიაღწევ. ოსტატის მაგიურ ხელს რამდენჯერ გამოუძერწავს, შეუქმნია ლუარსაბ თათქარიძის („კაცია ადამიანი?!") ფაფუკი ღაბები, ქონგადაფარებული თვალების გუგები და აღაჟღაჟებული ლოყები, მამაცი მთიელი — ახმას („ანზორი") ალალი, კეთილშობილი სულის მქონე ადამიანის სახეზე გადაფენილი ნათელი შუქი და ვეფხვივით ბრიალა, ვნებიანი თვალები. ფიგაროს („ფიგაროს ქორწინება") მკვირცხლი გამომეტყველება, აჭიმული წარბები, კუპრივით შავი, გრუზა თმა; ავეტიკას („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ") მელოტი შუბლი, ჩამოფარცხული, საგანგებოდ შეღებილი ულვაშები, ლოყაზე, თმიანი ხალი და წაწვეტებული ცხვირი ვეებერთელა მეჭეჭით; არმანის („მარგარიტა გოტიე" პირტიტველა, ნაზი სახე და სიყვარულით ანთებული თვალები; მეფე ერეკლე — გამჭრიახი ადამიანი აზიდული წარბებით; ხლესტაკოვის („რევიზორი") აპრეხილი ცხვირი, ვლას ტონკიხის („შორეული") მიჭყლეტილი; კეისრის („კეისარი და კლეოპატრა") ანტიკური სილამაზით გამოკვეთილი, ხოლო ზურია ხარატელის („ხარატაანთ კერა") დარბაისლური, ამაყი და ძლიერი, დე სანტოსის („ურიელ აკოსტა") სალი კლდესავით გაუტეხავი ცხვირი. უცნობის („ლეგენდა სიყვარულზე") მრავალნაიარევი, ნაწამები სახე; კონტრრევოლუციონერ კობზას („ესკადრის დაღუპვა") მხრებში ჩავარდნილი, ქაჩალი თავი, გამობრუჟული, გაბუშტული ცხვირი, შეშუპებული ქუთუთოები, მოჭუტული, ჩასისხლიანებული თვალები; ბესოს („ღალატი") დათოვლილი, თეთრი წვერ-ულვაში და კეთილი მზერა; ბროუდის („კერპი") ცხოველური ბაგეები, წითური ბაკები და ლოთობისაგან დეფორმირებული სახის ნაკვთები; რიჩარდის („რიჩარდ მესამე") ბოროტი თვალები და გამანადგურებელი, ყალყზე შემდგარი წარბები; ფილიპე მეორის („დონ კარლოსი") ეჭვიანობით ამღვრეული თვალები, ტლანქი, კეხიანი ცხვირი, გაფანტული ჭაღარა თმა. მუდამ მომღიმარი კირილ სერგეევიჩის („ხსოვნა გულისა"), მზრუნველი თვალები და კლოუნისათვის დამახასიათებელი ცხვირის მოყვანილობა.

...ჩულურეთისა და ანჩისხატის უბანში, გულისწამღებ ჟრიამულში გაატარა ბავშვობა... მუდმივად ხმაურიანი ვიწრო ქუჩებით, ერთმანეთზე მიჯრილი პატარ-პატარა ეზოებით, ბოძებშემდგარი სახლის გაბზარული კედლებით, ხავსმოდებული, მუქი წითელი კრამიტის სახურავებით. აქა-იქ გამონგრეული ქვითკირის მესერით, თუ ხის დაგრეხილი

კიბეებით, დაბრეცილი და მოლაყლაყებული მოაჯირებით, აივნებზე გადმოფენილი ჭრელა-ჭრელა ხალიჩებით — ამ სამყაროს შუაგულში, ნაქირავებ ერთ-ერთ ბინაში ცხოვრობდნენ ვასო გოძიაშვილის მშობლები, დილის საარივით ჩაესმოდა ნამძინარევ პატარა ვასოს ყარაჩოხელთა, ამქართა აღმოსავლური, სევდანარევი ჰანგი. დღის განმავლობაში აკვირდებოდა ხელოსანთა, მედუქნეთა, წვრილ-ვაჭართა გაუთავებელ ფუსფუსს. საღამოს ჟამს კი მეტეხთან, როცა მეთევზეთა ტივი ანთებული კოცონით მდორედ მიცურავდა და არღნის ჩუმი ღიღინი ქალაქის ახლო-მახლო ქუჩებს სწვდებოდა, ცნობისმოყვარე ბავშვის თვალწინ მიმზიდველი სანახაობა იშლებოდა; კვირა საღამოს კი უბნის შუაგულში დაირისა და დუდუკის თანხლებით გამართული ახალგაზრდების გამაყრუებელი ტაშფანდურა ხიბლავდა. „დეზერტირკის“ ბაზარში ტკაჩოვის მიერ გამართული საცირკო ბალაგანის აზარტული ჟონგლიორობა იტაცებდა. აქ, დედის საიდუმლოდ, 13 წლის ვასო მუსიკალურ კუპლეტებს ასრულებდა. სიმღერისა და ცეკვის არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებულმა სწრაფად მიიქცია ხალხის ყურადღება. ბალაგანში გამოსვლებით დაგროვილი ფულით ქართულ გიმნაზიაში შევიდა. ასეთ გარემოში გატარებულმა ყრმობამ თავისი გაიტანა ძველი თბილისის სურათების ეს კოლორიტული იერსახე ვ. გოძიაშვილმა შემდეგში სცენაზე სახიერჰყო, მათ პლასტიკური გამომსახველობა მიანიჭა.

პირველი თეატრალური შთაბეჭდილება ვასომ, ჯერ კიდევ გიმნაზიის მოწაფემ, — ალექსანდრე იმედაშვილის ოტელოსაგან მიიღო; ალ. იმედაშვილის ტრაგიკული მუზა გახდა მისთვის იდეალი. უფრო ადრე კი პატარა ვასო შემთხვევით მოხვდა ოპერის თეატრში "აბესალომ და ეთერის“ წარმოდგენაზე, მაგრამ მაყურებლად კი არა, — აბესალომის და ეთერის ქორწილის სცენაში ნეფე-დედფლისათვის ვარდების დაფენა დაავალეს. ზაქარია ფალიაშვილის მელოდიების მომაჯადოებელმა ძალამ, ვანო სარაჯიშვილისა და სანდრო ინაშვილის გრძნეულმა სიმღერამ სამუდამოდ დაიპყრო ბუნებით მუსიკალური ვასოს არსება და მთელი ცხოვრების მანძილზე მის ტყვეობაში დარჩა. ამიტომაა ასე ორგანული მუსიკალური რიტმის თანახმიერი მსახიობის თავბრუდამხვევი პლასტიკური რაკურსები, მუსიკალურ ენას დამორჩილებული ჟესტებისა და მეტყველების ინტონაციურ წყობაში გამოვლენილი ჰარმონია, სიმღერიდან დეკლამაციაზე გადასვლების შეუმჩნეველი მუსიკალური ხიდები და ვირტუოზული ხვეულები. ყოველივე ეს უმალ გამოჩნდა, როცა 1924 წელს აკაკი ფაღავას ხელმძღვანელობით არსებულ სტუდიაში მიმღები კომისიის წინაშე ვ. გოძიაშვილი წითელარმიელის ფარაჯით წარსდგა; კითხულობდა ი. გრიშაშვილის ლექსს „ახალი ღმერთი“. მოხდა მოულოდნელი. კომისიამ, რომელსაც კოტე მარჯანიშვილი თავმჯდომარეობდა, უცნობ ჭაბუკს კითხვა გაამეორებინა. კომისიის ერთ-ერთი წევრი — ალ. იმედაშვილი ამის გამო თავის მეგობარს სწერდა: — ... „გამოჩნდა ერთი ბიჭი, რომელიც ჩემი აზრით, ქართული თეატრის მომავალი ვარსკვლავი იქნება“... ვ. გოძიაშვილმა სტუდია ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის სტიპენდიით დაამთავრა და დაიწყო მსახიობის თავბრუდამხვევი შემოქმედებითი ცხოვრება.

დიდება მასთან უმალვე მოვიდა. ვ. გოძიაშვილი მაყურებლის კერპი გახდა, რაც შემთხვევითი არ ყოფილა. მხოლოდ ახალგაზრდულ მომხიბვლელობას და უნიჭიერესი ჭაბუკის მგზნებარებას როდი მოუტანია ასეთი წარმატება: ჭეშმარიტი აქტიორული პოტენცია იმთავითვე იგრძნობოდა მის ნატურაში, სასცენო ხელოვნების საიდუმლოების უხი-

ლავი ნიშნები მკვეთრ ინდივიდუალობას ასხივებდა — ქართული თეატრის კორიფეების: ვასო აბაშიძის, ვალერიან გუნიას, გიორგი არადელი-იშხნელის, ალექსანდრე იმედაშვილის, ნიკო გოცირიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის რეალისტურ ტრადიციებს უკავშირდებოდა. თვითმყოფი აქტიორული მონაცემები ხელოვნების სხვადასხვა სფეროს საუკეთესო ნიმუშების შეგრძნებით თანდათან გამდიდრდა. მსახიობის პლასტიკური გამომსხველობა ლადო გუდიაშვილის დახვეწილ, უჩვეულო, ჰაეროვან მონასმებს, გრაფიკულ ტეხილებს დაემსგავსა. ისევე როგორც ელენე ახვლედიანის ფერწერაში სჩქეფდა საქართველოს ბუნების ფერთა სიუხვე, ძველი თბილისის არომატული სურნელება — სინამდვილის აღქმის მრავალფეროვნება და ამგვარი სურნელება ვ. გოძიაშვილის არტისტიზმსაც დაჰკრავდა. ვ. გოძიაშვილის მიერ წარმოსახული ჟანრული სცენური სახეები, სისხლსავსე ფერადოვნებით, ხედვის ინტენსიურობით გიგო გაბაშვილის კოლორიტული ტილოებიდან გადმოსულ, დამახასიათებელ ტიპებს ჩამოჰგავდა. ვ. გოძიაშვილის აქტიორულმა ბუნებამ უნებურად ქართული პოეზიის მადლიანი პათოსიც შეინოვა. განსაკუთრებით გიორგი ლეონიძის ძარღვიანი, ბარაქიანი კახური სიტყვა გადაეხლართა მსახიობის დიდებულ სცენურ სიტყვას. ვ. გოძიაშვილის

— აქტიორის აღზრდისა და ჩამოყალიბების გადამწყვეტი როლი კი კოტე მარჯანიშვილმა და სანდრო ახმეტელმა შეასრულეს. პირველისაგან ნაწარმოების დედააზრის ამოკითხვის, გმირის ფსიქოლოგიური მხარის ღრმად წვდომის უნარი შეითვისა, ხოლო მეორისგან ისწავლა სცენური სახის მეტყველი, მახვილი ფორმის შეგრძნება, მხატვრული განზოგადების კანონების ამოხსნა. ქართული თეატრის შესანიშნავი რეჟისორ-პედაგოგი ვასო ყუშიტაშვილი კი მისი შემოქმედების თანამგზავრად, მსახიობის ფანტაზიის ჩანაფიქრის პრაქტიკული განხორციელების უპირველეს ავტორად გადაიქცა.

...მორგვივით ჩამრგვალებული გოძიაშვილი — ლუარსაბი ბამბით გატენილ, ვეებერთელა ტომარას ჰგავდა. დაბალ, ფართო ტახტზე დაყრილ ბალიშებსა და მუთაქებზე ნებივრობდა. მადიანად დანაყრებული სიამოვნებისაგან თვლემდა და თან გამაძღარს მსუყე სადილის მოლოდინში სული მისდიოდა, ნდომის ნერწყვი პირს ადგებოდა. აი, შეინძრა, ალბათ ძილბურანიდან გამოერკვა. სიმსუქნისაგან დაელამებული თვალებით უაზროდ იხედება ტახტიდან, რაღაცას ბუტბუტებს. ამოქონილი ყელიდან ძლივს აღწევს მისი ჩახრინწული ხმა. თურმე ნუ იტყვით, გოძიაშვილი — ლუარსაბი ახლა ვახშმის „თადარიგს" შესდგომია და როცა დარეჯანთან ერთად წინასწარ წარმოიდგინა ვახშმით აღძრული სიამოვნება, გულდამშვიდებულმა, დიდი გაჭირვებით გვერდი იბრუნა და გართობას შეუდგა — ჭერზე ბუზების თვლა დაიწყო. და ასე, გოძიაშვილი — ლუარსაბი ჩლუნგი გონებით ჯიუტად ედავებოდა დარეჯანს — ორაგულია თევზების მეფე თუ თართი, და ისე ეკამათებოდა მეუღლეს, თითქოს მსოფლიო ბედ-იღბალს სწყვეტდა. როლის ამ უაღრესად გამძაფრებულ ჰიპერბოლურ ხედვაში მსახიობი არაჩვეულებრივ გულრწფელობას და სცენური დეტალების ფილიგრანულ სიზუსტეს ავლენდა. გოძიაშვილის ლუარსაბი კონგენიალური იყო ილია ჭავჭავაძის გმირისა, მსახიობის მიერ სცენური სახე სწორედ ილიასეული მანერით იყო შექმნილი. სატირული სიმძაფრით, გროტესკული ტალანტით, უდიდესი სოციალური განზოგადებით გამოკვეთილი ლუარსაბის სახე მსახიობის შემოქმედების გვირგვინად იქცა.

...ქარიშხალივით შემოიჭრებოდა გოძიაშვილი — დე-სანტოსი სცენაზე, მტაცებელი ფრინველივით კიბის მაღალ საფეხურზე შედგებოდა, ძერას მსგავსი მკლავებით ზეაპყრობილი საშინელი წყევლა-კრულვისთვის შეიმართებოდა და მჭექარე ხმით თავს დასჩხა-

ოდა ნათელ აზრს. კიბის ყოველ საფეხურზე ჩამომავალი გამძვინვარებული და გაბოროტებული გესლს ანთხევდა და მსახიობის ხმაში ძლიერდებოდა მუქარა, მაგრამ კულმინაციას მიღწეული მისი აღზევება ივდითის შეპასუხებით უმალ ქრებოდა, იმსხვრეოდა, შინაგანად უმწეო ხდებოდა, თვალის დახამხამებაში მთელი მისი არსება არარაობად იქცეოდა. თავზარდაცემული მიძვრებოდა სცენიდან ბოროტების ბუნაგში.

...ავეტიკას დამჭკნარ სხეულზე ხალვათად ჩამოვარდნილი, მოვერცხლილი ქამარი და ამოქარგული ბაღდადი, ერთი ციცქნა, თავზე გვერდულად მიგდებული ძველებური კარტუზი ავქსენტი ცაგარელის პერსონაჟის გარეგნულ სახირებას წარმოადგენდა. ავეტიკა ბევრ წლებს ითვლიდა, მაგრამ კუნტრუშით დადიოდა, მისი ცქვიტი მიხრა-მოხრა, ანგარებიანი, ჩალიჩა, გაქნილი კაცის ბუნებაზე მეტყველებდა. დამახინჯებულ ქართულ-სომხურს ლაპარაკობდა. ქლესა ენით ბევრის გაცურება შეეძლო. მკლავმაგარ ყარაჩოხელებსაც სჯობნიდა ჭკუით და მოხერხებით.

ავანსცენაზე, ჯირკზე ჩამომჯდარი გოძიაშვილი — ავეტიკა ბატონთან ვიზიტის გეგმას აწყობდა, უსიტყვოდ საკუთარ თავს ეპაექრობდა, ტრაბახობდა, უნდა გენახათ სახის მიმიკის, ჟესტიკულაციის რა ფეიერვერკს აღწევდა იგი, ოსტატობის რა სიმაღლეზე ადიოდა. ბატონთან ნამდვილად შეხვედრის დროს კი მართალია მუხლები უკანკალებდა და შიშით სული ეპარებოდა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა, თავის თავში დიდად დარწმუნებული იმუქრებოდა, თუმცა კი გიჟუას ფუთიანი მუშტისოდენა ჩანდა. რა გატაცებით ჰყვებოდა გოძიაშვილი — ავეტიკა ბატონთან თავის „გმირობის" ამბავს; რა ხერხებს არ იგონებდა; ყოველ წვრილმანს ამუქებდა, იბღინძებოდა, თვითონვე ტკბებოდა ამ დაუვიწყარი სეირხს გამო. ნეფე-დედოფლის — ტასიასა და საქუას ქორწილში პირველი კაცი ხდებოდა და როცა გამარჯვებული ბაღდადს ააფრიალებდა, შნოიანად ბაღდადურს ჩამოუვლიდა ავეტიკას მთელი ცხოვრების აზრი ამ დარდიმანდულ პოზაში იკითხებოდა.

...სამეფო ტახტზე მძიმედ ჩაშვებული გოძიაშვილი — ერეკლე მეორე ღრმა ფიქრებს მოუცავს, მის ბრძნულ, თვალებში გამოსჭვივის მშობლიური ქვეყნის სიყვარულით ანთებული ადამიანის ცეცხლი. მბრძანებელში მსახიობი უპირველესად ჩვეულებრივ ადამიანურ საწყისს უსვამდა ხაზს. ქართველი ხალხის ჭირ-ვარამით შეწუხებული გოძიაშვილი — ერეკლე გამოსავალს ეძებდა. შეუვალი და დაუნდობელია პაატა ბატონიშვილის მიმართ,



რომელსაც ქვეყნის გადარჩენის გეზი სხვაგვარად მიაჩნია. პაატა ბატონიშვილის დაკითხვის სცენაში გოძიაშვილი — ერეკლე მაღალი თვითშეგნებით, კაცთმოყვარეობის, ნათესაობის ძლიერ გრძნობას თავს აღწევდა და თავგანწირვით იგერიებდა დიდი ნებისყოფის მოწინააღმდეგეს. ლევან გოთუას მიერ პიესაში აღწერილი ერეკლე მეორის — პოლიტიკური მოღვაწის ისტორიული სახე: ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების დამცველის, ვაჟკაცური ბუნების, გმირული სიდინჯის და დიდსულოვნების გამოვლენის სათავეს მსახიობის მიერ რომანტიკულ ზეაწეულობაში შეფერილი დარბაისლური მეტყველება და შინაგანი ემოციური დინამიკა შეადგენდა.

...ვასო გოძიაშვილი არც ერთ ნიუანსში არ ცდილობდა რიჩარდის ბუნების რაიმე დადებითი მხარის ჩვენებას. ბოლომდე, დაუნდობლად აშიშვლებდა შექსპირის გმირის ვერაგულ ზრახვებს. მის გამჭოლ მოქმედებას შეადგენდა თავგანწირული ბრძოლა სამეფო ტახტისათვის. სისხლით მორწყულ ამ გზაზე „ოსტატურად" სპობდა ყველა მოწინააღმდეგეს; არ ერიდებოდა ბოროტმოქმედებას, პირფერობას, ღალატს, ინტრიგას. ამის გამო მის თვალებში ყოველთვის უზომო ტკბობა ჩანდა. ასე მიიწევდა ზეამოცანისკენ, მის მოსასხამშიც თანდათან მატულობდა შემაძრწუნე-

ბელი ძოწისფერი, სახის ნაკვთები უმოძრაო ხდებოდა, თითქოს შედედებულ სისხლში ცურავდა ცრუგვირგვინოსანი.

ფინალში კი ხაფანგში მომწყვდეული, გოძიაშვილი — რიჩარდი უსუსურად აწყდებოდა აქეთ-იქით. ტირანი იმავე გზაზე იმსხვრეოდა, რომელზეც გადაიარა მისმა ნამოქმედარმა საშინელმა ეპიზოდებმა. ძირს გართხმულ გოძიაშვილ — რიჩარდის გაშეშებულ ხელში დალეწილი გვირგვინი ჰქონდა ჩაბღუჯული, ღიად დარჩენილ ხარბ თვალებში ავი მზერა და სახეზე ცინიკური ღიმილი შეჰყინოდა.

...გოძიაშვილი-ბესოს მოხრილი ბეჭები, ქანცგამოლეული მუხლები და ჯაფისაგან დაკოჟრილი ხელები ჰქონდა, მაგრამ გარეგნულად ამ დაჩიავებულ მოხუცსში დიდი, მგზნებარე გული სამშობლოს კეთილდღეობისათვის ძგერდა მხოლოდ, მშობლიური ქვეყნის ბედიღბალზე ფიქრში ამოსდიოდა მზე და მთვარე.

ვასო გოძიაშვილის ბესო ტიპიური ქართველი გლეხკაცი იყო, რომელსაც მიწის სურნელი ასდიოდა. თონიდან ახლადამოხდილი შოთი პურის სუნი შემოჰქონდა სცენაზე, დამკრახული რქაწითელის სიტკბოება და საფერავი ღვინის არომატი დაჰკრავდა.

ვასო გოძიაშვილი შილერისეულ დესპოტი მეფე — ფილიპე მეორეს მკვეთრ სახეს სრულიადაც არ უძებნიდა რაიმე დადებით ინსტიქტებს, პირიქით კიდევ უფრო ამძაფრებდა სისასტიკის აქცენტებს. ესპანეთის ხელისუფალს მშობლიური გრძნობის იოტისოდენ ნატამალსაც ვერ შეამჩნევდით: შვილებთან გულგრილი დამოკიდებულებითაც ავლენდა თავის ჭეშმარიტ ბუნებას. პათოლოგიამდე მისული ეჭვიანობით შეპყრობილი, ამავე დროს რაღაც ამოუცნობ შიშს ვერ მალავდა. გოძიაშვილი — ფილიპე მეორის სულიერი ფორიაქი მუდმივად იკვესებოდა სიძულვილ მორეულ მის თვალთაგან.

სისადავისა და გულწრფელობის, თბილი იუმორისა და იმპროვიზაციის, არაჩვეულებრივი შინაგანი თავისუფლების მწვერვალს აღწევდა ვასო გოძიაშვილი კირილ სერგეევიჩის როლში. ცირკის ყოფილი კლოუნი იხსენებს წარსული დიდების დღეებს, ერთი მაყურებლის გალინა რომანოვნას წინაშე ოხუნჯობს, გატაცებით ოინბაზობს, იმეორებს რთულ ნომრებს. როცა წარმოსახვით გაჭიმულ მავთულზე, ქოლგით ხელში სიფრთხილით "გააღწევს" ზღრუბლს, სახეგაბრწყინებული, უსაზღვროდ კმაყოფილი, იქვე ფირზე ჩაწერილ მაყურებელთა ოვაციებს ჩართავს და მოწიწებით მდაბლად თავს უკრავს მათ. აშკარად ჩანს, რომ გოძიაშვილი — კირილ სერგეევიჩს არ შეუძლია სიცოცხლე ამ პროცესის გარეშე. ამავე დროს ვლინდება მისი შინაგანი ხილვა; ძალოვნად იგრძნობა ფაქიზი ადამიანური თვისებები.

წარმოადგენის ფინალში მასხარას ტანსაცმელში გამოწყობილი გოძიაშვილი — კირილ სერგეევიჩი შემოდის სცენაზე და ტრაგიკულ მუსიკას ჯამბაზის გამომსახველ მოძრაობებს აყოლებს. დიდ მწუხარებაში შერეული რიტმული, გროტესკული, პლასტიკური მოქმედებანი კულმინაციას აღწევს... გოძიაშვილი, კირილ სერგეევიჩი მწარედ აქვითინდება. აკანკალებული ხელით გაუწოდებს გალინა რომანოვნას სამწუხარო დეპეშას — პატი გარდაიცვალაო. საყვარელი მეგობრის ხსოვნის პატივსაცემად გათამაშებულ ამ ეპიზოდში ვ. გოძიაშვილი ტრაგიკომიკური ჟანრისათვის საჭირო დიდ აქტიორულ, ჩაპლინისდარ მონაცემებს ავლენდა. დაუვიწყარია მის მიერ შექმნილი უკვდავი თეატრალური ნიღბები „ძველ ვოდევილებში".

ვასო გოძიაშვილი უკანასკნელი მოჰიკანი და მეხოტბე იყო ძველი თბილისის კოლორიტული წარსულის სცენაზე თუ ესტრადაზე წარმოსახვისა. განუმეორებელი, უნიკალური შემოქმედებით ქართული თეატრის ისტორიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი თავია... მოლხენა უყვარდა და აქაც უკიდურესად არტისტული რჩებოდა, ჩვეულებრივი საუბარის დროსაც კი საოცრად მომხიბვლელი იყო, არც სიტყვაძვირი ყოფილა, მის პიროვნებას გაიდეალება არ სჭირდება. ადამიანური სისუსტეენიც სჩვეოდა, ანგარიშმიუცემელი სიფიცხე ახასიათებდა, ბავშვივით უეცარი აფეთქება იცოდა, მუდმივად სჭირდებოდა მაყურებლის აღფრთოვანება და გულმხურვალე ოვაციები. პრესის მხრივ, მისი შემოქმედების შეფასებისას მცირე ხნით დუმილს ვერ ითმენდა. დრამატული იყო მისთვის თუ ყურადღების ცენტრში არ იმყოფებოდა. სულ პატარა ცხოვრებისეულ საკითხზე აღშფოთება კულისების უკანასკნელ ზღურბლამდე მიჰყვებოდა ხოლმე, მაგრამ როგორც კი გადააბიჯებდა სცენის კიდეს საოცარი სახეცვლილება ხდებოდა, გარდაიქმნებოდა სათნო, კეთილ, ლმობიერ არაჩვეულებრივ გმირად — ეს იყო მისი ტალანტის საიდუმლოება.



ქართული სინკოპირებული

ჰეიმონიული აბსტრაქცია

„... შემდეგ პუანტალიზმმაც აღარ დამაკმაყოფილა და დავიწყე ფორმის დაახლოებით კუბისტთა გვარად გაანალიზება. მალე ეს ეტაპიც გავიარე, რაც გამოიხატა ესკიზებში, ექსპერიმენტულ სურათებში. საბოლოოდ კი აბსტრაქციამდე მივედი.“[1]

ეს სიტყვები არსებითია ალ. ბანძელაძის შემოქმედებისშესაფასებლად.ქართველმხატვართა 1950-იანი წლების თაობა, რომელსაც ალ. ბანძელაძე ეკუთვნის, იმით გამოირჩევა, რომ 1930-40-იან წლებში საბჭოთა ფერწერაში გაბატონებული ჩამქრალი, ერთფეროვანი ფერები შეცვალა. „რკინის კარის“ გახსნასთან ერთად შემოჭრილი ინფორმაციის წყალობით მოსახლეობა იმპრესიონიზმს და პოსტიმპრესიონიზმს ეზიარა. პუანტალიზმი მოდაში შემოვიდა. ოფიციალურად დაუშვეს ამ მანერით მუშაობა და ეს თავისთავად გადაიზარდა საყოველთაო გატაცებაში. სიახლე, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდებმა აიტაცეს და მათ მთელი ეტაპი შექმნეს საბჭოთა ფერწერაში. ბატონმა ფარნაოზ ლაპიაშვილმა მომითხრო ერთხელ, თუ რა დიდი როლი ითამაშა მისი, როგორც ფერმწერის, ფორმირებაში პოლ სინიაკის ნაშრომის გაცნობამ, რომელსაც შემთხვევით მიაგნო ლაგოდეხის ბიბლიოთეკაში, პოლონელი ემიგრანტების მიერ დატოვებულ წიგნებს შორის. ეს იყო სინიაკის „ეჟენ დელაკრუადან ნეო-იმპრესიონიზმამდე.“ ორი ათწლეულის განმავლობაში ყველაფერს დასავლურს მოწყვეტილი ახალგაზრდა მხატვრები დასავლეთში რვა ათეული წლით ადრე აღმოცენებული მიმდინარეობებიდან სწავლობდნენ. მათ შორის იყო ალ. ბანძელაძეც. მაგრამ არსებითი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ მხატვარი პუანტალიზმმაც არ დააკმაყოფილა და სულ მალე ის კუბიზმით დაინტერესდა. დღევანდელი გადასახედიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვენი ფერწერისათვის ყველაზე დიდი დანაკლისი სწორედ კუბიზმის იძულებითი უგულებელყოფა იყო. მხატვრებს ფაქტიურად არ გააჩნდათ ინფორმაცია მიმდინარეობაზე, რომელმაც ძირეული გარდატეხა მოახდინა მე -20 საუკუნის აზროვნებაში, რომელშიც აისახა ეპოქა და განსაზღვრა მთელი შემდგომდროინდელი მხატვრობის მრავალფეროვანი განვითარება. ახალგაზრდებს ეკრძალებოდათ ამ მიმართებით ფიქრი. მაგრამ ალ. ბანძელაძე „ხულიგანი“ მხატვარი იყო, როგორც მას ხუმრობით მისმა მეგობარმა და თანამოაზრემ, სკულპტორმა გოგი ოჩიაურმა უწოდა. ის არასოდეს ეგუებოდა ოფიციალურად დადგენილს და „ზემოდან“ განსაზღვრულს. ამიტომაც დატოვა ასეთი მნიშვნელოვანი კვალი.

1987 წელს, მოსკოვში და შემდეგ თბილისში, ქართული უსაგნო ხელოვნების გამოფენა მოეწყო. მასზე წარმოდგენილი იყო ალ. ბანძელაძის და მისი მოწაფეების, 1980-იანი წლების თაობის წარმომადგენლების — გელა და ილია ზაუტაშვილების, გია მგალობლიშვილის (თბილისში არ იყო წარმოდგენილი), ლუკა ლასარეიშვილის და გია ეძგვერაძის ნამუშევრები. ეს იყო “პერესტროიკის“ პერიოდის ერთ-ერთი პირველი და განსაკუთრებით შთამბეჭდავი კულტურული მოვლენა.

***

ალ. ბანძელაძე ჯერ თბილისის სამხატვრო ტექნიკუმში სწავლობდა, შემდეგ, 1947 წლიდან — სამხატვრო აკადემიაში. ფორმალისტური ძიებების გამო, 1949 წელს იგი გარიცხეს აკადემიიდან და მხატვარს მხოლოდ 1962 წელს გადაეცა სამხატვრო აკადემიის კურსის დამთავრების დიპლომი.

1. ინტერვიუ ალექსანდრე ბანძელაძესთან — „სპექტრი,“ 32, 1990, გ.13



მართალია, კომუნისტური პარტიის მე - 20 ყრილობის შემდეგ, რომელიც 1956 წელს ჩატარდა, ქვეყანაში „რკინის ფარდა“ ოდნავ აიხადა, ეს მხოლოდ ნაწილობრივ, ისევ „ზემოდან“ მართვად თავისუფლებას მოასწავებდა. ამაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი ალ. ბანძელაძის ბიოგრაფიიდან, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მის შემოქმედებაში: 1950-იანი წლების ბოლოს, ერთ-ერთ მოსკოვურ გაზეთში მხატვარი შემთხვევით წააწყდა ინფორმაციას ამერიკული მხატვრობის გამოფენის შესახებ, რომელიც მოსკოვში მოეწყო. ინფორმაცია, რა თქმა უნდა, კრიტიკული იყო. სტატიას ახლდა შავ-თეთრი ილუსტრაცია, რომელზეც მნახველები დამცინავი სახეებით შესცქეროდნენ რომელიღაცა ამერიკელი აბსტრაქციონისტის ნამუშევარს (სურათს მიწერილი ჰქონდა „სიცილის ოთახი“). ბანძელაძემ არც იმ მხატვრის ვინაობა იცოდა და არც იმ მიმდინარეობის შესახებ ფლობდა რაიმე ინფორმაციას, მაგრამ იგი ნამუშევარმა დააინტერესა. ნანახმა გაუძლიერა არა-ფიგურატიულ კომპოზიციებზე მუშაობის მოთხოვნილება, უკვე გაღვივებული მასში. როგორც თვითონ ამბობს ზემოთ მითითებულ ინტერვიუში, ეს სურათი მას „გულზე მოხვდა“. მთელი მისი შემდგომი შემოქმედება საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ბანძელაძემ მაშინ ამერიკული აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი წარმომადგენლის ნამუშევარი იხილა. გვაქვს საფუძველი დავუშვათ, რომ ეს უილემ დე კუნინგი უნდა ყოფილიყო, რადგან ბანძელაძის კომპოზიციები ყველაზე მეტ სიახლოვეს სწორედ მის ტილოებთან ჰპოვებს.

„კარების“ გახსნა იმაში გამოიხატება, რომ ქვეყანაში შესაძლებელი გახდა რუსულენოვანი საინფორმაციო ჟურნალების —„Америка“ და „Англиа“ ნომრების „ხელში ჩაგდება“. ასევე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა პოლონური ჟურნალები (მაგალითად, „Польша,“ „Projekt“). ბანძელაძისათვის ცენტრალური ტელევიზიით მოსმენილი თანამედროვე პოლონური მუსიკის მოსმენაც მნიშვნელოვანი იყო. ეს ფრაგმენტული ინფორმაცია მასში გაღვიძებულ იმპულსებს აძლიერებდა. თუმცა, ყველაფერი ეს საბჭოთა სინამდვილეში კრიტიკული პოზიციით იყო მოწოდებული. ეს იყო ის, რაც უნდა დაეგმო საბჭოთა ადამიანს, რისთვისაც არ უნდა მიებაძა.

ბანძელაძე შინაგანად იყო მზად სიახლისათვის. „იმპრესიონიზმით უკმაყოფილება უკვე იყო ჩემში, ფაქტიურად ველარ ვჩერდებოდით და თითქოსდა თავისთავად „მივყავდი რაღაცას“ — ამბობდა ის (იგივე ინტერვიუ).

დღეს ცნობილია, რომ გადამწყვეტი იმპულსი მხატვარს ამერიკულმა აბსტრაქტულმა ექსპრესიონიზმმა მისცა.

***

ამერიკულ აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი, იგივე ნიუ-იორკის სკოლა ან მოქმედი ფერწერა (Action Painting), როგორც მიმდინარეობა, 1940-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა. ექვსმა-შვიდმა ნიუ-იორკელმა მხატვარმა, რომელთა პერსონალური გამოფენები მოეწყო 1943-46 წლებში პეგი გუგენჰაიმის "ჩვენი საუკუნის ხელოვნების გალერეაში," ერთპიროვნული ლიდერის და სპეციალური პროგრამის გარეშე, მძლავრი ნაკადი შექმნა ხელოვნებაში. სწორედ მათი მოღვაწეობის შედეგად, ხელოვნების ცენტრმა თანდათანობით პარიზიდან ნიუ-იორკში გადაინაცვლა. ეს იყო ამერიკული მხატვრობის პირველი მნიშვნელოვანი მანიფესტაცია. მიმდინარეობის წარმომადგენლები იმ თაობას მიეკუთვნებიან, რომელმაც ეკონომიკური დეპრესიის წლებში დაიწყო მოღვაწეობა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში უმეტესობა ხელოვნების ფედერალურ პროექტში მონაწილეობდა, რომელიც რუზველტმა მხატვრებს ეკონომიკური სიდუხჭირის დასაძლევად შესთავაზა. მათი შემოქმედება სოციალური რეალიზმის პრინციპებს ეფუძნებოდა. ეს იყო ანტი-მოდერნისტული, დანარჩენ მსოფლიოს მოწყვეტილი, რეალისტურ-ნატურალისტური მხატვრობა, თავისი პათოსით პატრიოტული და როგორც ზოგი კრიტიკოსი აღნიშნავს, შოვინისტურიც კი.

ფრონტიდან ტერიტორიულმა სიშორემ ხელი შეუწყო ამერიკული ხელოვნების საზღვრების გაფართოებას. განსაკუთრებული როლი ითამაშა იმან, რომ ამერიკაში თავი მოიყარეს ომისა და ფაშიზმის გამო ევროპიდან დევნილმა მხატვრებმა, კრიტიკოსებმა, კოლექციონერებმა. ამერიკაში ჩავიდნენ მონდრიანი, მასონი, ლეჟე, შაგალი, ერნსტი. აქ ძლიერი იყო ასევე მატისის და პიკასოს გავლენა. მხატვრებს საშუალება ჰქონდათ აეთვისებინათ კლეეს, მიროს, ადრეული კანდინსკის შემოქმედება ისე, როგორც ამას ევროპაში არ ჰქონია ადგილი. ნიუ-იორკში ფუნქციონირებდა გერმანელი მხატვრის ჰანს ჰოფმანის სკოლა, რომელმაც განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ახალი სტილის ჩამოყალიბებაში. ყოველივე ამან საფუძველი შეუქმნა იმას, რომ ომის შემდგომ მხატვრები დაუპირისპირდნენ ფედერალური პროექტის პოპულიზმს. ისინი გათავისუფლდნენ საზოგადოებრივი და სოციალური პრობლემატიკის სიმწვავიდან. მხატვრობამ თანდათანობით შეიძინა კოსმოპოლიტური და უკიდურესად აბსტრაქტული ხასიათი. მხატვრები ახლა ძირითადად დიდი ზომის ტილოებს ქმნიდნენ, ფორმითა და შინაარსით აბსტრაქტულს, მოწყვეტილს ობიექტურ სინამდვილეს.

მარკ როთკო, უილემ დე კუნინგი, ჯექსონ პოლოკი, ფრანც კლაინი, ადოლფ გოტლიბი, ბარნეტ ნიუმენი, ქლიფორდ სტილი გატაცებული იყვნენ ფორმალისტური ამოცანებით. მათი ნამუშევრები განსხვავდებოდა საუკუნის პირველი ორი დეკადის აბსტრაქციებიდან, რადგან მათ სიურეალისტური ავტომატიზმის დიდი სკოლა გამოიარეს და არა-ფიგურატიული მხატვრობა ახალი მეთოდებით გაამდიდრეს. მათთან მეტი მნიშვნელობა ენიჭება თავად მუშაობის პროცესს, მხატვრობას, როგორც აქტს, ფაქტურის გამოვლენას, შემთხვევითობის მომენტს. სიურეალისტურმა ფსიქიკურმა ავტომატიზმმა უკვე მასონთან, მიროსთან და პიკასოსთან მოგვცა პლასტიკური ავტომატიზმი და ეს ამერიკული აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის წარმომადგენელთათვის მნიშვნელოვანი სკოლა იყო.



მათ ხაზი გაუსვეს თავად ხატვის, ფერებით წერის მომენტს, შემოქმედებით აქტს, როგორც ქმედებას. შეიძლება ითქვას, რომ აქედან თითქმის ერთი ნაბიჯი დარჩა პერფორმანსამდე. მათ კონცენტრაცია მოახდინეს ფერის სტრუქტურაზე, რომელიც მხოლოდ ფერწერის ავტონომიური კანონებით იმართება.

ალ. ბანძელაძე მთელ ამ ინფორმაციას მოკლებული იყო, მაგრამ ინტუიციამ მიიყვანა მსგავს პრობლემებამდე.

***

რას უნდა მიექცია ყველაზე მეტად ბანძელაძის ყურადღება, როდესაც რომელიღაცა ამერიკელი მხატვრის აბსტრაქტული ტილოს შავ-თეთრ რეპროდუქციას დასცქეროდა? თავისუფლებას — ხელის, აზროვნების. აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის წარმომადგენლისათვის მხატვრობა მოვლენაა. ყოველი მონასმი ან საღებავის ჩამონაღვენთი თავისუფალ ქმედებას ასახავს. კონტროლის როლს აქ პროფესიონალი ასრულებს.

კუნინგთან ეს თავისუფალი, ამასთან, მსუყე და თანაც, ხშირი მონასმები მრავალ ფენას ქმნის. მათი ურთიერთგადასავლები ექსპრესიულ დინამიკას ამყარებს. საღებავის ფენებს შორის გამოსჭვივის სივრცე. ტილო არ ჩანს. თავად მონასმების მონაცვლეობა ქმნის სივრცის შეგრძნებას.

***

„... მხატვრობას როცა უმაღლეს საფეხურზე აიყვან, — მხატვრობის სტილს, მერე იმას ნგრევა სჭირდება. თუ არ დაანგრიე, მერე უკვე გამოცარიელებული იქნება."[2]

კრიტიკოსები ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში აღნიშნავდნენ ბანძელაძის გაბედულებას და ხაზს უსვამდნენ მის აქტიურ ფორმისმიერ ძიებებს.

წიგნში „საბჭოთა საქართველოს ხელოვნება." ნ. ეზერსკაია და ვ. ბერიძე ასე აფასებენ ა. ბანძელაძეს: „...художник пытливой творческой мысли ..." წერენ, რომ მისთვის დამახასიათებელია „...беспокойный дух поиска, всегда направленного на глубокое образное

2. ალ. ბანძელაძე (ინტერვიუ მხატვრისადმიმიძღვნილი ვიდეო-ფილმიდან. მოამზადა ი. ზაუტაშვილმა, 2000).

раскрытие содержания пройзведения." ისინი აღნიშნავენ: „Песнь об Арсене 1957 года привлекла внимание открытой декоративностью до дерзости смелого решения, обрешением... к декоративной манере, отводящей активную роль цвету, острой лаконичной линии... (Езерская Н., Беридзе В., Искуство Советской Грузии, М., 1975, сс 252-253)

1998 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ალ. ბანძელაძე და უახლოესი ქართული მხატვრობა" (ჟურნ. სპექტრი," 1998, 1, გგ.77-86), სამსონ ლეჟავა მხატვარს ახასიათებს, როგორც „განახლებისაკენ სწრაფვის ერთ-ერთ ყველაზე რადიკალურ გამომხატველს, რაც მის შინაგან მოთხოვნილებებზე იყო დაფუძნებული და არა მოდაზე." ხოლო მის მიერ მიგნებულ მხატვრულ ხერხებს უწოდებს „გაბედულს, რისკის შემცველს."

***

მოსალოდნელი იყო, რომ როგორც გამოცდილი გრაფიკოსი, აბსტრაქციების შექმნისას ბანძელაძე უფრო ხაზით და სივრცით დაინტერესებულიყო, მაგრამ იგი გაიტაცა ფერმა და მისმა სტრუქტურამ, ფერნერული მასებით შენებამ, კონსტრუირებამ. მის ენერგიულ მონასმებში ქვეცნობიერი მოიწევს წინ. თუმცა, პროფესიული კონტროლი ყოველთვის თან სდევს აქტიურ გრძნობისმიერ ძიებებს. ის ფორმას კი არ აგებს ან თუნდაც თხზავს, არამედ ფერადოვან სიბრტყეს აშენებს.

***

აბსტრაქციასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ორნამენტულობის საკითხი, რაც გადაჯაჭვულია დეკორატიულობის საკითხთან. მისი გააზრების გარეშე შეუძლებელია არაფიგურატიული მხატვრობის ნიმუშის შეფასება. ნიშანდობლივია, რომ აბსტრაქტულ მხატვრობას ყველაზე ხშირად აკრიტიკებენ ორნამენტულობის ხარისხით.

დამოკიდებულება ამ ცნებების მიმართ მკვეთრად იცვლება მე -20 საუკუნის მანძილზე. ორნამენტული და დეკორატიული ხან პოზიტიურ დატვირთვას იძენს, ხანაც ნეგატიურს. და როდესაც ვამბობთ, რომ ბანძელაძეს შესწევს უნარი თავი ააცილოს ორნამენტულობას, უნდა გავიაზროთ, თუ რას ვგულისხმობთ ამაში.

1906 წელს, პიკასოს „ავინინელი ქალწულების" შექმნამდე ერთი წლით და აბსტრაქტული მხატვრობის პირველი ნიმუშების შექმნამდე დაახლოებით ოთხი წლით ადრე, გერმანელმა მოაზროვნემ ვილჰელმ ვორინ-

გერმა თავის ნაშრომში — „აბსტრაქცია და შთაგონება," მკვეთრად გამიჯნა ორი იმპულსი — აბსტრაქციის და იმიტირების. მან ხელოვნების ისტორია წარმოგვიდგინა, როგორც დაუსრულებელი დისპუტი ამ ორ პოლუსს შორის. აქედან აბსტრაქცია მან აღიარა უნივერსალურ პრინციპად. ხელოვნების იმპულსის ერთადერთ გამომხატველად. მისი აზრით, აბსტრაქციის უმაღლესი გამოხატულება არის გეომეტრიული ორნამენტი, სადაც ორგანული არაორგანულად გარდაიქმნება. ვორინგერი ასკვნის, რომ ორნამენტი ყველაზე სრულყოფილად ასახავს აბსტრაქციის მოთხოვნილებას, რაც ჭეშმარიტი ხელოვნების უპირველესი საფუძველია. ამ კონტექსტში გასაგებია მისი მოსაზრება, რომ სივრცე არის ხელოვნების მტერი და იგი პირველ რიგში უნდა იყოს უგულებელყოფილი. სივრცე განუყრელად არის დაკავშირებული მესამე განზომილებასთან, სიღრმესთან, რაც ვორინგერისთვის უკავშირდება იმიტირების იმპულსს. ვორინგერი წინ წამოსწევს სიბრტყის მნიშვნელობას. საგულისხმოა, რომ შემდგომ, 1940 -50 –იან წლებში ცნობილი ამერიკელი ხელოვნების კრიტიკოსი, აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის აპოლოგეტი ქლ. გრინბერგი, მოდერნისტული ხელოვნების უდიდეს მონაპოვრად სწორედ სიბრტყის ხაზგასმას მიიჩნევს.

მოდერნისტულმა ხელოვნებამ წინ წამოსწია სიბრტყე და მის უგულებელყოფას კი არ შეეცადა, არამედ გამოააშკარავა იგი. მაგრამ რამდენად ნიშნავს ეს სივრცის გაქრობას? ვორინგერის დროს, აბსტრაქტული ნამუშევარი, როგორც ასეთი, არ არსებობდა. გეომეტრიული ორნამენტი მისთვის უკიდურე-

სი აბსტრაგირების ნიმუში იყო და სივრცის უარყოფა მასთან იმიტირების უარყოფას უტოლდება. ასევე, ცნება დეკორატიული საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, სიმბოლისტებთან, პოზიტიური თვალსაზრისით იხმარება, როგორც აღწერითის საპირისპირო. მაგრამ აბსტრაქციონისტები ორნამენტულიც და დეკორაციულიც კარგავს პოზიტიურ დატვირთვას და ნეგატიურ შინაარსს იძენს. აბსტრაქციონისტები გაურბიან ორნამენტულობას და დეკორატიულს დამამცირებელ განსაზღვრებად მიიჩნევენ. ჯერ კიდევ კანდინსკი ლაპარაკობს თავის "კიოლნის ლექციაში" ორნამენტულობის, როგორც ერთ-ერთი უდიდესი საშიშროების შესახებ. ხოლო ჰანს ჰოფმანი წერს, რომ "არსებობს ორი საშიშროება — რეალისტური სიღრმის ილუზიის და ორნამენტული დიზაინის. ორივე შემთხვევაში ტილოზე დადებული საღებავი არ იძლევა პლასტიკურ რეზულტატს. სიღრმე ან არ არის, ან არ პასუხობს ფერწერულად. ტილო პლასტიკურ შინაარსს მოკლებულია, ცარიელია" (Hans Hofmann, with introduction by S. Hunter and file essays by H. Hofmann, 1963, pp. 27-30).

ყველა დაკვირვების მიხედვით, აბსტრაქტული მხატვრობა არამც თუ არ საჭიროებს სივრცეს, არამედ სივრცის შეგრძნების გარეშე არ არსებობს არაფერი ფასეული აბსტრაქციის დარგში. სხვაა, რომ სივრცე აქ სულაც არ გულისხმობს სინამდვილის მიმსგავსებას, სამგანზომილებიანი ილუზიის შექმნას.

შემთხვევითი არ არის, რომ ამერიკელი აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის ლიდერებს აღაფრთოვანებდა გვიანდელი მონე. როგორც ქლ. გრინბერგი წერს: „მათ მონემ ასწავლა თავისი „წყლის ლილიებით," რომ დიდი გამჭვირვალე სივრცეა საჭირო დიდი ფერწერული იდეის განსახორციელებლად. მონეს მონასმები ეუბნებოდნენ მათ, რომ საღებავს ტილოზე სუნთქვის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს; და როცა სუნთქავს, ის უპირველეს ყოვლისა ფერს აფრქვევს — ფერს თავის საზღვრებში და არა ფორმებში " (Cl. Greenberg. The Later Monot in: Art and Culture, critical essays, pp 37-45). პისარომ აღნიშნა 1886 წელს მოსესთან კავშირში, რომ „ის იყო დეკორატორი ისე, რომ არ იყო დეკორატიული" (იქვე, p 43).

***

ბატონმა შურამ არაერთი ნამუშევარი მოსპო, რადგან თვლიდა, რომ მისი მხოლოდ აბსტრაქცია გამოხატავდა მის ნამდვილ შესაძლებლობებს. მისი პირველი აბსტრაქციები 1965 წელს განეკუთვნება. თუმცა, საამისოდ საფუძველს იგი 1950-იანი წლების დასასრულიდან ამზადებდა. ადრეული კომპოზიციები მას არ აკმაყოფილებდა და არ შეინახა. ორი ნატიურმორტი სკამის გამოსახულებით (ორივე — 1968) გვიჩვენებს, თუ როგორ განვლო ბანძელაძემ კუბიზმის ეტაპი და როგორ მივიდა აბსტრაქციამდე. პირველ მათგანში, მიუხედავად მხატვრული დეფორმაციისა, ყველაფერი სრულად იკითხება — სკამიც და მასზე მდგარი ნავთის ლამპაც. მეორე ნატიურმორტში გამოსახულებები ირღვევა და ფერწერულად დამუშავებულ გეომეტრიულ ფორმებად „ინგრევა".

***

ალ. ბანძელაძის პირველი აბსტრაქციები მინიმალისტური ხასიათის არის. მართალია, მინიმალისტური აბსტრაქცია ჯერ კიდევ მალევიჩის შემოქმედებაში აღმოცენდა 1910-იან წლებში, მიმდინარეობა ამ სახელწოდებით 1960-იანი წლების შუა ხანებში განვითარდა და ამგვარად, დროის თვალსაზრისით, ბანძელაძის დაინტერესება მინიმალისტური ხერხებით შემოქმედის პროგრესულ აზროვნებას ამჟღავნებს. ამასთან, ნათელია, რომ ბანძელაძესთან მინიმალურმა აბსტრაქციამ ორიგინალური გამოვლენა ჰპოვა. აქ ადგილი აქვს ექსპრესიონიზმის და მინიმალიზმის თავისებურ შერწყმას. და ყველა საფუძველი გვაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ ბანძელაძე აქამდე საკუთარი გზით მივიდა.

ბანძელაძე შენიშნავს: „მალევიჩმა თავისი შავი კვადრატით აქცია ჩაატარა და სილა გაანნა საზოგადოებას. აქამდე უნდა მიხვიდე, ეს შენი შინაგანი მოთხოვნილება უნდა იყოს." (ინტერვიუ ვიდეო-ფილმიდან).

***

კვადრატის (ოთხკუთხედის) თემა ბანძელაძის შემოქმედებაში 1966 წლიდან განვითარდა. იმ წელს მან შექმნა კვადრატი, დანაწევრებული სამ მონაკვეთად. 1967 წელს მსგავსი



კვადრატი 9 სეგმენტად დაყო. 1968 წელს ბანძელაძემ შექმნა ტილო, რომელზეც მხოლოდ ერთი ფერით — ცისფრით შემოფარგლული კვადრატია. ეს არის ავტორის ყველაზე მინიმალისტური კომპოზიცია.

მხატვრის ქალიშვილის ბავშვობის მოგონება: მამამ დახატა ეს კვადრატი და სურათზე მუშაობის გაგრძელებას აპირებდა. მაგრამ ერთი-ორი დღე უყურა და მერე თქვა: „უცნაურია, ამას მეტი არაფერი ჭირდება“.

1968 წლის ბანძელაძის აბსტრაქციაში იმავე თემაზე, კვადრატი 25-ზე მეტ ფერადოვან მონაკვეთად იყოფა. 1970 წელს მან შექმნა კომპოზიცია, რომელიც დღეს ხელოვნების მუზეუმის საცავში ინახება და ერთ-ერთი საუკეთესოა მის ვარიაციებში აღნიშნულ თემაზე. სურათი შესრულებულია ზეთით. მატერიალურ ბაზისს წარმოადგენს თითქმის კვადრატული, ოდნავ სიგანეში გაწოლილი ტილო, ზომით 90X100. სიბრტყეზე გამოსახულია ოთხკუთხედი, რომლის გარშემოწერილობა სასურათე ჩარჩოს პარალელურად მიუყვება, კიდედან დაახლოებით 9-10 სმ-ის დაშორებით. ოთხკუთხედის კონტური არ არის მკაცრად სწორკუთხა და ჩარჩოს მიმართ პარალელური. თავად ოთხკუთხედი დანაწევრებულია მცირე, განსხვავებული ზომის მონაკვეთებად. გამოყენებულია მომწვანო-ცისფრის (ფირუზისფრის) და მოყვითალო-თეთრის გრადაციები. ტონები თბილია. ტილოს ზედაპირი დაფარულია მონასმების მრავალი ფენით. ეს ფენები განსაკუთრებულ სიღრმეს და შინაგან ჟღერადობას სძენს ფერებს.

ოთხკუთხედის ზედაპირი დაახლოებით 15 მონაკვეთად არის დაყოფილი. ისინი სხვადასხვა ზომისაა. არც ერთი არ არის შემოსაზღვრული მკაცრი, სწორი ხაზებით. კონტურები — ზოგან მქრქალი, ზოგან უფრო მკვეთრი, როგორც ჩანს, გაუშრობელ ზედაპირზე ფუნჯითვეა გახაზული. შემოფარგლულია სწორკუთხედები — თითქმის კვადრატული ან წაგრძელებული პარალელეპიპედები, ვიწრო და წაგრძელებული ან სრულიად მცირე მონაკვეთები... ზედა მარცხენა კუთხეში მოხაზულ სეგმენტს ქვედა მარჯვენა "კუთხე" თითქმის ნახევარწრიულად აქვს მოხაზული, რაც დინამიზმს მატებს კომპოზიციას. მონაკვეთები განსხვავებული ფერისაა: ზოგი მოცისფრო, ზოგი თეთრი, მოყვითალო, მომწვანო-მოცისფრო, მოლურჯო-შავიც, მორუხო. არც ერთი ფერი არ არის ერთფეროვანი, ყოველი მონაკვეთი უამრავ მონასმს შეიცავს. მსუყე მონასმები მდიდარ ფაქტურას ქმნის. ზედაპირი დამუხტული, მგრძნობიარეა. და უსაგნო კომპოზიცია საოცარ სიღრმეს იძენს. მუქი აქცენტები დინამიკურად არის გაბნეული. არე ოთხკუთხედის გარშემო კომპოზიციის ფონსაც ქმნის და ჩარჩოსაც. მისი უწყვეტობა, „გაურღვევლობა“ განსაზღვრავს მის ფუნქციას, როგორც კომპოზიციის შემკვრელისა.

მთლიანობაში ფერწერული დინამიკურობის შეგრძნება იქმნება არა იმდენად მონასმების ექსპრესიულობით, რაც ასევე საგულისხმოა, რამდენადაც იმით, რომ თითოეული სეგმენტი თავის თავში ჩაკეტილია და მონასმების დახრა, მიმართება თითოეულში განსხვავებულია. ეს განცალკევება, მთლიანობაში ერთად შეკვრისას, ურთიერთდაპირისპირების მექანიზმს ქმნის. აქედან იქმნება შინაგანი დინამიზმი, რომელიც უმიზნოდ კი არ ფეთქდება, არამედ შინაგან ფეთქვას და პლასტიკურ დაძაბულობას ქმნის ტილოს ზედაპირზე. ტილოს ცენტრში განთავსებული კვადრატის, მისი თითოეული სეგმენტის და გარემომცველი ფონის ფერწერული შეპირისპირება სტრუქტურულ მრავალფეროვნებას ქმნის. ყოველივე ეს წარმოშობს ფერწერული სიბრტყის, „სუნთქვის“ შეგრძნებას. მფეთქავი ზედაპირი განსაცვიფრებელ პლასტიკურ ჟღერადობას იძენს.

ასე ავლენს ბანძელაძე დამოუკიდებლად ფერის, საღებავის გამომსახველობით უნარს, ფერწერის ავტონომიური საშუალებების ძალას. 1980-იანი წლების ბოლოს მხატვარი უბრუნდება ოთხკუთხედის თემას და დიდი ზომის (130X150) მონუმენტურ კომპოზიციებს ქმნის. აქ ფერები თითქმის ნეიტრალურია — შავი, რუხი, თეთრი, მრავალფეროვანი ტონალური გრადაციებით. ამ კომპოზიციებით სრულდება და ერთ მთელად იკვრება კვადრატის (ან ოთხკუთხედის) თემა ალ. ბანძელაძის შემოქმედებაში. თავისუფალი, გაუკონტროლებელი მონასმები „დაოკებულია“ სწორკუთხა ჩარჩოებში მოქცევით. (თუმცა, ეს სწორი ხაზები არსად მკაცრად სწორ კუთხეებს არ კრავს და ყოველთვის მკაცრად ურთიერთპარალელურიც არ არის).

***

უკვე მის სიცოცხლეში, ბანძელაძე ცნობილი, აღიარებული მხატვარი იყო, დიდად წარმატებულიც. მას იცნობდნენ სულ პატარებიც, რადგან სწორედ მან დაასურათა ქართულად თარგმნილი „მაუგლი". ეს იყო ჩემი თაობის ბავშვების უსაყვარლესი გამოცემა. (ცხოვრების ბოლოს მხატვარმა "მაუგლის" ილუსტრაციების კიდევ ერთი, სრულიად განსხვავებული, აბსტრაგირებული ვარიანტი შექმნა და ძველი ვარიანტის ორიგინალები დაწვა). ბანძელაძე იყო მხატვართა კავშირის წევრი, თუმცა 1955 წელს უარი თქვა წევრობაზე და ამით გამოხატა საკუთარი პროტესტი კავშირის საქმიანობის მიმართ. მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებში. მის მიერ გაფორმებული წიგნი — „არსენას ლექსი" 1966 წელს, ბრნოს ბიენალეს სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდა, ხოლო 1967 წელს, ლაიფციგში, აღინიშნა პრემიით — „მსოფლიოს უმშვენიერესი წიგნი". 1967 წელს, "მაუგლის" გაფორმებისათვის, მხატვარს მოსკოვში გადაეცა საკავშირო დიპლომი — „წლის საუკეთესო წიგნი". ბანძელაძემ მონუმენტური პანოები შექმნა დიღმის სასურსათო უნივერსამსა და გულრიფშის ლიტერატურულ პანსიონში. 1979-88 წლებში მან მოხატა დიდუბის ეკლესია თბილისში. ... და ალ. ბანძელაძეს ერგო იშვიათი პატივი — ის დიდუბის ეკლესიის ეზოში მიაბარეს მიწას.

ამგვარად, მხატვარი სიცოცხლეშივე პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ, როგორც აბსტრაქციონისტი, ბანძელაძე „დისიდენტი" იყო. ის, რაც მას თავის ძირითად, ყველაზე მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა, წლების განმავლობაში საზოგადოებისათვის უცნობი რჩებოდა. ამის შესახებ მხოლოდ უახლოესმა მეგობრებმა იცოდნენ, პირველ რიგში, მოქანდაკე გოგი ოჩიაურმა. 1980-იანი წლების დასაწყისში, მისი მისწრაფებების შესახებ ახალგაზრდა, დამწყებმა მხატვრებმა შეიტყვეს. ისინი ხშირად იკრიბებოდნენ მხატვრის სახელოსნოში და თანდათანობით ბანძელაძე მათი მასწავლებელი გახდა. ისინი მეტრისგან ბევრ რამეს სწავლობდნენ. უპირველეს ყოვლისა, როგორც ახალგაზრდებს სჩვევიათ, მონაფეები მასწავლებელში პიროვნულ თავისუფლებას, გაბედულებას, პროფესიის პატივისცემას, ოსტატობას და კეთილშობილურ ადამიანურ თვისებებს აფასებდნენ.

***

ალ. ბანძელაძე ამბობდა, რომ „თავისი პატარა ცხოვრების მანძილზე მხატვარმა უნდა გაიაროს ხელოვნების განვითარების მთელი გზა, ერთგვარი კონსპექტი შეადგინოს" (ინტერვიუ ვიდეო-ფილმიდან). თავად ეს დიდი ამოცანა ოსტატობით დაძლია. მისი შემოქმედება იმის დასტურია, რომ მხატვრობა თავისი ავტონომიური წესებით იმართება. ერთმანეთისგან განსხვავებულ სოციალურ და ისტორიულ პირობებშიც კი, მხატვრული სტილების მონაცვლეობა მსგავსია. ერთი მიმდინარეობა მეორედან ორგანულად გამომდინარეობს და ამ ცვალებადობის შინაგან მოთხოვნილებას ოდნავ თუ ამუხრუჭებს, მაგრამ ვერ აჩერებს პოლიტიკური ზეწოლა.

რატომ დავინტერესდი ალ. ბანძელაძის ადრეული ნამუშევრებით? იმიტომ, რომ მათში განსაკუთრებით კარგად ჩანს მხატვრის მოწინავე მხატვრული აზროვნება და პროფესიული თავისუფლება.

***

ალექსანდრე ბანძელაძე სრულიად ფლობდა ფერწერული მასებით ჰარმონიულად კონსტრუირების, შენების საიდუმლოებას. კოლორიტი მასთან თავშეკავებულია, ზომიერი. ფერები ჟღერადია თავისი სტრუქტურით, შინაგანი სიმდიდრით.

ფერწერული სურათი ერთი მონასმით არ იბადება. პოლ კლეეს სიტყვით, ის ნელ-ნელა შენდება, როგორც სახლი (Theories of Modern Art: A Source Book by Artists and Critics, Universite of California Press, pp 183-184). ვერც მაყურებელი წვდება ნამუშევარს ერთი შეხედვით. ვიღაცამ თქვა, სურათის აღსაქმელად საჭიროაო სკამი. რატომ? რათა დაღლილმა ფეხებმა არ შეუშალოს გონებას...

ნინო ალფასიძე

„ჰარმონიის მამა“

კლაუდიო ჯოვანი ანტონიო მონტევერდი — ევროპის მუსიკის ისტორიის უდიდესი კომპოზიტორი, „რენესანსის მადრიგალის უკანასკნელი და მუსიკალური დრამის პირველი კლასიკოსი“, გვიანი რენესანსის და ადრეული ბაროკოს მონუმენტური ფიგურაა. მონტევერდის შემოქმედება იქმნებოდა XVI – XVII საუკუნეების მიჯნაზე, როცა იტალიური ხელოვნება დიდი ინტენსიობით ვითარდება, ბრწყინვალე შედევრები იქმნება ფერწერაში, არქიტექტურაში, პოეზიასა და მუსიკაში.

აღორძინების ეპოქის ბოლოს იტალიური მუსიკა თანდათან წინა პლანზე გამოდის, იქმნება კონსერვატორიები, მუსიკალური აკადემიები და საზოგადოებები, იწყება რენესანსის მუსიკალური შემოქმედების გადაზრების პროცესი.

XVI საუკუნის II ნახევარში მრავალი საუკუნის (IX — XVII) მანძილზე მუსიკალურ ხელოვნებაში გაბატონებულმა სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები და ევოლუციის გრძელი გზა გაიარა. XVI – XVII საუკუნეებიდან ახალი მუსიკის განვითარებაში აქტიური პროცესები იწყება. ნიდერლანდური პოლიფონიური სკოლა ორი საუკუნის მანძილზე იყო გაბატონებული ევროპაში, ჰომოფონიურ-ჰარმონიული წყობის წარმოშობამ, ოპერის დაბადებამ, ყოფითი მუსიკის და ინსტრუმენტული ხელოვნების განვითარებამ, რომელიც ამ დრომდე მკვეთრად ჩამორჩებოდა საგუნდო მუსიკას და მხოლოდ „საოპერო საუკუნის“ დასაწყისში გამოჩნდება პირველი, დამოუკიდებელი ინსტრუმენტული ნაწარმოებების სახით, ევროპული მუსიკალური ხელოვნების განვითარების შემდგომ გზაზე უდიდესი გავლენა მოახდინა.

ასეთ გარდამავალ პერიოდში, ანტიკური იდეალების ძიების ფონზე დაიწყო თავისი შემოქმედებითი გზა ახალგაზრდა მონტევერდიმ. „საერო მუსიკის პირველ კლასიკოსს“*, მუსიკის ისტორიის განვითარებაში უდიდესი ადგილი უკავია. ახალი მუსიკალური ჟანრის, ოპერის ერთ-ერთი დამაარსებელი, თავის შემოქმედებაში არ შემოიფარგლება მხოლოდ საოპერო ჟანრით, არც მონოდიით და ძველი მოდალური ფორმებით. მონტევერდიმ განავითარა მადრიგალის სახეობრივ-პოეტური შინაარსი და ჩამოაყალიბა სრულიად ახალ ჟანრად, თავისი მოწოდება ოპერაში იპოვა და გააფართოვა თანამედროვე ოპერის საწყისები, რაც იყო ჩაფიქრებული ფლორენციულ drama per musica-ში (იტ. „დრამა მუსიკისთვის“).

კლაუდიო მონტევერდიმ ხანგრძლივი შემოქმედებითი გზა განვლო, რომელიც ექვს ათეულ წელს მოიცავს, ადრეული კანცონეტებიდან (1584) და მადრიგალებიდან, — ბოლო ოპერებამდე, „ულისეს დაბრუნება სამშობლოში“ (1640 წ.) და „პოპეას კორონაცია“, რომელიც 1642 წელს, სიკვდილამდე ერთი წლით ადრე შექმნა, მონტევერდის მუსიკალური აზროვნების განვითარების ის დიდი და მრავალფეროვანი გზაა ნაჩვენები, რასაც ადგილი ჰქონდა XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში.

ქალაქი კრემონა, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა მონტევერდიმ, XVI საუკუნის ბოლოს მილანის საჰერცოგოს შემადგენლობაში შედიოდა. ეს იყო ქალაქი მდიდარი სასახლეებით, რომანული სტილის ულამაზესი ტაძრებით და გოთიკური სამრეკლოთი. ეს იყო ქალაქი, რომელიც ამაყობდა თავისი შესანიშნავი ოსტატებით, რომლებიც მუსიკალური ინსტრუმენტების, განსაკუთრებით

* В. Конен. „Клаудио Монтеверди“

სიმებიანი ინსტრუმენტების დამზადებით, XVI-XVII ს-ში ინსტრუმენტებს ამზადებდნენ ნიკოლო ამატი, ანტონიო სტრადივარი, ანდრეა გუარნირი, რომელთა ინსტრუმენტები შეუდარებელი სილამაზის ბგერითა და ტემბრით დღემდე აღტაცებას იწვევს.

კლაუდიო მონტევერდიმ ყურადღება მუსიკის მიმართ ადრეული წლებიდანვე მიმართა. მისი პირველი შეხება მუსიკასთან დაკავშირებულია კრემონას კათედრალური ტაძრის maestro di capella-სთან, მარკ ანტონიო ინჟიგნერისთან, რომელიც თავისი დროის ცნობილი მუსიკოსი და კომპოზიტორი იყო. 15 წლის ასაკში გამოიცა მონტევერდის პირველი მუსიკალური ნაწარმოები სამხმიანი მოტეტების კრებული.

XVI საუკუნის ბოლოს მანტუა ჩრდილო იტალიის მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ცენტრი იყო, სადაც პოეტები, მუსიკოსები, მხატვრები, სკულპტორები, არქიტექტორები თავისი შემოქმედებით განადიდებდნენ ჰერცოგ გონზაგას კარს. 1590 წლიდან მონტევერდი მიწვეულია მანტუაში, ჰერცოგ ვინჩენცო გონზაგას სასახლეში ვიოლაზე შემსრულებლად, შემდეგ კი კაპელის ხელმძღვანელად ინიშნება. მონტევერდის ურთიერთობამ მთელი იტალიის შემოქმედ ელიტასთან, საუკუნის უდიდეს მხატვრებთან, პოეტებთან, დრამატურგებთან, მომღერლებთან, კომპოზიტორებთან (რუბენსი, ტასო, პერი, გალიანო, რინუჩინი, საუკუთესო იტალიელი მომღერლები), გაამდიდრა კომპოზიტორის თვალსაწიერი, და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მონტევერდის შემოქმედების შემდგომი განვითარებისთვის. მუსიკის ისტორიკოსები მონტევერდის მადრიგალებს ტასოს ლირიკულ პოეზიას ადარებენ, საოპერო შემოქმედება კი შექსპირის დრამატურგიასთან ავლებს პარალელს.*

მონტევერდიმ მანტუაში ოც წელზე მეტი გაატარა, სადაც შესაძლებლობა ჰქონდა შეექმნა და შეესრულებინა ნაწარმოებები. სწორედ გონზაგას კარზე შექმნა მონტევერდიმ თავისი პირველი ოპერა „ორფევსი", რომლის წარმატება განსაკუთრებით შთამბეჭდავი აღმოჩნდა. „ორფევსამდე" მონტევერდის საოპერო ჟანრში მუშაობის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა, აღსანიშნავია ისიც, რომ ოპერა „ორფევსი" ფლორენციაში აქამდე შექმნილ მუსიკალურ დრამათაგან მხოლოდ მეექვსე იყო (ჯაკოპო პერის „დაფნა", ჯულიო კაჩინის „ევრიდიკე",) და მისი დაბადებიდან მხოლოდ 10 წელი იყო გასული. I ოპერა, რომლის მუსიკაც შემორჩენილია, შესრულდა 1600 წელს, საფრანგეთის მეფის ჰენრი V და მარია მედიჩის ქორწილისას.

L' O R F E O
FAVOLA IN MVSICA
DA CLAVDIO MONTEVERDI
RAPPRESENTATA IN MANTOVA
AL SERENISSIMO SIGNOR
M D C IX

ოპერა „ორფევსის" სატიტულო გვერდი, გამოიცა 1607 წელს

ჰერცოგის სიკვდილის შემდეგ, 1613 წელს, მონტევერდი ვენეციაში, San Marko–ს ბაზილიკაში გადადის და maestro di cappella-ს ადგილს იკავებს, სადაც ცხოვრების ბოლომდე დარჩება. 1637 წელს, ფლორენციაში პირველი საოპერო სპექტაკლის შექმნიდან 40 წლის შემდეგ ვენეციაში გაიხსნა საოპერო თეატრი. მისი დამაარსებელი სან კასიანი აღმოჩნდა პირველი, ვინც გახსნა თეატრი, რისი მონახულებაც უბრალო ხალხისათვისაც ხელმისაწვდომი იყო. ამგვარად, ვენეციაში ახალი მუსიკალური დრამა პირველად წარსდგა მსმენელთა ფართო აუდიტორიის წინაშე. რომში ძმები ბარბერების თეატრში, რომელიც 300-მდე ადამიანს იტევდა, და მსურველნი კი ბევრად მეტნი იყვნენ, თუკი ვინმე ცნობილ სტუმარს ადგილი არ ეყოფოდა, ერთ-ერთი ძმა თავადვე აგდებდა რომელიმე მსმენელს და ათავისუფლებდა ადგილს. ასეთი წესი მიღებული იყო სასახლის თეატრისთვის, სადაც წარმოდგენები სადღესასწაულო დღეებში იმართებოდა, ვენეციაში კი სამი თეატრალური სეზონი მუშაობდა — კარნავალის, შემოდგომის და გაზაფხულის, და წარმოდგენებიც რეგულარულად იმართებოდა.

მონტევერდის შემოქმედებას უდიდესი გავლენა ჰქონდა ვენეციის მუსიკალურ ცხოვრებაზე. მისი „ნაწარმოებებისშესრულების გარეშე არც ერთ დღესასწაულს არ ჩაუვლია, ისინი იბეჭდებოდა მთელს იტალიაში და მის საზღვრებს გარეთ, და აღიქმებოდა, როგორც „მუსიკალური ბიბლია".*

* В. Конен. „Этюды о зарубежной Музыке" „Художник переломной эпохы"

* Ярослав Седов. Claudio Monteverdi. „Madrigali Amorozo"

მადრიგალი — მონტეევერდის შემოქმედების საწყისი, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჟანრია, შექმნილი აქვს 200-მდე მადრიგალი, რომელიც 8 კრებულადაა გაერთიანებული და კომპოზიტორის „შემოქმედებით დღიურს" წარმოადგენს. სწორედ მათში ხორციელდება გაბედული ექსპერიმენტები მელოდიის, ჰარმონიისა და პოლიფონიის განვითარების საკითხში, რომელსაც კომპოზიტორი შემდეგ უკვე დიდი ორიგინალობით გამოიყენებს საოპერო პარტიტურებში. მონტეევერდის შემოქმედებითის ორი ათეული წელი გამორჩეულად მადრიგალისადმი იყო მიძღვნილი, რამაც იგი საოპერო სტილის დაბადებასთან მიიყვანა.

„მადრიგალი — არა მხოლოდ შემოქმედებითი ჟანრი, არამედ პოეტური ფორმა, მუსიკის ისტორიაში ხასიათდება როგორც თავისუფალი, გამჭოლი კომპოზიცია, რომელიც მიისწრაფვის მუსიკის ენით ასახოს ტექსტის შინაარსი".* XVII საუკუნემდე ევროპის მუსიკალურ ხელოვნებაში გაბატონებული იყო prima prattica-ს სტილი, მუსიკის დაქვემდებარება ტექსტისადმი, რაც დამახასიათებელია აღორძინების პერიოდის და განსაკუთრებით პალესტრინას შემოქმედებისთვის, მონტეევერდი კი ჩამოაყალიბებს, როგორც მას თავად უწოდა, seconda prattica-ს სტილს, რომელშიც მუსიკის შექმნისას საწყისი იყო სიტყვა, სიტყვის განწყობა და ტექსტის ემოცია.

მონტეევერდის შემოქმედებას მრავალი სიახლე შემოაქვს ტექსტისა და მუსიკის ურთიერთდამოკიდებულებაში, ნაწარმოების შექმნისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ტექსტს, მიმართავს მას მუსიკისა და დრამატურგიის გაძლიერებისთვის. პოეზიის გამორჩეულმა როლმა სათავე დაუდო მუსიკის და ტექსტის ისეთ ერთიანობას, რომლისკენაც მთელი აღორძინების ეპოქა მიისწრაფოდა, სპეციფიკური მუსიკალური საშუალებებით მოეხდინა მუსიკისა და პოეზიის შერწყმა, სადაც თემატური მასალა ვერბალურის შესაბამისად შეიცვლებოდა. „მონტეევერდის მიღწევებმა საწყისი დაუდო მუსიკისა და ლიტერატურის იმ დამახასიათებელ ურთიერთგავლენას, რაც მომდევნო სამი .საუკუნის საკომპოზიტორო შემოქმედების საწყისში დევს."**

მონტეევერდი მადრიგალის ტექსტის არჩევისას განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ტორკვატო ტასოს პოეზიის მიმართ, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მის ნაწარმოებებში გაბატონებულ სასიყვარულო და პეიზაჟურ მოტივებზე. მისი მრავალრიცხოვანი მადრიგალებიდან (200-მდე) უმრავლესობა სწორედ ტასოს ლექსებზეა დაწერილი. ასევე ხშირად მიმართავს ფრანჩესკო პეტრარკას, ალესანდრო სტრიჯიოს, ჯოვანი ბატისტი გუარინის, ლუდოვიკო გელიანოს პოეზიას.

მონტეევერდის მადრიგალებში ტექსტზე ემოციონალურ-აზრობრივი დატვირთვა მნიშვნელოვნად გაფართოვდა, მასში წარმოდგენილი ტრაგიკული ან სასიყვარულო სიტუაციები, საინტერესო მუსიკალურ გამოხატულებას ჰპოვებენ, მადრიგალში გაბატონებულია ცალკეული სიტყვების გამომსახველობითი გამოყოფა და თავისუფალი გამეორება. საუბარია ე.წ. „მელოდიურ ტრაფარეტებზე",* სადაც სიტყვა — სიმბოლოს მნიშვნელობითაა წარმოადგენილი. სიტყვა „ნაღველი", „ცრემლი", „სიკვდილი", „სისასტიკე", „სინანული", „ჩივილი", „ჯოჯოხეთი", საერთო იმიტაციური ფაქტურიდან დაღმავალი მელოდიური სვლებით, მოულოდნელი ნახტომებით, მკვეთრი ქრომატიზირებული ინტონაციებით, მოულოდნელი დისონანსებით, შორეული ტონალური შეთანხმებებით გამოირჩევა.

ნათელი სიტყვა-სიმბოლოები — „ცეცხლი", „მღერა", „ზეცა", „ამაღლება", „მზე", „სიყვარული", რომელიც სიხარულის, სიყვარულის ემოციას გადმოსცემენ, პირიქით, აღმავალი მელოდიური განვითარებით, ნათლად გამოკვეთილი ტონიკური საწყისით გამოირჩევა. სასიყვარულო და პეიზაჟური „ულერადი სურათები", წყლის ხმაური, ქარის ხმა, ფოთლების შრიალი, მის ნაწარმოებებში, და განსაკუთრებით მადრიგალებში, ბგერწერითი ელემენტების გამოყენების საშუალებას იძლევა. პოეზიისა და მუსიკის ასეთმა შერწყმამ, პოეზიის გამორჩეულმა როლმა, სათავე დაუდო მუსიკისა და ტექსტის ისეთ ერთიანობას, რაც მომდევნო სამი საუკუნის მანძილზე სხვადასხვა ჟანრის ვოკალური მუსიკის საკომპოზიციო საწყისს და განვითარებას გრანდიოზულ საგუნდო პიესებში და საოპერო დრამატურგიის ენაში ჰპოვებს.

მადრიგალი მონტეევერდის შემოქმედების ის ჟანრია, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მის უწყვეტ შემოქმედებით ზრდაზე და ასახავს იმ ფართო ნახტომებს, რაც არამარტო მონტეევერდის, არამედ მთელი XVI-XVII ს-ის ევროპის შემოქმედებისთვის არის დამახასიათებელი.

მადრიგალი — მონტეევერდის შემოქმედების წამყვანი ფორმა, მისი ქმნილებების

* Т. Дубравская „Мадригал" (жанр и форма)

** В. Конен. Клаудио Монтеверди.

*Т. Дубравская „Мадригал" (жанр и форма)

დიდ მონაკვეთს მოიცავს და საფუძველს უყრის ოპერას და სოლო ვოკალური ლირიკის ახალ ფორმებს. მონტევერდის მადრიგალები მჭიდროდაა დაკავშირებული ფლორენციულ Dramma per musica–სთან, ახალ თეატრალურ ჟანრთან, რომელიც მონტევერდის შემოქმედების შემდგომ ეტაპს განსაზღვრავს. მონტევერდი 40 წლის იყო, როდესაც პირველად ახალი მუსიკალური ჟანრით დაინტერესდა, და ამ დროიდან კომპოზიტორის შემოქმედებითი მისწრაფებები თითქმის მთლიანად ოპერისკენ იქნა მიმართული. მადრიგალიც კი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში თითქმის მთლიანად განსაზღვრავს მონტევერდის შემოქმედებას, მეორე პლანზე გადადის, თუმცა მასზე მუშაობას კომპოზიტორი მთელი ცხოვრების მანძილზე განაგრძობს. მონტევერდის პირველი ოპერის — „ორფევსი", შედარება მისსავე სხვა მუსიკალურ დრამებთან შეუძლებელია, რადგანაც მისი საოპერო ქმნილებებიდან, (შექმნილი აქვს 17 ოპერა, მათ შორის, „არიადნა", „ტირსისი და კლორა", „არმიდა", „მერკური და მარსი", „ენიასა და ლავინიას ქორწილი", „ადონისი", „პროზერპინას მოტაცება", „ულისეს დაბრუნება სამშობლოში"), ჩვენამდე მხოლოდ ორმა, პირველმა და ბოლომ — „ორფევსი" (1607 წ.) და „პოპეას კორონაცია" (1642 წ.) მოაღწია სრული სახით, და ამ ოპერებსაც ერთმანეთისგან მთელი 30 წელი აშორებს.

მონტევერდი თავისი დროის ცნობილი სასულიერო მუსიკის კომპოზიტორი იყო, შექმნილი აქვს მესები, ფსალმები, ჰიმნები, მაგნიფიკატები, მოტეტები, რომლებიც ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. 1610 წელს შექმნა საეკლესიო მუსიკის მაღალმხატვრული ღირებულების ნაწარმოები, „Vespra della beata vergine", (წმინდა ქალწულის ლიტანია), რომელიც რომის პაპს, პაულ V მიუძღვნა.

მონტევერდის ოპერა „ორფევსი" არ იმეორებს ზუსტად ფლორენციულ dramma per musica-ს, სასახლის კარის საკარნავალო დღესასწაულისთვის დაწერილ ნაწარმოებში ლეგენდის ნაღვლიანი დასასრული გაუმართლებელი იქნებოდა, და ლიბრეტოს ავტორმა, ალესანდრო სტრიჯიომ მონტევერდის თანხმობით გმირითა დაღუპვა მათი ზეცაში ასვლის სურათით შეცვალა.

ორფევსი — ბერძნული ლეგენდარული გმირი, ისტორიული ლეგენდის დრამატურგიული ვერსია, ისტორია მუსიკოსზე, რომელიც უკრავდა ლირაზე და მღეროდა იმდენად მშვენივრად, რომ ხეები და ქვებიც კი ცეკვავდნენ მისი მოსმენისას. გველის კბენით დაღუპულ მეუღლეს ორფევსი მიჰყვება იმქვეყნიურ სამყაროში, სადაც მუსიკითა და სიმღერით მოხიბლავს ჰადესს და დაიბრუნებს ევრიდიკეს. თემამ ხელოვნების ყოვლისშემძლე ბუნებაზე, იმდენად მოხიბლა კომპოზიტორი, რომ პირველი ოპერისთვის სწორედ ეს სიუჟეტი შეარჩია.

მონტევერდის პირველმა ოპერამ ევროპული სცენიური მუსიკის ისტორიაში ახალი ეტაპი გახსნა, სათავე დაუდო მუსიკალური შემოქმედების მთავარ მიღწევას — თეატრისა და მუსიკის სინთეზს. მონტევერდის ჩანაფიქრი სახეთა გაცილებით უფრო ფართო წრეს მოიცავს და ორიენტირებულია არამარტო პოეტურ სიტყვაზე, არამედ თეატრალური მუსიკის სხვა საშუალებებზე (ბალეტი, გუნდი, ანსამბლი).

მონტევერდის მხატვრული სრულყოფილების უკანასკნელი შედევრია მისი გრანდიოზული ოპერა „პოპეას კორონაცია", რომლის პრემიერა გრიმანოს თეატრში, 1642 წლის შემოდგომაზე შედგა. ოპერა, რომელიც კომპოზიტორმა 75 წლის ასაკში შექმნა, მისი შემოქმედების მწვერვალი და შესაძლოა, მსოფლიო საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ნაწარმოებია.

„პოპეას კორონაცია" „მსოფლიო მუსიკის ისტორიაში პირველი ოპერაა ისტორიულ სიუჟეტზე".* ოპერის ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე გაბატონებული მითოლოგიური დივერტისმენტები და სასიყვარულო პასტორალები — ისტორიული ქრონიკით, მითოლოგიური გმირები და ღმერთები კი — ისტორიული პიროვნებებით იცვლება.



ოპერა „პოპეას კორონაცია" პროლოგი
მონტევერდის ხელნაწერი

ოპერის სიუჟეტი XIV ს-ის წიგნიდან, ძველი რომაელი ისტორიკოსის კორნელიო ტაციტას პუბლიკაციიდან არის აღებული, თუმცა ლიბ-

* В. Конен. Клаудио Монтеверди.

რეტოს ავტორი ჯოვანი ფრანჩესკო ბუზენელო, არ ცდილობს დოკუმენტალური სიზუსტით ასახოს წარსული, ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით იგი შემოქმედებითად გადაიაზრებს სიუჟეტს, შემოიყვანს ახალ პერსონაჟებს, ღმერთებს და ღმერთქალებს, რომლებიც არამხოლოდ ალეგორიულ პროლოგში, არამედ ოპერის დრამატურგიულ განვითარებაშიც იღებენ მონაწილეობას.

ოპერა ხშირად სრულდებოდა სხვადასხვა ქალაქებში, ასევე რამდენჯერმე გამოიცა ოპერის პარტიტურაც, რაც იმ დროისთვის ასევე არაჩვეულებრივი მოვლენა იყო, ოპერები ჩვეულებრივ ხელნაწერებით იდგმებოდა. მონტეევერდის პარტიტურებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ, არსებობს მხოლოდ ხმისა და Continuo-ს ხელნაწერი, რომელიც ვენეციის ბიბლიოთეკაშია დაცული.

მონტეევერდის სახელი ცნობილი იყო არამარტო იტალიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, მთელს ევროპაში, თუმცა მისი მუსიკა მალევე იქნა მივიწყებული. XVII საუკუნის ბოლოს თითქმის აღარ იხსენებდნენ მას, XVIII საუკუნეში კი თითქმის სრულიად დაივიწყეს, კლასიციზმისა და რომანტიზმის ეპოქის მუსიკოსები — ბახი, მოცარტი, ბეთჰოვენი, ვაგნერი, ჩაიკოვსკი არ იცნობდნენ მის შემოქმედებას, და მხოლოდ XIX –XX საუკუნეში ჩნდება ინტერესი მისი შემოქმედების მიმართ, ჯერ სამეცნიერო წრეებსა და შრომებში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი მოხდა მონტეევერდის შემოქმედების ხელახალი „აღმოჩენა", გაიღვიძა ინტერესმა მონტეევერდის მუსიკის მიმართ, მუსიკალური თეატრები დგამენ მის ოპერებს, სრულდება მისი გუნდები და ვოკალური ანსამბლები.

შეუფასებელია კომპოზიტორის დამსახურება ეპოქის მუსიკალური ხელოვნების წინაშე, მისი შესაძლებლობების გახსნაში. მონტეევერდი დიდ გამომსახველ აზრს ანიჭებდა ინსტრუმენტულ ჟღერადობას, აფართოებს მის როლს ვოკალურ ნაწარმოებებში, „მუსიკაში მისი აღელვებული (concitato) სტილი შემოდის ისე, თითქოს „მზის სხივები აღწევენ ძველ ვიტრაჟში".*

უდიდესია კლაუდიო მონტეევერდის როლი ახალი ჰარმონიული ეპოქის ჩამოყალიბებაში, იგი ერთ-ერთი პირველი კომპოზიტორია, ვინც მნიშვნელოვანი ცვლილებები შემოიტანა ევროპის მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში, ვის შემოქმედებაშიც კლასიკური ჰარმონიის ფორმაქმნადობის თითქმის ყველა ის დამახასიათებელი ნიშანი იღებს სათავეს, რომლებიც შემდგომში ჰარმონიის კანონზომიერებების განმსაზღვრელი გახდება. მონტეევერდი ქმნიდა პერიოდში, როდესაც ყალიბდება ახალი ჰარმონიული ენა, მრავალი ის ჟანრი და ფორმა, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მომდევნო საუკუნეების ევროპის მუსიკალური ენის განვითარებას, და რაც კლასიკური და რომანტიკული მუსიკის საწყისს წარმოადგენს. ის „მკვეთრი დისონანსებიც" კი, რის გამოც მონტეევერდი ასე ხშირად მწვავე კრიტიკის ქვეშ ექცეოდა, სულ მალე ევროპის მუსიკალური ენისთვის დამახასიათებელი გახდება.

მონტეევერდი შესანიშნავად ფლობდა მკაცრი სტილის პოლიფონიას, თავის შემოქმედებაში არ უარყოფს წარსულს, არამედ აგრძელებს მის განვითარებას თავის მადრიგალებში, სასულიერო ნაწარმოებებში და საოპერო პარტიტურებში. მის ნაწარმოებებში ჩანს, თუ რაოდენ შედეგიანი აღმოჩნდა ახალი სტილის განვითარება ტრადიციასთან სინთეზში და ახალ ისტორიულ პერიოდში.

ოპერის წარმოშობამ და ინსტრუმენტული მუსიკის განვითარებამ კიდევ უფრო დააჩქარა მუსიკაში ტონალური ეპოქის ჩამოყალიბება, რაც ევროპულ პროფესიულ მუსიკას მომდევნო რამდენიმე საუკუნის მანძილზე განსაზღვრავს.



Lamento d'Arianna (არიადნას ჩივილი) (1608 წ)

ახალმა მუსიკალურმა ეპოქამ გავლენა მოახდინა ორკილოური მაჟორ – მინორული სისტემის და განვითარებული ტონალური ფუნქციონალურობის ჩამოყალიბებაზე. კლაუდიო მონტეევერდის ეკუთვნის იმ სიახლეების შემოტანაც, რომლის გარეშეც კლასიკური ჰარმონია წარმოუდგენელი იქნებოდა. „მონტეევერდი ჰარმონიის პრინციპებს ახალ მნიშვნელობას ანიჭებს. ჰარმონია აღარ არის პოლიფონიური წყობის „დამხმარე პროდუქტი", არამედ უკვე დამოუკიდებელი, სრულფასოვანი ეფექტი, მუსიკალური სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტი ." *

* Ярослав Седов . Claudio Monteverdi. „Madrigali Amorozo"

* В. Конен. Клаудио Монтеверди.

მონტევერდის ჰარმონიული ენა უკვე შექმნისთანავე კრიტიკოსთა ყურადღების ქვეშ აღმოჩნდა. მისი დიდი მოწინააღმდეგე იყო ბოლონიელი კანონიკი, ავტორი წიგნისა, „თანამედროვე ჰარმონიის ნაკლოვანებები", ჯოვანი მარია არტუზი. იგი მიანიშნებს იმ „მავნე ტენდენციაზე", რომელიც წარმოიშვა ახალ ნაწარმოებებში და რომელსაც მუსიკა დაღუპვასთანმიყავს."მისიკრიტიკისძირითადი ობიექტი კლაუდიო მონტევერდი გახდა, მისი „ყღერადობის სიჭრელე, ხმათა შერევა, ყურისათვის აუტანელი ჰარმონიის ხმაური, ეს კომპოზიტორი ეწინააღმდეგება ყველაფერს, რაც მშვენიერი და კეთილხმოვანია მუსიკალურ ხელოვნებაში. მისი მუსიკა შეურაცყოფს სმენას, ნაცვლად იმისა, რომ ასიამოვნოს, ავტორი არ იღებს მხედველობაში მუსიკის ნორმებს, ივიწყებს მის მიზანს, ვერ ვიგებ, როგორ შეიძლება ვერ შენიშნოს მუსიკოსმა წესების დარღვევა, რომელიც პატარა ბავშვსაც კი თვალში ეცემა".*

კლაუდიო ჯოვანი ანტონიო მონტევერდი

სიახლეები შეეხო მონტევერდის კილოურ აზროვნებას, მისი შემოქმედება, ესაა თავისებური დიფუზიური ზონა, გადასვლა ერთი სტილიდან — მეორეზე.

შუა საუკუნეებიდან ცნობილი მოდუსები, ორი მოდუსის — იონიურისა და ეოლიურის წინ წამოწევით ჩამოაყალიბებს ახალ, ცენტრალიზებულ და ფუნქციონალურად დიფერენცირებულ, მაჟორის და მინორის ორკილოურ სისტემას.

მაჟორი და მინორი, როგორც ვარაუდობენ, ხალხურ მუსიკაში დიდი ხნის მანძილზე არსებობდა. ხალხური მუზიცირების პრაქტიკიდან თანდათან პროფესიონალურ შემოქმედებაშიც გადადის, სადაც თავის ნამდვილ მნიშვნელობას და კლასიკურ ფორმულირებას ღებულობს.

მონტევერდის კილოური სისტემა — შერეული, მრავალკილოური, ქრომატიზირებულია, მასში მოდალური კილოები და მაჟორ – მინორის დამახასიათებელი ნიშნები განსაზღვრავს მუსიკალური მასალის განვითარებას.

XVI ს-ის ბოლოდან, სცენაზე აქტიურად გამოდის ახალი ჰომოფონიურ-ჰარმონიული ეპოქა, ძველ, გრიგოლისეულ და მაჟორ-მინორულ სისტემას შორის გარდამავალი ეპოქა, რომელშიც მოდალური ჰარმონიის და მაჟორ – მინორის კანონზომიერებები შეინიშნება. ერთი მხრივ, შუასაუკუნეების ტრადიციის შენარჩუნებით, მეორე მხრივ კი, ახალი იდეების და სტილის აქტიური განვითარებით, მუსიკის ისტორიის განვითარება პოლიფონიურიდან — ჰომოფონიურ-ჰარმონიული წყობისკენ მიემართება. (თუმცა. უნდა ითქვას ისიც, რომ XVII ს-ში ჰომოფონიასთან ერთად, პოლიფონიური მუსიკაც აგრძელებს ინტენსიურ განვითარებას და თავის მწვერვალს ი. ს. ბახის შემოქმედებაში აღწევს.)

ასეთ გარდამავალ, გადაფასების პერიოდში მოღვაწეობდა ახალგაზრდა კომპოზიტორი, გაბედული რეფორმატორი მონტევერდი. მისი უდიდესი დამსახურება მუსიკალური ხელოვნების წინაშე ისაა, რომ გაათავისუფლა მუსიკა შუა საუკუნეების მოდალურობისგან, თუმცა არ უარყოფს წარსულის მდიდარ გამოცდილებას, არამედ აგრძელებს მას თავის მადრიგალებში, სასულიერო ნაწარმოებებში და საოპერო პარტიტურებში. წარსულის ტრადიცია სხვადასხვა პერიოდის, ჟანრის და ფორმის ნაწარმოებებში, სხვადასხვა სირთულით და დროითი მონაკვეთით არის წარმოდგენილი.

მონტევერდის შემოქმედება არ არის მთელი ამ სიახლეების ასახვის ისტორიულად პირველი შემთხვევა, მათ ეპოქის სხვა კომპოზიტორთა (პალესტრინა, ჯეზუალდო, მარენციო, პერი, კაჩინი) ნაწარმოებებშიც ვხვდებით, თუმცა ცალკეული ეპიზოდების სახით. მონტევერდის შემოქმედებაში კი ჰარმონიული გამომსახველობის საშუალებები მთელს მუსიკალურ ქსოვილს მოიცავს, მისი შემოქმედების ყველაზე უფრო თვისობრივ მოვლენას წარმოადგენს და ევროპის მუსიკალური შემოქმედების განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

* В. Конен. Клаудио Монтеверди.

ალექსანდრე ყაზბეგი

საქართველოს ბომონდი

(„ცხოვრების ჩარხი“ ტ. IV, გვ. 9-100)

I

შესავალი

საწყალო საქართველოვ!.. როდის იქნება, რომ შენს შვილებსაც შეხვდეს ის საზოგადოების სინათლე, რომელიც აშკარათ აჩვენებს ხალხს თავიანთ მდგომარეობას?.. როდის იქნება, რომ შენ თვითონ თავისუფლათ შეიძლო განარჩიო შენი საზოგადოების შემადგენელი პირები?.. როდის იქნება, რომ შენ შეძლო ზოგიერთს თვითეულს პირს სამუდამოდ ამოუკვეთო ფეხი, საზოგადო საქმეში გასარევათ, რომელსაც თავისის ერთი მიკარებითაც კი აჭუჭყიანებენ?.. როდის იქნება, რომ შენი „ბომონდ“, რომლებზედაც არის მივარდნილი შენი მომავალი, როდესაც შეიყრებიან კინტოური ლაჟღანდარაობისა და ანდაზების მაგიერათ შესაქცევათ ამოირჩიონ შენს მდგომარეობაზედ ლაპარაკი?.. საწყალო, საწყალო საქართველოვ! დიდსხანს მოგიხდება კიდევ ლოდინი, ვიდრე შენს „ბომონდში“ ნახამ შენზედ მზრუნველებს!.. მაგრამ, რას ვანბობ!? დიდ ხანს მოგინდება? არა, არა, ეს სიტყვები შეცდომა არის, ნუ გაქვს, საქართველოვ, შენს ბომონდზედ იმედი. სამუდამოდ დაივიწყე ის აზრი, რომ ბომონდმა კეთილი მოინდომოს შენთვის და, მაშასადამე, შენს თავზედაც, ვიდრე ბომონდის ხელში იქნები. ამათ უნდიხარ მხოლოთ იმიტომ, რომ შენ, ტკბილო მშობელო, დაბადო შავთვალა ქალები, რომლებზედაც მოიმოქმედონ ყოველი გარყვნილური და კაცის დასამცირებელი მოქმედება. ამ ჩემს სიტყვებში მე მინდა ვილაპარაკო იმ გვარს მომხდარს საქმეებზედ, რომელიც ააღელვებს ყოველს პატიოსანს გულს და დაანახვებს მთლათ თავისის სხვადასხვა ფერის აჩრდილებით შემოტანილს ერთი კორპორაციის უწესო მოქმედებაებს — სადაც ძალიან კი ნუ შეგეშინდება, მამულო — უკეთუ დაინახამ შენს საზოგადოებაში აფერსიტებს, მუქთახორებს, ბომონდს, სხვებს და სხვებს... არა, არ უნდა შეგეშინდეს, ხელი ხელამათან მოდიან ახალგაზრდა საქართველოს ყვაილები, რომლებიც მზათ იქნებიან ყოველ წამს სიხარულით თავისი სისხლი დაღვარონ შენი კეთილყოფობისათვის და ბედნიერებისათვის. უბედურობა, სიღარიბე, შევიწროვება, ესენი ყველა იმ გვარი შემთხვევები არიან, რომლებიც კაცს აღვიძებენ და აგონებენ იმ ფიქრებს, რომ კაცობრიობამ მოიფიქროს თავის თავზედ, დაინახოს სხვის უბედურებაც, შეერთდეს და ერთის ძალით გადაიგდოს დესპოტური შევიწროვება ბომონდისაგან... იმედი კარგია — თქვა ერთმა ჩემმა ნაცნობმა და მეც გავიმეორებ: — იმედი კარგია!.. თან დავატან, გავსწიოთ, შვილნო მამულისანო! და გავათავებ ჩემს წინასიტყვაობას.

1870 წელი

ელისაბედ თარხნიშვილი — ალ. ყაზბეგის დედა

მარცხნიდან: გურამ გოგიაშვილი, თენგიზ მირზაშვილი (ჩუბჩიკა) და შოთა ნიშნიანიძე

ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ, შეგვეწიოთ!

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას №42; ტელ: 37-61-53,
შპს „ინფო 2007“ გ. ცაბაძის №6; ტელ: 34-11-40 და „საქპრესა“ ტელ: 51-60-04;
„სახალხო ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში

3 თვით 9ლ; 6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
თამარ ქიტუაშვილი
ელენე ვარამაშვილი

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@mail.ru Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე

ფასი 3 ლარი

ISSN 1512-3189